www.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრე ჭყონია

ლეჯრეული

1919

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრე პუშკინი

„დუბროვსკი“

(I ვარიანტი)

პირველი ტომი

პირველი თავი

რამდენიმე წლის წინათ თავის ერთ-ერთ მამულში სახლობდა ძველი რუსი მებატონე კირილა პეტროვიჩ ტროეკუროვი. სიმდიდრის, გვაროვნობისა და ნაცნობობის წყალობით დიდი გავლენა მოეხვეჭა გუბერნიებში, სადაც მამულები ჰქონდა. მეზობლები, გულის მოსაგებად, სიხარულით უსრულებდნენ უმცირეს ახირებას. გუბერნიის მოხელეებს მისი სახელის ხსენებაზე აცახცახებდათ. პირფერულად რომ ექცეოდნენ, ამას კირილა პეტროვიჩი ჯეროვან ხარკად რაცხდა. შინ მუდამ გამოულევლად ჰყავდა სტუმრები, რომლებიც მზად იყვნენ ბატონკაცურ უსაქმურობაში მხარი აებათ: ჩართულიყვნენ მის დაუცხრომელ, ხანდახან კი ბობოქრულ დროსტარებაში. ვერავინ უბედავდა, უარი შეეკადრებინა მიწვევაზე, ანდა გარკვეულ დღეებში სოფელ პოკროვსკოეში ჯეროვანი პატივით არ ხლებოდა. შინაურობაში კირილა პეტროვიჩი ყველა ზადს ავლენდა უწიგნური კაცისას. განებივრებული გახლდათ სუყველაფრით, რაც კი რამ გარს ერტყა, მიეჩვია ლაგამი მიეშვა თავისი ფიცხი ბუნების ყოველი აღტყინებისა და საკმაოდ შეზღუდული გონების ყოველი განაზრახისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საოცრად მაგარი აგებულებისა იყო, სიმსუნაგის გამოისობით კვირაში ორჯერ შავ დღეში ვარდებოდა და ყოველ საღამოს გადაკრულში გახლდათ.
კირილა პეტროვიჩის სახლის ერთ-ერთ ფლიგელში თექვსმეტი მოახლე ცხოვრობდა და თავიანთი სქესის კვალობაზე ხელსაქმობდნენ. ფლიგელის ფანჯრებს ხის ცხაური ეკრა და კარი კლიტით იკეტებოდა, გასაღებები კი კირილა პეტროვიჩს ჰქონდა. ახალგაზრდა განდეგილები დაწესებულ საათზე ბაღში ჩადიოდნენ და ორი ბებრუხანას მეთვალყურეობით სეირნობდნენ, კირილა პეტროვიჩი ამ ქალიშვილთაგან ზოგს

დროდადრო ათხოვებდა და მათ ადგილზე სხვები მოჰყავდა.
ტროეკუროვი გლეხებსა და შინაყმებს მკაცრად და თავის ქეიფზე ექცეოდა. ამის მიუხედავად, ისინი არ ეორგულებოდნენ. თავს იწონებდნენ ბატონის სიმდიდრით, სახელით და მისი ყოვლისმძლე მფარველობით გულმოცმულნი მეზობლებს ეყოყოჩებოდნენ ხოლმე.
ტროეკუროვის ყოველდღიური საქმიანობა გახლდათ ვრცელი სამფლობელოების შემოვლა, გაუთავებელი ნადიმები, ოინები, რომელთაც დღენიადაგ იგონებდა და რომელთა მსხვერპლნიც ჩვეულებრივად რომელიმე ახალი ნაცნობი იყო ხოლმე. ისე კი ამ ოინებს ძველი მეგობრებიც ყოველთვის ვერ არიდებდნენ თავს, გარდა ანდრეი გავრილოვიჩ დუბროვსკისა. ეს დუბროვსკი, სამსახურიდან გადამდგარი გვარდიის პორუჩიკი, ტროეკუროვის უახლოესი მეზობელი, სამოცდაათ სულს ფლობდა. და თუმცა ღირსეული მდგომარეობა არ ეჭირა, ტროეკუროვი პატივისცემით ეპყრობოდა მაშინ, როდესაც თვით უმაღლესი წოდების ხალხთან თავი ზვიადად ეჭირა. ისინი ერთ დროს სამსახურის ამხანაგები იყვნენ და ტროეკუროვმა გამოცდილებით უწყოდა დუბროვსკის მოუთმენლობისა და შეუპოვრობის ამბავი. გარემოებებმა კარგა ხნით დააცალკევა ორივე. დუბროვსკის სამეურნეო საქმეები უკუღმა წაუვიდა. იგი იძულებული გახდა, სამსახურიდან გადამდგარიყო და თავის უკანასკნელ სოფელში დამკვიდრებულიყო. შეიტყო თუ არა ეს კირილა პეტროვიჩმა, მფარველობა შესთავაზა, მაგრამ დუბროვსკიმ მადლი მოახსენა და დარჩა ხელმოკლე და თავისუფალი. გავიდა რამდენიმე წელი. ტროეკუროვი, უკვე გადამდგარი გენერალ-ანშეფი, თავის მამულს ეწვია. ამხანაგები ერთმანეთს შეხვდნენ და გაიხარეს. იქიდან მოკიდებული ყოველდღე განუყრელად იყვნენ. კირილა პეტროვიჩი, თავის სიცოცხლეში რომ სტუმრობით არავინ გაუბედნიერებია, ძველი ამხანაგის პატარა სახლს შინაურულად ეწვეოდა ხოლმე. ტროეკუროვი და დუბროვსკი ერთი კბილა იყვნენ, ერთი წოდების შვილები, ერთნაირად აღზრდილნი და ნაწილობრივ გუნებითაც და ზნითაც ჰგვანდნენ ერთმანეთს. ბედიც ერთნაირი ჰქონდათ რამდენადმე: ორივე სიყვარულით დაქორწინდა, დიდი ხანი არ გასულა და ორივე დაქვრივდა, ორივეს თითო შვილი დარჩა, - დუბროვსკის ვაჟი პეტერბურგში იზრდებოდა, კირილა პეტროვიჩის ქალი - მშობლისას, და კირილა პეტროვიჩი ხშირად ეტყოდა დუბროვსკის:
- მისმინე, ძმაო, ანდრეი გავრილოვიჩ: თუ შენი ვალოდკა გზას დაადგა, მაშას გავატან, თუმცა მაგის ავლა-დიდება კურდღელს აეკიდება.
ანდრეი გავრილოვიჩი თავს აქნევდა და პასუხად ამას ეუბნებოდა ჩვეულებრივ:
- არა, კირილა პეტროვიჩ, სად ჩემი ვალოდკა და სად მარია კირილოვნას ქმრობა. მისთანა ღარიბი აზნაურისთვის უპრიანია ღარიბი აზნაურის ქალი მოიყვანოს და ოჯახის თავკაცი იყოს, ვიდრე გააზიზებული დიაცის მოურავად იქცეს.
ყველას ეხარბებოდა ქედმაღალი ტროეკუროვისა და ხელმოკლე მეზობლის

შეხმატკბილებულობა, თან აოცებდათ დუბროვსკის სითამამე, როცა კირილა პეტროვიჩის სუფრაზე მიუკიბ-მოუკიბავად გამოთქვამდა თავის მოსაზრებას და აინუნში არ აგდებდა, ეწინააღმდეგებოდა თუ არა იგი მასპინძლის აზრებს. ზოგი შეეცადა, მისთვის წაეხედნა და ჯეროვანი მორჩილებისათვის ზურგი ექცია, მაგრამ კირილა პეტროვიჩმა მათ ისე დაუფეთა ანგელოზები, სამარადჟამოდ წაართვა ამდაგვარი ცდის ხალისი და მარტო დუბროვსკი დარჩა საყოველთაო კანონისაგან ხელშეუვალი. მოულოდნელმა შემთხვევამ ყოველივე აწეწა და შეატრიალა.
კირილა პეტროვიჩი ერთხელ, შემოდგომის დამდეგს, შორეულ სანადირო სანახებში წასასვლელად ემზადებოდა. წინა დღეს მეძაღლეებსა და ჯილავდრებს დილის ხუთ საათზე მზადყოფნა უბრძანეს. კარავი და სამზარეულო ადრითვე გაგზავნეს იქ, სადაც კირილა პეტროვიჩს უნდა ესადილა. სტუმარ-მასპინძელი მწევარ-მეძებართა ეზოსკენ გაემართა, სადაც ხუთასზე მეტი მეძებარი და მწევარი სვესვიანად და თბილად ცხოვრობდა და კირილა პეტროვიჩის ხელგაშლილობას ხოტბას ასხამდა თავიანთ ძაღლურ ენაზე. აქვე გახლდათ ავადმყოფი ძაღლების ქსენონი და დავრდომილთა თავშესაფარი, რომელსაც შტაბ-მკურნალი ტიმოშკა მეთვალყურეობდა. იყო აგრეთვე განყოფილება, სადაც კეთილშობილი ძუკნები ლეკვებს ჰყრიდნენ და მათ ძუძუს აწოვებდნენ. კირილა პეტროვიჩს ეამაყებოდა ეს დიდებული დაწესებულება და ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რომ ებაქიბუქა სტუმრებთან, რომელთაც უკვე ოცჯერ მაინც ჰქონდათ ნანახი აქაურობა. სტუმრებით, ტიმოშკასა და უფროსი მეძაღლეებით გარემოცული მწევარ-მეძებართა ეზოში მიდი-მოდიოდა, ჩერდებოდა ზოგიერთ ხულასთან, ხან ავადმყოფი ძაღლების ამბავს იძიებდა, ხან მეტ-ნაკლებად მკაცრ თუ სამართლიან შენიშვნებს ბრძანებდა, ხან ნაცნობ ძაღლებს ეძახდა და დაყვავებით ელაპარაკებოდა. სტუმრები თავიანთ მოვალეობად რაცხდნენ კირილა პეტროვიჩის მწევარ-მეძებართა ეზოს გამო აღტაცება გამოეხატათ, მარტო დუბროვსკი არ ძრავდა კრინტს და იქუფრებოდა. იგი თავგადადებული მონადირე იყო. თავისი ქონების ბარობაზე არ შეეძლო ორი მეძებრისა და ერთი წყვილი მწევრის მეტი ჰყოლოდა და გულს ვერ ერეოდა, რომ, ცოტა არ იყოს, არ შეშურებოდა ეს საუცხოო დაწესებულება.
- რაო, რას იქუფრები, ძამიავ? - ჰკითხა კირილა პეტროვიჩმა, - თუ ჩემი მწევარ-მეძებართა ეზო თვალში არ მოგდის?
- რას ამბობ, ჩინებულია, - მიუგო კუშტად დუბროვსკიმ, - მაგრამ საეჭვოა, თქვენი შინაყმები თქვენი ძაღლებივით ცხოვრობდნენ.
ერთ-ერთმა მეძაღლემ მისი ნათქვამი ითაკილა:
- ჩვენ, ღვთისა და ბატონის შეწევნით, ჩვენს ცხოვრებაზე საწუწუნო არა გვჭირს რა. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ზოგ აზნაურსაც არ აწყენდა თავისი სახლ-კარი აქაურ რომელ ხულაზეც გინდა, იმაზე გაეცვალა, თავს უფრო კუჭსავსედაც იგრძნობდა და უფრო თბილადაც.

ყმის უტიფარ შენიშვნაზე კირილა პეტროვიჩმა ხმამაღლა გაიცინა, ხოლო სტუმრებმა ხარხარით აუბეს მხარი, თუმცაღა იმის გულისხმაში კი იყვნენ, რომ მეძაღლის ხუმრობა შეიძლებოდა მათაც ხვდებოდა. დუბროვსკის ფერი წაუვიდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.
ამ დროს კირილა პეტროვიჩს ახალდაყრილი ლეკვები მოუყვანეს კალათით. მან ლეკვებს მიხედა, ორი მათგანი ამოირჩია და ბრძანა, სხვები დაეხრჩოთ. ანდრეი გავრილოვიჩი ამასობაში თვალს მიეფარა და ეს ვერც ვერავინ შეამჩნია.
მწევარ-მეძებრების ეზოდან სტუმრებთან ერთად მობრუნებული კირილა პეტროვიჩი სავახშმოდ დაჯდა და დუბროვსკის თვალი რომ ვეღარ ჰკიდა, მაშინღა გაახსენდა იგი. შინაყმებმა მიუგეს, შინ წავიდაო. მაშინ ბრძანა, დაუყოვნებლივ დასწეოდნენ და უეჭველად მოებრუნებინათ. ტროეკუროვი არასდროს ფეხს არ დგამდა სანადიროდ ძაღლების ღირსებათა ამ გამობრძმედილი და დიდი შემფასებლის, ათასნაირი მონადირული კამათის ბრუნდის და მართლის უცდომელი გამრკვევის გარეშე.
დუბროვსკის ცხენდაცხენ გადევნებული მსახური ისე მობრუნდა, სტუმრები ჯერ კიდევ არ იყვნენ აშლილნი მაგიდიდან, და თავის ბატონს მოახსენა, ანდრეი გავრილოვიჩმა არა შეისმინა რა და დაბრუნება არ ინდომაო. თავისი ჩვეულებისამებრ, ნაყენით შეზარხოშებული კირილა პეტროვიჩი გაგულისდა და იმავე მსახურის პირით შეუთვალა ანდრეი გავრილოვიჩს: თუ პოკროვსკოეში ახლავე არ მოხვალ ღამის გასათევად, მე, ტროეკუროვი, საუკუნოდ წაგეკიდებიო. მსახურმა კვლავ გაქუსლა ცხენი. კირილა პეტროვიჩი მაგიდიდან ადგა, სტუმრები დაითხოვა და დასაძინებლად გაემართა.
მეორე დღეს ტროეკუროვმა პირველად ეს იკითხა: ანდრეი გავრილოვიჩი აქ არის თუ არაო? პასუხის ნაცვლად სამკუთხა ბარათი მოართვეს. მან თავის მწერალს უბრძანა, ხმამაღლა წაიკითხეო, და ასეთი რამ გაიგონა:
“დიდად მოწყალეო ხელმწიფევ ჩემო.
მანამ არ ვაპირებ პოკროვსკოეში მოსვლას, სანამ მეძაღლე პარამოშკას არ გამომიგზავნით დანაშაულის ასაღიარებლად, ხოლო მისი დასჯა და შევრდომება ჩემს ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული. მე კი განზრახული არა მაქვს, თქვენი შინაყმების ხუმრობანი ვითმინო, არც თქვენ მოგითმენთ მათ, ვინაიდან მე ძველი აზნაური გახლავართ და არა მასხარა. შემდეგ ამისა ვრჩები თქვენი მონა-მორჩილი.
ანდრეი დუბროვსკი”.

ბარათი ესე ამჟამინდელი ეტიკეტის თვალსაზრისით ერთობ უკადრისი იქნებოდა, მაგრამ მან კირილა პეტროვიჩი თავისი უცნაური ენით და განწყობილებით კი არა, მარტოოდენ თავისი არსით გააბრაზა. ტროეკუროვი ფეხშიშველი წამოვარდა ლოგინიდან და იქუხა:
- რაო, ჩემი შინაყმები დანაშაულის მოსანანიებლად გავუგზავნო, შევრდომება-დასჯა მის ნება-სურვილზე ჰკიდია! ერთი უყურეთ, რა ჩაუდევს გულში. მერედა, იცის, ვის იკიდებს? მე მაგას კი... ავაწრუწუნებ, ჩახვდება, რა მოსდევს ტროეკუროვის წინ გადადგომას!

კირილა პეტროვიჩმა ჩაიცვა და თავისი ჩვეულებრივი ზარ-ზეიმით გასწია სანადიროდ, მაგრამ ნადირობა ჩაიშალა. მთელი დღე ერთი კურდღლის მეტს ვერას ჰკიდეს თვალი და ისიც ხელიდან გაუსხლტათ. მინდვრად კარავში სადილობაც ვერ მოხერხდა, ან, ყოველ შემთხვევაში, კირილა პეტროვიჩს არ ეჭაშნიკა. მან მზარეული მიტყეპა, სტუმრები გამოთათხა და უკან გამობრუნებული, მთელი თავისი სანადირო ასაბიით განგებ გამოუყვა დუბროვსკის მინდვრებს.
გავიდა რამდენიმე დღე, ორი მეზობლის შუღლი კი არ ნელდებოდა. ანდრეი გავრილოვიჩი პოკროვსკოეში ფეხს არ ადგამდა, კირილა პეტროვიჩმა უიმისობით ყურები ჩამოყარა და წყენას ხმამაღლა გამოხატავდა ერთობ შეურაცხმყოფელი გამოთქმებით, რომლებიც იქაური აზნაურების სიბეჯითით შესწორებულ-შევსებული მისდიოდა დუბროვსკის. ერთმა ახალმა გარემოებამ მათი შერიგების უკანასკნელი იმედიც წარხოცა. დუბროვსკი ერთხელ თავის პატარა სამფლობელოში იყო გასული. არყის წარაფს მიახლოებულს ნაჯახის კაკაკუკმა უწია ყურს, ერთი წუთის შემდეგ წამოქცეული ხის ტკაცატკუცი შემოესმა. მან წარაფისაკენ გაუჩქარა და თავს წაადგა პოკროვსკოელ გლეხებს, რომლებიც არხეინად უძარცვავდნენ ტყეს. გლეხებმა რომ თვალი ჰკიდეს, გაქცევა განიზრახეს, მაგრამ დუბროვსკის მეეტლე მიეშველა, ორი მათგანი შეიპყრო და შეკრული მოასხა თავისას. მტრის სამი ცხენიც გამარჯვებულს ხვდა ნადავლად. ანდრეი გავრილოვიჩი გაალმასებული იყო. ტროეკუროვის ყმებს, ცნობილ ყაჩაღებს, აქამომდე ვერ გაებედათ მის სამფლობელოში თარეში, რაკი დუბროვსკისა და თავიანთი ბატონის მეგობრული ურთიერთობის ამბავი უწყოდნენ. დუბროვსკი ხედავდა, რომ ახლა გლეხები მათ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით სარგებლობდნენ. ამიტომ გადაწყვიტა, არად ჩაეგდო ომის უფლებაზე არსებული ყოველი თვალსაზრისი და თავისი ტყვეები მათ მიერვე წარაფში მომარაგებული წკეპლებით ჭკუაზე მოეყვანა, ხოლო ცხენები საბატონო საქონლისათვის მიეთვალა და სამუშაოდ გაეგზავნა.
ეს ყოველივე იმავე დღეს ეუწყა კირილა პეტროვიჩს. ტროეკუროვი გადაირია და დააპირა მაშინვე მთელი შინაყმებით თავს დასხმოდა კისტენევკას (ასე ერქვა მეზობლის სოფელს), ქვა ქვაზე არ დაეტოვებინა იქ, ხოლო თვით მემამულე მისივე მამულში ალყაში მოექცია. მსგავსი საქმენი საგმირონი მისთვის ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, მაგრამ აზრები მალე სხვა გზით წარემართა.
კირილა პეტროვიჩი ნელ-ნელა სცემდა ბოლთას დარბაზში, ანაზდეულად ფანჯარაში გაიხედა და ჭიშკართან სამცხენას ჰკიდა თვალი. იქიდან ფრიზის შინელით მოსილი, ტყავისკარტუზიანი ტანმორჩილი კაცი გადმოვიდა და ფლიგელისკენ, მოურავთან გასწია. ტროეკუროვმა იცნო მსაჯული შაბაშკინი და ბრძანა, მიხმეთო. წუთიც და შაბაშკინი მის წინ იდგა, მძიმედ უკრავდა თავს და მოკრძალებით ელოდა, რას უბრძანებდა.
- გამარჯობა, რა გქვია შენაო, - მიმართა ტროეკუროვმა. - რისთვის გარჯილხარ?
- ქალაქში მივდიოდი, თქვენო აღმატებულებავ, - მიუგო შაბაშკინმა, - და ივან დემიანოვს

შემოვუარე, თქვენს აღმატებულებას რაიმე ხომ არ უბრძანებია-მეთქი.
- ძალიანაც დროულად შემოგივლია; რაო, რა გქვიაო? მე შენ მჭირდები. არაყი გადაჰკარი და ყური დამიგდე.
ასეთმა ალერსიანმა შეხვედრამ მსაჯული განაცვიფრა, თან გული აუყვავილა, არაყი იუარა და მთელი გულისყური მიაპყრო კირილა პეტროვიჩს.
- ერთი მეზობელი მყავს, - უთხრა ტროეკუროვმა, - მცირე მამულის მქონებელი და თავაგდებული. მინდა მამული წავართა. რას იტყვი ამაზე?
- თქვენო აღმატებულებავ, თუკი მოიძევება რაიმე საბუთი ან...
- რას მიედ-მოედები, რის საბუთები. ვაჟკაცობა სწორედ ისაა, არავითარი უფლება არ გქონდეს და მამული წაართვა. თუმცა, მოიცა, მამული ოდესღაც ჩვენი იყო, ვიღაც სპიცინისაგან შევიძინეთ და შემდეგ დუბროვსკის მამას მივყიდეთ. არ შეიძლება განა ეს ხელზე დავიხვიო?
- გაჭირდება, თქვენო აღმატებულებავ, მამული ალბათ კანონიერად გაიყიდა.
- დაფიქრდი, ძმობილო, კარგად მოჩხრიკე საქმე.
- რომ, მაგალითად, თქვენო აღმატებულებავ, რამენაირად თქვენი მეზობლისაგან ხელთ გეგდოთ სიგელი, რომლითაც იგი თავის მამულს ფლობს, მაშინ, რა თქმა უნდა...
- კი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ხანძრის დროს ყველა ქაღალდი დაეწვა.
- როგორ, თქვენო აღმატებულებავ, მისი ქაღალდები დაიწვა! უკეთესი სხვა რაღა გნებავთ - კანონებს მიჰყევით და ლარი და ხაზი არ უნდა, დაკმაყოფილებული იქნებით.
- ასე გგონია? მაშ, იცოდე, შენი გულმოდგინეობის იმედი მაქვს, ჩემი მადლობისა კი ნუ გედარდება.
შაბაშკინმა ლამის მიწას დაჰკრა თავი, გარეთ გამოვიდა და იმ დღიდანვე შეუდგა გულში ჩადებულ საქმეზე ფაციფუცს. ისეთი სიყოჩაღე გამოიჩინა, დუბროვსკიმ ზუსტად ორი კვირის თავზე ქალაქიდან ბარათი მიიღო, დაუ- ყოვნებლივ წარმოადგინე ჯეროვანი ახსნა-განმარტება, სოფელ კისტენევკას რა უფლებით განაგებო?
ამ მოულოდნელი შეკითხვით ანდრეი გავრილოვიჩი სახტად დარჩა და პასუხად იმავე დღეს დაწერა საკმაოდ უხეში წერილი, სადაც აცხადებდა: სოფელი კისტენევკა მერგო განსვენებული მშობლის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობის უფლებით განვაგებ. ტროეკუროვს მასთან არა ესაქმება რა და სხვის მიერ ჩემი ქონების მიჩემება ქვებუდანობა და გაიძვერობა არისო.
ამ წერილმა ფრიად საამო შთაბეჭდილება მოახდინა მსაჯულ შაბაშკინის სულზე. მან შეატყო, რომ დუბროვსკის, ჯერ ერთი, საქმეებისა არა გაეგებოდა რა, მეორეც, სულაც არ გაჭირდებოდა ესოდენ გულსწრაფი და დაუკვირვებელი ადამიანის შავ დღეში ჩაგდება. ანდრეი გავრილოვიჩმა როცა გულდინჯად მოჩხრიკა მსაჯულის კითხვები, შეატყო, რომ მათზე აუცილებლად უფრო გამოწვლილვით უნდა გაეცა პასუხი. დაწერა კიდეც კარგა საფუძვლიანი ქაღალდი, მაგრამ ეს ქაღალდი შემდგომად საკმაო არ აღმოჩნდა.

საქმე გაჭიანურდა. ანდრეი გავრილოვიჩს სწამდა, რომ მართალი იყო და მაინცდამაინც თავს არ იტკიებდა. ისე, არც სურვილი ჰქონდა და არც შესაძლებლობა ფულის ფანტვისა. თუმცა იგი ყოველთვის პირველი იგდებდა ხოლმე მასხრად მოხელეთა წამხდარ სინდისს, არასდროს უფიქრია, შარიანობის მსხვერპლი გავხდებიო. დუბროვსკის არ იყოს, დიდად არც ტროეკუროვი იფხეკდა ყურებს თავის მიერ წამოწყებული საქმის მოსაგებად: მის ნაცვლად შაბაშკინი ფაციფუცობდა, მოქმედებდა მისი სახელით, აშინებდა და ისყიდდა მოსამართლეებს და თავის ქეიფზე განმარტავდა ათასგვარ ბრძანებულებას. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 18.. თებერვლის ცხრაში დუბროვსკიმ მიიღო ქალაქის პოლიციის ბარათი: აუწყებდნენ გამოცხადებულიყო კ**-ს საერობო მოსამართლესთან, რათა მოესმინა მისი გადაწყვეტილება სადავო მამულის თაობაზე პორუჩიკ დუბროვსკისა და გენერალ-ანშეფ ტროეკუროვს შორის წამოჭრილ საქმესთან დაკავშირებით და ხელის მოწერით დაედასტურებინა თავისი დაკმაყოფილება თუ დაუკმაყოფილებლობა. ანდრეი გავრილოვიჩი იმავე დღეს წავიდა ქალაქში. გზაზე მას ტროეკუროვმა გაუსწრო. ორივემ გოროზად შეავლო თვალი ერთმანეთს და დუბროვსკიმ ბოროტი ღიმილი შეამჩნია თავისი მოქიშპის სახეზე.

მეორე თავი

ანდრეი გავრილოვიჩი ქალაქში ნაცნობ ვაჭარს ეწვია, მასთან გაითენა და მეორე დღეს დილით მივიდა სამაზრო სასამართლოში. იგი არავის აინუნშიც არ ჩაუგდია. ანდრეი გავრილოვიჩს კირილა პეტროვიჩიც ფეხდაფეხ შემოჰყვა. მას კი მწერლები ფეხზე წამოუდგნენ და ბატის ფრთები ყურში გაიჩარეს. სასამართლოს წევრები ერთობ პირმოთნედ შეეგებნენ, გამოუწიეს სავარძლები მისი ჩინის, ასაკისა და ახოვანებისადმი პატივისცემის დასტურად. ტროეკუროვი ღია კართან დაჯდა, ანდრეი გავრილოვიჩი კედელს მიეყრდნო, იგი ფეხზე იდგა. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე და მდივანმა დაწმენდილი ხმით დაიწყო სასამართლოს განჩინების კითხვა.
განჩინება მთლიანად მოგვყავს, რამეთუ, ჩვენი ფიქრით, ყველას სასიამოვნოდ დარჩება იმ ერთ-ერთი საშუალების გაცნობა, რომლითაც რუსეთში შეგვიძლია დავკარგოთ მამული, უცილობელი სამფლობელო ჩვენი.

წელსა 18... 27 ოქტომბრის დღესა * სამაზრო სასამართლო იხილავდა საქმეს იმაზედ, რომ გვარდიის პორუჩიკი ანდრეი დუბროვსკი, ძე გავრილა დუბროვსკისა, არასწორად

ფლობდა პიოტრ ტროეკუროვის ძის, გენერალ-ანშეფი კირილა ტროეკუროვის კუთვნილ მამულს, შემავალს *გუბერნიის სოფელ კისტენევკაში, შემდგარს მამრობითი სქესის *სულისაგან და *დესეტინა საძოვრებისა და სახნავ-სათესი მიწისაგან. ამა საქმიდან დგინდება: დასახელებული გენერალ-ანშეფი ტროეკუროვი შარშანდელ 18... წელსა, დღესა 9 ივნისსა ამა სასამართლოში შემოვიდა თხოვნით იმაზედ, რომ აწ განსვენებულმა მამამისმა, ეფიმ ტროეკუროვის ძემან, კოლეგიის ასესორმა და კავალერმა პიოტრ ტროეკუროვმან, რომელიც იმხანად **-ის ნაცვლის სამმართველოში პროვინციის მდივნად მუშაობდა, 17... წელსა, აგვისტოს 14 დღესა, აზნაურ კანცელარისტ ფადეი სპიცინისაგან, ეგორ სპიცინის ძისგან, იყიდა მამული, შემავალი *ოლქში, ხსენებულ სოფელ კისტენევკაში, სოფელში, რომელსაცა *აღწერის მიხედვით მაშინ ერქვა კისტენევკის ახალშენები და მეოთხე აღწერით სულ ითვლიდა მამრობითი სქესის *სულს, მთელი მათი გლეხური ქონებითა, კარ-მიდამოთი, ნახნავი და უხნავი მიწითა, ტყეებითა, სათიბითა, კისტენევკად წოდებული მდინარის სათევზაოებითა და ამ მამულის კუთვნილი ყოველი ნაკვეთითა და ბატონის ხის სახლითა და ერთი სიტყვით, პირწმინდად ყველაფერი, რაც ფადეი სპიცინს მემკვიდრეობით ერგო მამამისის აზნაურ ურიადნიკ ეგორ სპიცინის, ტერენტი სპიცინის ძის შემდგომ და ჰფლობდა თვითონ, არ დაუტოვებია შინაყმათაგან არც ერთი სული, ხოლო მიწიდან მეოთხედი დესეტინაც, 2500 მანეთად, რაზედაც ნასყიდობის წერილი დაიწერა იმავე დღეს, *სასამართლოსა და განჩინების პალატაში და მამამისს მაშინვე აგვისტოს დღესა 26-ს *საერობო სასამრათლომ მიანიჭა მფლობელობა და მიაკუთვნა მამული, ხოლო ბოლოს, 17... წელსა, სექტემბრის 67 დღესა მამამისმა ღვთივ განისვენა, ამასობაში კი იგი, მთხოვნელი გენერალ-ანშეფი ტროეკუროვი 17... წლიდან, თითქმის ბალღობიდან გახლდათ სამხედრო სამსახურში და უმეტესად საზღვარგარეთ ლაშქრობებში დადიოდა. ამიტომაც არ შეეძლო გაეგო არც მამის გარდაცვალების და ასევე არც მის შემდგომად დარჩენილი მამულის ამბავი. ხოლო აწ იმა სამსახურიდან სავსებით გამოსული და დაბრუნებული მამის მამულებში, რომლებიცა რომა შედის *და *გუბერნიებში **, *და *მაზრებში, სხვადასხვა სოფელში, სულ 3000-მდე სული, ხედავს, რომ ასეთ მამულთა რიცხვიდან ზემორე ხსენებულ **სულებს (რომელნიც ახლანდელი... აღწერით იმ სოფელში სულ *სული ითვლება) მიწითა და ყოველი სავარგულით სრულიად უსაბუთოდ განაგებს ზემორე ხსენებული გვარდიის პორუჩიკი ანდრეი დუბრვოსკი. ამიტომ ამა თხოვნასთან ერთად არდგენს იმ ნამდვილ ნასყიდობის წიგნს, რომელიცა რომა მამამისს გამყიდველმა სპიცინმა მისცა და ითხოვს ჩამოერთვას ხსენებული მამული დუბროვსკის, რამეთუ ის მას უმართებულოდ ფლობს, და კუთვნილებისამებრ გადაეცეს მას, ტროეკუროვს, ხელშეუვალი გამგებლობისათვის, ხოლო მას, დუბროვსკის, მამულის უსამართლო მითვისებისათვის, საიდანაც იგი სარგებლობდა მიღებული შემოსავლით, ჯეროვანი მოკვლევის ბარობაზე დაეკისროს კანონთაგან გამომდინარე საზღაური და ამით დაკმაყოფილდეს იგი, ტროეკუროვი.

ხოლო *საერობო სასამართლოს მიერ ამა თხოვნის შესაბამისად მოწყობილი გამოკვლევის მიხედვით აღმოჩნდა: რომ სადავო მამული ხსენებულმა ამჟამინდელმა მეპატრონემ, გვარდიის პორუჩიკმა დუბროვსკიმ, თავადაზნაურობის წარმომადგნელს ადგილობრივ მისცა ახსნა-განმარტება, მასზედ, რომ მის მიერ ამჟამად ფლობილი მამული, რომელიცა რომა შედის აღნიშნულ სოფელში კისტენევკაში, *სული მიწითა და სავარგულებით მემკვიდრეობით ერგო, მამამისის, არტილერიის პოდპოლკოვნიკ გავრილა დუბროვსკისა, ევგრაფ დუბროვსკის ძის სიკვდილის შემდგომ, ხოლო გავრილა დუბროვსკიმ იგი იყიდა ამა მთხოვნელის მამისაგან, ადრინდელი პროვინციის მდივნისა და შემდგომ კოლეგიის ასესორისაგან, ტროეკუროვისაგან რწმუნებით, რომელიცა რომა ტროეკუროვმა 17... წელსა, აგვისტოს 30 დღესა მისცა *სამაზრო სასამართლოში დამოწმებული, ტიტულარულ მრჩეველს გრიგორი სობოლევს, ვასილ სობოლევის ძეს, რომელი რწმუნებითაც მისგან გავრილა დუბროვსკის უნდა ჰქონდეს ამ მამულზე ნასყიდობის წერილი, ვინაიდგან რწმუნებაში სახელდობრ ნათქვამია, რომ მან, ტროეკუროვმა, კანცელარისტ სპიცინისაგან ნასყიდობის წიგნით რგებული მთელი მამული *სული მიწითურთ მიჰყიდა ანდრეი დუბროვსკის მამას, გავრილა დუბროვსკის და გარიგებით ნარგები ფული 3 200 მანეთი უკლებლივ მიიღო გავრილა დუბროვსკისაგან დაუბრუნებლივ და ამა რწმუნებულ სობოლევს სთხოვა გავრილა დუბროვსკისათვის მიეცა კანონიერი ნასყიდობის წიგნი. ამავე დროს კი ანდრეი დუბროვსკის მამას, თუ იგი მთელ თანხას გადაიხდიდა, ამავე რწმუნებით შეეძლო განეგო მისგან ნაყიდი ის მამული და განეგო ამ ნასყიდობის წიგნის დადებამდე, როგორც ნამდვილ მფლობელს, და იგი, გამყიდველი ტროეკუროვი, ამიერიდან და არავინ სხვა იმ მამულში უკვე ვერ შევიდოდა, მაგრამ როდის, სახელდობრ და რომელ დაწესეულებაში მისცა რწმუნებულმა სობოლევმა ანდრეი დუბროვსკის მამას ასეთი ნასყიდობის წიგნი, მან, ანდრეი დუბროვსკიმ, არ უწყის, რამეთუ იმხანად უასაკო იყო და მისი გარდაცვალების შედეგ ასეთ წიგნს ვერ მიაგნო, ხოლო ანდრეი დუბროვსკი ფიქრობს, ხომ არ დაიწვა სხვა ქაღალდებთან და ქონებასთან ერთად 17... წელს მათ სახლში გაჩენილი ხანძრის დროს, რომელი ხანძრის შესახებ ამა სოფლის მცხოვრებლებმაც უწყოდნენ. ხოლო იმას, რომ ამ მამულს ტროეკუროვის მიერ გაყიდვის თუ სობოლევისათვის რწმუნების მიცემის დღიდან, ე.ი. 17... წლიდან, მამის გარდაცვალების შემდეგ კი 17... წლიდან დღემდე ისინი, დუბროვსკები, ნამდვილად განაგებდნენ, ადასტურებენ მეზობლები, რომლებმაც, სულ ორმოცდათორმეტმა კაცმა, დაკითხვაზე ფიცით უჩვენეს, რომ მართლაც, როგორც შეიძელბა ხსომებოდათ მათ, ხსენებული სადავო მამულის მფლობელნი ხსენებული ბატონი დუბროვსკები გახდნენ სამოცდაათი წლის წინათ ვინმესგან რაიმე დავის გარეშე, მაგრამ კერძოდ რომელი აქტისა თუ ნასყიდობის წიგნის საფუძველზე, მათ არ უწყიან. ხოლო ამა საქმესთან დაკავშირებით ხსენებული ადრინდელი მყიდველი ამა მამულისა, ყოფილი პროვინციის მდივანი, პიოტრ ტროეკუროვი განაგებდა თუ არა ამ მამულს, მათ არ ახსოვდათ. ბ-ნი დუბრვოსკების სახლი

კი დაიწვა მათ მამულში ღამით გაჩენილი ხანძრის დროს ოცდაათი წლის წინათ, ამასთანავე გარეშე ხალხმა დაადასტურა, რომ აღნიშნული სადავო მამულის შემოსავალი, იმ დროიდან თუ ვიგულისხმებთ, საერთოდ ყოველწლიურად შეიძლება იყოს არანაკლებ 2000 მანეთი.
ხოლო ამის საპირისპიროდ გენერალ-ანშეფმა კირილა ტროეკუროვმა, პიოტრ ტროეკუროვის ძემან, ამა წლის 3 იანვარს ამა სასამართლოს მოართვა თხოვნა. მართალია, ხსენებულმა გვარდიის პორუჩიკმა ანდრეი დუბროვსკიმ ჩატარებული ძიების დროს ამა საქმეზე მოიტანა კიდეც აწ განსვენებული მისი მამის გავრილა დუბროვსკის მიერ ტიტულარულ მრჩეველ სობოლევისთვის მიცემული რწმუნება მასზე მიყიდული მამულის თაობაზე, მაგრამ ამა რწმუნების მიხედვით შედგენილი არა მარტო ნამდვილი ნასყიდობის წიგნი, არამედ ოდესმე მისი დაწერის შესახებაც კი არავითარი ნათელი დამამტკიცებელი საბუთი არ წარმოუდგენია გენერალურ რეგლამენტის მე-19 თავის და 1752 წლის 29 ნოემბრის დღის ბრძანებულების შესაბამისად. მაშასადამე, თვით რწმუნება ახლა, თვით მისი მიმცემის, მამამისის გარდაცვალების გამოისობით, 1818 წლის მაისის…... დღის ბრძანებულების შესატყვისად სავსებით უქმდება. ამას გარდა ნაბრძანებია - ნასყიდობის წიგნის მქონე სადავო მამულები საკუთრებად გადაიცეს ნასყიდობის წიგნის მიხედვით, ნასყიდობის წიგნის არმქონენი - კი გამოძიების მიხედვით.
მამის კუთვნილ მამულზე მისგან უკვე დამამტკიცებელ საბუთად წარმოდგენილია ნასყიდობის აქტი, რომლის მიხედვით აღნიშნული კანონების საფუძველზე გამომდინარეობს კიდეც, რომ ხსენებულ დუბროვსკის არასწორი მფლობელობიდან ჩამოერთვას მამული და გადაეცეს ტროეკუროვს მემკვიდრეობის კანონების შესაბამისად.
ხოლო ვინაიდან და რადგანაც აღნიშნული მემამულენი ფლობდნენ მათთვის არაკუთვნილ მამულს, თანაც სრულიად დაუმტკიცებლად და ასევე მათთვის არაკუთვნილი შემოსავლითაც არაწესიერად სარგებლობდნენ, ამიტომ გამოანგარიშების შესატყვისად, რამდენიც მოუწევს, გადაახდევინოს მემამულე დუბროვსკის და მით იგი, ტროეკუროვი, დაკმაყოფილდეს. ამა საქმის განხილვისა და აქედან და კანონებიდან ამოკრეფილი ჩანაწერების მიხედვით,*სამაზრო სასამართლოში დ ა დ გ ე ნ ი ლ ი ქ ნ ა:
როგორც ამა საქმიდან ჩანს, გენერალ-ანშეფმა კირილა ტროეკუროვმა, პიოტრ ტროეკუროვის ძემან, აღნიშნული სადავო მამულისა გამო, რომელიც ახლა გვარდიის პორუჩიკ ანდრეი დუბროვკის, გავრილა დუბროვსკის ძის კუთვნილებაა, სოფელ კისტენევკაში სქესის *სულს ითვლის მიწითა და სავარგულებით, წარმოადგინა ნამდვილი ნასყიდობის წიგნი, რამეთუ მისმა გარდაცვლილმა მამამ, პროვინციის მდივანმა, შემდგომად კოლეგიის ასესორმა, 17... წელს აზნაურ კანცელარისტ ფადეი სპიცინისაგან შეიძინა მამული, ამას გარდა ამ მყიდველს, როგორც იმავე ნასყიდობის წიგნის მინაწერიდან ჩანს, იმავე წელს *საერობო სასამართლომ მიანიჭა მფლობელობა მამულისა, რომელი მამულიცა მიაკუთვნა მას და, მართალია, ამის საპირისპიროდ გვარდიის

პორუჩიკ დუბროვსკის მხრივ წარმოდგენილია კიდეც რწმუნება, რომელიცა რომა იმ გარდაცვლილმა მყიდველმა ტროეკუროვმა მისცა ტიტულარულ მრჩეველს სობოლევს, რათა ნასყიდობის წიგნი შეედგინა მამამისის, დუბროვსკის სახელზე. მაგრამ ასეთი გარიგებით არათუ ნასყიდობის წიგნის მქონე უძრავი ქონების დამტკიცება, არამედ დროებით ფლობაც ბრძანებულებით აკრძალულია, ამასთანავე თვით რწმუნებაც მიმცემის სიკვდილის გამო სავსებით უქმდება. მაგრამ რომ ამას გარდა ნამდვილად ყოფილიყო ამა რწმუნების მიხედვით შედგენილი სადმე და ოდესმე აღნიშნულ სადავო მამულზე ნასყიდობის წიგნი, დუბროვსკის მხრივ არავითარი ცხადი დამამტკიცებელი საბუთი არაა ამა საქმეზე დღიდან მისი დაწყებისა, ე.ი. 18... წლიდან აქამომდე, წარმოდგენილი. ამიტომ სასამართლო ესე ფიქრობს: აღნიშნული მამული,**, სულით, მიწითა და სავარგულებით, რომელ მდგომარეობაშიც იგი ამჟამად აღმოჩნდება, მიეკუთვნოს მასზედ წარმოდგენილი ნასყიდობის წიგნის მიხედვით გენერალ-ანშეფ ტროეკუროვს. ბრძანება მიეცეს *საერობო სასამართლოს, გვარდიის პორუჩიკ დუბროვსკის ჩამოართვას მისი გამგებლობა და მის ნაცვლად მართებულად მფლობელობა მიანიჭოს ბ-ნ ტროეკუროვს და მიაკუთვნოს მას მამული, ვითარცა მემკვიდრეობით ნარგუნები. მართალია, ამას გარდა გენერალ-ანშეფი ტროეკუროვი იმასაც ითხოვს, აუნაზღაუროს შემოსავალი გვარდიის პორუჩიკმა დუბროვსკიმ მისი მემკვიდრეობითი მამულის უსამართლო მფლობელობისა გამო, რომელი მამულის შემოსავლითაც სარგებლობდა იგი, მაგრამ ვინაიდან მამულს ხანდაზმულ მცხოვრებთა ჩვენებით ბატონი დუბროვსკები რამდენიმე წელს დავის გარეშე განაგებდნენ და ამა საქმიდან არ ჩანს, რომ ბ-ნ ტროეკუროვს დღემდე რაიმე თხოვნა შემოეტანოს დუბროვსკის მიერ ამა მამულის არასწორ ფლობასთან დაკავშირებით. ესეც რომ არა, დებულება ღაღადებს: თუ ვინმე სხვის მიწას დათესავს ან კარ-მიდამოს შემოღობავს და ამაზე არასწორი დაპატრონების გამო დაიწყებენ მოწიწებით თხოვნას და ესე ჭეშმარიტად დადასტურდება, მაშინ მართალს მიეცეს ეს მიწა დათესილი პურითა, ღობითურთ და ნაგებობითურთ, ამიტომ კი გენერალ-ანშეფ ტროეკუროვს გვარდიის პორუჩიკ დუბროვსკის მიმართ წაყენებულ სარჩელზე უარი ეთქვას, ვინაიდან და რადგანაც კუთვნილი მამული უბრუნდება პირიწმინდად, ხოლო გამგებლობის მინიჭებისას რომ ყველაფერი უკლებლივ აღმოჩნდეს, გენერალ-ანშეფ ტროეკუროვს მაინც, ვინიცობაა ექნეს ამ თავის პრეტენზიაზე რაიმე ცხადი და კანონიერი დამამტკიცებელი საბუთი, შეუძლია საგანგებოდ თხოვნა შეიტანოს ამის თაობაზე სადაც ჯერ არს. ასეთი გადაწყვეტილება წინასწარ გამოეცხადოს, როგორც მოსარჩელეს, ასევე მოპასუხესაც, კანონიერ საფუძველზე, სააპელაციო წესით, რომელნიც გამოძახებულ იქნან პოლიციის მეშვეობით ამა სასამართლოში, რათა მოისმინონ გადაწყვეტილება ესე და ხელი მოაწერონ დაკმაყოფილებისა თუ დაუკმაყოფილებლობის დასტურად.
ამგვარ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა ამა სასამაროთლოს ყველა დამსწრემ. მდივანი გაჩუმდა, მსაჯული წამოდგა, ტროეკუროვს მდაბლად დაუკრა თავი და

მიიპატიჟა, რომ შეთავაზებულ ქაღალდზე ხელი მოეწერა. გამარჯვებით ფრთაშესხმულმა ტროეკუროვმა ბატის ფრთა გამოართვა და სასამართლოს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ი ს ქვეშ ხელი მოაწერა, სავსებით დაკმაყოფილებული ვარო.
დადგა დუბროვსკის რიგი. მდივანმა ქაღალდი მიუტანა, მაგრამ იგი არ ინძრეოდა, თავი ძირს დაეხარა.
მდივანმა კვლავ შესთავაზა, ხელი მოეწერა, რომ სრულიად და სავსებით დაკმაყოფილებული იყო, ანდა აშკარად დაუკმაყოფილებელი, თუკი ვინიცობაა წრფელად გრძნობდა თავისი საქმის სამართლიანობას და აპირებდა კანონებით დადგენილ ვადაში გაესაჩივრებინა სადაც ჯერ არს. დუბროვსკი კრინტს არ ძრავდა... უცებ თავი ასწია, თვალები დაკვესა, ფეხი დააბაკუნა, მდივანს ისე ღონივრად ჰკრა ხელი, რომ იგი დაეცა, სამელნე აიტაცა და მსაჯულს გაუქანა. ყველა შეძრწუნდა.
- როგორ! არ სცე პატივი ღვთის ტაძარს! განვედ, ჯილაგო თავხედთა! - წარმოთქვა მან, შემდეგ კირილა პეტროვიჩს მიუბრუნდა: - ვის გაუგონია ეს, თქვენო აღმატებულებავ, ღვთის ტაძარში ძაღლები შეჰყავთ მეძაღლეებს! საყდარში ძაღლები დარბიან! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს...
ხმაურზე გუშაგები შემოცვივდნენ და დუბროვსკი ძლივძლივობით გააკავეს. იგი გარეთ გამოიყვანეს და მარხილში ჩასვეს. ტროეკუროვი მის კვალდაკვალ გამოვიდა. უკან მთელი სასამართლო გამოჰყვა. დუბროვსკის ანაზდეულმა სიგიჟემ ერთობ იმოქმედა მის წარმოსახვაზე და გამარჯვება წაამწარა.
მოსამართლენი იმედოვნებდნენ, ტროეკუროვი მადლობას გადაგვიხდისო, მაგრამ მათთვის ერთი ალერსიანი სიტყვაც არ გაუმეტებია. კირილა პეტროვიჩმა იმავე დღეს გასწია პოკროვსკოეში. დუბროვსკი ამ დროს ლოგინად იწვა. მაზრის მკურნალმა, საბედნიეროდ, იგი მთლად უმეცარი არ იყო, მოასწრო მისთვის სისხლი გამოეშვა, წურბლები და ესპანურები დაესხა და საღამოს უკეთესობა დაეტყო, გონს მოვიდა. მეორე დღეს დუბროვსკი უკვე თითქმის ჩამორთმეულ კისტენევკაში წაიყვანეს.

მესამე თავი

განვლო დრომ, საბრალო დუბროვსკის კი უკეთესობის პირი არ უჩანდა. მართალია, სიგიჟე აღარ უხსენებდა, მაგრამ თვალდათვალ სუსტდებოდა. ავიწყდებოდა ადრინდელი საქმიანობა, ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა და მთელი დღე-ღამეები ფიქრებში იყო ჩაფლული. ეგოროვნა, კეთილი ბებრუხანა, ოდესღაც მისი შვილის მომვლელი, აწ მასაც გაუხდა ძიძად. ბალღსავით დაჰფოფინებდა. ახსენებდა, ახლა ჭამის დროა, ახლა ძილისაო,

აჭმევდა, აძინებდა. ანდრეი გავრილოვიჩი უდრტვინველად უგონებდა ყველაფერს და მის გარდა არავის იკარებდა. უკვე იმის თავი არ ჰქონდა, საქმეებზე, მეურნეობის გაძღოლაზე ეფიქრა და ეგოროვნას აზრით, აუცილებელი იყო ყოველივე შეეტყობინებინა ახალგაზრდა დუბროვსკისათვის, რომელიც ერთ-ერთ გვარდიულ ქვეით პოლკში მსახურობდა და იმხანად პეტერბურგს იმყოფებოდა. ასე და ამრიგად, ეგოროვნამ გასავლის დავთრიდან ფურცელი ამოხია, მზარეულ ხარიტონს, კისტენევკის ერთადერთ წერა-კითხვის მცოდნეს, უკარნახა წერილი და იგი იმავე დღეს გაგზავნა კიდეც ქალაქის ფოსტაში.
მაგრამ დროა მკითხველს გავაცნოთ ჩვენი მოთხრობის ნამდვილი გმირი.
ვლადიმირ დუბროვსკი კადეტთა კორპუსში იზრდებოდა. კორნეტობა მიიღო და გვარდიაში ჩაირიცხა. მამა არაფერს ზოგავდა, რომ შვილს ხელი არ დაკლებოდა და ჭაბუკი შინიდან მოსალოდნელ თანხაზე უფრო მეტს ღებულობდა. ვლადიმირ დუბროვსკი უთავბოლოდ მხარჯველი იყო, პატივმოყვარე და თავს უფლებას აძლევდა ბატონკაცური ხუსტურებისას. მომავალზე ყურს არ იბერტყავდა, ფიქრობდა, როცა იქნებოდა, შეერთო მდიდარი ქალი, ოცნება ჯიბეგაფხეკილი ახალგაზრდობისა, და თამაშობდა კარტს, იღებდა ვალებს.
ერთ საღამოს, როცა რამდენიმე ოფიცერი მისას დივნებზე იყო გაშხლართული და მისსავე ქარვის ჩიბუხებს ახრჩოლებდა, კამერდინერმა გრიშამ მოართვა წერილი, რომლის წარწერამ და ბეჭედმა წამსვე განაცვიფრა. წერილი საჩქაროდ გახსნა და ეს წაიკითხა:

“ხელმწიფეო ჩვენო, ვლადიმირ ანდრეევიჩ, მე, შენმა ბებერმა ძიძამ, გადავწყვიტე, შენ მოგახსენო მამიშენის ჯანმრთელობის ამბავი. ის მეტად ცუდადაა, ზოგჯერ არეულად გააბამს ლაპარაკს და მთელი დღე ბოთე ბავშვივით ზის, ხოლო მისი სიკვდილ-სიცოცხლე ღვთის ხელთაა. ჩამოდი ჩვენსას, ჩემო ვაჟკაცო, ჩვენ ცხენებსაც გამოგიგზავნით პესოჩნოეზე. ამბობენ, საერობო სასამართლო მოდისო ჩვენთან, რომ კირილა პეტროვიჩ ტროეკუროვს გადაგვცენ, ვინაიდან ჩვენ იმათი ვართო, ჩვენ კი ათაბაბადან თქვენი ვართ და ჩვენს სიცოცხლეში ეს ამბავი არა გვსმენია. შენ რაკი პეტერბურგში ცხოვრობ, შეგეძლო მოგეხსენებინა მამა-მეფისთვის ამაზე, ის კი ჩვენს თავს არავის დააბრიყვებინებდა. დავშთები შენი ერთგული მონა-მორჩილი ძიძა.
ორინა ეგოროვნა ბუზირევა.
ვუთვლი ჩემს დედობრივ ლოცვა-კურთხევას გრიშას. კარგად გემსახურება თუ არა? ჩვენთან აგერ უკვე მეორე კვირაა წვიმს და მწყემსი როდია მიიცვალა დაახლოებით ნიკოლოზობას”.

ვლადიმერ დუბროვსკიმ, უჩვეულო მღელვარებით მოცულმა, რამდენჯერმე ზედიზედ წაიკითხა ეს საკმაოდ უთავბოლო სტრიქონები. ბალღი იყო, დედა რომ მოუკვდა, მამას თითქმის არ იცნობდა, ისე ჩამოიყვანეს პეტერბურგს მერვე წელში გადამდგარი.

მიუხედავად ამისა, რომანულად იყო შეთვისებული მამას და მით უფრო უყვარდა ოჯახური ცხოვრება, რაც უფრო ნაკლებ მოასწრო მისი უშფოთველი სიხარულით დატკბობა.
მამის დაღუპვის აზრი გულზე ლოდად აწვა, ხოლო საბრალო ავადმყოფის მდგომარეობა, რაიც ძიძის წერილიდან ამოიცნო, ძრწოლას ჰგვრიდა. თვალწინ უდგებოდა მამა, მივარდნილ სოფელში დატოვებული, ბრიყვი ბებრუხანასა და შინაყმების ამარა, რაღაც უბედურება რომ ემუქრება და სულიერი და ფიზიკური ტანჯვა ადნობს, მაშველი კი არსაიდან არა ჰყავს. ვლადიმირი თავს კიცხავდა - ჩემი უგულისყურობა დანაშაულიაო, დიდი ხანია მამისაგან წერილებს არ ღებულობდა და აზრადაც არ მოსვლია, გაეგო, რა მოუვიდა, ეგონა, მოგზაურობდა ან სამეურნეო საზრუნავით იყო გართული.
ვლადიმირმა გადაწყვიტა მამისთვის ჩაეკითხა და სამსახურიდანაც გადამდგარიყო, თუ მშობლის ავადმყოფობა მის იქ ყოფნას დაიჭირვებდა. ამხანაგებმა შეჭირვება შეატყვეს და წავიდნენ. მარტო დარჩენილმა შვებულების თხოვნა დაწერა, ჩიბუხს მოუკიდა და ფიქრებში ჩაიძირა.
ვლადიმირი იმავე დღეს შეუდგა შვებულების მიღებაზე ზრუნვას და სამი დღის შემდეგ უკვე შარაგზას მიუყვებოდა.

ვლადიმირ ანდრეევიჩი იმ სადგურს უახლოვდებოდა, საიდანაც კისტენევკისკენ უნდა გაეხვია. გული მწუხარე წინათგრძნობით ავსებოდა, ეშინოდა, ვაითუ მამა ცოცხალი აღარ დამხვდესო. თვალწინ ეხატებოდა სოფელში მომლოდინე ნაღვლიანი ცხოვრება, უდაბური ადგილი, უკაცურობა, სიღატაკე და ჯახირი საქმეებზე, რომელთა ბაიბურშიც არ იყო. სადგურში ზედამხედველთან შევიდა, თავისუფალი ცხენები თუ არისო. სადგურის ზედამხედველმა გამოჰკითხა, საით მიდიოდა და აუწყა, კისტენევკიდან გამოგზავნილი ცხენები მეოთხე დღეა გელოდებათო. მალე ვლადიმირ ანდრეევიჩს მოხუცი მეეტლე ანტონი ეახლა, ოდესღაც რომ საჯინიბოში დაატარებდა და მის პატარა ცხენს უვლიდა. ანტონს ვლადიმირის დანახვაზე თვალები აუწყლიანდა, თავი ისე დაუკრა, ლამის მიწას შეახო და უთხრა, მოხუც ბატონს ჯერ კიდევ პირში სული უდგასო, და ცხენების შესაბმელად გავარდა. ვლადიმირს საუზმე შესთავაზეს, მაგრამ იუარა, იგი წასვლას ჩქარობდა. ანტონმა ვლადიმირი შარა-შარა წაიყვანა და გზად ასეთი საუბარი გააბეს:
- ერთი მითხარი, ანტონ ჩემო, რა საქმე გამოუჩნდა მამაჩემს ტროეკუროვთან?
- ღმერთმა იცის, ვლადიმირ ანდრეევიჩ... ბატონი, ვგონებ, ვერ შეეგუა კირილა პეტროვიჩს, ჰოდა, იმან სასამართლოში უჩივლა კიდეც, თუმცა ხშირად თვითონ არის თავისი თავის მოსამართლე. ჩვენ, ყმებს, ვინ გვეკითხება ბატონების ნება-სურვილის გაჩხრეკას, მაგრამ ისე, ღმერთმანი, მამათქვენმა ამაოდ გაიწია კირილა პეტროვიჩზე, ძალა აღმართსა ხნავსო.
- ეტყობა, ეს კირილა პეტროვიჩი აქ, რაც მოეპრიანება, იმას აკეთებს, ხომ?
- რაღა თქმა უნდა, ბატონო, მსაჯულიო, ამბობენ, ბაიბუად არ მიაჩნია, სამაზრო პოლიციის

უფროსი მისი ყურმოჭრილი მონაა, ბატონები მლიქვნელურად ფეხქვეშ ეგებიან, მართლაცდა, ძაღლი სადაც თქვლეფსო, იქა ჰყეფსო.
- მამულს მართლა გვართმევს?
- ოჰ, ბატონო, ჩვენც ასე მოვკარით ყური, ამ დღეებში პოკროვსკოეს მნათემ ჩვენი მამასახლისისას ნათლობაზე თქვა: გეყოფათ დროსტარება, აი, ხელში მოგიგდებთ კირილა პეტროვიჩი და სანახავს ნახავთო. მიკიტა მჭედელმა უთხრა: კარგი ერთი, საველიჩ, ნათლიმამას გულს ნუ უტეხ და სტუმრებს გუნებას ნუ უმღვრევ, კირილა პეტროვიჩი თავისთვისაა, ანდრეი გავრილოვიჩი კიდევ თავისთვის, ხოლო ჩვენ ყველანი უფლისა და ხელმწიფისა ვართო. კაცს მართლადა პირს ხომ ვერ ამოუკერავ.
- მაშასადამე, ტროეკუროვის ხელში ჩავარდნა არ გინდათ, არა?
- კირილა პეტროვიჩის ხელში! ღმერთმა ნუ ქნას და გვაშოროს. ის თავისიანებსაც დღეს უმწარებს და უცხოებს რომ მოიხელთებს, არა თუ ტყავს გააძრობს, ხორცსაც ზედ მიათლის. არა, ღმერთმა დიდხანს კარგად ამყოფოს ანდრეი გავრილოვიჩი, ხოლო თუ ღმერთი მის სულს მიიბარებს, შენ გარდა არავინ გვინდა, ჩვენო მარჩენალო. ნუ ჩაგვყრი მის ხელში, სხვა მხრივ, შენი ხმალი და ჩვენი კისერი.
ეს რომ თქვა, ანტონმა, მათრახი აიქნია, სადავეები შეარხია, და ცხენები გაშლილი ჩორთით გაქანდნენ.
მოხუცი მეეტლის თავდადებით გულმომბალი დუბროვსკი გაჩუმდა და კვლავ ფიქრებში ჩაიძირა. განვლო საათზე მეტმა. უცებ გრიშამ დაიყვირა - ა გ ე რ პ ო კ რ ო ვ ს კ ო ე! - და დუბროვსკი გამოაფხიზლა. ვლადიმირმა თავი აიღო. იგი განიერი ტბის ნაპირს მიჰყვებოდა. ტბიდან პატარა მდინარე გამოედინებოდა და შორს, ბორცვებს შუა მიიკლაკნებოდა. ერთ-ერთ ბორცვზე, წარაფის ხშირი მწვანის მაღლით, ვეება ქვის სახლის მწვანე სახურავი და ბელვედერი ილანდებოდა, მეორეზე - ხუთგუმბათიანი ეკლესია და ძველი სამრეკლო. შორიახლო თავიანთი ბოსტნებითა და ჭებითურთ ჩამარცვლილიყო სოფლის ქოხები. დუბროვსკიმ იცნო ეს ადგილები, გაიხსენა, რომ სწორედ ამ ბორცვზე ეთამაშებოდა პატარა მაშა ტროეკუროვას, ორი წლით მასზე უმცროს გოგონას, რომელსაც მაშინვე ეტყობოდა, მზეთუნახავი დადგებოდა. უნდოდა, ანტონისთვის მისი ამბავი ეკითხა, მაგრამ რაღაცნაირმა სიმორცხვემ განზრახვაზე ხელი ააღებინა.
ბატონის სახლს მიახლოებულმა ვლადიმირმა ბაღის ხებს შორის თეთრი კაბა დალანდა. ამ დროს ანტონმა ცხენებს უცხუნა, სოფლელი და ქალაქელი მეეტლეების საერთო პატივმოყვარეობას აყოლილმა, მთელი სისწრაფით გადაჭრა ხიდი და სოფელს გვერდით ჩაუქროლა. გასცდნენ სოფელს, მთაზე აიმაღლეს და ვლადიმირმა თვალი ჰკიდა არყის წარაფს, მარცხნივ, გაშლილ ადგილას კი, წითელსახურავიან ნაცრისფერ პატარა სახლს. გული აუტოკდა: წინ კისტენევკა და მამის ღარიბული სახლი ედგა.
ვლადიმირი ათ წუთში ბატონიანთ ეზოში იყო. ენით უთქმელი მღელვარებით იყურებოდა ირგვლივ. თორმეტი წელი არ ენახა თავისი სამშობლო. ღობის ძირას მისობას ჩარგული

პატარა არყის ხეები გაზრდილიყვნენ და ტოტებგაშლილ მაღალ ხეებად ქცეულიყვნენ. ეზო, ოდესღაც რომ სამი სწორი ყვავილნარი ამშვენებდა, ხოლო ყვავილნარებს შორის საგულდაგულოდ დაგვილი ფართო გზა გადიოდა, გაუთიბავ მინდვრად ქცეულიყო და შიგ დადუშაყებული ცხენი ბალახობდა. ძაღლებმა ერთი კი წამოიყეფეს, მაგრამ ანტონი იცნეს, ხმა ჩაიწყვიტეს და გაბანჯგვლული კუდების ქიცინს მოჰყვნენ. საჯალაბოებიდან შინაყმები გამოცვივდნენ, სიხარულის ყიჟინით შემოერტყნენ გარს ახალგაზრდა ბატონს. ვლადიმირი რის ვაი-ვაგლახით დაუძვრა ამ თავგამოდებულ დუნდგოს და დაფხავებულ პარმაღზე აირბინა. წინკარში ეგოროვნა შემოხვდა და ტირილით მოეხვია თავის გაზრდილს.
- გამარჯობა, გამარჯობა, ძიძა, - იმეორებდა ვლადიმირი და გულში იკრავდა კეთილ მოხუცს. - რას შვრება მამა, სადაა? როგორაა?
ამ დროს დარბაზში შემოლასლასდა მაღალ-მაღალი, ფერმიხდილი და გამხდარი, ხალათითა და ჩაჩით მოსილი მოხუცი.
- გამარჯობა, ვალოდკა, - თქვა მილეული ხმით და ვლადიმირი მხურვალედ მოეხვია მამას.
სიხარულმა ავადმყოფი მეტისმეტად ააფორიაქა, ძალა გამოაცალა, მუხლთ მოეკვეთა და დავარდებოდა, რომ შვილს არ დაეჭირა.
- რისთვის ადექი? - ეუბნებოდა ეგოროვნა, - ფეხზე ვერ დგახარ და მაინც მოეხირები. მოხუცი საწოლ ოთახში გაიყვანეს. იგი ცდილობდა, ვლადიმირს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ აზრი უწყდებოდა, სიტყვებს ერთმანეთს ვერ აბამდა. შემდეგ გაჩუმდა და მიიძინა. ვლადიმირი მოხუცის ამ დღეში ყოფნამ განაცვიფრა. მის საწოლ ოთახში დაბინავდა და ითხოვა, მარტო დამტოვეთო მამასთან. შინაყმებმა გაუგონეს და ახლა გრიშას მიუბრუნდნენ, წაიყვანეს საჯალაბოში, სადაც სოფლურად, მთელი სულითა და გულით უმასპინძლეს და კითხვებითა და მისალმებებით გატანჯეს.

მეოთხე თავი

სად სუფრა იყო, კუბო დგას იქა.

ახალგაზრდა დუბროვსკიმ რამდენიმე დღის შემდეგ დააპირა საქმეებისთვის მიეხედა,

მაგრამ ანდრეი გავრილოვიჩს იმის თავი არ ჰქონდა, რაიმე აეხსნა, მას არც რწმუნებული ჰყავდა. მამის ქაღალდების გარჩევისას ვლადიმირი წააწყდა მსაჯულის პირველ წერილს და მასზე გაცემული პასუხის შავ პირს. მათგან დავის თაობაზე ვერა გაარკვია რა და გადაწყვიტა, დალოდებოდა, რა მოხდებოდა, იმედს ამყარებდა თვით საქმის სამართლიანობაზე.
ამ დროს ანდრეი გავრილოვიჩი თანდათან სულ უფრო ცუდად ხდებოდა. ვლადიმირი წინასწარ ამჩნევდა, რომ მამას დიდი დღე არ დარჩენოდა, და მთლად გაბავშვებულ მოხუცს თავიდან არ შორდებოდა.
ამასობაში გავიდა დადგენილი ვადა, საქმე კი არავის გაუსაჩივრებია. ამრიგად კისტენევკა ტროეკუროვისა იყო. შაბაშკინი თავის დაკვრითა და მილოცვებით გამოეცხადა კირილა პეტროვიჩს, უთხრა, როდის ისურვებს თქვენი აღმატებულება ახალშენებული მამულის ჩაბარებას, თვითონ ჩაიბარებთ, თუ ვისმეს მისცემთ ამაზე რწმუნებასო. კირილა პეტროვიჩი შეცბა. მას ბუნებით ანგარება არ უყვარდა, შურისძიების სურვილმა მეტისმეტი აქნევინა და სინდისი აწუხებდა - იცოდა, რა დღეში იყო ჩავარდნილი მისი მოწინააღმდეგე, ძველი, ახალგაზრდობის დროინდელი ამხანაგი და გამარჯვება გულზე არ ეკარებოდა. შაბაშკინს თვალები დაუბრიალა, უნდოდა რამე მოემიზეზებინა და გამოელანძღა, მაგრამ საიმისო ვერაფერი გამონახა და მწყრალად უთხრა:
- თავიდან მომწყდი, შენთვის არა მცხელა!
შაბაშკინმა კირილა პეტროვიჩს უგუნებობა შეამჩნია, თავი დაუკრა და მსწრაფლ გაერიდა, მარტო დარჩენილი კირილა პეტროვიჩი კი ბოლთის ცემას მოჰყვა, თან უსტვენდა: “სჭექდეს ქუხილი გამარჯვებისა”. ეს მუდამ იმას მოასწავებდა, რომ აზრები უჩვეულოდ უბორგავდა გონებაში.
ბოლოს კირილა პეტროვიჩმა ბრძანა, მსუბუქი ეტლი შემიბითო, უფრო თბილად ჩაიცვა (უკვე სექტემბერი ილეოდა) და ეზოდან გავიდა. ეტლი თვითონ მიჰყავდა.
მალე ანდრია გავრილოვიჩის პატარა სახლს ჰკიდა თვალი და მისი სული საპირისპირო აზრებმა მოიცვა. აღსრულებულმა შურისძიებამ და მბრძანებლობის მოყვარულობამ ერთგვარად ჩაუხშო უფრო კეთილშობილური გრძნობები, მაგრამ ბოლოს ამ კეთილშობილურმა გრძნობებმა თავისი გაიტანეს. კირილა პეტროვიჩმა გადაწყვიტა, შერიგებოდა ძველ მეზობელს, ქონება უკან მიეცა და ჩხუბის ნაკვალევიც კი წარეხოცა. ამ კეთილი ზრახვით გული მოიფონა, ჩორთით გაემართა მეზობლის კარ-მიდამოსაკენ და ეტლი პირდაპირ მის ეზოში შეიყვანა.
ავადმყოფი ამ დროს საწოლ ოთახში ფანჯარასთან იჯდა. მან იცნო კირილა პეტროვიჩი და სახეზე საშინელი ძრწოლა გამოეხატა. ზედ ჩვეულებრივი სიფერმკრთალე გაუქრა, სიწითლე მოედო, თვალებში ცეცხლი ჩაუდგა, რაღაც გაუგებარი ბგერები გამოსცა. ვლადიმირი იქვე სამეურნეო დავთრებს უჯდა და თავი რომ აიღო, მამის მდგომარეობამ გააოგნა. ძრწოლითა და რისხვით მოცული ავადმყოფი მას ეზოზე უთითებდა,

სავარძლიდან ადგომას აპირებდა და აჩქარებით იკალთავებდა ხალათს, წამოიწია კიდეც... და უცებ ძირს დაეცა... შვილი მივარდა მას, მოხუცი უგრძნობლად, სუნთქვაშეჩერებული იწვა: მას დამბლა მოსვლოდა.
- ჩქარა, ჩქარა ქალაქში, ექიმი მოიყვანეთ! - ყვიროდა ვლადიმირი.
ამ დროს მსახური შემოვიდა და უთხრა:
- კირილა პეტროვიჩი გკითხულობთ.
ვლადიმირმა ზარდამცემი თალები შეანათა:
- კირილა პეტროვიჩს გადაეცი, რაც შეიძლება სწრაფად გაეთრიოს აქედან, ვიდრე მისი ეზოდან გაგდება არ მიბრძანებია, გასწი!
მსახური სიხარულით გავარდა თავისი ბატონის ბრძანების აღსასრულებლად. ეგოროვნამ ტაში შემოჰკრა.
- ჩვენო ძვირფასო, - დაიწივლა მან, - თავს დაიღუპავ! შეგვჭამს კირილა პეტროვიჩი.
- ხმა, ძიძა! - დაუცაცხანა ვლადიმირმა. - ანტონი ახლავე ქალაქს გაუშვი, ექიმი მოიყვანოს.
ეგოროვნა გავიდა. წინოთახში არავინ ჩანდა. ყველა ეზოში გაქცეულიყო კირილა პეტროვიჩის საყურებლად. ეგოროვნამ პარმაღზე გააბიჯა და ყური მოჰკრა, მსახურმა როგორ გადასცა კირილა პეტროვიჩს ახალგაზრდა ბატონის პასუხი.
კირილა პეტროვიჩმა ეტლიდან მოუსმინა მსახურს და სახე ღამეზე უფრო მოექუფრა, ზიზღით გაიღიმა, მრისხანედ შეავლო თვალი შინაყმებს და ნაბიჯით დასძრა ცხენი, მან იმ ფანჯარაშიც შეიხედა, სადაც წუთის წინ იჯდა ანდრეი გავრილოვიჩი, ახლა კი აღარ ჩანდა. ძიძას ბატონის ბრძანება გულიდან გადავარდნოდა და პარმაღზე იდგა. შინაყმები ყაყანით მსჯელობდნენ მომხდარ ამბავზე. უცებ მათ შორის ვლადიმირი გამოჩნდა და სვენებ-სვენებით თქვა:
- ექიმი აღარ გვჭირდება, მამა გარდაიცვალა.
ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. შინაყმები მოხუცი ბატონის ოთახში შეცვივდნენ. ანდრეი გავრილოვიჩი სავარძელზე იწვა, სადაც იგი ვლადიმირს დაესვენებინა. მარჯვენა ხელი იატაკზე ჩამოვარდნოდა, თავი მკერდზე დაბჯენოდა. ამ ჯერ კიდევ თბილ, მაგრამ სიკვდილის მიერ დამახინჯებულ სხეულს სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანკვალი გაქრობოდა. ეგოროვნამ იწივლა. ცხედარს გარს შემოეხვივნენ მსახურები, რომელთაც მისი მიხედვა ეკისრებოდათ, განბანეს, ჯერ კიდევ 1797 წელს შეკერილი მუნდირი ჩააცვეს და სწორედ იმ მაგიდაზე დაასვენეს, რომელთანაც ამდენი წელი ემსახურებოდნენ თავიანთ ბატონს.

მეხუთე თავი

ანდრეი გავრილოვიჩი მესამე დღეს გაასვენეს. საბრალო მოხუცის ნეშტი მაგიდაზე იდო შესუდრული და სანთლებშემორიგებული. სასადილო ოთახი შინაყმებით იყო გაჭედილი. ემზადებოდნენ მიცვალებულის გამოსაყვანად. ვლადიმირმა და სამმა მსახურმა კუბო ასწიეს. მღვდელი წინ გაემართა, მას თან მიჰყვებოდა დიაკონი და სულთათანას მიიგალობდა. კისტენევკის მფლოებლმა უკანასკნელად გადავლო თავისი სახლის ზღურბლი. კუბო წარაფ-წარაფ წაასვენეს. ეკლესია წარაფის იქით იდგა. დღე იყო ნათელი, ცივი, ხეებიდან შემოდგომის ფოთლები ცვიოდა.
წარაფიდან გამოსულებმა კისტენევკის ხის ეკლესიას და ბებერი ცაცხვებით დაბურულ სასაფლაოს ჰკიდეს თვალი. იქ განისვენებდა ვლადიმირის დედის ნეშტი. იქ, დედამისის საფლავის გვერდით, გუშინ ახალი სამარე გაეთხარათ.
ეკლესია კისტენევკელ გლეხებს აევსოთ; მათ უნდოდათ უკანასკნელი პატივი მიეგოთ თავიანთი ბატონისათვის. ახალგაზრდა დუბროვსკი კლიროსთან დადგა. არ ტიროდა, არ ლოცულობდა, სახეზე კი საშინელი სანახავი იყო. გასრულდა მწუხარე წესის აგება. პირველად ვლადიმირი გაემართა ნეშტთან გამოსათხოვებლად. მის შემდგომ შინაყმებმაც არ დაახანეს. მოიტანეს სახურავი და კუბო დაჭედეს. დედაკაცები გაჰკიოდნენ, მამაკაცები მუშტით იწმენდნენ თვალებს. ვლადიმირმა და იმავე სამმა მსახურმა მიცვალებული სასაფლაოზე გაიტანეს, უკან მთელი სოფელი მოჰყვებოდათ. კუბო ჩაუშვეს საფლავში, იქ მყოფებმა თითო მუჭა მიწა ჩააყოლეს, ორმო მოპირეს, სამარეს თავი დაუკრეს და დაიშალნენ. ვლადიმირი აჩქარებით გასცილდა იქაურობას, ყველას გაუსწრო და კისტენევკის წარაფში თვალს მიეფარა.
ეგოროვნამ ვლადიმირის სახელით მღვდელი და ეკლესიის მთელი კრებული ქელეხზე მოიწვია, თან აუწყა მათ, ახალგაზრდა ბატონი იქ მოსვლას არ აპირებსო. ასე და ამგვარად მამა ანტონმა, მღვდლის ცოლმა ფედოტოვნამ და დიაკონმა ფეხით გასწიეს ბატონიანთ ეზოსკენ და გზადაგზა ეგოროვნასთან ერთად მიცვალებულის სათნოებაზე და იმაზე მსჯელობდნენ, რაც, როგორც ეტყობა, მის მემკვიდრეს ელოდა (ტროეკუროვის მოსვლისა და მასთან შეხვედრის ამბავი უკვე ყველამ უწყოდა იმ მიდამოებში და, იქაური პოლიტიკოსების წინასწარმეტყველებით, ამას საგულისხმო შედეგები მოჰყვებოდა).
- რაც იქნება, იქნეს, - თქვა მღვდლის ცოლმა, - ისე კი, დასანანია, თუ ბატონად ვლადიმირ ანდრეევიჩი არ გვეყოლება. დიახაც, რომ ვაჟკაცია.
- მაშ, სხვა ვინღა უნდა იყოს ჩვენი ბატონი, - შეაწყვეტინა ეგოროვნამ. - ამაოდ ფაფხურობს კირილა პეტროვიჩი. ჯაბანს როდი შესჩეხებია. ჩემი შავარდენი თვითონაც დაიცავს თავს

და მწყალობელიც, ღვთის შეწევნით, ხელს არ ააღებს. ნამეტანი ბღენძიაა კირილა პეტროვიჩი! ხომ დაესხა თავს ლაფი, ჩემმა გრიშკამ რომ დაუცაცხანა: გაეთრიე აქედან, ბებერო ძაღლო, მოწყდი აქაურობასო!
- ოჰ, ეგოროვნა, - უთხრა დიაკონმა, - მერედა გრიგორს ენა როგორ მოუტრიალდა, მე მგონია, იმას უფრო დავთანხმდები ღმერთს ვუყეფო, ვიდრე ცუდი თვალით შევხედო კირილა პეტროვიჩს. მის დანახვაზე შიშ-კანკალი ეგრევე გწურავს, ზურგი კი თავისთავად იხრება და იხრება...
- ამაოება ამაოებათა, - თქვა მღვდელმა, - კირილა პეტროვიჩსაც უგალობებენ სულთათანას ისევე, როგორც ახლა ანდრეი გავრილოვიჩს უგალობეს, ოღონდ უფრო მდიდრულად გაასვენებენ, სტუმრებსაც მეტს მოიპატიჟებენ, მაგრამ ღმერთისათვის სულ ერთი არაა!
- აჰ, მამაო! ჩვენც გვინდოდა მთელი ამ მხარისათვის დაგვეძახა, მაგრამ ვლადიმირ ანდრეევიჩმა არ ქნა. ჩვენ ხომ ყველაფერი საკმარისი გვაქვს - გასამასპინძლებელი არა გვაკლია რა, მაგრამ რა გაეწყობა, რაკი ხალხი არ არის, თქვენ მაინც გიმასპინძლებთ, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო.
ეგოროვნას ამ გულითადმა დაპირებამ და გემრიელი ღვეზელის იმედმა თანამოსაუბრეები ააჩქარა და ისინი მშვიდობიანად მივიდნენ ბატონიანთ სახლში, სადაც მაგიდა უკვე გაეწყოთ და არაყი ჩამოედგათ.
ვლადიმირი ამ დროს ტყის სიღრმეში მიიწევდა და მოძრაობითა და დაღლილობით ცდილობდა სულიერი წუხილის დაყუჩებას. მიეხეტებოდა ალთაბალთას, ტოტები წარამარა ებღაუჭებოდნენ და ბჭყალავდნენ, ფეხები ყოველ წუთს ჭაობში ეფლობოდა, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა. ბოლოს მიატანა ტყით შემოზღუდულ ღარტაფს. ღელე მდუმარედ მიიკლაკნებოდა შემოდგომის მიერ სანახევროდ გაძარცვული ხეების გვერდით. ვლადიმირი შედგა, ცივ ბუსნოზე დაჯდა და სულში ერთიერთმანეთზე პირქუში აზრები შემოუჯარდა... იგი მძაფრად შეიგრძნობდა სიმარტოვეს. მოქურუხებული ღრუბლებით შესუდრული ეცხადებოდა მომავალი. ტროეკუროვის მტრობა ახალ უბედურებათა საწინდარი იყო. მის უბადრუკ ავლა-დიდებას შეიძლებოდა სხვა დაპატრონებოდა. ასეთ შეთხვევაში უპოვრობა ხელში ეჭირა. ვლადიმირი დიდხანს გაუნძრევლად იჯდა, უცქეროდა, როგორ უდრტვინველად მიედინებოდა ღელე, რომელიც რამდენიმე დამჭკნარ ფოთოლს მიანანავებდა, და ცოცხლად ესახებოდა თვალწინ ცხოვრების უტყუარი ხატება, ესოდენ ჩვეულებრივი ხატება. ბოლოს შეამჩნია, რომ მიწაზე მწუხრი ივანებდა. წამოდგა და შინის გზას დაუწყო ძებნა, მაგრამ კარგა ხანს იტრიალა უცნობ ტყეში, ვიდრე არ გამოვიდა ბილიკზე, რომელმაც ზედ თავისი სახლის ჭიშკარს მიაყენა.
გზად დუბროვსკის მღვდელი და ეკლესიის მთელი კრებული შემოეჩეხა. ეს ცუდის მომასწავებლად ენიშნა, უნებლიეთ განზე გაუხვია და ხეს მოეფარა. მღვდელმა და კრებულმა იგი ვერ შეამჩნიეს და გვერდით რომ ჩაუარეს, გაცხარებით ლაპარაკობდნენ.

- განუდექ ბოროტებას და ჰქმენ სიკეთე, - ეუბნებოდა მღვდელი ცოლს, - ჩვენი დარჩენა აქ არ ეგების, შენ რა გენაღვლება, როგორც უნდა დამთავრდეს საქმე...
ცოლმა რაღაც მიუგო, მაგრამ ვლადიმირმა ყური ვერ მოჰკრა. სახლს მიახლოვებულმა ქვეყნის ხალხს ჰკიდა თვალი. ბატონიანთ კარ-მიდამოში გლეხები და შინაყმები შეყრილიყვნენ. შორიდან უჩვეულო ხმაურმა და ლაპარაკმა უწია სმენას. ფარდულთან ორი სამცხენა იდგა. პარმაღზე მუნდირის სერთუკებით მოსილი რამდენიმე უცნობი თითქოს რაღაცაზე მსჯელობდა.
- რას მოასწავებს ეს? - მწყრალად ჰკითხა ვლადიმირმა შესახვედრად გამოქცეულ ანტონს. - ვინ არიან და რა უნდათ?
- ეჰ, ჩვენო ვლადიმირ ანდრეევიჩ, - მიუგო სულშეგუბებულმა მოხუცმა, - მოსამართლეები მოვიდნენ. ტროეკუროვს გვაძლევენ, შენს მოწყალებას გვაცილებენ!..
ვლადიმირმა თავი ჩაქინდრა, შინაყმები გარს შემოერტყნენ თავიანთ უბედურ ბატონს.
- ჩვენო მამავ და პატრონო, - გაიძახოდნენ ისინი და ხელებს უკოცნიდნენ, - სხვა ბატონი არ გვინდა შენ გარდა, გვიბრძანე, ხენმწიფეო, და მოსამართლეებს ჩვენ მოვუვლით, დავიხოცებით და არ შეგელევით... - ვლადიმირი უმზერდა მათ და სულს უცნაური გრძნობები უფორიაქებდა.
- წყნარად იყავით, - უთხრა შინაყმებს, - მე კი მოხელეებს მოველაპარაკები.
- მოელაპარაკე, ჩვენო კეთილო, - დაეხმიანნენ მას. - და დაანამუსე ეგ შეჩვენებულები.
ვლადიმირი მივიდა მოხელეებთან. კარტუზიან შაბაშკინს დოინჯი შემოეყარა და გოროზად ავლებდა თვალს გარეშემოს... სამაზრო პოლიციის უფროსმა, ორმოცდაათიოდე წლის მაღალმა და ჩასუქებულმა, სახეწითელმა და ულვაშა კაცმა დუბროვსკის მოახლოებაზე ჩაიჯიყჯიყა და ჩახლეჩილი ხმით წარმოთქვა:
- ამრიგად, გიმეორებთ იმას, რაც უკვე ვთქვი: სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილებით ამიერიდან კირილა პეტროვიჩის საკუთრება ხართ, ვისი წარმომადგენელიც აქ ბატონი შაბაშკინი გახლავთ. გაუგონეთ, რაც უნდა გიბრძანოთ, თქვენ კი, დიაცებო, გიყვარდეთ და პატივი ეცით, რამეთუ თქვენი თავგადაკლული მოტრფიალეა.
ამ მოსწრებულ ხუმრობაზე სამაზრო პოლიციის უფროსმა გადაიხარხარა და შაბაშკინმა და სხვა წევრებმაც აუბეს მხარი. ვლადიმირი აღშფოთებისაგან კანში ვეღარ ეტეოდა.
- ნება მიბოძეთ გავიგო, რას მოასწავებს ეს? - ნაძალადევი გულგრილობით ჰკითხა სამაზრო პოლიციის უფროსს.
- მოასწავებს იმას, - მიუგო ენამოსწრებულმა მოხელემ, - რომ ჩვენ ჩამოვედით, რათა ადგილ-მამული ესე ჩავაბაროთ კირილა პეტროვიჩს და ვთხოვთ სხვებს, დროზე მიბრძანდნენ აქედან.
- კი მაგრამ, მე მგონი, შეგეძლოთ, ვიდრე ჩემს გლეხებს მიმართავდით, ჩემთვის მოგემართათ და მემამულისათვის გეუწყებინათ ძალაუფლების აღკვეთის ამბავი...
- მერე შენ ვინა ხარ, - უთხრა შაბაშკინმა და უტიფრად შეხედა. - ყოფილი მემამულე

ანდრეი დუბროვსკი, გავრილა დუბროვსკის ძე, ნებითა ღვთისითა მიიცვალა, ჩვენ თქვენ არ გიცნობთ და არც გვინდა გიცნობდეთ.
- თქვენო კეთილშობილებავ, ჩვენი ახალგაზრდა ბატონია, - თქვა ვიღაცამ ხალხში, - ვლადიმირ ანდრეევიჩი.
- ვინ გაბედა მანდ ენის გადმოგდება, - ცეცხლი ჰყარა სამაზრო პოლიციის უფროსმა, - რომელი ბატონი, რომელი ვლადიმირ ანდრეევიჩი? თქვენი ბატონი კირილა პეტროვიჩ ტროეკუროვია, გესმით თუ არა, რეგვენებო!
- რასა ბრძანებ, - თქვა იმავე გლეხმა.
- ეს ხომ ამბოხია! - იყვირა სამაზრო პოლიციის უფროსმა. - ჰეი, მამასახლისო, აქეთ! მამასახლისი წინ გამოვიდა.
- ახლავე იპოვე, ვინც შეპასუხება გამიბედა, მე მას ვუჩვენებ სეირს!
მამასახლისმა ხალხს ჰკითხა, ვინ იყო, რომ ლაპარაკობდაო, მაგრამ არავინ კრინტს არ ძრავდა. მალე უკანა რიგებში ბუზღუნი გაისმა, ბუზღუნი თანდათან აზავთდა და ერთ წუთში უსაშინელეს ზრინვად იქცა. სამაზრო პოლიციის უფროსმა ხმა დაიდაბლა და გლეხებს შეგონება დაუპირა.
- ბიჭებო, ამას რას ვუყურებთ! ჰკა მაგათა! - დასძახეს შინაყმებმა და ბრბო დაიძრა. შაბაშკინი და სასამართლოს სხვა წევრები ფაცხაფუცხით შეცვივდნენ წინკარში და კარი ჩაიკეტეს.
- ბიჭებო, შევკრათ, - გაისმა იგივე ძახილი და ბრბომაც გაიწია.
- შეჩერდით! - იყვირა დუბროვსკიმ. - სულელებო! რას სჩადით! თავსაც იღუპავთ და მეც მღუპავთ, შინ გასწით და დამეხსენით. ნუ გეშინიათ, ხელმწიფე მოწყალეა, ვთხოვ და ხელს არ აგვაღებს. ჩვენ, ყველანი მისი შვილები ვართ, მაგრამ როგორ გამოგექომაგებათ, თუკი ამბოხება და ავაზაკობა დაიწყეთ.
ახალგაზრდა დუბროვსკის ნათქვამმა, მისმა ზარივით ხმამ და დიადმა შესახედაობამ საკეთილოდ იმოქმედა. ხალხი დაცხრა, წავიდ-წამოვიდა. ეზო დაცარიელდა. სასამართლოს წევრები სახლში ისხდნენ. ბოლოს შაბაშკინმა ჩუმად გააღო კარი, პარმაღზე გამოვიდა და დუბროვსკის მადლობის გადახდა დაუწყო კეთილმოწყალე გამოსარჩლებისათვის, თან დამამცირებლადაც იდრიკებოდა წელში.
ვლადიმირი ზიზღით უსმენდა და პასუხს არ აძლევდა.
- გადავწყვიტეთ, - განაგრძობდა მსაჯული, - თქვენის ნებართვით ღამე აქ გავათიოთ, თორემ უკვე ბნელა და თქვენი გლეხები შეიძლება თავს დაგვესხან გზაზე. უმორჩილესად გთხოვთ, ბრძანოთ, თივა მაინც დაგვიგონ სასტუმრო ოთახში. დილით უთენია წავალთ შინ.
- რაც გინდათ, ისა ჰქენით, - უგულოდ მიუგო დუბროვსკიმ. - აქაურობა უკვე ჩემს ხელთ არაა.

ამის თქმისთანავე მამის ოთახში შევიდა და კარი ჩაიკეტა.

მეექვსე თავი

“ამრიგად, ყოველივეს ბოლო მოეღო. ჯერ კიდევ დილით ჩემი კუთხე და ლუკმაპური მომეძევებოდა. ხვალ კი, სახლი, სადაც დავიბადე, სადაც მამაჩემმა სული დალია, უნდა დავუტოვო კაცს, ბრალეულს მის სიკვდილსა და ჩემს სიღატაკეში”, - თქვა გულში დუბროვსკიმ და თვალები დედის პორტრეტს მიაპყრო. ფერმწერს დედა მოაჯირზე დაყრდნობილი, დილის თეთრი კაბით მოსილი და თმაში ვარდებჩაბნეული გამოესახა. “ეს პორტრეტიც ჩემი ოჯახის მტერს ერგუნება, - გაიფიქრა ვლადიმირმა, - საკუჭნაოში დამტვრეულ სკამებთან ერთად მიაგდებენ, ან წინოთახში დაკიდებენ და ტროეკუროვის მეძაღლეები დაცინვითა და შენიშვნებით აიკლებენ, ხოლო დედის საწოლ ოთახში... სადაც მამა მიიცვალა, მისი მოურავი, ან ჰარამხანა დაიბინავებს. არა, არა! ნუმც მას ერგუნოს დარდ-ვარამის სახლი, რომლიდანაც მე მაძევებს”. ვლადიმირმა კბილი კბილს დააჭირა. თავში საშინელი აზრები უჩნდებოდა. სმენას უწევდა მწერლების ხმა. ისინი მბრძანებლობდნენ, ხან ამას მოითხოვდნენ, ხან იმას და, ნაღვლიანი ფიქრებით მოცულს, უსიამოდ უყოლიებდნენ გულს. ბოლოს ყოველივე მიყუჩდა.
ვლადიმირმა კამოდები და უჯრები დააღო და განსვენებულის ქაღალდები გადაქექა. ესენი მეტწილად სამეურნეო ანგარიშები და სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებული მიმოწერა იყო; ვლადიმირმა წაუკითხავად დახია სუყველა. ქაღალდებს შორის ერთ პაკეტს წააწყდა. პაკეტს ეწერა: ჩემი ცოლის წერილები. ვლადიმირი გულაფოფინებული ჩაუჯდა წერილებს. ისინი გახლდათ თურქეთის ლაშქრობის დროინდელი წერილები, კისტენევკიდან არმიაში გაგზავნილი. მეუღლე ქმარს აუწერდა თავის გამოყრუებულ ცხოვრებას, სამეურნეო საქმიანობას, ნაზად ეუბნებოდა სამდურავს განშორებაზე და შინ იწვევდა, რომ კეთილი მეგობარი გადახვეოდა. ერთ-ერთ წერილში პატარა ვლადიმირის ჯანმრთელობაზე სწუხდა, მეორეში ახარებდა, ბალღმა რომ ადრე გამოავლინა ნიჭიერება და წინასწარმეტყველებდა, ბედნიერი და ბრწყინვალე მომავალი ექნებაო. ვლადიმირი კითხვას შეჰყვა, მთელი სულით შეენივთა ოჯახური ბედნიერების სამყაროს და ამქვეყნად ყველაფერი დაავიწყდა, ვერ შეამჩნია, როგორ გაიპარა დრო. კედლის საათმა თერთმეტი ჩამოჰკრა. მან წერილები ჯიბეში ჩაიწყო, სანთელს დასწვდა და კაბინეტიდან გამოვიდა. დარბაზში იატაკზე მოხელეებს ძილი გამოეცხოთ. მაგიდაზე მათ მიერ გამოცლილი ჭიქები იდგა და მთელ ოთახში რომის მძაფრი სუნი ტრიალებდა. ვლადიმირმა ზიზღით ჩაუარა

მოხელეებს და წინოთახში გავიდა. კარი ჩაკეტილი იყო. ვლადიმირმა გასაღები ვერ იპოვა და დარბაზში დაბრუნდა; გასაღები მაგიდაზე იდო. მან კარი გააღო და კუთხეში აკრული კაცი დალანდა. კაცს ხელში ნაჯახი უელავდა. ვლადიმირმა სანთელი მიანათა და მჭედელი არხიპი იცნო.
- რაზე მოსულხარ? - ჰკითხა მას.
- ოჰ, ვლადიმირ ანდრეევიჩ, თქვენა ხართ? - უჩურჩულა არხიპმა პასუხად. - ღმერთო, შემიწყალე და მიხსენი! კიდევ კარგი, რომ სანთლით მოდიოდით! - ვლადიმირი სახტად დარჩენილი უყურებდა.
- აქ სად მიკუნჭულხარ? - ჰკითხა მჭედელს.
- მე მინდოდა... მე მოვედი... გამეგო, ყველა შინ არის თუ არა-მეთქი, - წყნარად, ბლუკუნით მიუგო არხიპმა.
- კი მაგრამ, ნაჯახი რად გინდა?
- ნაჯახი რად მინდა? აბა ახლა უნაჯახოდ სიარული გაგონილა? ეს მოხელეები, ხედავ, ისეთი შფოთისთავებია, ერთიც ვნახოთ და...
- შენ მთვრალი ხარ, არხიპ, ნაჯახს მოეშვი და გამოიძინე.
- მე და მთვრალი? ჩემო ვლადიმირ ანდრეევიჩ, მაღლით ღმერთი ხედავს, წვეთი არ გამიკარებია, მერედა, განა ღვინის ფიქრი გექნება, განა სმენია ეს ვინმეს: მწერლები დაპატრონებას გვიპირებენ, მწერლები ჩვენს ბატონებს ბატონიანთ კარ-მიდამოდან აძევებენ, შეხეთ, ხვრინავენ შეჩვენებულები. ნეტავ ერთი ყველას ერთად სხიპო და კვალი ჩაფარცხო.
დუბროვსკი მოიღუშა.
- არხიპ, მისმინე, - უთხრა მჭედელს მცირე ხნის დუმილის შემდეგ, - ცუდი რამ განგიზრახავს. განა მოხელეებს მიუძღვით ბრალი. შენ ერთი ფარანი აანთე და მომყევი. არხიპმა ბატონს სანთელი გამოართვა, ღუმელის უკან ფარანი მოძებნა, აანთო, ორივე ჩუმად ჩავიდა პარმაღზე და ეზოს შემოუარა. დარაჯმა თუჯის ფილას დაჰკრა, ძაღლებმა ყეფა ატეხეს.
- ვინ დგას დარაჯად? - იკითხა დუბროვსკიმ.
- ჩვენ, გენაცვათ, - გაისმა წიწინა ხმით ნათქვამი პასუხი, - ვასილისა და ლუკერია.
- წადით შინ, - უთხრა მათ დუბროვსკიმ, - არ გვჭირდებით.
- მორჩა, - დაურთო არხიპმა.
- მადლობა, მარჩენალო, - მიუგეს ქალებმა და იმწამსვე გასწიეს შინისაკენ.
დუბროვსკიმ გზა განაგრძო, მას ორი კაცი მიუახლოვდა. შეეხმიანნენ. დუბროვსკიმ იცნო ანტონისა და გრიშას ხმა.
- რად არ გძინავთ? - ჰკითხა მათ დუბროვსკიმ.
- განა ძილისთვის გვცხელა, - მიუგო ანტონმა, - რა დღეს მოვესწარით, თავში ვის მოუვიდოდა...

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

- წყნარად! - შეაწყვეტინა დუბროვსკიმ. - სადაა ეგოროვნა?
- ბატონის სახლში, თავის ოთახში, - მიუგო გრიშამ.
- გასწი და მოიყვანე, თანაც სახლიდან ყველა ჩვენიანი გამოლალე, არავინ დარჩეს მოხელეების გარდა, შენ კი, ანტონ, ფორანი გაამზადე.
გრიშა წავიდა და ერთ წუთში თავის დედასთან ერთად გამოცხადდა. მოხუცს ამ ღამით სამოსი არ გაეხადა. მოხელეების მეტი სახლში ყველა თეთრად ათენებდა ღამეს.
- სულ აქ არიან? - იკითხა დუბროვსკიმ. - ხომ არავინ დარჩა სახლში?
- არავინ მწერლების გარდა, - მიუგო გრიშამ.
- თივა ან ნამჯა მომიტანეთ, - თქვა დუბროვსკიმ.
შინაყმები საჯინიბოში გაიქცნენ და თითო აღება თივა მოუტანეს.
- პარმაღს ქვეშ დაუდეთ, აი, ასე. აბა, ბიჭებო, ცეცხლი!
არხიპმა ფარანი გახსნა, დუბროვსკიმ კვარი აანთო.
-მოიცა, - უთხრა არხიპს. - მგონი, სიჩქარეში, წინოთახის კარი დავკეტე. ჩქარა წადი და გააღე.
არხიპი გაიქცა. წინოთახის კარი ღია იყო. არხიპმა კარი გასაღებით დაკეტა და ხმადაბლა დააყოლა: არა, ბიჭო, გააღე! და დუბროვსკითან დაბრუნდა.
დუბროვსკიმ კვარი თივას მიუწია. თივა აბრიალდა, ალი მაღლა აიჭრა და მთელი ეზო გააჩირაღდნა.
- აჰ, - საცოდავად იკივლა ეგოროვნამ. - რას შვრები, ვლადიმირ ანდრეევიჩ?
- ხმა! - მიუგო დუბროვსკიმ - აბა, ხალხო, მშვიდობით, მივდივარ, საითაც ღმერთი ინებებს. ბედნიერად ყოფილიყავით თქვენი ახალი ბატონის ხელში.
- ჩვენო მამაო მარჩენალო, სიცოცხლეს დავთმობთ და არ გაგშორდებით. ჩვენ შენ მოგყვებით, - მიუგეს შინაყმებმა.
მოაყენეს ფორანი. დუბროვსკი გრიშასთან ერთად ზედ დაჯდა და შინაყმებს შეხვედრის ადგილად კისტენევკის წარაფი დაუთქვა. ანტონმა ცხენებს უცხუნა და მიმავლები ეზოდან გავიდნენ.
დაქროლა ქარმა. სახლი ერთ წუთში ცეცხლის ალში გაეხვია. სახურავის თავზე წითელი კვამლი იკლაკნებოდა, მინებს ტკაცატკუცი გაჰქონდა, ცვიოდა ძირს, შვავდებოდა ცეცხლმოდებული დირეები. გაისმა გულსაკლავი მოთქმა და ღრიალი: “ვიწვებით, გვიშველეთ, გვიშველეთ!”
- არა, ბიჭო, - თქვა უკეთური ღიმილით ხანძარს მიჩერებულმა არხიპმა.
- არხიპუშკა, - უთხრა ეგოროვნამ, - იხსენი ეგ შეჩვენებულები, ღმერთი დაგიმადლებს.
- არა, ბიჭო, - მიუგო არხიპმა.
ამ დროს მოხელეები ფანჯარაში გამოჩნდნენ. ისინი ცდილობდნენ, ორმაგი ჩარჩოები გამოემტვრიათ, მაგრამ სახურავი უცებ ზათქით ჩამოიქცა და მოთქმა შეწყდა.
მალე მთელი შინაყმობა გარეთ გამოიშალა. დიაცები წივილ-კივილით იჩქაროდნენ

თავიანთი ძველმანების გადასარჩენად. ბალღებს ხანძრის ცქერა ატკბობდათ და ხტოდნენ. ნაპერწკლები ცეცხლოვანი ბუქივით გაქარქარდა და ქოხებს ალი შეეგზნო.
- ახლა ყველაფერი კარგადაა, - თქვა არხიპმა. - როგორ იწვის, ა? პოკროვსკოედან ალბათ დიდებული სანახავია.
ამ დროს ახალმა ამბავმა მიიზიდა მისი ყურადღება. ალმოდებული ფარდულის სახურავზე კატა აქეთ-იქით აწყდებოდა და არ იცოდა, სად გადამხტარიყო, ალი შუაში იქცევდა. საბრალო ცხოველი საცოდავად კნაოდა და შველას ივედრებოდა. მისი უსასოების მაცქერალი ბიჭები სიცილით იჭაჭებოდნენ.
- რას მოგიხევიათ პირი, თქვე ეშმაკის ფეხებო, თქვენა, - მწყრალად უთხრა მათ მჭედელმა.
- ღმერთის შიში არა გაქვთ? სულდგმული იღუპება, თქვენ კი სულელურად ხარობთ. - მან ცეცხლმოდებულ სახურავს კიბე მიადგა და მაღლა აჰყვა. კატა მიუხვდა საწადელს და სახელოზე ჩააფრინდა; თან ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს აჩქარებით უხდიდა მადლობას. შეტრუსული მჭედელი ძირს დაეშვა თავისი ნადავლითურთ.
- აბა, მშვიდობით, ბიჭებო, - უთხრა შეცბუნებულ შინაყმებს. - აქ აღარაფერი დამრჩენია. კარგად მეყოლეთ. ცუდად ნუ გამიხსენებთ.
მჭედელი წავიდა. ხანძარი კიდევ რამდენიმე ხანს ბაბანებდა, ბოლოს ჩაქრა, ნაკვერჩხლების გორები უალოდ გუზგუზებდნენ ღამის სიბნელეში, ხოლო იქვე კისტენევკის სახლგადაბუგული მცხოვრებნი დააბოტებდნენ.

მეშვიდე თავი

მეორე დღეს მთელ იმ მიდამოს მოედო ხანძრის ამბავი. ყველა სხვადასხვანაირად ლაპარაკობდა, ზოგი რას მიაწერდა მის გაჩენას და ზოგი რას. ერთნი ირწმუნებოდნენ, დუბროვსკის შინაყმები გასვენებაში დათვრნენ, სიფრთხილე ვერ გამოიჩინეს და სახლს ცეცხლი წაუკიდესო, მეორენი სახლ-კარის დაპატრონების აღსანიშნავად გამართულ ქეიფზე შეზარხოშებულ მოხელეებს აბრალებდნენ, ბევრი ირწმუნებოდა, სახლი თვითონ დაიწვა საერობო სასამართლოს მოხელეებსა და შინაყმებთან ერთადო. ზოგიერთი სიმართლეს ალღოს უღებდა და ამტკიცებდა, ამ შემაძრწუნებელი ცოდო-ბრალის მიზეზი თვით ბოღმით და სასოწარკვეთილებით აგულიანებული დუბროვსკი არისო. ტროეკუროვი მეორე დღესვე მივიდა ნახანძრალზე და თვითონ გამოიძია ყოველივე. აღმოჩნდა, რომ სამაზრო პოლიციის უფროსი, საერობო სასამართლოს მსაჯული, ვექილი და მწერალი უგზო-უკვლოდ გამქრალიყვნენ ვლადიმირ დუბროვსკის ძიძა ეგოროვნას, შინაყმა გრიგორის, მეეტლე ანტონისა და მჭედელ არხიპის არ იყოს... შინაყმებმა

უკლებლივ აჩვენეს, მოხელეები სახურავის ჩამოქცევისას დაიწვნენო. ამოთხარეს მათი დამწვარი ძვლები. ქალებმა ვასილისამ და ლუკერიამ თქვეს, ვიდრე ხანძარი გაჩნდებოდა, რამდენიმე წუთის წინ ვნახეთ დუბროვსკი და არხიპ მჭედელიო. არხიპ მჭედელი, ყველამ ასე აჩვენა, ცოცხალი და ალბათ ერთადერთი თუ არა, ხანძრის მთავარი გამჩენი იყო. დუბროვსკი დაბეჯითებით ბადებდა ეჭვებს. კირილა პეტროვიჩმა გუბერონატორს მომხდარი ამბავი დაწვრილებით მისწერა და შედგა ახალი საქმე.
მალე სხვა ხმა გავარდა და ამან სხვა საფქვავი გაუჩინა ცნობისმოყვარეობასა და ენის სხმარტალს. **-ში ავაზაკებმა მოიდგეს ფეხი და მთელი ის არემარე შეაძრწოლეს. მთავრობამ ღონისძიებანი გაატარა, მაგრამ ამან არ იკმარა. ერთმანეთს მოსდევდა ერთიმეორეზე უჩვეულო ძარცვა. საფრთხე იყო ჩასაფრებული გზებზეც და სოფლებშიც. ავაზაკებით სავსე რამდენიმე სამცხენა დღისით-მზისით მთელ გუბერნიაში მიმოქროდა, წინ უდგებოდა მგზავრებს და ფოსტას, შედიოდნენ სოფლებში, ძარცვავდნენ და ბუგავდნენ მემამულეთა სახლებს. ყაჩაღების მეთაური ცნობილი იყო გონიერებით, სიგულადითა და რაღაცნაირი სულგრძელობით. მის შესახებ სასწაულებს ჰყვებოდნენ. დუბროვსკის სახელი ყველას პირზე ეკერა, ყველას სჯეროდა, რომ სწორედ იგი ხელმძღვანელობდა უშიშარ ბოროტმოქმედებს. ერთი რამ აკვირვებდათ კი - ტროეკუროვის მამულებისთვის ხელი არ უხლიათ, მისი არც ერთი ფარდული არ გაუტეხიათ, მის არც ერთ საზიდარს წინ არ გადასდგომიან. ამ ამბავს ტროეკუროვი, თავისი ჩვეულებრივი ამპარტავნობისამებრ, ხსნიდა შიშით, რაიც მას შეეძლო მთელი გუბერნიისათვის ჩაენერგა, აგრეთვე საკუთარ სოფლებში ჩაყენებული ერთობ რიგიანი პოლიციით. მეზობლები თავდაპირველად ერთმანეთთან მასხრად იგდებდნენ ტროეკუროვის ამპარტავნობას და ნიადაგ იმის მოლოდინში იყვნენ, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები პოკროვსკოესაც მოხედავდნენ, სადაც, იცოცხლე, ხეირს ნახავდნენ, მაგრამ ბოლოს მეზობლებს მეტი ჩარა არ ჰქონდათ, კირილა პეტროვიჩისთვის უნდა დაეკრათ კვერი და გამომტყდარიყვნენ, რომ ავაზაკები მას აუხსნელი პატივისცემით ეკიდებოდნენ...
ტროეკუროვი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და, როცა დუბროვსკის მიერ ვინმეს გაძარცვის ამბავს იტყობდა, სასაცილოდ იგდებდა გუბერნატორს, სამაზრო პოლიციის უფროსებსა და ასმეთაურებს, რომელთაც დუბროვსკი ისე გაეცლებოდა ხოლმე, ფრჩხილსაც ვერ ტკენდნენ.
ამასობაში დადგა პირველი ოქტომბერი - საეკლესიო დღესასწაული ტროეკუროვის სოფელში, მაგრამ, ვიდრე ამ დღესასწაულისა და შემდგომ მოვლენათა აღწერას მოვკიდებდეთ ხელს, მკითხველს უნდა გავაცნოთ პირნი, მისთვის ახალნი, ან ჩვენ მიერ ჩვენი მოთხრობის თავში ისე, სხვათა შორის მოხსენიებულნი.

მერვე თავი

მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, რომ კირილა პეტროვიჩის ქალიშვილი, რომელზეც მაინცდამაინც არაფერი გვითქვამს, ჩვენი მოთხრობის გმირი გახლავთ. იმჟამად იგი ჩვიდმეტი წლისა იყო და სილამაზეს მისას გაზაფხული ედგა. მამა ჭკუას კარგავდა ქალიშვილისთვის, მაგრამ ჩვეულ ხუშტურიანობას იჩენდა მისადმი, ხან ცდილობდა თავისი ასულისთვის უმცირესი ახირებაც კი შეესრულებინა და ამით ეამებინა, ხან მკაცრი, ზოგჯერ კი სასტიკი მოპყრობით აშინებდა. კირილა პეტროვიჩს სჯეროდა, რომ ქალიშვილს უყვარდა, მაგრამ ვერა და ვერ ახერხებდა მისი ნდობის მოხვეჭას. ქალიშვილი მიეჩვია მშობლისთვის თავისი გრძნობები და აზრები არ გაენდო, ვინაიდან დაბეჯითებით არასოდეს იცოდა, როგორ გამოეხმაურებოდა მამა მათ. არ ჰყავდა მეგობრები და გაიზარდა მარტოდმარტო. მეზობლების მეუღლეები და ქალიშვილები იშვიათად სტუმრობდნენ კირილა პეტროვიჩისას, რომლის ჩვეულებრივი სიტყვა-პასუხი და თავშექცევანი მამაკაცთა კრებულს საჭიროებდნენ და არა ქალებისას. ჩვენი პირიმზე იშვიათად გამოდიოდა კირილა პეტროვიჩისას მონადიმე სტუმრებთან. იგი იყო ბატონ-პატრონი მეტწილად XVIII საუკუნის ფრანგი მწერლების თხზულებათაგან შემდგარი ვეება ბიბლიოთეკისა. მამამისს, რომელსაც "ს რ უ ლ ქ მ ნ ი ლ ი მ ზ ა რ ე უ ლ ი ქ ა ლ ი ს" გარდა არაფერში არ ჩაეხედა, არ შეეძლო მისთვის წიგნები აერჩევინებინა. მაშამაც, ბუნებრივია, ათასგვარ თხზულებათა გადაქექვის შემდეგ, რომანები ირჩია. ამდაგვარად დაასრულა მან თავისი აღზრდა, ოდესღაც დაწყებული მამზელ მიმის ხელმძღვანელობით, მამზელ მიმისა, ვისაც კირილა პეტროვიჩი დიდად ენდობოდა და წყალობის თვალით უცქეროდა. ბოლოს კი იძულებული გახდა, ჩუმად გადაეყვანა სხვა მამულში, როცა მასთან მეგობრობის შედეგები ერთობ გასაჩინოვდა. სამაგიეროდ, მამზელ მიმის კირილა პეტროვიჩისას საკმაოდ სიამოვნებით იგონებდნენ. იგი გულმოწყალე ქალიშვილი იყო და არასდროს უკეთურად არ გამოუყენებია გავლენა, რასაც, ეტყობა, ტროეკუროვზე ახდენდა. ამით გამოირჩეოდა სხვა გულის მურაზთაგან, დღეს ერთი რომ ჰყავდა და ხვალ მეორე კირილა პეტროვიჩს. თვით ტროეკუროვს, როგორც ჩანდა, მამზელ მიმი სხვებზე უფრო მეტად ენიაზებოდა და ცხრა წლის ანცი შავთვალა ბიჭი, რომელიც m-lle მიმის სამხრეთელ ნაკვთებს მოაგონებდა კაცს, მისას იზრდებოდა და მის შვილად იყო მიჩნეული, თუმცაღა უამრავი ფეხშიშველა ბავშვი, კირილა პეტროვიჩის ასლი და ხატი, ბატონის ფანჯრების წინ დარბოდა და შინაყმები ერქვა. ტროეკუროვმა თავის პატარა საშას მოსკოვიდან ფრანგი მასწავლებელი გამოუწერა. მასწავლებელი ჩამოვიდა კიდეც პოკროვსკოეში, და ჩამოვიდა იმ მოვლენათა ჟამს, რომელთაც ჩვენ აღვწერთ ახლა.

მასწავლებელი ესე თვალში მოუვიდა კირილა პეტროვიჩს სასიამოვნო გარეგნობისა და უბრალო მოქცევის გამო. ფრანგმა წარუდგინა მოწმობები და წერილი მისი ერთ-ერთი ნათესავისა, ვისთანაც ოთხი წელი გუვერნიორად მუშაობდა. კირილა პეტროვიჩმა ყოველივე გადაათვალიერა და არ ეპიტნავა მხოლოდ ერთი რამ - თავისი ფრანგის სიახალგაზრდავე, არა იმიტომ, რომ ეს ნაკლი არ ესადაგებოდა მოთმინებასა და გამოცდილებას, ესოდენ საჭირო თვისებებს მასწავლებლის ბედკრული წოდებისას, კირილა პეტროვიჩს საკუთარი ეჭვის ჭია უღრღნიდა გულს და გადაწყვიტა, მასწავლებლისათვის მაშინვე გაეგებინებინა თავისი გუმანი. ამიტომ ბრძანა, მაშას მიხმეთო (კირილა პეტროვიჩი ფრანგულად არ ლაპარაკობდა და თარჯიმნის მაგივრობას მაშა უწევდა).
- მოდი აქ, მაშა: ამ მუსიეს უთხარი, ასე იყოს, გიღებ-თქო, ოღონდ ჩემს გოგოებს თვალების პრაწვა არ დაუწყოს, თორემ მაგ ძაღლიშვილს... გადაუთარგმნე, მაშა.
მაშას სახეზე ალმური აუვიდა და მასწავლებელს ფრანგულად უთხრა - მამაჩემს იმედი აქვს, რომ მოკრძალებულად და წესიერად მოიქცევითო.
ფრანგმა თავი დაუკრა და მიუგო, ვიმედოვნებ, პატივისცემა მოვიხვეჭო, მაშინაც კი, თუ კეთილი თვალით არ შემომხედავენო.
მაშამ მამას ზუსტად უთარგმნა მისი პასუხი.
- კარგი, კარგი, - თქვა კირილა პეტროვიჩმა. - მაგისთვის არც კეთილი თვალია საჭირო და არც პატივისცემა. მაგის საქმეა, საშას მოუაროს და გრამატიკა და გეოგრაფია ასწავლოს, გადაუთარგმნე.
მარია კირილოვნამ თარგმნის დროს მამის უხეში გამოთქმები შეამსუბუქა. შემდეგ კირილა პეტროვიჩმა თავისი ფრანგი ფლიგელში გაისტუმრა, სადაც მისთვის ოთახი ჰქონდა გამოყოფილი.
არისტოკრატული ცრურწმენით აღზრდილი მაშა სრულებით არ მოჰკიდებია გულისხმიერად ახალგაზრდა ფრანგს, მასწავლებელი მისთვის მსახურის ან მუშის ნაირსახეობა იყო, ხოლო მსახურს თუ მუშას მამაკაცად არ რაცხდა. ქალიშვილმა ვერც ის შთაბეჭდილება შეამჩნია, რაც თვითონ m-r დეფორჟზე მოახდინა, ვერც მისი შეცბუნება, ვერც თრთოლა, ვერც შეცვლილი ხმა. ამის შემდეგ ზედიზედ რამდენიმე დღე დეფორჟს საკმაოდ ხშირად ხვდებოდა და ყურადღებას მაინცდამაინც არ აქცევდა. მოულოდნელად მასზე სულ შეეცვალა შეხედულება.
კირილა პეტროვიჩისას, ჩვეულებრივ, იზრდებოდა ხოლმე რამდენიმე ბელი, პოკროვსკოელი მემამულის ერთ-ერთი მთავარი გამრთობნი. ბელები პატარაობისას ყოველდღე სასტუმროში დაჰყავდათ და კირილა პეტროვიჩი მთელი საათობით ერთ ამბავში იყო, კატებსა და ლეკვებზე აქსევდა მათ. მოზრდილები უკვე ჯაჭვით ჰყავდათ დაბმულნი და ნამდვილ მიქსევას ალოდინებდნენ. ხანდახან ისინი ბატონიანთ სახლის ფანჯრებთან გამოჰყავდათ და ლურსმნებჩარჭობილ ცარიელ ღვინის კასრს უგორებდნენ.

დათვი ყნოსავდა კასრს, შემდეგ ნელა ეხებოდა და თათებს იჩხვლეტდა. ამით გაავებული უფრო ღონივრად უბიძგებდა კასრს და ტკივილიც უფრო უმძაფრდებოდა. ამაზე ისე შმაგდებოდა, ცასა და მიწას აქცევდა, ღრიალით ტორავდა კასრს, ვიდრე საბრალო ცხოველს არ გამოაცლიდნენ ასე ტყუილ-უბრალოდ გამახელებელ ნივთს. ზოგჯერ საზიდარში აბამდნენ ორ დათვს. ზედ თავიანთი სურვილით თუ ძალისძალად სხამდნენ სტუმრებს და ცხოველებს თავის ნებაზე უშვებდნენ საძუნძულოდ. მაგრამ კირილა პეტროვიჩს უფრო სხვა ოინი ჰქონდა გამორჩეული.
ნაშიმშილევ დათვს ცარიელ ოთახში კედელში ჩახრახნილ რგოლზე თოკით აბამდნენ და კარს უკეტავდნენ. თოკი თითქმის მთელი ოთახის სიგრძეზე იყო, მხოლოდ მოპირდაპირე კუთხეში შეიძლებოდა გარიდებოდა კაცი საშინელ ნადირს. ოთახის კართან, ჩვეულებისამებრ, მოჰყავდათ ხოლმე ვინმე ახალბედა; რომ არ ელოდა, ისე, დათვს შეუგდებდნენ, კარს უკეტავდნენ და ბედშავ მსხვერპლს ბანჯგვლიან განდეგილს ატოვებდნენ. კალთაჩამოგლეჯილი და დაბრჭყალული საბრალო სტუმარი მალე პოულობდა უსაფრთხო კუთხეს, მაგრამ ხანდახან იძულებული ხდებოდა, მთელი სამი საათი კედელს მიკრული მდგარიყო და ეცქირა, გაშმაგებული ნადირი ორი ნაბიჯის დაშორებით როგორ ღმუოდა, ხტოდა, ყალყზე დგებოდა, მისკენ მიიტოტებოდა და ცდილობდა მისწვდომოდა. ასეთი გახლდათ რუსი ბატონის კეთილშობილური გართობანი!
გავიდა რამდენიმე დღე, რაც მასწავლებელი ჩამოვიდა. ტროეკუროვს გაახსენდა იგი და დააპირა დათვის ოთახში სეირი ეჩვენებინა. ამიტომაც ერთ დილას მოიხმო და ბნელი დერეფნები ატარა. უეცრად გვერდითა კარი გაიღო, ორმა მსახურმა ფრანგი შიგ შეაგდო და გასაღებით ჩაკეტა. მასწავლებელი გონს რომ მოვიდა, თვალი ჰკიდა დაბმულ დათვს. ნადირმა ბუბუნი ატეხა, თან შორიდან ყნოსავდა თავის სტუმარს. უცებ უკანა თათებზე აიყალყა და დაიძრა... ფრანგი არ შემცბარა, არ გაქცეულა, ელოდა, როდის დაესხმოდა ნადირი. დათვი ახლოვდებოდა, დეფორჟმა ჯიბიდან პატარა დამბაჩა ამოიღო, მშიერ ნადირს ყურში შეუყო და ესროლა. დათვი ძირს დაენარცხა. მოცვივდა ხალხი, გააღეს კარი, შემოვიდა თავისი ხუმრობით სახტად დარჩენილი კირილა პეტროვიჩი.
კირილა პეტროვიჩს ერთი სული ჰქონდა გაერკვია, წინასწარ ვინ შეატყობინა დეფორჟს, რომ ხუმრობას უწყობდნენ, ან რატომ ედო ჯიბეში გატენილი დამბაჩა. მან მსახური გაგზავნა მაშას მოსაყვანად. მაშამ მოირბინა და ფრანგს მამის კითხვები უთარგმნა.
- დათვისა არა მსმენია რა, - მიუგო დეფორჟმა, - მაგრამ დამბაჩები ყოველთვის დამაქვს, რადგან განზრახვა არა მაქვს, მოვითმინო შეურაცხყოფა, რომლის გულისთვის ჩემი წოდების წყალობით არ შემიძლია დუელში ვინმე გავიწვიო.
მაშა განცვიფრებული უყურებდა ფრანგს, მან უთარგმნა მამას მასწავლებლის სიტყვები, მაგრამ კირილა პეტროვიჩს პასუხად არა უთქვამს რა, ეს კია, ბრძანა, დათვი გამოეთრიათ და ტყავი გაეძროთ. შემდეგ თავის ყმებს მიმართა:

- ბიჭოს, რა ვაჟკაცი ყოფილა! არ შემდრკალა, ღმერთმანი, არ შემდრკალა!
იმ წუთიდან დეფორჟი შეიყვარა და აღარ უფიქრია, მისთვის კბილი გაესინჯა. მაგრამ ეს ამბავი უფრო გულში ჩაწვდა მარია კირილოვნას. ქალი გაოგნებული იყო: იგი ხედავდა უსულო დათვს და დეფორჟს, რომელიც ნადირს მშვიდად ადგა თავს და მშვიდად ელაპარაკებოდა თვით მას. დაინახა, რომ გულოვნება და გოროზი თავმოყვარეობა მარტო ერთი წოდების წილხვდომილი არ იყო, და იქიდან მოკიდებული ახალგაზრდა მასწავლებელს პატივისცემით ეკიდებოდა. ამ პატივისცემას კი თანდათანობით გულხმიერება ენივთებოდა. ქალ-ვაჟს შორის რაღაც ურთიერთობა დამკვიდრდა. მაშა მშვენიერი ხმისა და დიდი მუსიკალური ნიჭის პატრონი იყო და დეფორჟმა თავს იდო იგი ემეცადინებინა. აწ მკითხველი უკვე ადვილად მიხვდება, რომ მაშას მასწავლებელზე გული შეუვარდა, რასაც ჯერ საკუთარ თავსაც ვერ უმხელდა.

მეორე ტომი

მეცხრე თავი

დღესასწაულის წინა დღეს ტროეკუროვისას თანდათან გამოჩნდნენ სტუმრები. ზოგნი ბატონის სახლსა და ფლიგელებში იდებდნენ ბინას, სხვები - მოურავთან, მესამენი - მღვდელთან, მეოთხენი - შეძლებულ გლეხებთან. საჯინიბოები სავსე იყო სატალახო ცხენებით, ეზოები და ფარდულები ათასგვარ ეკიპაჟს ჩაეხერგა. დილის ცხრა საათზე წირვის ზარი ჩამოჰკრეს და ყველა ქვის ახალი ეკლესიისაკენ გაიბაწრა. ეს ეკლესია კირილა პეტროვიჩმა ააგო და ყოველწლიურად მშვენდებოდა მისი შეწირულებით. იმდენი პატივსადები ღვთისმლოცველი შემოკრბა, უბრალო გლეხები ეკლესიაში ვერ დაეტივნენ და კარიბჭესა და ეზოში იდგნენ. წირვა შეგვიანდა. ელოდნენ კირილა პეტროვიჩს. იგი ექვსცხენა ეტლით მობრძანდა და დიდის ამბით გაემართა თავისი ადგილისაკენ მარია კირილოვნასთან ერთად. კაცებმა და ქალებმა თვალი მარია კირილოვნას მიაცეცეს. კაცებს მისი სილამაზე ანცვიფრებდა, ქალებმა საგულდაგულოდ მოუჩხრიკეს მორთულობა. დაიწყო წირვა. ყრმა მგალობელნი კლიროსზე მუსიკობდნენ, კირილა პეტროვიჩი არც მარჯვნივ აპყრობდა მზერას, არც მარცხნივ, თვითონ ბანს ამბობდა, ლოცულობდა და, როცა დიაკონმა საჯაროდ მოიხსენია შ ე მ ო ქ მ ე დ ი ტ ა ძ რ ი ს ა ა მ ი ს ა, გოროზი

თვითნიერებით ლამის მიწას შეახო თავი.
დამთავრდა წირვა. კირილა პეტროვიჩი პირველი მივიდა ჯვართან და ყველა უკან მიჰყვა. შემდეგ მასთან რიდით მიდგნენ მეზობლები. მაშას ქალები შემოეჯარნენ. ეკლესიიდან გამოსვლისას კირილა პეტროვიჩმა სუყველა სადილზე მიიწვია, ეტლში ჩაჯდა და შინისაკენ გაემართა. სტუმრები უკლებლივ უკან გამოუდგნენ. ოთახებში ტევა აღარ იყო. წამდაუწუმ შემოდიოდნენ ახალ-ახალი სტუმრები და მასპინძლებამდე ძლივს აღწევდნენ. ბანოვანნი, ნაგვიანევ მოდაზე გამოწყობილნი, გაცვეთილი და ძვირფასი ტალავარით მოსილნი, სულ მარგალიტებსა და ბრილიანტებში ჩასმულნი, დარბაისლურ ნახევარწრედ დასხდნენ, კაცები ხიზილალასა და არაყთან იყრიდნენ თავს, ყაყანით კამათობდნენ, დარბაზში ოთხმოცკაციან სუფრას შლიდნენ. მსახურები ფაციფუცობდნენ, დგამდნენ ბოთლებსა და სურებს, მაგიდის გადასაფარებლებს ასწორებდნენ. ბოლოს მსახურთუფროსმა გამოაცხადა: სუფრა გაშლილიაო და კირილა პეტროვიჩი პირველი გაემართა მაგიდისაკენ. უკან მიჰყვნენ მანდილოსნები და უფროს-უმცროსობის მიხედვით თავ-თავიანთ ადგილებზე მედიდურად დასხდნენ. ქალიშვილები ბეკეკების მფრთხალ არვესავით შექუჩდნენ და ერთიმეორესთან აირჩიეს ადგილები. სუფრის ბოლოს მასწავლებელი დაჯდა პატარა საშას გვერდით.
მსახურებმა წოდებათა შესაბამისად დაიწყეს თეფშების ჩამორიგება. თუ რამე გაუგებრობა მოხდებოდა, ლაფატერის გამოცნობის ხერხს იყენებდნენ და თითქმის არასდროს ცდებოდნენ. თეფშებისა და კოვზების წკარაწკური სტუმრების ყაყანს შეერთო. კირილა პეტროვიჩი გულდალხენილი ავლებდა თვალს თავის ტრაპეზს და პურადი კაცის ბედნიერებით ნეტარებდა... ამ დროს ეზოში ექვსცხენა ეტლი შემოვიდა.
- ვინ არის? - იკითხა მასპინძელმა.
- ანტონ პაფნუტიჩი, - მიუგო რამდენიმე კაცმა. გაიღო კარი და ანტონ პაფნუტიჩ სპიცინი, ორმოცდაათი წლის ჩაგოდრებული, ღაბაბჩაფაშფაშებული, სახემრგვალი და ჩოფურა კაცი სასადილოში შემოებღეტა. იგი თავს აქნევდა, იღიმებოდა და უკვე მობოდიშებას ეპირებოდა...
- აქეთ დანა-ჩანგალი, - დაიყვირა კირილა პეტროვიჩმა, - გთხოვთ, ანტონ პაფნუტიჩ, დაბრძანდი და გვარქვი, რით ავხსნათ, რომ ჩემს წირვაზე არ იყავი და სადილზეც გვიან მოხვედი. ეგ არ შეგშვენის: ღვთისმოსავიცა ხარ და ჭამის მოყვარულიც.
- პირშავად ვარ თქვენთან, - მიუგო ანტონ პაფნუტიჩმა, თან ბორდოსფერი ხიფთანის საღილეში ხელსახოცი მიიბნია. - პირშავად ვარ, ძვირფასო კირილა პეტროვიჩ, წამოსვლა ვიადრე, მაგრამ ათი ვერსიც არ გამევლო, რომ უცებ წინა თვლის სალტე შუაზე გადამისკდა. რაღა მექნა? საბედნიეროდ, სოფელი ახლოს იყო. ვიდრე იქამდე მივჩანჩალდით, მჭედელი მოვნახეთ და ყველაფერი რის ვაი-ვაგლახით მოვაკეთილეთ, ზუსტად სამი საათი გავიდა. რაღას ვიზამდი, კისტენევკის ტყეზე გამავალი მოკლე გზით წამოსვლა ვერ გავბედე და შემოსავლელ გზას გამოვყევი...

- ეეე! - შეაწყვეტინა კირილა პეტროვიჩმა. - შენ, გეტყობა, გულდედალი ვინმე ყოფილხარ. რა შიში გჭამს, თუ იცი?
- რას ჰქვია, რა შიში მჭამს, ჩემო კირილა პეტროვიჩ, დუბროვსკი ვითომ არაფერია? ვთქვათ და კლანჭებში ჩავუვარდი, კაცად კაცი მოხერხებულია, შენდობით არავის შეუნდობს, მე კი ალბათ ტყავს გამაძრობს და ხორცსაც ზედ მიაყოლებს.
- მაინც რისთვინ დაგდებს, ძმობილო, ესოდენ პატივს?
- როგორ რისთვინ, ჩემო კირილა პეტროვიჩ? რისთვინ და განსვენებული ანდრეი გავრილოვიჩის დავისთვინა. განა თქვენდა სასიამოვნოდ, ანუ, სინდისისა და სამართლიანობის კვალად არ ვაჩვენე, რომ დუბროვსკები კისტენევკას სრულიად უკანონოდ და მხოლოდ თქვენი წყალობით ფლობენ? განსვენებულმაც (ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს) აღმითქვა, შენს ოხტში კი ამოვალ, მე რომ ვიცი, ისეო. შვილი, მე მგონია, მამამისის სიტყვას არ გადავა. აქამდე ღმერთი მპატიობდა, სულ ერთადერთი ბეღელი გამიცალეს, მაგრამ ვაითუ კარ-მიდამოსაც მოსწვდნენ.
- მოსწვდებიან და გატენილ-გაძიძგინებულიც დახვდებათ, - შენიშნა კირილა პეტროვიჩმა.
- წითელი ზარდახშა ალბათ გაჭედილი გაქვს...
- როგორ გეკადრებათ, ჩემო კირილა პეტროვიჩ, გაჭედილი იყო, მაგრამ ახლა სულ გამოფხეკილია!
- კარგი ერთი, ნუ ცრუპენტელობ, ანტონ პაფნუტიჩ, გიცნობთ, რა ხვითოც ბრძანდებით. ფულს არაფერზე ხარჯავ, ღორივითა ცხოვრობ, შენსას ფეხს არავის ადგმევინებ, გლეხებს სულით ხორცამდე ყვლეფ, აინუნში არაფერს აგდებ და აგროვებ, აბა.
- თქვენ სულ ხუმრობთ, ჩემო კირილა პეტროვიჩ, - ღიმილით წაიბლუკუნა ანტონ პაფნუტიჩმა, - ჩვენ კი, ღვთის მადლით, გავღატაკდით, - თქვა და მასპინძლის ბატონკაცური ხუმრობა ღვეზლის მსუყე ნაჭერს ჩააყოლა.
კირილა პეტროვიჩი ანტონ პაფნუტიჩს მოეშვა და სამაზრო პოლიციის ახალ უფროსს მიხედა. იგი პირველად იყო ტროეკუროვისას და მაგიდის ბოლოს, მასწავლებლის გვერდით იჯდა.
- რაო, თქვენ მაინც დაიჭერთ დუბროვსკის, ბატონო სამაზრო პოლიციის უფროსო? სამაზრო პოლიციის უფროსი დაფეთიანდა, თავი დახარა, გაიღიმა, აბლუკუნდა და ბოლოს თქვა:
- ვეცდებით, თქვენო აღმატებულებავ.
- ჰმ, ვეცდებით. დიდი, დიდი ხანია ცდილობენ, მაგრამ საშველი მაინც არაა. ისე, კაცმა რომ თქვას, რისთვის უნდა დაიჭირონ. დუბროვსკის ძარცვა-გლეჯა სამაზრო პოლიციის უფროსთათვის სამადლო საქმეა. მისვლა-მოსვლა, გამოძიებანი, საზიდრები, ფული კი ჩაიჯიბე, - ასეთ მადლისმყოფელს რად მოიშორებ? ხომ მართალია, ბატონო სამაზრო პოლიციის უფროსო?
- სწორი ბრძანებაა, თქვენო აღმატებულებავ, - მიუგო მთლიანად ნირწამხდარმა სამაზრო

პოლიციის უფროსმა.
სტუმრებმა გადაიხარხარეს.
- მიყვარს ვაჟკაცი გულწრფელობისთვის, - თქვა კირილა პეტროვიჩმა. - ისე კი, გული მწყდება განსვენებულ ჩვენს სამაზრო პოლიციის უფროსზე, ტარასი ალექსეევიჩზე. რომ არ დაეწვათ, ამ შემოგარენში უფრო სიმშვიდე იქნებოდა. მაინც რა ისმის დუბროვსკისა? სად ნახეს ბოლო ხანს?
- ჩემსას, კირილა პეტროვიჩ, - დაიწრიპინა მსუქანმა ქალმა. - წინა სამშაბათს ჩემთან ისადილა...
სტუმრები უკლებლივ მიაცქერდნენ ანა სავიშნა გლობოვას, საკმაოდ ქერქეტა ქვრივს, კეთილი და მხიარული ბუნების გამო ყველასათვის საყვარელ ქალს, და ცნობისწადილით მიაპყრეს ყური.
- უნდა გითხრათ, რომ სამი კვირის წინ მოურავი ფოსტაში გავგზავნე და ჩემი ვანიუშას ფული გავატანე. შვილს არ ველოლიავები, არც საიმისო საშუალება მაქვს, სურვილიც რომ მქონდეს; მაგრამ თვითონ მოგეხსენებათ, გვარდიის ოფიცერი წელგამართული უნდა იყოს და ვანიუშას, როგორც შემიძლია, ისე ვუნაწილებ მცირე შემოსავალს. ჰოდა, გავუგზავნე კიდეც ორი ათასი მანეთი, თუმცა დუბროვსკი ბევრჯერ მომაფიქრდა, გულში ვამბობდი: ქალაქი ორ ნაბიჯზეა, სულ შვიდ ვერსზე, ეგებ ღმერთმა გვიპატიოს-მეთქი. ვხედავ, საღამოს ჩემი მოურავი ფერწასული, სამოსდაფხრეწილი ქვეითად ბრუნდება. ვაი-ვიში აღმომხდა, რა იყო, რა დაგემართა-მეთქი? მოურავი მეუბნება: ჩემო ანა სავიშნა, ავაზაკებმა გამძარცვეს, კინაღამ გამათავეს, თვითონ დუბროვსკი იყო მათთან, უნდოდა ხეზე ჩამოვეკიდე, მაგრამ შევეცოდე და გამომიშვა, სამაგიეროდ, სულით ხორცამდე გამცალა - ცხენიც წამართვა და ფორანიცო. გული გამეყინა, მამაზეციერო, ჩემს ვანიუშას რა ეშველება-მეთქი? რა მექნა: მივწერე შვილს ბარათი, ყველაფერი ვუამბე და ცარიელი ლოცვა-კურთხევა შევუთვალე.
გავიდა ერთი კვირა, გავიდა მეორეც, უცებ ჩემს ეზოში ეტლი შემოდის. ვიღაც გენერალი ითხოვს, ნახვა მინდაო. მობრძანდით-მეთქი. შემოდის ოცდათხუთმეტი წლის შავგვრემანი, შავთმიანი, ულვაშ-წვეროსანი კაცი, კულნევის გამოცხადებული ხატება, მეცნობა, ვითარცა განსვენებული ქმრის ივან ანდრეევიჩის მეგობარი და თანამოსამსახურე, აქვე მივდიოდი და გულმა არ მომითმინა, არ შემომევლო მის ქვრივთან, როცა ვიცოდი, აქ ცხოვრობდაო. ვუმასპინძლე ღვთის მოცემულით, ვისაუბრეთ აქეთურზე, იქითურზე, ბოლოს დუბროვსკიზეც ჩამოვაგდეთ სიტყვა. ვუამბე ჩემი სადარდებელი. გენერალი მოიქუფრა. უცნაურიაო, - მითხრა მან, - მსმენია, დუბროვსკი ყველას კი არ ესხმის თავს, ცნობილ მდიდრებს, მაგრამ იმათაც სულით ხორცამდე როდი ძარცვავსო; მკვლელობას კი არავინ აბრალებს. აქ რაიმე ხრიკები ხომ არ იმალება, ერთი ბრძანეთ, თქვენს მოურავს დაუძახონო. წავიდნენ მოურავის დასაძახებლად. მოვიდა მოურავი, გენერლის დანახვაზე გაქვავდა. “ერთი მიამბე, ძმობილო, როგორ გაგძარცვა დუბროვსკიმ და როგორ უნდოდა

შენი ჩამოხრჩობა!” ჩემი მოურავი აცახცახდა და გენერალს მუხლებში ჩაუვარდა. ბატონო, ბრალი მიმიძღვის, ეშმაკი შემიძვრა, ვიცრუეო. “რაკი აგრეა, - მიუგო გენერალმა, კეთილინებე და მოუყევი ქალბატონს, როგორც მოხდა ყველაფერი, მე კი მოგისმენ”. მოურავი გონს ვერ მოდიოდა. “აბა, - განაგრძო გენერალმა, - ჩამოკაკლე, სად შეხვდი დუბროვსკის?” ორ ფიჭვთან, ბატონო, ორ ფიჭვთანო, “მერედა რა გითხრა?” - მკითხა, ვისი ხარ, სად მიდიხარ და რისთვისაო? “კარგი, შემდეგ?” - შემდეგ ფული და წერილი მომთხოვაო. “მერე?” - მივეცი ფული და წერილიო. “იმან კი რა ჰქნა? ჰა, რა ჰქნა?” - ბატონო, დამნაშავე ვარო. “ჰა, რაღა ქნა იმან?” - იმან ფული და წერილი უკანვე მომცა და მითხრა: შენი გზით გასწი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ეს ფოსტას ჩააბარეო. “მერე?” - ბატონო, დამნაშავე ვარო. “მე შენ მოგივლი, ძვირფასო, - რისხვით უთხრა გენერალმა, - თქვენ კი, ქალბატონო, ბრძანეთ, ამ გაიძვერას სკივრი გაჩხრიკონ, თვითონ ეგ კი მე გადმომეცით, ჭკუაზე მოვიყვან. იცოდეთ, დუბროვსკი თვითონ იყო გვარდიის ოფიცერი და ამხანაგს არ გაანაწყენებს”. მე ვხვდებოდი, ვინ იყო მისი აღმატებულება, რაღა უნდა მეთქვა. მეეტლეებმა მოურავი ეტლის კოფოზე მიაბეს, ფული ნახეს. გენერალმა ჩემსას ისადილა, მერე არ დაუხანებია, თან მოურავი გაიყოლა.
ჩემი მოურავი მეორე დღეს ტყეში იპოვეს, მუხაზე მიბმული და კუდის რიკამდე გაყვლეფილი.
ანა სავიშნას ყველა ჩუმად უსმენდა, განსაკუთრებით ქალიშვილები. ბევრი მათგანი დუბროვსკის გულში სიკეთეს უსურვებდა, რადგან მას რომანის გმირად სახავდნენ, განსაკუთრებით მარია კირილოვნა, მგზნებარე მეოცნებე, რადკლიფის იდუმალი შემაძრწუნებელი ამბებით გამსჭვალული.
- მერედა, შენი ჭკუით, ანა სავიშნა, შენსას თვით დუბროვსკი იყო? - ჰკითხა კირილა პეტროვიჩმა. - ძალიანაც შეგშლია. შენი სტუმარი ვინ იყო, ეგ არ ვიცი, მაგრამ დუბროვსკი არა და არ ყოფილა.
- როგორ, გეთაყვა, დუბროვსკი არ ყოფილაო, აბა ვინღა იყო, მაშ სხვა ვინ გავა გზაზე და დაუწყებს გამვლელებს გაჩერებას და გაჩხრეკას?
- არ ვიცი, მაგრამ დუბროვსკი ნამდვილად არა. მახსოვს, ბალღობისას როგორი იყო. არ ვიცი, თმა გაუშავდა თუ არა, მაშინ თმახუჭუჭა ქერა ბიჭუნა გახლდათ, ის კი უტყუარად ვიცი, რომ ხუთი წლით უფროსია ჩემს მაშაზე, და, მაშასადამე, არათუ ოცდათხუთმეტის, დაახლოებით, ოცდასამისაა.
- ნამდვილად ასეა, თქვენო აღმატებულებავ, - წარმოთქვა სამაზრო პოლიციის უფროსმა. - ჯიბეში ვლადიმირ დუბროვსკის ნიშნებიც კი მიდევს. იქ ზუსტადაა ნათქვამი, რომ ოცდასამი წლისაა.
- ხედავ! - თქვა კირილა პეტროვიჩმა. - ერთი წაიკითხეთ, ჩვენ კი მოგისმენთ, არ გვაწყენდა მისი ნიშნების ცოდნა, იქნებ თვალში მოგვხვდეს და მაშინ კი ვეღარ დაგვისხლტება.
სამაზრო პოლიციის უფროსმა ჯიბიდან საკმაოდ გათხუპნული ფურცელი ამოიღო,

ზვიადად გაშალა და გაბმულად დაიწყო კითხვა:
“ნიშნები ვლადიმირ დუბროვსკისა, შედგენილი მისი ყოფილი შინაყმების ნაამბობის მიხედვით.
ოცდასამი წლისაა, საშუალო ტ ა ნ ი ს, ს ა ხ ე ს უ ფ- თ ა, წ ვ ე რ ს ი პ ა რ ს ა ვ ს, თ ვ ა ლ ე ბ ი თაფლისფერი აქვს, თ მ ა - ქერა, ც ხ ვ ი რ ი - სწორი, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე- ბ უ ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი: ასეთი არ აღმოჩნდა”.
- მეტი არაფერი? - თქვა კირილა პეტროვიჩმა.
- მეტი არაფერი, - მიუგო სამაზრო პოლიციის უფროსმა, თან ქაღალდი დაკეცა.
- მოგილოცავ. ბატონო პოლიციის უფროსო, ქაღალდიც ეგ ყოფილა! ამ ნიშნების წყალობით დუბროვსკის პოვნა არ გაგიჭირდებათ. ვინღა არაა საშუალო ტანის, ვის აღარა აქვს ქერა თმა, სწორი ცხვირი და თაფლისფერი თვალები! სანაძლეოს ვდებ, სამი საათი გადაბმულად ელაპარაკები თვით დუბროვსკის და ვერ მიხვდები, ვის გადაგყარა ღმერთმა. თქმა არ უნდა, ჭკვათმყოფელი ხალხია ეს მოხელეები!
სამაზრო პოლიციის უფროსმა მორჩილად ჩაიდო ჯიბეში თავისი ქაღალდი და მდუმარედ შეუტია კომბოსტოიან ბატს. მსახურებმა ამასობაში უკვე რამდენჯერმე ჩამოუარეს სტუმრებს და სირჩები აუვსეს. მთისა და ციმლიანსკის ღვინით სავსე რამდენიმე ბოთლი უკვე ბათქაბუთქით იქნა გახსნილი და კეთილგანწყობით მიღებული შამპანურად. სტუმრებს სახეზე სიწითლე ედებოდათ, თანდათან უფრო ხმიერად, არეულ-დარეულად და ხალისიანად ლაპარაკობდნენ.
- არა, - განაგრძობდა კირილა პეტროვიჩი, - აწ განსვენებული ტარასი ალექსეევიჩისთანა პოლიციის უფროსი მეორე არაა! ყოჩაღი იყო, ბენტერა კი არა. დასანანია, რომ ვაჟკაცი კაცი დაწვეს, თორემ იმ ხროვის ვერც ერთი მონაწილე ვერ დაუსხლტებოდა. ყველას კაკალ-კაკალ მოიგდებდა ხელთ, თვითონ დუბროვსკიც ვერ გადაურჩებოდა და თავს ვერ გამოისყიდდა. ტარასი ალექსეევიჩი ფულს გამორთმევით კი გამოართმევდა, მაგრამ მაინც დაიჭერდა. ასეთი ზნისა იყო განსვენებული. რას იზამ, ეტყობა, მე უნდა მოვკიდო ხელი ამ საქმეს და ჩემი შინაყმებით შევუტიო ავაზაკებს. ჯერ ოც კაცს გავგზავნი და ისინი კიდევაც გაწმენდნენ ქურდების ტევრს. ჯაბანი ხალხი როდი მყავს, ყოველი მათგანი მარტო შეებმება დათვს, ავაზაკებს ზურგს არ აჩვენებენ.
- როგორ არის თქვენი დათვი, ჩემო კირილა პეტროვიჩ, - უთხრა ანტონ პაფნუტიჩმა, რომელსაც ტროეკუროვის ნათქვამმა თავისი ბანჯგვლიანი ნაცნობი და ის ზოგიერთი ხუმრობა გაახსენა, ოდესღაც რომ თვითონ ემსხვერპლა.
- მიშამ ფეხები ფშიკა, - მიუგო კირილა პეტროვიჩმა, - სახელოვნად დაეცა, მტერმა მოუღო ბოლო. აგერ მისი მძლეველი. - კირილა პეტროვიჩმა დეფორჟზე ანიშნა. - შენ ჩემს ფრანგზე უნდა ილოცო. მან მიშას სამაგიერო აზღვევინა ბოდიში და, შენი იმისთვის, გახსოვს?
- მახსოვს და მერე როგორ, - მიუგო ანტონ პაფნუტიჩმა, თან თავი მოიქექა. - ძალიანაც მახსოვს. ასე რომ, მიშა მიიცვალა. მებრალება მიშა, ღვთის მადლმა, მებრალება! რა ოხუნჯი

იყო! რა გონიერი! მაგეთ დათვს სანთლით ვერ იპოვი. მერედა, რატომ გაიმეტა მუსიემ? კირილა პეტროვიჩი მეტის კმაყოფილებით შეუდგა თავისი ფრანგის საგმირო საქმის თხრობას, რამეთუ ბრწყინვალე უნარი ჰქონდა თავი მოეწონებინა ყოველივეთი, რაც კი რამ გარს ერტყა. სტუმრები გულისყურით უსმენდნენ მიშას სიკვდილის ამბავს და გაკვირვებულნი დროდადრო თვალს ავლებდნენ დეფორჟს, რომელსაც ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ მის გულოვნობაზე ლაპარაკობდნენ, წყნარად იჯდა თავის ადგილას და ზნეობრივად მოძღვრავდა ანც მოწაფეს.
სადილმა სამ საათს გასტანა და ბოლოს დასრულდა. მასპინძელმა ხელსახოცი მაგიდაზე დადო, ყველა ადგა და გავიდა სასტუმროში, სადაც მათ ელოდა ყავა, კარტი და სმა, ესოდენ ბრწყინვალედ დაწყებული სასადილოში.

მეათე თავი

დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე ზოგ სტუმარს უნდოდა შინ წასულიყო, მაგრამ პუნშით გახალისებულმა მასპინძელმა ბრძანა, ჭიშკარი ჩაეკეტათ და გამოაცხადა, ხვალ დილამდე ეზოდან ფეხს არავის მოვაცვლევინებო. მალე დასჭექა მუსიკამ, განიხვნა დარბაზის კარნი და გაჩაღდა ბალი. მასპინძელი და მისი დაახლოებულნი პირნი კუთხეში ისხდნენ, ჭიქებს ზედიზედ ყლურწავდნენ და ახალგაზრდების მხიარულებას შეჰხაროდნენ. მოხუცი ბანოვანნი კარტს თამაშობდნენ. კავალრები, ისევე როგორც სუყველგან, სადაც კი ულანთა რომელიმე ბრიგადა არაა დაბანაკებული, ქალებზე ნაკლებნი გახლდათ და არც ერთი გამოსადეგი კაცი უქმად არ იყო. მასწავლებელი ყველასაგან განსხვავდებოდა, ყველაზე მეტს ცეკვავდა, ყველა ქალიშვილი ირჩევდა და ასკვნიდა, მასთან ძალზე ადვილია ვალსის ცეკვაო. ფრანგი რამდენჯერმე დაბზრიალდა მარია კირილოვნასთან ერთად, ქალიშვილები დამცინავად ადევნებდნენ თვალს. ბოლოს, ასე შუაღამისას, მასპინძელმა ცეკვები შეწყვიტა და ბრძანა, ვახშამი მიართვითო სტუმრებს, თვითონ კი დასაძინებლად გასწია.
რაკი კირილა პეტროვიჩი წავიდა, საზოგადოებამ უფრო თავისუფლად ამოისუნთქა და უფრო გამოცოცხლდა. კავალრებმა გაბედეს ქალების გვერდით მოეკალათებინათ. ქალიშვილები კისკისებდნენ და თავიანთ მეზობლებს ეჩურჩულებოდნენ. ქალები ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს მაგიდის ერთი კიდიდან მეორეში. კაცები სვამდნენ, კამათობდნენ და ხარხარებდნენ, ერთი სიტყვით, ვახშამზე უჩვეულო ხალისი

სუფევდა და მან ბევრი სასიამოვნო მოსაგონარი შესძინა სტუმრებს.
მარტოოდენ ერთი კაცი გამოთიშვოდა საერთო მხიარულებას - ანტონ პაფნუტიჩი მოქუშული და ხმაგაკმენდილი იჯდა თავის ადგილას, უგულისყუროდ ჭამდა და, ეტყობოდა, ძალზე შეშფოთებული იყო. ავაზაკებზე წამოჭრილი საუბრები წარმოსახვას უშფოთებდა. ჩვენ მალე ვნახავთ, რომ საკმაო მიზეზი მოეძევებოდა, მათი შიში ჰქონოდა. ანტონ პაფნუტიჩი არც ტყუილს ამბობდა არც ცოდვას სჩადიოდა, როცა ღმერთს იმოწმებდა, წითელი ზარდახშა გამოფხეკილი მაქვსო. წითელი ზარდახშა სწორედ რომ გამოცარიელებული ჰქონდა. ოდესღაც იქ დაუნჯებულმა ფულმა ჩახვში გადაინაცვლა და ამ ჩახვს პერანგქვეშ მკერდზე ჩამოკიდებულს დაატარებდა. მხოლოდ ასეთი სიფრთხილით იქარვებდა თავის უნდობლობას ყველას მიმართ და გამუდმებულ შიშს. რაკი იძულებული გახდა, სხვის სახლში გაეთენებინა, შეშინდა, სადმე განცალკევებულ ოთახში არ დამაწვინონ, სადაც ქურდები იოლად შემოვლენო, და თვალით საიმედო ამხანაგს ეძებდა. ბოლოს დეფორჟი გამოარჩია. ასეთი არჩევანი განაპირობა ფრანგის გარეგნობამ, რაიც მის ძალ-ღონეს საჩინოს ხდიდა, უფრო კი დათვთან გამოჩენილმა გულოვნობამ, დათვთან, რომელსაც საბრალო ანტონ პაფნუტიჩი ძრწოლის გარეშე ვერ იხსენებდა. როცა მაგიდიდან წამოიშალნენ, ანტონ პაფნუტიჩმა ახალგაზრდა ფრანგის სიახლოვეს დაიწყო წრიალი, დროგამოშვებით ყელში ახრიწინებდა და ახველებდა. ბოლოს თავისი ფიქრი გაუზიარა:
- ჰმ, ჰმ, ხომ არ შეიძლება, მუსიე, ღამე თქვენს სენაკში გავითიო, ვინაიდან, მოგეხსენებათ...
დეფორჟმა თავაზიანად დაუკრა თავი და ჰკითხა:
- Que desire monsier?*
- რა გჭირს, მუსიე, რომ რუსული ჯერ კიდევ არ გისწავლია. ჟე ვე, მუა, შე ვუ კუშე,გესმის?..
- Monsieur trés volontiers, - მიუგო დეფორჟმა, - veuillez donner des ordres en conséquence.**
ფრანგულ ენაში თავისი განსწავლულობით ძალზე კმაყოფილი ანტონ პაფნუტიჩი წავიდა, რათა მაშინვე დაეჭირა თადარიგი.
სტუმრები ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ და თითოეული მისთვის განკუთვნილ ოთახში მიდიოდა. ხოლო ანტონ პაფნუტიჩი მასწავლებელთან ერთად ფლიგელისაკენ გაემართა. ბნელოდა. დეფორჟი ფარნით ინათებდა გზას. ანტონ პაფნუტიჩი საკმაოდ გულმაგრად მიჰყვებოდა უკან და დროგამოშვებით მკერდზე იხუტებდა საიდუმლო ჩახვს, რათა ერწმუნა, რომ ფული ჯერ კიდევ თან ჰქონდა.
ფლიგელში მასწავლებელმა სანთელს მოუკიდა და ორივე შეუდგა სამოსის გახდას. ანტონ პაფნუტიჩი იხდიდა და თან ოთახში მიდი-მოდიოდა, ათვალიერებდა კლიტეებს, ფანჯრებს და თავს აკანტურებდა, რამეთუ დათვალიერება ნუგეშს ვერ უნერგავდა. კარი მარტო ურდულით იკეტებოდა, ფანჯრებსაც ორმაგი ჩარჩოები არ გააჩნდა. ის იყო სცადა, დეფორჟთან ამაზე სამდურავი ეთქვა, მაგრამ ესოდენ რთული ახსნა-განმარტებისთვის მისი ფრანგულის ცოდნა მეტისმეტად კნინი იყო. ფრანგმა ვერა გაუგო რა და ანტონ

პაფნუტიჩი იძულებული გახდა, წუწუნი შეეწყვიტა. მათი საწოლები ერთმანეთის მოპირდაპირედ იდგა, ორივე დაწვა და მასწავლებელმა სანთელი ჩააქრო.
- პურკუა ვუ ტუშე, პურკუა ვუ ტუშე,- იყვირა ანტონ პაფნუტიჩმა. მან რუსული ვ ა ქ რ ო ბ რის ვაი-ვაგლახით ფრანგულად აუღლა. - არ შემიძლია სიბნელეში დორმირ.დეფორჟმა მისი წამოძახილი ვერ გაიგო და ძილინებისა უსურვა.
- წყეული ურჯულო, - წაიბურტყუნა სპიცინმა და საბანი შემოიფუთნა. - რა სანთლის ჩაქრობა აუტყდა. მისთვის ხომ უარესია. მე უსინათლოდ ვერ ვიძინებ. - მუსიე, მუსიე, - განაგრძო მან, - ჟე ვე ავეკ ვუ პარლე.- მაგრამ ფრანგი არ ეპასუხებოდა და მალე ხვრინვა გააბა.
“ხვრინავს, გაიძვერა ფრანგი, - გაიფიქრა ანტონ პაფნუტიჩმა, - მე კი რული არ მეკარება, ერთიც ვნახოთ და ქურდები შემოვიდნენ ღია კარში, ან ფანჯარაში გადმოძვრნენ. ამ გაიძვერას ყურთან რომ ზარბაზანი დაუცალო, მაინც ვერ გააღვიძებ”.
- მუსიე! ჰეი, მუსიე! დაგლახვროს ეშმაკმა.
ანტონ პაფნუტიჩი გაყუჩდა. დაღლილობამ და ღვინომ ნელ-ნელა შიში განუქარვეს, რული მოეკიდა და მალე გულის ძილმა კისერი მოსწყვიტა.
ანტონ პაფნუტიჩს უცნაური გაღვიძება უმზადდებოდა. იგი ძილში გრძნობდა, რომ პერანგის საყელოზე ვიღაც ქაჩავდა. თვალი გაახილა და შემოდგომის დილის მკრთალ შუქზე დეფორჟი დაინახა. ფრანგს ცალ ხელში ჯიბის დამბაჩა ეჭირა, ხოლო მეორეთი სანუკვარ ჩახვს აცლიდა. ანტონ პანფუტიჩი გაქვავდა.
- კეს კე სე, მუსიე, კეს კე სე,- თქვა ხმააკანკალებულმა.
- ხმა, კრინტი, - მიუგო მასწავლებელმა წმინდა რუსულით. - ხმა, თორემ გაგათავებ. მე დუბროვსკი ვარ.

მეთეთრმეტე თავი

ახლა ნებართვას ვთხოვთ მკითხველს, ჩვენი მოთხრობის უკანასკნელი ამბები ავხსნათ მათი წინამორბედი გარემოებებით, რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ არა გვითქვამს რა.
* სადგურში, ჩვენ მიერ უკვე ხსენებული ზედამხედველის სახლში, კუთხეში იჯდა მგზავრი. მისი თვინიერების, მოთმინების გამომხატველი შესახედაობა მიუთითებდა, რომ მდაბიო ან უცხოელი იყო, ესე იგი, ადამიანი, რომელსაც საფოსტო გზაზე კრინტის დაძვრა არ შეეძლო. მისი ბრიჩკა ეზოში იდგა და თვლების გაპოხვას ელოდა. შიგ იდო პატარა

ჩემოდანი, მწირი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ პატრონი არცთუ შეძლებული ჰყავდა. მგზავრი არც ჩაის ითხოვდა, არც ყავას, ფანჯარაში იყურებოდა და უსტვენდა, რაც დიდ უკმაყოფილებას ჰგვრიდა ტიხარს იქით მჯდომ ზედამხედველის ცოლს.
- აჰანდე, ღმერთმა სტვენია გამოგვიგზავნა, - ამბობდა ხმადაბლა. - დახე, რას უსტვენს, მეხი კი დავაყარე ამ წყეულ ურჯულოს, ამას.
- მერე რაო? - მიუგო ზედამხედველმა, - რა ვუყოთ, რა, უსტვინოს თავისთვის.
- რა ვუყოთ? - შეესიტყვა გამწყრალი ცოლი. - კი მაგრამ, არ იცი, სტვენა რისი ნიშანია?
- რის ნიშანი, რა ნიშანიო? სტვენას რომ უფულობა მოაქვს? ერთი შენცა! პახომოვნა, გინდ უსტვინე, გინდა არა, ფული მაინც არ გვაშავია.
- სიდორიჩ, გაუშვი ერთი ეს კაცი. რა ძალა გადგას, რომ აჩერებ. მიეცი ცხენები და ეშმაკებთანაც წასულა.
- მოვიცადოთ, პახომოვნა, საჯინიბოში სულ სამი სამეულია. მეოთხე სამეული ისვენებს. ერთიც ვნახოთ და კარგი მგზავრები შემოგვესწრონ, არ მინდა კისერი მოვიტხო მაგ ფრანგის გამოისობით. სუ, აგე, კაცი ხსენებაზეო! მოქრიან, ეჰ-ეჰე, მერედა რა კისრისტეხით, გენერალია, ვითომ?
ეტლი პარმაღთან დადგა. კოფოდან მსახური ჩამოხტა, ეტლის კარი გააღო და ერთ წუთში სამხედრო მაზარით მოსილი თეთრქუდიანი ახალგაზრდა ზედამხედველთან შევიდა. ახალგაზრდას მსახური შემოჰყვა და შემოტანილი ზარდახშა ფანჯარაზე დადო.
- ცხენები, - მბრძანებლურად თქვა ოფიცერმა.
- ახლავე, - მიუგო ზედამხედველმა, - თქვენი სამგზავრო მოწმობა გვიბოძეთ.
- სამგზავრო მოწმობა არა მაქვს. სხვა მხარეს მივდივარ... ვერა მცნობ თუ?
ზედამხედველი დაფაცურდა და მეეტლების დასაშურებლად გავარდა. ახალგაზრდა ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, ტიხარს იქით გავიდა და ზედამხედველის ცოლს ხმადაბლა ჰკითხა - ეს მგზავრი ვინ არისო.
- ღმერთმა არ იცის მაგისი თავი, - მიუგო ზედამხედველის მეუღლემ. - ვიღაც ფრანგია. ხუთი საათია უკვე ცხენებს უცდის და უსტვენს. გული გამიწყალა ამ შეჩვენებულმა. ახალგაზრდა ფრანგულად შეეხმიანა ფრანგს.
- საით მიბრძანდებით? - ჰკითხმა მას.
- მახლობელ ქალაქში, - მიუგო ფრანგმა. - იქიდან ერთ მემამულესთან წავალ. მასწავლებლად ამიყვანა ისე, რომ არც ვუნახივარ. ვფიქრობდი, დღეს ადგილზე ვიქნები- მეთქი, მაგრამ ბატონი ზედამხედველი, მგონი, სხვანაირად სჯის. ამ მხარეში ძნელი ყოფილა ცხენების შოვნა, ბატონო ოფიცერო.
- კი მაგრამ, რომელ მემამულესთან გამწესდით? - ჰკითხა ოფიცერმა.
- ბატონ ტროეკუროვთან, - მიუგო ფრანგმა.
- ტროეკუროვთან? ვინ ტროეკუროვია ეს?
- Ma foi, monsieur***...მასზე კარგი მაინცდამაინც არა მსმენია. ამბობენ, ერთი გოროზი და

აჯამი ბატონიაო, შინაყმებს უწყალოდ ექცევაო, ვერვინ ვერ ეთვისებაო, მაგისი სახელის გაგონებაზე ყველა ცახცახებსო, მასწავლებლებს (avec les outchitels) არ ეთავპატიჟება და ორი უკვე ისე გაწკეპლა, სიკვდილის პირას მიიყვანაო.
- რას ბრძანებთ? მერედა, რა გულმა მოგცათ, ასეთ გველეშაპთან გამწესებულიყავით?
- სხვა რა ჩარა იყო, ბატონო ოფიცერო, ხელფასს კარგს მთავაზობს, სამი ათას მანეთს წელიწადში და სხვა ყოველივეს მზამზარეულს. კაცი მოხუცებული დედის პატრონი ვარ, ნახევარ ხელფასს იმას გავუგზავნი თავის შესანახად, დანარჩენით ხუთ წელიწადში შემიძლია მცირე თანხა მოვაქუჩო. ეგ საკმარისი იქნება, მომავალში დამოუკიდებლობა მოვიპოვო. მაშინ კი bonsoir, გავსწევ პარიზს და კომერციულ საქმეს დავუტრიალდები.
- ტროეკუროვისას თუ გიცნობთ ვინმე? - ჰკითხა ახალგაზრდამ.
- არავინ, - მიუგო მასწავლებელმა. - ტროეკუროვმა ერთი თავისი მეგობრის მეშვეობით დამიბარა მოსკოვიდან. მე კი რეკომენდაცია ამ მეგობრის მზარეულმა, ჩემმა თანამემამულემ მომცა. უნდა მოგახსენოთ, რომ მეშაქარლამეობას ვაპირებდი და არა მასწავლებლობას, მაგრამ მითხრეს, რომ თქვენს ქვეყანაში მასწავლებლის წოდება გაცილებით ხელსაყრელი ყოფილა...
ოფიცერი დაფიქრდა.
- მისმინეთ, - ლაპარაკი შეაწყვეტინა ფრანგს, - რა იქნებოდა, რომ ამ მომავლის სანაცვლოდ თქვენთვის ათი ათასი ნაღდი ფული შემოეძლიათ და ახლავე უკან, პარიზს წასულიყავით?
ფრანგმა გაკვირვებით შეხედა ოფიცერს, გაიღიმა და თავი გადააქნია.
შემოვიდა ზედამხედველი და განაცხადა:
- ცხენები მზადაა.
მსახურმაც დაადასტურა მისი ნათქვამი.
- ახლავე, - მიუგო მათ ოფიცერმა, - ერთი წუთით გარეთ გადით. - ზედამხედველი და მსახური გავიდნენ. - მე არ გეხუმრებით, - ფრანგულად განაგრძო ოფიცერმა, - შემიძლია ათი ათასი მოგართვათ, ოღონდ აქედან უნდა წახვიდეთ და თქვენი ქაღალდები მომცეთ.
ამის თქმისთანავე ოფიცერმა ზარდახშა გახსნა და ასიგნაციების რამდენიმე დასტა ამოიღო.
ფრანგმა თვალები გადმოკარკლა. აღარ იცოდა, რა ეფიქრა.
- წავიდე... ჩემი ქაღალდები... - იმეორებდა სახტად დარჩენილი. - აგერ ჩემი საბუთები... მაგრამ თქვენ ხუმრობთ, რისთვის გჭირდებათ ჩემი ქაღალდები?
- თქვენ ამასთან არა გესაქმებათ რა. მე გეკითხებით, ყაბულსა ხართ თუ არა?
ფრანგი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. მან ახალგაზრდა ოფიცერს თავისი ქაღალდები გაუწოდა, ოფიცერმა კი ისინი სასწრაფოდ გადაათვალიერა.
- თქვენი პაშპორტი... კარგია. სარეკომენდაციო წერილი, ვნახოთ. დაბადების მოწმობა, დიდებულია. მაშ, აჰა, თქვენ თქვენი ფული და უკან გასწით. მშვიდობით.
ფრანგი სარგადაყლაპულივით იდგა.

ოფიცერი მობრუნდა.
- ლამის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ გადამვარდა გონებიდან: კაცური სიტყვა მომეცით, რომ ეს ყველაფერი ჩვენ შორის დარჩება, მომეცით კაცური სიტყვა!
- მომიცია კაცური სიტყვა, - მიუგო ფრანგმა, - მაგრამ ჩემს ქაღალდებს რა ვუყო, რა ვქნა უიმათოდ?
- პირველივე ქალაქში გააცხადეთ, დუბროვსკიმ გამძარცვა-თქო. გერწმუნებიან და საჭირო მოწმობებს მოგცემენ. მშვიდობით, ღმერთმა მალე ჩაგიყვანოთ პარიზს და დედა საღსალამათად განახოთ.
დუბროვსკი ოთახიდან გავიდა, ეტლში ჩაჯდა და გააქანა.
ზედამხედველი ფანჯარაში იყურებოდა და, როცა ეტლი წავიდა, ცოლს შეუძახა:
- პახომოვნა, იცი რა? ეს ხომ დუბროვსკი იყო.
ქალი ფაცხაფუცხით ეცა ფანჯარას, მაგრამ დააგვიანდა, დუბროვსკი უკვე შორს იყო. ამიტომ ქმარს მოსდგა და მოსდგა:
- ღმერთის შიში არა გაქვს, სიდორიჩ, რატომ ადრე არ გამაგებინე ეს ამბავი, თვალს შევავლებდი მაინც, ახლა კი ელოდე მის შემოვლას, ნამუსგარეცხილი ხან შენ, სწორედ ნამუსგარეცხილი!
ფრანგი გაქვავებული იდგა. ოფიცერთან საქმის გარიგება, ფული - ყოველივე სიზმრად ეჩვენებოდა, მაგრამ ასიგნაციების დასტები ჯიბეში ეწყო და საჩინოდ უდასტურებდა, რომ ეს გასაოცარი ამბავი სინამდვილე იყო.
ფრანგმა გადაწყვიტა, ქალაქამდე ცხენები ექირავა. მეეტლემ იგი ტაატით ატარა და დაღამებულზე მიაჩანჩალა ქალაქში.
ჯერ საგუშაგომდე არ იყვნენ მისულნი, სადაც გუშაგის ნაცვლად მომზღვლეული ჯიხური იდგა, რომ ფრანგმა მეეტლე შეაჩერა, ძირს გადმოძვრა, მას მიანიშნ-მოანიშნა, ბრიჩკა და ჩემოდანი შენთვის საარყედ მიწყალობებიაო, და ფეხით გაუყვა გზას. მეეტლე ისევე გააოგნა ფრანგის ხელგაშლილობამ, როგორც თვით ფრანგი დუბროვსკის წინადადებამ, მაგრამ აქედან დაასკვნა, გერმანელმა შეუპრიტინაო, მას საგულდაგულოდ თავის დაკვრით მადლი მოახსენა, გადაწყვიტა ქალაქში არ შესულიყო და ერთი სამიკიტნოსაკენ გაემართა, რომლის პატრონიც მისი კარგი ნაცნობი იყო. მეეტლემ მთელი ღამე სამიკიტნოში გაატარა, მეორე დღეს დილით კი სახედაფიჟვინებული და თვალებდაწითლებული უბრიჩკოდ და უჩემოდნოდ სამცხენათი გაემართა შინ.
დუბროვსკიმ ფრანგის ქაღალდები რომ ხელთ იგდო, თამამად გამოცხადდა, როგორც უკვე ვნახეთ, ტროეკუროვთან და მისას დაიდო ბინა. რა იდუმალი ზრახვებიც უნდა ჰქონოდა (მათ ჩვენ შემდგომ გავეცნობით), საძრახისი არა გაუკეთებია რა. მართალია, პატარა საშას აღზრდაზე ნაკლებ იტკიებდა თავს, მის ნებაზე ჰყავდა მიშვებული და მკაცრად არ სჯიდა გაკვეთილებისათვის, რომლებსაც სასხვათაშორისოდ უტარებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთობ გულდაგულ ადევნებდა თვალყურს თავისი მოწაფე ქალის მუსიკალურ

წარმატებებს და ხშირად მთელი საათობით მასთან ერთად უჯდა ფორტეპიანოს. ყველას უყვარდა ახალგაზრდა მასწავლებელი - კირილა პეტროვიჩს იმიტომ, რომ ნადირობისას ვაჟკაცურ სიმკვირცხლეს იჩენდა, მარია კირილოვნას იმიტომ, რომ უსაზომო მუყაითობასა და კრძალულ ყურადღებიანობას ავლენდა, საშას იმიტომ, რომ მის ცელქობას მოწყალედ ეკიდებოდა, შინაყმებს იმიტომ, რომ გულკეთილად ეპყრობოდა და გულუხვი იყო მათთან, რაც ეტყობოდა, მის შეძლებას არ ესადაგებოდა. თვითონ თითქოსდა მთელ სახლეულს გახლდათ შეთვისებული და თავს უკვე მის წევრად რაცხდა.
ერთი თვე იქნებოდა გასული დუბროვსკის მასწავლებლად დადგომიდან იმ ღირსშესანიშნავ დღესასწაულამდე და არავის ფიქრად არ მოსდიოდა, რომ მოკრძალებული ფრანგი ჭაბუკი შენიღბული მრისხანე ყაჩაღი იყო, ვისი სახელიც ძრწოლას ჰგვრიდა გარემომდებარე მამულთა ყველა მფლობელს. მთელი ეს ხანი დუბროვსკი პოკროვსკოეს არ გასცილებია, მაგრამ სოფლის მცხოვრებთა გამჭრიახი წარმოსახვის წყალობით მითქმა-მოთქმა მის ძარცვა-გლეჯაზე არ წყდებოდა. თუმცა ისიც საფიქრებელია, რომ ყაჩაღთა გუნდი მეთაურის წამოსვლის შემდეგაც არ ისვენებდა. დუბროვსკი რომ ღამეს იმ კაცთან ერთად ათევდა, ვინც შეიძლება პირად მტრად და თავისი სიბედშავის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიეჩნია, ცთუნებას ვერ გაუძლო. მან იცოდა ჩახვის ამბავი და გადაწყვიტა ხელთ ეგდო იგი. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ გააოგნა საბრალო ანტონ პაფნუტიჩი, როცა ანაზდეულად ავაზაკად გარდაისახა.
პოკროვსკოეში ღამენათევი სტუმრები დილის ცხრა საათზე ერთიერთმანეთს შემოჰყვნენ სასტუმროში, სადაც უკვე სამოვარი თუხთუხებდა. დილის კაბით მოსილი მარია კირილოვნა სამოვართან იჯდა, ხოლო კირილა პეტროვიჩი სარეცხი ჯამისმაგვარი თავისი ვეება ფინჯნით ჩაის შეექცეოდა. მასპინძელს ფლოსტები და თივთიკის სერთუკი ეცვა. ანტონ პაფნუტიჩი ყველაზე ბოლოს შემოვიდა. ისე გაფითრებული იყო და ისე გუნებაწამხდარი, ყველა განცვიფრდა. კირილა პეტროვიჩმა მოიკითხა კიდეც - როგორ ხარო. სპიცინი პასუხად რაღაცას მიედ-მოედებოდა და ძრწოლით აყოლებდა თვალს მასწავლებელს, რომელიც ისე იჯდა იქვე, ვითომც არაფერი მომხდარიყო. გავიდა რამდენიმე წუთი. სპიცინს მსახური გამოეცხადა და აუწყა, ეტლი მზად გახლავთო. ანტონ პაფნუტიჩი სწრაფად გამოემშვიდობა ხალხს, მასპინძლის შეგონების მიუხედავად, საჩქაროდ გამოვიდა ოთახიდან და მაშინვე შინისაკენ გასწია. ვერავინ იაზრა, რა დაემართა, კირილა პეტროვიჩმა კი გადაწყვიტა ნამეტანი ამოიყორაო. ჩაისა და გამოსამშვიდობებელი საუზმის შემდეგ ნელ-ნელა სხვა სტუმრებიც გაუყვნენ შინის გზას. მალე პოკროვსკოედან ხალხი გაიკრიფა და ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა.

მეთორმეტე თავი

გავიდა რამდენიმე დღე და მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. პოკროვსკოელნი ერთფეროვნად ცხოვრობდნენ. კირილა პეტროვიჩი ყოველდღე გადიოდა სანადიროდ. მარია კირილოვნა კითხვით, სეირნობით და მუსიკის გაკვეთილებით იყოლიებდა თავს. განსაკუთრებით მუსიკის გაკვეთილებით. ქალიშვილი თანდათან უგებდა საკუთარ გულს და უნებლიე შეჭირვებით აღიარებდა, რომ ახალგაზრდა ფრანგის ღირსებებს თბილად ეკიდებოდა. მასწავლებელი, თავის მხრივ, რიდსა და მკაცრი წესიერების საზღვრებს იცავდა და ამით აურვებდა ქალის სიამაყეს და შიშნეულ ეჭვებს. მარია კირილოვნა მეტი და მეტი ნდობით დაჰყვა თავის წარმტაც ჩვევას. როცა დეფორჟი გვერდით არ ჰყავდა, მოწყენილი იყო, როცა ჰყავდა, ყოველივეზე და ყოველთვის ეთანხმებოდა. მარია კირილოვნას შესაძლოა ჯერ კიდევ არ მოსდებოდა სიყვარულის სახმილი, მაგრამ პირველივე შემთხვევით დაბრკოლებაზე ან ბედის ანაზდეულ სიავეზე სახმილი იგი გულში უნდა აბრიალებოდა.
ერთხელ მარია კირილოვნა შევიდა დარბაზში, სადაც მასწავლებელი ელოდა და განცვიფრებულმა შეამჩნია, რომ დეფორჟს ფერმიხდილი სახე შეცბუნებოდა. ქალიშვილმა ფორტეპიანოს თავი ახადა, რამდენიმე ნოტი იმღერა, მაგრამ დუბროვსკიმ თავის ტკივილის საბაბით მოუბოდიშა, გაკვეთილი შეაწყვეტინა და ნოტების დახურვისას ჩუმად გადასცა ბარათი. მარია კირილოვნამ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, ბარათი გამოართვა და მაშინვე ინანა, მაგრამ დუბროვსკი უკვე დარბაზიდან გასულიყო. მარია კირილოვნა თავის ოთახისკენ გაემართა, ბარათი გაშალა და წაიკითხა:

“დღეს შვიდ საათზე ღელესთან ფანჩატურში იყავით, უსათუოდ უნდა გელაპარაკოთ”. მარია კირილოვნა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. იგი კარგა ხანია ელოდა გულის გადმოშლას, ეწადა ეს, ოღონდ აფრთხობდა. სიამოვნებას მიანიჭებდა იმის დადასტურება, რასაც თავად ხვდებოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ სათაკილო იქნებოდა გულის ნადები მოესმინა კაცისა, რომელსაც თავისი წოდების კვალობაზე არ შიძლება იმედი ჰქონოდა ოდესმე მისი შერთვისა. მარია კირილოვნამ გადაწყვიტა, დეფორჟს შეხვედროდა, მაგრამ ერთი რამის გამო ყოყმანობდა: როგორ მოეკიდებოდა მასწავლებლის მიერ გულისნადების გამჟღავნებას, დიდკაცურად აღშფოთდებოდა, მეგობრობაზე დაუწყებდა რჩევა-დარიგებას, მხიარულ ხუმრობას მოჰყვებოდა თუ მდუმარედ თანაუგრძნობდა? ამავე დროს წამდაუწუმ საათს დაჰყურებდა, ჩამოდგა მწუხრი, შემოიტანეს სანთლები, კირილა პეტროვიჩი სტუმრად მოსულ მეზობლებთან ბოსტონის სათამაშოდ დაჯდა. დარეკა სასადილოს საათმა - შვიდს თხუთმეტი აკლდა. მარია კირილოვნა ჩუმად გავიდა

პარმაღზე, მიიხედ-მოიხედა და ბაღში გაიქცა.
ბნელოდა. ცას ღრუბლები გადაკვროდა და თვალში თითს ვერ მიიტანდით, მაგრამ მარია კირილოვნა ნაცნობ ბილიკებს მიჰყვებოდა და ერთ წუთში გაჩნდა ფანჩატურთან. იგი შედგა, რათა სული მოეთქვა და დეფორჟს გულგრილი და მშვიდი იერით წარსდგომოდა, მაგრამ დეფორჟი უკვე წინ ედგა.
- გმადლობთ, რომ თხოვნა შემისრულეთ, - უხრა მასწავლებელმა წყნარად და სევდიანად. - სულიერად დავეცემოდი, რომ ამაზე უარი გეთქვათ.
მარია კირილოვნამ წინასწარ მოფიქრებული ფრაზა შეაგება:
- ვიმედოვნებ, არ მაიძულებთ, სანანებლად გამიხდეს ჩემი გულმოწყალება.
დეფორჟი ხმას არ იღებდა. გეგონებოდათ, ძალას იკრებსო.
- გარემოებანი ითხოვენ... მე უნდა განგშორდეთ, - ამოღერღა ბოლოს. - შესაძლოა მალე ყური მოჰკრათ... მაგრამ განშორების წინ მე თვითონ უნდა აგიხსნათ...
მარია კირილოვნა პასუხს არ აძლევდა. ეს სიტყვები ხვაშიადის გამხელის წინათქმად მიაჩნდა.
დეფორჟმა თავი დახარა და განაგრძო:
- მე ის არა ვარ, თქვენ რომ გგონივართ. მე დუბროვსკი გახლავართ და არა ფრანგი დეფორჟი.
მარია კირილოვნამ წამოიკივლა.
- თუ ღმერთი გწამთ, ნუ გეშინიათ, თქვენ ჩემი სახელი არ უნდა გაფრთხობდეთ. დიახ, მე, ის ბედკრული ვარ, მამათქვენმა რომ ლუკმაპური დააკარგვინა, მამეული სახლიდან გააგდო და შარაგზებზე თარეში დააწყებინა, მაგრამ თქვენ ჩემი არ უნდა გეშინოდეთ, არც საკუთარი თავის, არც მამის გამოისობით. ყველაფერი დასრულდა. მე მას შევუნდე, მისმინეთ: მამათქვენი თქვენ იხსენით. ჩემი პირველი სისხლიანი გმირობის კევრი მამათქვენის თავზე უნდა დატრიალებულიყო. მე მისი სახლის ახლომახლო დავაბიჯებდი, ვინიშნავდი, სად უნდა ავარდნილიყო ხანძრის ალი, საიდან მოვხვედრილიყავი მის საწოლ ოთახში, როგორ მომეჭრა მისთვის გაქცევის ყველა გზა, მაგრამ ამ დროს ციურ ზმანებასავით ჩამიარეთ გვერდით და გული ჩემი დაცხრა, მივხვდი, რომ სახლი, საცხოვრისი თქვენი წმიდათა წმიდაა, რომ თქვენთან სისხლ-ხორცეულად დაკავშირებულ არც ერთ არსებას ჩემი რისხვა არ უნდა დასტყდომოდა. სამაგიეროს გადახდა სიგიჟედ მივიჩნიე და მასზე უარი ვთქვი. მთელი დღეები პოკროვსკოეს ბაღების სიახლოვეს დავეხეტებოდი, იქნებ შორიდან თეთრი კაბა დავლანდო-მეთქი, როცა თქვენ დასეირნობდით და სიფრთხილეს აინუნში არ აგდებდით, კვალდაკვალ დაგყვებოდით, ბუჩქიდან ბუჩქისკენ მივიპარებოდი და ბედნიერებას მანიჭებდა ის აზრი, რომ გიცავ, რომ საფრთხე არ გელით იქ, სადაც მე უჩინრად ვარ. ბოლოს, შემთხვევის წყალობით, თქვენს სახლში დავიდე ბინა. ამ სამ კვირას ბედნიერების დღეებად ვრაცხ - მათი გახსენება სიხარულად წაადგება ნაღვლიან ცხოვრებას ჩემსას... დღეს ერთი ამბავი მაცნობეს და აქ

ჩემი დარჩენა არ ეგების. განგშორდებით დღეს... ახლავე... მაგრამ წასვლამდე გული უნდა გადმომეშალა, რომ არ შეგერისხეთ, რომ არ შეგძულებოდით. ხანდახან იფიქრეთ დუბროვსკიზე. იცოდეთ, რომ სხვა რამ იყო მისი მოწოდება, რომ სულს მისას შეეძლო თქვენი სიყვარული, რომ არასდროს...
ამ დროს ხმადაბლა სტვენა გაისმა და დუბროვსკი გაჩუმდა. იგი მარია კირილოვნას ხელს დასწვდა და ცეცხლმოდებულ ტუჩებზე მიიკრა. ისევ გაისმა სტვენა.
- უკაცრავად, - უთხრა დუბროვსკიმ მაშას, - მიხმობენ, ერთ წუთს შეუძლია ბოლო მომიღოს.
დუბროვსკი წავიდა. მარია კირილოვნა არ იძროდა. მალე დუბროვსკი მობრუნდა, კვლავ ხელზე მოჰკიდა ხელი და ნაზი, გულში ჩამწვდომი ხმით უთხრა:
- თუ ოდესმე, თუ ოდესმე უბედურება დაგატყდებათ თავს და არავისგან მოელოდებით არც შველას, არც გამოქომაგებას, პირობას მომცემთ, რომ მომმართავთ მე, მომთხოვთ ყვლაფერს თქვენს დასახსნელად, პირობას მომცემთ, რომ ზურგს არ აქცევთ თქვენდამი ჩემს ერთგულებას?
მარია კირილოვნა უხმოდ ტიროდა. მესამეჯერ გაისმა სტვენა.
- თქვენ მე მღუპავთ! - დაიყვირა დუბროვსკიმ. - მანამ არ დაგტოვებთ სანამ არ მიპასუხებთ, პირობას მაძლევთ თუ არა.
- გაძლევთ! - წაიჩურჩულა საბრალო მზეთუნახავმა.
ამ პაემანით გულაფორიაქებული მარია კირილოვნა ბაღიდან ბრუნდებოდა. მოეჩვენა, თითქოს მთელი შინაყმობა გარბი-გამორბოდა, სახლს ფეხი აედგა, ეზოში ქვეყნის ხალხი ზიმზიმებდა, პარმაღთან სამცხენა იდგა, შორიდან კირილა პეტროვიჩის ხმა შემოესმა და სახლში შესვლას დაეშურა, ეშინოდა, არ შეემჩნიათ, რომ იქ არ იყო. დარბაზში კირილა პეტროვიჩი შემოხვდა, ჩვენს ნაცნობ სამაზრო პოლიციის უფროსს გარს სტუმრები შემორტყმოდნენ და კითხვებით არ ასვენებედნენ. კბილებამდე შეიარაღებული, სამგზავროდ გამოწყობილი პოლიციის უფროსი მათ ისე უპასუხებდა, სახეზე იდუმალება, აფორიაქება ეხატა.
- სად იყავი, მაშა? - ჰკითხა კირილა პეტროვიჩმა ქალიშვილს, - დეფორჟი ხომ არ შეგხვედრია?
მაშამ ძლივს ამოღერღა - არ შემხვედრიაო.
- შენ წარმოიდგინე, - განაგრძო კირილა პეტროვიჩმა, - სამაზრო პოლიციის უფროსი მის დასაჭერად ჩამოვიდა და მარწმუნებს, დუბროვსკიაო.
- ყველა ნიშანი მიუთითებს, - თქვენო აღმატებულებავ, - მოწიწებით უთხრა სამაზრო პოლიციის უფროსმა.
- ეჰე, ძმობილო, - მიუგო კირილა პეტროვიჩმა, - დამეკარგე აქედან შენი ნიშნებიანად, და იცი სად? ჩემს ფრანგს მანამ არ მოგცემ, სანამ თვითონ არ გამოვარკვევ საქმეს. როგორ უნდა ერწმუნო ანტონ პაფნუტიჩის სიტყვას, ამ მშიშარა და მატყუარა კაცისას: მაგას ეზმანა,

თითქოს მასწავლებელს უნდოდა გაეძარცვა. რატომ იმავე დილას სიტყვაც არ მითხრა მე?
- ფრანგმა დააშინა, თქვენო აღმატებულებავ, - მიუგო პოლიციის უფროსმა. - და ფიცი ჩამოართვა, კრინტი არ დაეძრა...
- მიჰქარავ, - გადაწყვიტა კირილა პეტროვიჩმა. - ახლავე ყველაფერს კაკალ-კაკალ გამოვარკვევ. სადღაა მასწავლებელი? - ჰკითხა შემოსულ მსახურს.
- ვერსად იპოვეს, ბატონო ჩემო, - მიუგო მსახურმა.
- ადგნენ და მონახონ, - დაიყვირა ტროეკუროვმა, მას უკვე ეჭვი სძალავდა. - ერთი მიჩვენე შენი სანაქებო ნიშნები, - უთხრა სამაზრო პოლიციის უფროსს. იმანაც მაშინვე გაუწოდა ქაღალდი: - ჰმ, ჰმ, ოცდასამი წლისა... ეს ასეა, მაგრამ ჯერ კიდევ არაფერს ადასტურებს. მასწავლებელი?
- ვერ იპოვეს, ბატონო ჩემო, - უპასუხეს კვლავ.
კირილა პეტროვიჩს მღელვარება შეეპარა. მარია კირილოვნა არც ცოცხლებში ეწერა, არც მკვდრებში.
- შენ გაფითრებული ხარ, მაშა, - შენიშნა მამამ, - დაგაფეთიანეს.
- არა, მამიკო, - მიუგო ქალიშვილმა, - თავი მტკივა.
- შენს ოთახში წადი, მაშა, და ნუ იღელვებ.
ქალიშვილმა ხელზე აკოცა მამას და სასწრაფოდ გასწია თავის ოთახისაკენ. იქ ლოგინზე დაემხო და გულამოსკვნით ატირდა. მოცვივდნენ მოახლეები, გახადეს, რის ყოფით, რის ვაი-ვაგლახით დააამინეს ცივი წყლითა და ათასგვარი სპირტით, დააწვინეს და მაშამ ჩაიძინა.
ამასობაში ფრანგს ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ. კირილა პეტროვიჩი ბოლთასა სცემდა დარბაზში, მრისხანედ უსტვენდა - "სჭექდეს ქუხილი გამარჯვებისა". სტუმრები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, სამაზრო პოლიციის უფროსი, ეტყობა, გაპამპულდა - ფრანგი ვერ მონახეს, ალბათ მავანმა და მავანმა გააფრთხილა და მიმალვა მოასწროო, მაგრამ ვინ გააფრთხილა? ეს საიდუმლოდ რჩებოდა.
თერთმეტი საათი იყო, ძილი კი არავის ახსენდებოდა. ბოლოს კირილა პეტროვიჩმა გაბრაზებით უთხრა სამაზრო პოლიციის უფროსს:
- რაო? აქ დილამდე ხომ არ აპირებ დარჩენას, ჩემი სახლი დუქანი კი არ არის. შენ, ბიძია, შენი სიყოჩაღის პატრონი დუბროვსკის ვერ დაიჭერ, თუ ის მართლა დუბროვსკია. შინ წადი და ამიერიდან მეტი ფხა გამოიჩინე. თქვენი შინ წასვლის დროცაა, - უთხრა სტუმრებს, - უბრძანეთ ცხენები შეგიბან. მე კი დაძინება მინდა.
ასე უსულგულოდ დასცილდა ტროეკუროვი თავის სტუმრებს!

მეცამეტე თავი

რამდენიმე ხანი ისე გავიდა, საგულისხმო არა მომხდარა რა. მაგრამ მომდევნო ზაფხულის დამდეგს ბევრი რამ შეიცვალა კირილა პეტროვიჩისას.
პოკროვსკოედან ოცდაათ ვერსზე მდებარეობდა თავად ვერეისკის მამული. თავადი ხანგრძლივ ცხოვრობდა უცხო ქვეყანაში, ხოლო მთელ მის მამულს გადამდგარი მაიორი უძღვებოდა და პოკროვსკოესა და არბატოვოს არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მაისის მიწურულს კი თავადი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა, ჩავიდა სოფელში, რომლისთვისაც თავის სიცოცხლეში თვალი არ დაეკრა, მაგრამ დროსტარებას დაჩვეული განმარტოებით ცხოვრებას ვერ შეეთვისა და მესამე დღეს სადილად გაემართა ტროეკუროვისას, ოდესღაც მისი ნაცნობი მემამულისას.
თავადი ორმოცდაათიოდე წლისა იქნებოდა, მაგრამ გაცილებით უფრო მოხუცად გამოიყურებოდა. თავაშვებულმა ცხოვრებამ დააძაბუნა და წარუხოცელი კვალი დააჩნია, მაგრამ მაინც გარეგნულად სასიამოვნო შესახედაობისა იყო და თვალში მოგივიდოდათ, ხოლო ჩვევა ნიადაგ საზოგადოებაში ტრიალისა ერთგვარად თავაზიანობას მატებდა. განსაკუთრებით ქალებს ეკიდებოდა თავაზით. იგი დროსტარების გარეშე ვერ ძლებდა და სულ ყურებჩამოყრილი იყო. კირილა პეტროვიჩს ერთობ ესიამოვნა ვერეისკის სტუმრობა, ვინაიდან ეს მაღალი საზოგადოების მცოდნე კაცის მხრიდან პატივად მიიჩნია. სტუმარი ჩვეულებისამებრ მწევარ-მეძებართა ეზოს დასათვალიერებლად წაიყვანა, მაგრამ თავადს ლამის სული შეეხუთა ძაღლების გარემოში, ცხვირზე სუნამონაპკურევ ცხვირსახოცს იჭერდა და ჩქარობდა, იქაურობას გასცლოდა. მას არც ძველებური ბაღი მოეწონა თავისი გასხლული ცაცხვებით, ოთხკუთხა ტბითა და სწორი ხეივნებით. უფრო ინგლისური ბაღები და ეგრეთ წოდებული ბუნება უყვარდა, მაგრამ ქებასა და აღტაცებას მაინც არ იშურებდა. მოვიდა მსახური და თქვა, სუფრა გაშლილიაო. გაემართნენ სასადილოდ, სეირნობით დაღლილი თავადი მოკოჭლაობდა და უკვე ნანობდა, რა მესტუმრებოდაო. მაგრამ დარბაზში მათ მარია კირილოვნა შემოეგებათ და ბებერი მექალთანე განაცვიფრა მისმა სილამაზემ.
ტროეკუროვმა სტუმარი ქალიშვილს მიუსვა. სუფრასთან მარია კირილოვნას ყოფნამ თავადი გამოაცოცხლა, იგი გახალისდა და თავისი საგულისხმიერო მონათხრობით შეძლო რამდენჯერმე მიექცია ქალიშვილის ყურადღება.
ნასადილევს კირილა პეტროვიჩმა წინადადება წამოაყენა, ცხენებით გავისეირნოთო, მაგრამ თავადმა ხავერდის ჩექმებზე მიუთითა და მოუბოდიშა, თან თავის ნიკრისის ქარზე წაიხუმრა და ლინეიკით გასეირნება არჩია, რომ მეზობლის მომხიბლავ ქალს გვერდიდან

არ მოსცილებოდა. ლინეიკაში შეაბეს ცხენები. მოხუცები და მზეთუნახავი დასხდნენ და გასწიეს სასეიერნოდ. საუბარი არ წყდებოდა. მარია კირილოვნა სიამოვნებით უგდებდა ყურს მაღალი წრის კაცის მლიქვნელურ და ხალისიან, კეთილმოსურნე სიტყვებს. უცებ ვერეისკიმ კირილა პეტროვიჩს ჰკითხა, რა არის ეს დამწვარი ნაგებობა და თქვენია თუ არაო?.. კირილა პეტროვიჩი მოიქუფრა. გულში გაჰკენწლა დამწვარი სახლ-კარის მიერ აღძრულმა მოგონებამ. მიწა ახლა ჩემია, ხოლო წინათ დუბროვსკისა იყოო, - მიუგო ვერეისკის.
- დუბროვსკისა, - გაიმეორა ვერეისკიმ. - როგორ, ამ სახელოვანი ყაჩაღისა?
- მამამისისა, - მიუგო ტროეკუროვმა, - ისე მამამისიც კაი მაგარი ყაჩაღი იყო.
- მერედა, სად დაიკარგა ჩვენი რინალდო? ცოცხალია? დაიჭირეს?
- ცოცხალიცაა და თავისუფალიც, ხოლო, ვიდრე ჩვენს სამაზრო პოლიციის უფროსებს და ქურდებს ერთი პირი აქვთ, მანამ ვერ დაიჭერენ. სიტყვამ მოიტანა, თავადო, და დუბროვსკი თქვენთან, არბატოვოშიც იყო, არა.
- ჰო, შარშან, მგონი, რაღაც დაწვა თუ გაძარცვა. ისე, მარია კირილოვნა, ხომ კარგი იქნებოდა ამ რომანტიკული გმირის ახლო გაცნობა?
- კარგი იქნებოდაო? - თქვა ტროეკუროვმა. - იცნობს და ეგაა. მთელი სამი კვირა მუსიკას ასწავლიდა მაშას და, მადლობა ღმერთს, გასამრჯელოდ არა გამოურთმევია რა.
ამას კირილა პეტროვიჩმა თავისი ფრანგი მასწავლებლის ამბავი მოაყოლა. მარია კირილოვნა თითქოს ნელ ცეცხლზე იწვოდა. ვერეისკიმ ერთობ გულისყურით მოუსმინა კირილა პეტროვიჩს, ყოველივე მეტად საკვირველად ეჩვენა და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა. უკან მობრუნებულმა უბრძანა, თავისი კარეტა მოეყვანათ და, თუმცა კირილა პეტროვიჩი თავგადაკლული ეხვეწებოდა, ღამე ჩემთან გაათიეო, ჩაი დალია და მაშინვე წავიდა. წასვლამდე მასპინძელს სთხოვა, მარია კირილოვნასთან ერთად მეწვიეო. გოროზმა ტროეკუროვმაც სიტყვა მისცა, რამეთუ მხედველობაში ღებულობდა მის თავადურ ღირსებას, ორ ვარსკვლავს, საგვარეულო მამულის სამი ათას სულ ყმას და ერთგვარად თავის სწორად რაცხდა.
გავიდა ორი დღე და კირილა პეტროვიჩი ქალიშვილითურთ გაემართა ვერეისკისას. არბატოვოს რომ მიუახლოვდა, თვალი ვერ მოსწყვიტა გლეხების გაწკრიალებულ და საამო სანახავ ქოხებს, ინგლისური ციხე-დარბაზების ყაიდაზე აგებულ ბატონის ქვის სახლს. სახლის წინ გადაშლილ მწვანე მინდორზე შვეიცარული ძროხები ძოვდნენ და ზანზალაკებს აჟღარუნებდნენ. სახლს გარს შემოდგომოდა ვეება პარკი. მასპინძელი სტუმრებს პარმაღთან გამოეგება და ახალგაზრდა მზეთუნახავს ხელი ჩამოართვა. შევიდნენ ბრწყინვალე დარბაზში, სადაც სამი სულისთვის სუფრა გაეწყოთ. თავადმა სტუმრები ფანჯარასთან მიიწვია და მათ მშვენიერი ხედი იხილეს. ფანჯრების წინ მიმდინარე ვოლგაზე აფრებდაბერილი ორჩხომელები მიდიოდნენ, ჩანდნენ მეთევზეთა ნავები, რომელთაც ერთობ მეტყველ სახელს “სულთამხუთავებს” ეძახდნენ. მდინარის

გაღმა ბორცვები და მინდვრები მიიწევდნენ. მიდამოს სიცოცხლეს მატებდა რამდენიმე სოფელი.
შემდეგ სტუმარ-მასპინძელმა თავადის მიერ უცხო ქვეყნებში ნაყიდ სურათებს მიჰხედა. თავადი მარია კირილოვნას აცნობდა მათ ერთმანეთისაგან განსხვავებულ შინაარსს, მხატვრების თავგადასავალს, უთითებდა ღირსებებსა და ნაკლოვანებებს, სურათებზე ლაპარაკობდა გრძნობით, გააზრებით და არა პედანტი მცოდნეს პირობითი ენით. მარია კირილოვნას მისი საუბარი სიამოვნებდა. გასწიეს მაგიდისაკენ. ტროეკუროვმა საკადრისი მიაგო თავისი ამფიტრიონის ღვინოებს და მისი მზარეულის ოსტატობას, ხოლო მარია კირილოვნა სრულებით არ გრძნობდა დაბნეულობას ან შებოჭილობას ადამიანთან საუბრისას, ვისაც თავის ცხოვრებაში სულ ორჯერ ხედავდა.
ნასადილევს მასპინძელმა სტუმრები ბაღში გაიწვია. ისინი ყავას სვამდნენ კუნძულებით მოფენილი ფართო ტბის ნაპირას, ფანჩატურში. უცებ სასულე მუსიკა აჟღერდა და ზედ ფანჩატურთან ექვსნიჩბიანი ნავი მოცურდა. ჩასხდნენ და გაუყვნენ ტბას, ჩაუარეს კუნძულებს, ზოგ მათგანს ეწვივნენ კიდეც - ერთზე მარმარილოს ქანდაკებას წააწყდნენ, მეორეზე - განცალკევებულ გამოქვაბულს, მესამეზე - ძეგლს, რომელსაც იდუმალი წარწერა ჰქონდა. წარწერამ მარია კირილოვნას ქალწულებრივი ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა, რასაც მთლად ვერ უოკებდა თავადის ბოლომდე გაუცხადებელი თავაზიანი ნაუბარი. ვერც გაიგეს, ისე გავიდა დრო - უკვე მწუხრი დგებოდა. თავადი შინ წასვლას ჩქარობდა. მიზეზად სიგრილეს და ცვარს ასახელებდა. შინ სამოვარი ელოდათ. თავადმა მარია კირილოვნას სთხოვა, ხანმოყრილი მარტოხელა კაცის ბინაში იდიასახლისეო. მარია კირილოვნაც ასხამდა ჩაის და ყურს უგდებდა ზრდილი მოქადაგის გაუთავებელ ამბებს. უცებ სროლის ხმა გაისმა და ცა შუშხუნამ გააჩირაღდნა. თავადმა მარია კირილოვნას შალი მიართვა და ტროეკუროვთან ერთად აივანზე გაიწვია; სახლის წინ, სიბნელეში ათასფერადმა ცეცხლმა იფეთქა, დაბზრიალდა, თავთავებად, პალმებად, შადრევნებად აიჭრა ცაში, წვიმად, ვარსკვლავებად დაეშვა ძირს, ქრებოდა და კვლავ ინთებოდა. მარია კირილოვნა ბავშვივით ხალისობდა. თავადს ქალიშვილის აღტაცება სიხარულს ჰგვრიდა. ხოლო ტროეკუროვი უსაზომოდ კმაყოფილი იყო ვერეისკისა, რამეთუ მის მიერ გაწეული tous les frais იმის დასტურად მიაჩნდა, რომ არბატოვოს მფლობელი პატივისცემით ეკიდებოდა და სურდა ეამებინა.
ვახშამი თავისი ღირსებით სადილს სულაც არ უდებდა ტოლს. სტუმრებმა თავ-თავიანთი ოთახებისაკენ გასწიეს და მეორე დღეს დილაადრიან გამოემშვიდობნენ თავაზიან მასპინძელს. მათ სიტყვა მისცეს ერთმანეთს, რომ მალე კვლავ შეიყრებოდნენ.

მეთოთხმეტე თავი

მარია კირილოვნა თავის ოთახში იჯდა და ღია ფანჯარასთან ქარგაზე ქარგავდა. აბრეშუმის ძაფების შერჩევა მას კონრადის მიჯნურივით როდი ეშლებოდა, სიყვარულით თავგზადაკარგულმა რომ ვარდი მწვანე აბრეშუმის ძაფით ამოქარგა. ნემსს შეახებდა და კანვა შეუცდომლად იმეორებდა დედნის ნახჭებს, თუმცა ხელსაქნარს აინუნში არ აგდებდა და შორს ილტვოდა მისი ფიქრები.
უცებ ფანჯარაში უხმაუროდ გამოჩნდა ხელი, ვიღაცამ ქარგაზე ბარათი დადო და, ვიდრე მარია კირილოვნა გონს მოსვლას მოასწრებდა, თვალს მიეფარა. ეს იყო და, მსახური შემოვიდა - მაშას კირილა პეტროვიჩთან უხმო. ქალიშვილმა ბარათი ცახცახით შემალა თავსაფარქვეშ და მამასთან, კაბინეტისკენ გაუჩქარა.
კირილა პეტროვიჩი მარტო არ იყო. იქვე იჯდა თავადი ვერეისკიც. მარია კირილოვნა რომ შემოვიდა, თავადი წამოდგა და უჩვეულოდ არეულმა მდუმარედ დაუკრა თავი.
- აქ მოდი, მაშა, - უთხრა კირილა პეტროვიჩმა ქალიშვილს, - ახალ ამბავს გეტყვი, რაც, ვიმედოვნებ სიხარულს მოგგვრის. აგერ, შენი საქმრო, თავადი გთხოულობს.
მაშა გაქვავდა, სახე გაუმიწისფრდა. კრინტს არ ძრავდა. თავადი მიუახლოვდა, მისი ხელი აიღო და ყელში გულმობჯენილი კაცის იერით უთხრა, თანახმა ხართ თუ არა, ბედნიერება მომანიჭოთო. მაშა ხმას არ იღებდა.
- თანახმაა, რა თქმა უნდა, თანახმაა, - უთხრა კირილა პეტროვიჩმა. - მაგრამ, იცი, თავადო: ქალიშვილს უმძიმს ამ სიტყვის ამოთქმა. აბა, შვილებო, გადაკოცნეთ ერთმანეთი და ბედნიერება ნუ მოგეშალოთ.
მაშა არ იძვროდა. ბებერმა თავადმა ხელზე აკოცა და ქალიშვილს ფერმიმქრალ სახეზე ანაზდად ცრემლები ჩამოედინა. თავადი მოიქუფრა.
- გასწი, გასწი, გასწი, - უთხრა კირილა პეტროვიჩმა ქალიშვილს, - ცრემლი შეიმშრალე და ხალისიანი დაბრუნდი. ნიშნობაზე სუყველანი ტირიან, - მიმართა ვერეისკის, - ეს ხომ წესად აქვთ მაგათ... ახლა, თავადო, მივხედოთ საქმეს, ესე იგი, მზითევს.
მარია კირილოვნამ სულმოუთქმელად ისარგებლა წამოსვლის ნებართვით. თავის ოთახს მიაშურა, ჩაიკეტა და ცრემლად დაიღვარა, თავი რომ ბებერი თავადის ცოლად წარმოიდგინა. იგი უცებ ბილწ და საძაგელ არსებად ეჩვენა... ქორწინება ჯალათის კუნძივით, სამარესავით შიშის ზარს ჰგვრიდა. “არა, არა, - იმეორებდა იმედწარხოცილი, - უკეთესია მოვკვდე, უკეთესია მონაზვნად აღვიკვეცო, უკეთესია დუბროვსკის გავყვე”.
უცებ ბარათი გაახსენდა და სულსწრაფად დაიწყო მისი კითხვა, წინასწარ გრძნობდა, რომ დუბროვსკის ეკუთვნოდა. ბარათი მართლაც დუბროვსკის დაეწერა და შიგ მხოლოდ ეს

სიტყვები იყო:
“საღამოს ათ საათზე, ძველ ადგილას”.
მეთხუთმეტე თავი

ნათობდა მთვარე, წყნარი იყო ივლისის ღამე, ჟამიჟამ ნიავი წამოუქიქინებდა და მთელ ბაღს შარიშური შეუდგებოდა.
ახალგაზრდა მზეთუნახავი სიფრიფანა აჩრდილივით უახლოვდებოდა საპაემანო ადგილს. ჯერჯერობით არავინ ჭაჭანებდა ირგვლივ. ანაზდად ფანჩატურიდან დუბროვსკი გამოვიდა და წინ დაუდგა.
- ყველაფერი ვიცი, - უთხრა წყნარი, ნაღვლიანი ხმით. - გაიხსენეთ აღთქმა.
- თქვენ მთავაზობთ მეოხად მყავდეთ, - მიუგო მაშამ, - მაგრამ ნუ მიწყენთ, მე ეს მაკრთობს. რანაირად უნდა დამეხმაროთ?
- შემეძლო, თქვენთვის საძულველი ადამიანი მომეშორებინა.
- თუ ღმერთი გწამთ, ხელი არ ახლოთ, თითის დაკარება არ გაუბედოთ, თუკი გიყვარვართ, არ მინდა ბრალად მედოს რაიმე საშინელება...
- ხელს არ დავაკარებ, თქვენი ნება ჩემთვის წმიდათაწმიდაა. იგი თქვენ უნდა გიმადლოდეთ სიცოცხლეს. არასდროს არავითარი ბოროტმოქმედება თქვენი სახელით არ აღსრულდება. თქვენ წმინდა უნდა იყოთ ჩემთა დანაშაულთა მხრივაც, მაგრამ როგორღა მოგარიდოთ სასტიკი მამა?
- ხელი ჯერ კიდევ არ ჩამიქნევია, ვიმედოვნებ ცრემლითა და სასოწარკვეთილებით ავუჩუყო გული. იგი ჯიუტია, მაგრამ ძალიან ვუყვარვარ.
- ტყუილა ნუ იმედოვნებთ. ამ ცრემლს იგი მიაწერს ჩვეულებრივ შიშსა და ზიზღს, რაიც ყველა ქალიშვილს უჩნდება, როცა კეთილგონივრული ანგარიშით თხოვდებიან და არა გულის კარნახით. რა გზას დავადგე, თუკი თავში ჩაიჭედავს თქვენს გაბედნიერებას და თქვენს გულისთქმას ანგარიშს არ გაუწევს, თუ იძულებით წაგიყვანენ ჯვრის დასაწერად, რათა ბედი თქვენი სამუდამოდ ჩაუგდონ ბებერ ქმარს ხელთ...
- მაშინ, მაშინ სხვა რა ჩარაა, გამომეცხადეთ, მე თქვენი მეუღლე ვიქნები.
დუბროვსკი აცახცახდა, ფერმკრთალი სახე აელეწა და იმავ წუთს ადრინდელზე უფრო ფერმკრთალი გაუხდა. მან თავი დახარა და დიდხანს ხმას არ იღებდა.
- მთელი სულიერი ძალები მოიკრიბეთ, შეევედრეთ მამას, მუხლებში ჩაუვარდით: დაუსურათხატეთ მომავლის მთელი საზარლობა, თუ ვით დაჭკნება თქვენი სიყმაწვილე ძაბუნი და გარყვნილი ბებრის სიახლოვეს. გაბედეთ და ელაპარაკეთ, უთხარით, თუ გული არ მოგილბება, მაშინ..... მაშინ საშინელ მფარველს გამოვნახათ-თქო... უთხარით, სიმდიდრე ერთი წუთითაც ვერ გამაბედნიერებს-თქო, ფუფუნება მხოლოდ სიღატაკეს უფონებს გულს და ისიც წამიერად, რაკი დაუჩვეველია-თქო. არ დაეხსნათ, ნუ დაგაფრთხობთ ნურც მისი რისხვა, ნურც მუქარა, ვიდრე იმედის ნაპერწკალი მაინც

გიკიაფებთ, თუ ღმერთი გწამთ, არ დაეხსნათ. ხოლო სხვა საშველი თუ აღარ იქნება...
ამ დროს დუბროვსკიმ სახეზე ხელები აიფარა, ეტყობოდა, სუნთქვა ეკვროდა. მაშა ტიროდა...
დუბროვსკიმ მწარედ ამოიოხრა და ამოაყოლა:
- სვეგამწარებულო ხვედრო ჩემო. თქვენთვის სიცოცხლეს არ დავიშურებდი. შორიდან რომ შემოგცქეროდით, ხელზე რომ გეხებოდით, ცისკარი მეხსნებოდა და, როცა შემიძლია აფოფინებულ გულში ჩაგიკრათ, გითხრათ, ანგელოზო ჩემო, სიცოცხლეს გავეყაროთ! - მე უბედურმა ზურგი უნდა ვაქციო ნეტარებას, ყოველი ღონით განვიშორო იგი..... ვერ ვბედავ, მუხლებში ჩაგივარდეთ, ცას მადლი შევღაღადო, რომ ეს უცნაური, შეუფერებელი ჯილდო მარგუნა. აჰ, რარიგ უნდა მძულდეს იგი... მაგრამ ვგრძნობ, რომ ახლა ჩემს გულში შურისძიება ვერ გაიჭაჭანებს.
დუბროვსკიმ მაშას ნელა შემოხვია ხელი კენარ ტანზე და იგი ნელავე მიიკრა მკერდზე. მარია კირილოვნამ მინდობილად დაუშვა თავი ახალგაზრდა ყაჩაღის მხარზე. ორივე დუმდა.
დრო მიქროდა.
- დროა, - თქვა ბოლოს მაშამ. დუბროვსკის თითქოს ძილი გაუკრთა, ქალიშვილს ხელზე დასწვდა, თითზე ბეჭედი ჩამოაცვა და უთხრა:
- თუ გადაწყვეტთ, შემწეობა აღმოგიჩინოთ, ბეჭედი აქ მოიტანეთ, ამ მუხის ფუღუროში ჩაუშვით და მეცოდინება, რა ვიღონო.
დუბროვსკიმ მარია კირილოვნას ხელზე აკოცა და ხეებსა და ხებს შუა თვალს მიეფარა.

მეთექვსმეტე თავი

მეზობლობამ უკვე უწყოდა, რომ თავადი ვერეისკი მარია კირილოვნას თხოულობდა. კირილა პეტროვიჩი მილოცვებს ღებულობდა. მზადდებოდა ქორწილი. მაშა კი სულ მერმისისათვის დებდა საბოლოო პასუხს. ამასობაში ბებერ საქმროს ცივად და ძაღლუმადურად ექცეოდა. თავადი ამას აინუნშიაც არ აგდებდა. მაშას უსიტყვო თანხმობით კმაყოფილს სიყვარული არ აფიქრებდა.
დრო კი გადიოდა, ბოლოს მაშამ გადაწყვიტა, ხელი გამოეღო და თავად ვერეისკის ბარათი მისწერა. იგი ცდილობდა, თავადისათვის სულგრძელობის გრძნობა ჩაენერგა, გამოტეხილად ეუბნებოდა, ერთი ბეწო სიყვარულს არ ვგრძნობ თქვენდამიო, ეაჯებოდა,

ჩემზე უარი თქვით და თვითონ დამიხსენით მშობლისგანო. ბარათი ჩუმად გადასცა თავადს, თავადმა ბარათი მარტომ წაიკითხა და სულაც არ აჩუყებია გული ქალიშვილის სიწრფელეზე. პირიქით, აუცილებლად ქორწილი უნდა დაჩქარდესო, - დაასკვნა და ამ მიზნით საჭიროდ მიიჩნია ბარათი მომავალი სიმამრისთვის ეჩვენებინა.
კირილა პეტროვიჩმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. თავადმა რის ვაი-ვაგლახით დაიყოლია, მაშასათვის არ შეემჩნევინებინა, რომ მისი ბარათის ამბავი იცოდა. კირილა პეტროვიჩი დაეთანხმა მაშასთან ბარათის შესახებ სიტყვა არ დაეძრა, მაგრამ გადაწყვიტა, დრო არ დაეკარგა და ქორწილი სახვალიოდ დანიშნა. თავადმა ეს ამბავი ფრიად გონივრულად მიიჩნია, წავიდა თავის საცოლესთან და უთხრა: ბარათმა ფრიად დამამწუხრა, მაგრამ, ვიმედოვნებ, მომავალში თქვენი სიყვარულის ღირსი გავხდე, თქვენი დაკარგვის აზრი ნამეტნავად მიმძიმებს სულს და ძალა არ შემწევს, ჩემს სასიკვდილო განაჩენზე დავთანხმდეო. შემდგომ ამისა მოკრძალებით აკოცა ხელზე და ისე წავიდა შინ, სიტყვა არ უთქვამს, თუ რა გადაწყვიტა კირილა პეტროვიჩმა.
მაგრამ ეზოდან თავად ვერეისკის გასვლა და მაშასთან მამამისის შესვლა ერთი იყო. მან ქალიშვილს იწილო-ბიწილოს გარეშე უბრძანა, სახვალიოდ მზად იყავიო. უკვე თავად ვერეისკის ლაპარაკით აფორიაქებული მარია კირილოვნას ცრემლები წასკდა და მამას მუხლებში ჩაუვარდა.
- მამიკო, - დაიკივლა საცოდავად, - მამიკო, ყელში დანას ნუ მისვამთ, არ მიყვარს თავადი, არ მინდა მისი ცოლი გავხდე...
- რას მოასწავებს ეს? - მრისხანედ მიუგო კირილა პეტროვიჩმა. - აქამდე ხმას არ იღებდი და თანახმა იყავი, ახლა კი, როცა ყველაფერი გათავებულია, ჭირვეულობა და უარის თქმა მოგეპრიანა? კეთილინებე და პამპულობას თავი დაანებე. ამით ჩემთან ვერას გახდები.
- ყელში დანას ნუ მისვამთ, - იმეორებდა მაშა. - რისთვის მიშორებთ და მაძლევთ ადამიანს, რომელიც ჩემს გულს არ ეკარება. განა მოგბეზრდით? მე მინდა წინანდებურად თქვენთან დავრჩე, მამიკო, თქვენ უჩემოდ ნაღველი შემოგაწვებათ, უფრო დანაღვლიანდებით, როცა დაფიქრდებით, რომ სვეგამწარებული ვარ, მამიკო, ძალას ნუ დამატანთ, მე გათხოვება არ მინდა...
კირილა პეტროვიჩი მოლბა, მაგრამ შეცბუნება არ გაუმჟღავნებია. ქალიშვილი მოიშორა და კუშტად უთხრა:
- ეს ყველაფერი მიეთმოეთობაა, გესმის, მე უკეთ ვიცი, რა სჭირდება შენს ბედნიერებას. ცრემლი ვერ გიხსნის, ზეგ შენი ქორწილი იქნება!
- ზეგ, - შეჰყვირა მაშამ, - ღმერთო ჩემო, არა, არა, შეუძლებელია, ეს არ მოხდება. მამიკო, ყური მიგდეთ, თუ უკვე დაღუპვა გადამიწყვიტეთ, იცოდეთ, მოვძებნი დამცველს, რომლის ბაიბურშიც კი არ იქნებით, თქვენ დანახავთ, თქვენ თავზარს დაგცემთ ის, თუ რა დღეში ჩამაგდეთ.
- რაო, რაო? - უთხრა ტროეკუროვმა, - მუქარაო! მე მემუქრები, უტიფარო! მერედა იცი, ისე

მოგიქცევ საქმეს, სიზმარშიც არ მოგელანდოს. დამცველით მაშინებ. ვნახოთ, ერთი ვინ იქნება ეს შენი დამცველი.
- ვლადიმირ დუბროვსკი, - მიუგო იმედწარხოცილმა მაშამ.
კირილა პეტროვიჩმა იფიქრა, მაშა გამიგიჟდაო და განცვიფრებული შეაცქერდა ქალიშვილს. მერე ცოტა იყუჩა და უთხრა:
- კეთილი, რომელი მხსნელიც გინდა, იმას ელოდე, ჯერჯერობით კი ამ ოთახში იჯექი, ქორწილამდე ფეხს ვერ გამოდგამ აქედან.
კირილა პეტროვიჩი ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე გარეთ გამოვიდა და კარი გამოკეტა. საბრალო ქალიშვილს ყველაფერი თვალწინ დაუდგა, რაც მოელოდა, და დიდხანს ტიროდა, მაგრამ ცხარე ლაპარაკმა სულს მოუფონა და ახლა უფრო დაკვირვებით შეეძლო ჩაფიქრებოდა თავის ხვედრს, აეწონ-დაეწონა, რა გზას დასდგომოდა. მისთვის მთავარი იყო საზიზღარი ქორწინების არიდება, ყაჩაღის ცოლის ხვედრი სამოთხედ ეჩვენებოდა თავის ნარგუნებ ხვედრთან შედარებით. ქალიშვილმა დუბროვსკის ბეჭედს შეავლო თვალი. ერთი სული ჰქონდა, მარტო ენახა ვლადიმირი და გადამწყვეტი წუთის წინ კიდევ ერთხელ დიდხანს ებჭო მასთან ერთად. გუმანი უკარნახებდა, რომ დუბროვსკის ბაღში, ფანჩატურის მახლობლად იპოვიდა. გადაწყვიტა, ბინდის დაძვრისთანავე წასულიყო და იქ დალოდებოდა. ჩამოდგა მწუხრი. მაშა მოემზადა, მაგრამ კარი გასაღებით აღმოჩნდა დაკეტილი, მოახლემ გარედან უთხრა, კირილა პეტროვიჩს თქვენი გამოშვება არ უბრძანებიაო. მაშა დატუსაღებული იყო. სულხორციანად შეურაცხყოფილი ქალიშვილი ფანჯარასთან დაჯდა და ტანთგაუხდელს იქიდან შუაღამემდე ფეხი არ მოუცვლია. გაშეთებული შესცქეროდა ბნელით მოცულ ცას. რიბირაბოზე რული მოეკიდა, მაგრამ ბურანი მწუხარე სიზმრებმა გაუფრთხეს, ამომავალი მზის სხივებმა კი საბოლოოდ გამოაღვიძეს.

მეჩვიდმეტე თავი

მარია კირილოვნამ გაიღვიძა და მაშინვე წარმოუდგა, რა შავ დღეში იყო. მან დარეკა. შემოვიდა მოახლე და კითხვებზე უპასუხა: კირილა პეტროვიჩი საღამოს არბატოვოში წაბრძანდა და გვიან დაბრუნდა, მკაცრად ბრძანა, მარია კირილოვნა ოთახიდან არ გამოუშვათ და თვალი გეჭიროთ, არავინ დაელაპარაკოსო. ისე არავითარი საქორწილო სამზადისი არ შეიმჩნევა, თუ იმას არ ვიგულისხმებთ, რომ მღვდელს უბრძანეს, სოფლიდან ფეხი არ მოიცვალოო. ამის შემდეგ მოახლე მარია კირილოვნას გამოერიდა და კვლავ ჩაკეტა კარი.

მოახლის სიტყვებმა გააშმაგეს ახალგაზრდა განდეგილი, თავი გასკდომაზე ჰქონდა, სისხლი უბორგავდა. გადაწყვიტა, ყოველივე დუბროვსკისთვის შეეტყობინებინა და დაფიქრდა, რა გზით გაეგზავნა ბეჭედი საიდუმლო მუხის ფუღუროში. ამ დროს მის ფანჯარას კენჭი მოხვდა და მინა გაწკარუნდა. მარია კირილოვნამ გარეთ გაიხედა და პატარა საშკას ჰკიდა თვალი. ბიჭი რაღაცას იდუმალად ანიშნებდა. მაშამ იცოდა, რარიგ უყვარდა საშას და მისი ნახვა გაუხარდა. ფანჯარა გააღო და უთხრა:
- გამარჯობა, საშა, რისთვის მეძახი?
- ჩემო დაია, მინდოდა გამეგო, ხომ არაფერი გინდოდათ, მამიკო გაბრაზებულია და მთელ სახლს აუკრძალა რაიმე შეგისრულონ. მაგრამ მე მითხარით, რა გსურთ და ყველაფერს გაგიკეთებთ.
- მადლობა, ჩემო კარგო საშა, იცი ფანჩატურის გვერდით რომ ფუღუროიანი ბებერი მუხა დგას?
- ვიცი, დაია.
- ჰოდა, თუ გიყვარვარ, საჩქაროდ გავარდი და ეს ბეჭედი ფუღუროში ჩააგდე. ოღონდ იცოდე, თვალი არავინ მოგკრას.
მაშამ ბიჭს ბეჭედი გადმოუგდო და ფანჯარა დაკეტა.
ბიჭმა ბეჭედი აიღო, კისრისტეხით გაიქცა და სამ წუთში საიდუმლო ხესთან აღმოჩნდა. სულშეგუბებული შედგა, თვალი მიავლ-მოავლო და ბეჭედი ფუღუროში ჩადო. საქმე რომ მოაკეთილა, უნდოდა იმავე წამს შეეტყობინებინა მარია კირილოვნასთვის, მაგრამ ფანჩატურის უკნიდან უცებ წითური, ელამი, ჩამოღლეტილი ბიჭი გამოკრთა, მუხისკენ გაიჭრა და ხელი ფუღუროში ჩაყო. საშა ციყვის უსწრაფესად ეცა და ორივე ხელი სტაცა.
- რას აკეთებ აქ? - ჰკითხა მრისხანედ.
- შენ ვინ გეკითხება? - მიუგო ბიჭმა და სცადა ხელი გაეშვებინებინა. - ბეჭედი დატოვე, წითურო კურდღელო, - უყვიროდა საშა, - თორემ ჩემს ჭკუაზე მოგიყვან, იცოდე.
წითურმა პასუხის ნაცვლად სახეში მუშტი სთხლიშა, მაგრამ საშამ ხელი არ გაუშვა და მთელი ხმით იყვირა:
- ქურდები, ქურდები, აქეთ, აქეთ...
წითური ცდილობდა, თავი დაეხსნა. ეტყობოდა, საშაზე ორი წლით უფროსი და გაცილებით ღონიერი იყო, მაგრამ საშა სიმკვირცხლით სჯობდა. ისინი რამდენიმე წუთს ძიძგილაობდნენ, ბოლოს წითურმა დასძლია საშა, მიწაზე დასცა და ყელში ჩააფრინდა, მაგრამ ამ დროს ჟღალ, აჯაგრულ თმაში მებაღე სტეპანის ღონიერი ხელი წაეტანა და ნახევარი ადლით მაღლა ასწია...
- ჰაიტ, შე წითურო არამზადა, - დასძახა მებაღემ, - როგორ უბედავ ცემას პატარა ბატონს...
ამასობაში საშა ფეხზე წამოხტა და სამოსი გაიფერთხ-გაისწორა.
- შენ ხელები იღლიის ქვეშ ამომიტარე, თორემ ვერასდროს ვერ წამაქცევდი, - უთხრა წითურს. - ახლავე ბეჭედი მომეცი და აქედან მოუსვი.

- არა, ბიჭო! - მიუგო წითურმა, შეტრიალდა და სტეპანის ხელს ჯაგარი გამოსხლიტა. ის იყო მოკურცხლა, მაგრამ საშა დაეწია, ზურგში უქიმუნჯა და წითური ბიჭი მოცელილივით დაეცა ძირს, ხოლო მებაღემ კვლავ სტაცა ხელი და ქამრით შეკრა.
- მომეცი ბეჭედი, - უყვიროდა საშა.
- მოიცა, ბატონო, - უთხრა სტეპანმა, - მოურავთან წავიყვანოთ ამბის გასარჩევად და გადასაწყვეტად.
მებაღემ ტყვე ბატონიანთ ეზოთი წაიყვანა, საშაც მიჰყვა, თან შეწუხებული ავლებდა თვალს თავის დახეულ და ბალახით გათითხნილ შარვალს. უცებ სამივე საჯინიბოს დასათვალიერებლად მიმავალი კირილა პეტროვიჩის წინ აღმოჩნდა.
- რაო, რა მოხდა? - ჰკითხა სტეპანს კირილა პეტროვიჩმა.
სტეპანმა ორიოდე სიტყვით უამბო ყველაფერი. კირილა პეტროვიჩმა გულისყურით მოუსმინა.
- რას გადაკიდებიხარ ამას, შე ქარაფშუტა, შენა? - ჰკითხა საშას.
- მაგან ფუღუროდან ბეჭედი მომპარა, მამიკო, უბრძანეთ, მომცეს.
- რა ბეჭედიო, რის ფუღუროდანო?
- მე ისა, მარია კირილოვნამ... ისა, ის ბეჭედი...
საშა შეცბა, აირია, კირილა პეტროვიჩი შეიჭმუხნა, თავი გააკანტურა და უთხრა:
- აქ მარია კირილოვნაა გარეული, ყველაფერი დაფქვი, თორემ წკეპლით ისე აგაჭრელებ, ცნობას დაგიკარგავ.
- ღმერთმანი, მამიკო, მე, მამიკო... მარია კირილოვნას ჩემთვის არაფერი უბრძანებია, მამიკო.
- სტეპან, გასწი ერთი და არყის ხის გვარიანი წკეპლა მომიჭერი, ნედლი წკეპლა...
- მოიცა, მამიკო, ყველაფერს მოგიყვები. დღეს ეზოში დავრბოდი, ჩემმა დაიამ, მარია კირილოვნამ, ფანჯარა გააღო, მეც მივირბინე, დაიას მოულოდნლად ბეჭედი ჩამოუვარდა, ხოლო მე იგი ფუღუროში დავმალე და, და... ამ წითურ ბიჭს უნდოდა მოეპარა.
- მოულოდნელად ჩამოუვარდა, შენ კი დამალვა გინდოდა... სტეპან წკეპლები!
- მამიკო, დამაცათ, სუყველაფერს გიამბობ. დაია მარია კირილოვნამ მითხრა, მუხასთან მიირბინე და ბეჭედი ფუღუროში ჩადევიო. მეც მივირბინე და ბეჭედი ჩავდევი, ამ საძაგელმა ბიჭმა კი...
კირილა პეტროვიჩი საძაგელი ბიჭისაკენ შებრუნდა და მრისხანედ ჰკითხა:
- ვისი ხარ?
- დუბროვსკების შინაყმა ვარ, - მიუგო ბიჭმა.
კირილა პეტროვიჩს სახე მოექუფრა.
- შენ, გეტყობა, ბატონად არ მცნობ, არა? კეთილი. კი მაგრამ, ჩემს ბაღში რას აკეთებდი?
- ჟოლოს ვიპარავდი, - მეტად გულცივად მიუგო ბიჭმა.
- ოჰო, - შენიშნა კირილა პეტროვიჩმა, - მსახური ზედგამოჭრილი ბატონია. როგორიც

ბერიო, ისეთი ერიო. ჟოლოს ვითომ ჩემსას მუხები ისხამენ?
ბიჭმა პასუხი არ გასცა.
- მამიკო, უბრძანეთ, ბეჭედი მომცეს, - უთხრა საშამ კირილა პეტროვიჩს.
- ხმა, ალექსანდრ, - მიუგო კირილა პეტროვიჩმა. - არ დაგავიწყდეს, რომ დასჯას გიპირებ. გასწი შენს ოთახში. შენ კი, ელამო, მგონია, ყოჩაღი ბიჭი უნდა იყო. მომეცი ბეჭედი და წადი სახლში.
ბიჭმა მუშტი გაშალა, არაფერი არა მაქვსო.
- თუ ყველაფერს ჩამომიკაკლავ, არ გაგწკეპლავ, პირიქით, შაურიანსაც გაჩუქებ სასუსნავისთვის, არა და ისე მოგიქცევ საქმეს, სულ ვაი დედა იძახო.
ბიჭი სიტყვას არ ძრავდა, იდგა თავდახრილი და წმინდა წყლის ბრიყვივით გამოიყურებოდა.
- კეთილი, - თქვა კირილა პეტროვიჩმა. - ჩაამწყვდიეთ სადმე და თვალი გეჭიროთ, არ გაიქცეს, თორემ სუყველას ნემსის ყუნწში გაგაძვრენთ.
სტეპანმა ბიჭი სამტრედეში წაიყვანა, შიგ დაამწყვდია და მოხუცი მეფრინველე აღათია მიუჩინა დარაჯად. კირილა პეტროვიჩმა ბიჭს თვალი გააყოლა და თქვა:
- ახლა ქალაქში წასვლაა საჭირო სამაზრო პოლიციის უფროსთან, თან რაც შეიძლება ჩქარა.
“აქ საჭოჭმანო არაფერია. მარია კირილოვნას ისევ აქვს ურთიერთობა იმ ღვთის პირიდან გადავარდნილ დუბროვსკისთან, მაგრამ ნუთუ მართლა უხმობდა მას დასახმარებლად? - ფიქრობდა კირილა პეტროვიჩი, თან ოთახში ბოლთას სცემდა და მწყრალად უსტვენდა: “სჭექდეს ქუხილი გამარჯვებისა”. - იქნებ ბოლოს და ბოლოს მის ცხელ კვალს წავაწყდი და ვეღარ დამიძვრეს. ამ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებთ. სუ! ზანზალაკის ხმაა, მადლობა ღმერთს, ეს სამაზრო პოლიციის უფროსია”.
- ეჰეი, მომგვარეთ დაჭერილი ბიჭი!
ამასობაში ოთხთვალა ეზოში შემოვიდა და ჩვენმა ნაცნობმა, თავით ფეხებამდე გამტვერილმა სამაზრო პოლიციის უფროსმა ოთახში შემოაბიჯა.
- დიდებული ამბავია, - უთხრა კირილა პეტროვიჩმა. - დუბროვსკი დავიჭირე.
- მადლობა ღმერთს, თქვენო აღმატებულებავ, - მიუგო გახარებულმა პოლიციის უფროსმა, - მერედა სადაა?
- ესე იგი, დუბროვსკი კი არა, მისი ბრბოს ერთ-ერთი წევრი დავიჭირე, ამ წუთში მოიყვანენ. იგი ხელს შეგვიწყობს თვით მეთაურის შეპყრობის საქმეში, აგერ, მოიყვანეს კიდეც.
პოლიციის უფროსს ეგონა, მრისხანე ყაჩაღი მოვაო, და სახტად დარჩა, რომ საკმაოდ სუსტი გარეგნობის ცამეტი წლის ბიჭი შერჩა ხელთ. საგონებელში ჩავარდნილი მიუბრუნდა კირილა პეტროვიჩს, ელოდა, რას ეტყოდა იგი. კირილა პეტროვიჩმა დილანდელი ამბავის მოყოლა დაიწყო, მაგრამ მარია კირილოვნა არ უხსენებია.
პოლიციის უფროსმა გულისყურით მოუსმინა, თან სინჯა და ათვალიერა პატარა

არამზადა, რომელმაც თავი მოისულელა და თითქოს ბაიბუად არ აგდებდა, რაც მის გვერდით ხდებოდა.
- ნება მიბოძეთ, თქვენო აღმატებულებავ, ცალკე მოგესაუბროთ, - უთხრა ბოლოს პოლიციის უფროსმა კირილა პეტროვიჩს.
კირილა პეტროვიჩმა იგი სხვა ოთახში გაიყვანა და კარი ჩაკეტა.
ისინი ნახევარ საათში მობრუნდნენ დარბაზში, სადაც ტყვე თავის განაჩენს ელოდა.
- ბატონს უნდოდა, ქალაქის საპყრობილეში ჩაესვი, - უთხრა პოლიციის უფროსმა, - გაემათრახებინე და შემდეგ გადაესახლებინე, მაგრამ მე გამოგექომაგე და შენი პატიება გამოვთხოვე. შეუხსენით ხელები.
ბიჭს ხელები შეუხსნეს.
- მადლობა შესწირე ბატონს, - უთხრა პოლიციის უფროსმა.
ბიჭი მივიდა კირილა პეტროვიჩთან და ხელზე აკოცა.
- გასწი შინ და დღეის ამას იქით ფუღურეებიდან ჟოლოს მოპარვას თავი გაანებე! - უთხრა კირილა პეტროვიჩმა.
ბიჭი გარეთ გამოვიდა, მხიარულად ისკუპა პარმაღიდან და მინდორ-მინდორ კისრისტეხით გაქუსლა კისტენევკასკენ. სოფელს რომ მიატანა, ნახევრად დანგრეულ განაპირა ქოხთან შედგა და ფანჯარაზე დააკაკუნა. ფანჯარა აიწია და გამოჩნდა ბებრუხანა.
- ბებია, პური, - უთხრა ბიჭმა, - დილიდან პირში ლუკმა არ ჩამსვლია, შიმშილით კუჭი მიხმება.
- ოჰ, ეს შენა ხარ მიტია, კი მაგრამ, სად დაიკარგე, ეშმაკის ფეხო, - მიუგო ბებრუხანამ.
- შემდეგ მოგიყვები, ბებია, თუ ღმერთი გწამს, მოიტა პური!
- მერე, შემოდი რაღა ქოხში!
- არ მცალია, ბებია, კიდევ ერთ ადგილას უნდა შევირბინო. პური, თუ ღმერთი გწამს, პური!
- ეს რა დაუდეგარი ვინმე ხარ, - წაიბურტყუნა ბებრუხანამ. - აჰა, პურის ნაჭერი, - უთხრა და ფანჯარაში შავი პურის ნაჭერი გამოუწოდა.
ბიჭმა პური სულწასულად ჩალუკმა და წამსვე ღეჭვა-ღეჭვით განაგრძო გზა.
ბინდი წამოიპარა. მიტია კალო-კალო, ბოსტან-ბოსტან მიძვრებოდა კისტენევკის ტევრისკენ. როცა ორ ფიჭვს მიატანა, ტევრის მეწინავე გუშაგებად რომ იდგნენ აქ, შეჩერდა, თვალი მიატარ-მოატარა, ყურთასმენის წამღებად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაუსტვინა და გაყურადდა. პასუხად სუსტმა და ჩაგრძელებულმა სტვენამ უწია სმენას, შემდეგ ტევრიდან ვიღაც გამოვიდა და მიუახლოვდა.

მეთვრამეტე თავი

კირილა პეტროვიჩი ბოლთას სცემდა დარბაზში და თავის სიმღერას ჩვეულებრივზე უფრო ხმიერად უსტვენდა. მთელი სახლი ქოთქოთებდა - მსახურები გარბი-გამორბოდნენ, მოახლეები ფაციფუცობდნენ, ფარდულში მეეტლეები ცხენებს აბამდნენ კარეტაში, ეზოში ხალხი ზიმზიმებდა. თავადის ასულის საპირფარეშოში მოახლეებით გარშემორტყმული ქალი სარკის წინ ფერმიხდილ, გაქვავებულ მარია კირილოვნას რთავდა. მაშას ბრილიანტების სიმძიმისაგან თავი კინწმოწყვეტილივით ეხრებოდა, ოდნავ ტოკავდა, როცა სიფრთხილეს მოკლებული ხელი ჩხვლეტდა, მაგრამ კრინტს არ ძრავდა და უაზროდ ჩასცქეროდა სარკეს.
- მალე გაათავებთ თუ არა, - გაისმა კართან კირილა პეტროვიჩის ხმა.
- ამ წუთში, - მიუგო ქალმა. - მარია კირილოვნა, წამოდექით, ჩაიხედეთ, მოგწონთ? მარია კირილოვნა წამოდგა და არა უპასუხა რა. გაიღო კარი.
- პატარძალი მზადაა, - უთხრა ქალმა კირილა პეტროვიჩს. - გაეცით კარეტაში ჩასხდომის ბრძანება.
- ღმერთი შეგეწიოთ, - თქვა კირილა პეტროვიჩმა, შემდეგ მაგიდიდან ხატი აიღო და მთრთოლვარე ხმით უთხრა ქალიშვილს, - მაშა, მოდი, გლოცავ...
საბრალო მარია კირილოვნა მუხლებში ჩაუვარდა და აქვითინდა.
- მამიკო... მამიკო... - ამბობდა თვალცრემლიანი და ხმა უწყდებოდა.
კირილა პეტროვიჩი ჩქარობდა შვილის დალოცვას. მარია კირილოვნა წამოაყენეს და თითქმის ხელში აყვანილი წაალასლასეს კარეტისაკენ. კარეტაში მაშას მდადე და ერთ-ერთი მოახლე ჩაუჯდა. გასწიეს ეკლესიისაკენ. მათ იქ უკვე უცდიდა საქმრო. თავადი პატარძალს გამოეგება და პირკატა ეცა მის სიფერმკრთალესა და უცნაურ შესახედაობაზე. ისინი ერთად შევიდნენ გამოციებულ, ცარიელ ეკლესიაში. შევიდნენ და მათ უკან კარი ჩაკეტეს. მღვდელი საკურთხევლიდან გამოვიდა და მაშინვე შეუდგა ჯვრისწერას. მარია კირილოვნა არას ხედავდა, არც არა ესმოდა, ერთ რამეზე ფიქრობდა მხოლოდ. იგი დილიდანვე ელოდა დუბროვსკის, იმედი ერთი წუთით არ გადაუწყვეტია, მაგრამ მღვდელმა რომ ჩვეულებრივი კითხვა დაუსვა, შეძრწუნდა და გული შეუქანდა. მიუხედავად ამისა, ფეხს ისევ ითრევდა, ისევ ელოდა დუბროვსკის. მღვდელს ქალიშვილის პასუხისთვის არ დაუცდია და ამოთქვა სიტყვები, რომელთა უკან მობრუნება არ ეგებოდა.
ჯვრისწერა მოთავდა. მაშა გრძნობდა საძულველი ქმრის ცივ კოცნას, ესმოდა გარშემო მყოფთა მხიარული მილოცვები და მაინც ვერა და ვერ იჯერებდა, რომ ცხოვრება სამარადჟამოდ შეეკრა, რომ დუბროვსკი არ მოფრინდა მის დასახსნელად. თავადმა საალერსო სიტყვები უთხრა, მაგრამ მათ ვერ ჩაწვდა. გამოვიდნენ ეკლესიიდან, კარიბჭეზე პოკროვსკოელი გლეხები ირეოდნენ. მაშამ სწრაფად გადახედა მათ და თვალებში ადრინდებური სიცივე ჩაუდგა, ნეფე-დედოფალი ერთად ჩასხდა კარეტაში და

არბატოვოსკენ გასწია. კირილა პეტროვიჩიც არბატოვოს წავიდა, რომ იქ დახვედროდა ახალშეუღლებულთ. ახალგაზრდა ცოლთან მარტოდ მყოფი თავადი სრულიად არ შეუცბუნებია მის ცივ შესახედაობას. მაშასთვის სულის ამოხდა არ დაუწყია თვალთმაქცური ახსნა-განმარტებებით და სასაცილო აღფრთოვანებით. ლაპარაკობდა უბრალოდ და მისი ნათქვამი პასუხს არ საჭიროებდა. ასე გალიეს ათ ვერსამდე, ცხენები სწრაფად მიქროდნენ სოფლის შარაგზის კოლბოხებზე, მაგრამ ინგლისურ რესორებზე შემდგარი კარეტა თითქმის არ ირხეოდა. ანაზდად ატყდა მდევრების ყიჟინა. კარეტა გაჩერდა, მას გარს შემოერტყა შეიარაღებული ხალხი, ნახევარნიღბიანმა კაცმა ის კარი გააღო, საითკენაც თავადის ახალგაზრდა ცოლი იჯდა, და ქალს უთხრა:
- თქვენ თავისუფალი ხართ, გადმოდით.
- რას ნიშნავს ეს? - იყვირა თავადმა, - ვინა ხარ შენ?
- ეს დუბროვსკია, - მიუგო ცოლმა.
თავადს გული არ წახდენია, გვერდითა ჯიბიდან საგზაო დამბაჩა იძრო და შენიღბულ ყაჩაღს დაახალა. თავადის ცოლმა შეჰკივლა და სახეზე ძრწოლით აიფარა ორივე ხელი. დუბროვსკი მხარში დაიჭრა. სისხლმა გარეთ გამოატანა. თავადს არ დაუხანებია, მეორე დამბაჩა იძრო, მაგრამ სროლა არ ადროვეს. აქეთ-იქით კარი დაიღო. რამდენიმე ღონიერმა ხელმა გარეთ გამოათრია და დამბაჩა წაართვეს. თავადის თავზე დანებმა იელვეს.
- ხელი არ ახლოთ! - იყვირა დუბროვსკიმ და მისი პირქუში თანამოსაქმენი უკუიქცნენ. - თქვენ თავისუფალი ხართ, - მიმართა ფერმიხდილ თავადის ცოლს.
- არა, - მიუგო ქალმა, - გვიანაა უკვე, ჯვარი დავიწერე, მე თავად ვერეისკის მეუღლე ვარ.
- რას ამბობთ! - შეჰყვირა სასოწარკვეთილმა დუბროვსკიმ. - არა, თქვენ არა ხართ მისი ცოლი, თქვენ გაიძულეს, თქვენ არასდროს არ დაეთანხმებოდით...
- მე დავეთანხმე, შევფიცე, - მტკიცედ შეაწყვეტინა მაშამ. - თავადი ჩემი ქმარია. ბრძანეთ, გაათავისუფლონ, მე კი მასთან დამტოვეთ. მე ტყუილი არ მითქვამს, უკანასკნელ წუთამდე გელოდეთ... მაგრამ ახლა, გეუბნებით, ახლა გვიანაა, გაგვიშვით.
დუბროვსკი მაშას უკვე აღარ უსმენდა. ტკივილმა და დიდმა სულიერმა მღელვარებამ ძალა გამოაცალა. იგი კარეტის თვალთან დაეცა. ყაჩაღები გარს შემოერტყნენ. დუბროვსკიმ მოასწრო რამდენიმე სიტყვა ეთქვა მათთვის. ყაჩაღებმა თავიანთი მეთაური ცხენზე შესვეს, ორი მათგანი აქეთ-იქით ამოუდგა, მესამემ ცხენს აღვირში ჩაავლო ხელი და ყველანი წავიდნენ. ხოლო დატოვეს კარეტა შუა გზაზე, ხალხი შებოჭილი, ცხენები გამოხსნილი, მაგრამ არაფერი წაუღიათ და არც წვეთი სისხლი დაუღვრიათ თავიანთი წინამძღოლის სისხლის საზღაურად.

მეცხრამეტე თავი

შუაგულ უღრან ტყეში ვიწრო მდელოზე იყო პატარა სიმაგრე - მიწაყრილი და თხრილი, რომელთა მიღმა რამდენიმე ფაცხა და მიწური იდგა.
გარეთ უამრავი ხალხი ჩანდა. სხვადასხვა ტანსაცმელსა და საერთო შეიარაღებაზე მაშინვე შეატყობდით, რომ ყაჩაღები იყვნენ. ისინი ქუდმოხდილნი შემოსხდომოდნენ საერთო ქვაბს და სადილობდნენ. მიწაყრილზე, პატარა ქვემეხის გვერდით, გუშაგი იჯდა, ფეხები შემოეკეცა და თავის ტანსაცმელს საკერებელს აკემსავდა, თან წარამარა აქეთ-იქით იხედებოდა. ნემსი ისე დახელოვნებულად გაჰქონდ-გამოჰქონდა, ეტყობოდა, გამოცილი მკერავი იყო.
პატარა ჩამჩამ რამდენჯერმე კი ჩამოიარა, მაგრამ მთელი ბრბო უცნაურად დუმდა. ყაჩაღებმა სადილობა მოათავეს, ნასადილევს ერთიმეორის მიყოლებით დგებოდნენ და ლოცულობდნენ. ზოგი ფაცხაში შევიდა, ზოგიც ტყეში მიმოიფანტა ან რუსული ჩვეულებისამებრ დასაძინებლად მიწვა.
გუშაგი კემსვას მორჩა, კონკები გაიფერთხა, საკერებლის ცქერით დატკბა, ნემსი სახელოზე მიიბნია, ქვემეხზე წამოსკუპდა და მთელი ხმით გააბა ძველი რუსული ნაღვლიანი სიმღერა:

მწვანე მუხნარო, დედავ, მუხნარო ჩემო,
ნუღარ შრიალებ, ფიქრი მაცალე ჭაბუკს.
ამ დროს ერთ-ერთი ფაცხის კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა სალუქად და ერთობ სადად ჩაცმული, თეთრჩაჩიანი მოხუცი ქალი.
- კმარა, სტიოპკა, - მწყრალად უთხრა გუშაგს, - ბატონი ისვენებს, შენ კი მაინც პირი მოგიხევია და ღრიალებ, სინდისი თქვენ არ გაგაჩნიათ და სიბრალული.
- ბრალეული ვარ, ეგოროვნა, - მიუგო სტიოპკამ. - კეთილი, კრინტს აღარ დავძრავ, დაე, ჩვენმა ბატონმა დაისვენოს და გამოკეთდეს.
მოხუცი წავიდა, სტიოპკა კი ბოლთის ცემას მოჰყვა მიწაყრილზე.
ფაცხაში, საიდანაც მოხუცი გამოვიდა, ტიხარს იქით დაჭრილი დუბროვსკი იწვა სალაშქრო საწოლზე. წინ პატარა მაგიდაზე თავისი დამბაჩები ეწყო, ხოლო ხმალი თავთით ეკიდა. ფაცხის კედელ-იატაკი დიდებული ხალიჩებით მოეფარდაგებინათ, კუთხეში ქალის ვერცხლის ტუალეტი და ტრიუმო ჩანდა. დუბროვსკის გაშლილი წიგნი ეჭირა, მაგრამ თვალები დახუჭული ჰქონდა და ტიხარს იქიდან მომზირალმა ეგოროვნამ აღარ იცოდა, დაიძინა თუ ფიქრებში გაერთო.

უცებ დუბროვსკი შეტოკდა... სიმაგრეში განგაში ატყდა, სტიოპკამაც ფაცხის ფანჯარაში თავი შემოჰყო და დაიყვირა:
- ვლადიმირ ანდრეევიჩ, ჩვენები გვანიშნებენ - დაგვეძებენო.
დუბროვსკი საწოლიდან წამოვარდა, იარაღს ხელი დაავლო და ფაცხიდან გავიდა. ყაჩაღები ხმაურით იყრიდნენ თავს. დუბროვსკი რომ გამოჩნდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.
- ყველა აქაა? - იკითხა დუბროვსკიმ.
- ყველა, მზვერავების გარდა, - იყო პასუხი.
- ადგილებზე! - დაიყვირა და თითოეულმა ყაჩაღმა კუთვნილი ადგილი დაიჭირა.
ამ დროს ალაყაფთან სამმა მზვერავმა მოირბინა. დუბროვსკი მათკენ გაემართა.
- რა ამბავია? - ჰკითხა მზვერავებს.
- ტყეში სალდათებია, გარს გვერტყმიან, - მიუგეს მზირებმა.
დუბროვსკიმ ბრძანა, ალაყაფი დაეკეტათ და ქვემეხის შესამოწმებლად გაემართა. ტყეში რამდენჯერმე გაისმა შეძახილი. შეძახილი თანდათან ახლოვდებოდა. ყაჩაღები უხმოდ ელოდნენ მომხვდურთ. უცებ ტყიდან სამი-ოთხი სალდათი გამოჩნდა. ორი მაშინვე უკუიქცა და ამხანაგებს სროლით ნიშანი მისცა.
- მოემზადეთ საბრძოლველად! - თქვა დუბროვსკიმ და ყაჩაღები ახმიანდნენ. შემდეგ ისევ ჩამოდგა სიჩუმე.
ამ დროს მოისმა მოახლოებული რაზმის ხმაური, ხეებს შუა იარაღმა იელვა, ტყიდან ას ორმოცდაათამდე სალდათი გამოიჭრა და ღრიალით წამოზვავდა მიწაყრილისაკენ. დუბროვსკიმ ქვემეხს პატრუქი მიუმარჯვა. ნასროლი გვარიანი გამოდგა. ერთ სალდათს თავი წაეცალა, ორიც დაიჭრა. სალდათები აწრიალდნენ, მაგრამ წინ ოფიცერი გამოენთო, ისინიც უკან მოჰყვნენ და თხრილში ჩამოცვივდნენ. ყაჩაღებმა მათ თოფებისა და დამბაჩების ცეცხლი შეაგებეს და ნაჯახებით დაიწყეს მიწაყრილის დაცვა. გააფთრებული სალდათები, რომელთაც ოცამდე ამხანაგი დარჩათ, ახლა მიწაყრილზე მოძვრებოდნენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. სალდათები უკვე მიწაყრილზე იყვნენ, ყაჩაღებმა უკუქცევა იწყეს, მაგრამ დუბროვსკი ოფიცერს მიეჭრა, დამბაჩა მკერდზე მიუშვირა და ესროლა. ოფიცერი გულაღმა დაენარცხა მიწას. რამდენიმე სალდათმა იგი აიტაცა და დაეშურნენ ტყეში წაეყვანათ. სხვებმა, რაკი უფროსი მოისაკლისეს, შედგნენ. გულმოცემულმა ყაჩაღებმა ამით ისარგებლეს, სალდათები გადათქერეს და თხრილში ჩაყარეს. მოალყეებმა მოკურცხლეს, ყაჩაღები ყვირილით გამოუდგნენ უკან. გამარჯვებას წინ არაფერი უდგა. დუბროვსკიმ იფიქრა, მტერი სავსებით აირ-დაირიაო და თავისიანები შეაჩერა, ბრძანა, დაჭრილები წამოეყვანათ, გუშაგები გაორკეცა, არავინ არსად წავიდესო, - განკარგულება გასცა და სიმაგრეში ჩაიკეტა.
უკანასკნელმა ამბებმა მთავრობა აიძულა ერთობ გულისყურით მიეხედა დუბროვსკის შეუპოვარი ყაჩაღობისათვის. შეკრიბეს ცნობები, სად იმყოფებოდა და სალდათების

ასეული გაგზავნეს, რომ იგი მკვდარი თუ ცოცხალი, მოეხელთებინათ. შეიპყრეს მისი ბრბოს რამდენიმე კაცი, რომელთაგან შეიტყვეს, რომ დუბროვსკი მათთან აღარ იყო. ბრძოლის გადახდიდან რამდენიმე დღის შემდეგ დუბროვსკის ყველა თანამოსაქმე შეეყარა და ეთქვა: ვაპირებ სამუდამოდ გაგეცალოთ და გირჩევთ, თქვენც სხვანაირ ცხოვრებას დაადგეთო.
- თქვენ ჩემი წინამძღოლობით გამდიდრდით, - განეცხადებინა ყაჩაღებისათვის, - თითოეულ თქვენგანს აქვს მოწმობა, რომლითაც გულარხეინად შეუძლია რომელიმე შორეულ გუბერნიაში გააღწიოს და სიცოცხლის დანარჩენი დღენი პატიოსანი შრომით და დოვლათიანად გალიოს, მაგრამ თქვენ ყველანი ყალთაბანდები ხართ და არ მოიგუნებებთ, ხელობა შეიცვალოთ.
ამის თქმის შემდეგ დუბროვსკი ყაჩაღებს გასცლია, თან მხოლოდ წაუყვანია. არავინ უწყოდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. ჯერ ეჭვობდნენ, დაჭერილთა ჩვენებანი სწორი არ არისო: ყაჩაღები რომ თავიანთი წინამძღოლის ერთგულნი იყვნენ, ამას ფიცი და მტკიცი არ უნდოდა. ვარაუდობდნენ, თითქოს ისინი დუბროვსკის შველას ლამობდნენ, მაგრამ მომდევნო ამბების მიხედვით, დაჭერილნი მართლები გამოდგნენ: შეწყდა ზარდამცემი სტუმრობანი, ხანძრები და ძარცვა-გლეჯა, გზები გაიხსნა. სხვა ცნობებით შეიტყვეს, რომ დუბროვსკი საზღვარგარეთ გაიქცა.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრე პუშკინი

„დუბროვსკი“

(II ვარიანტი)

ტომი პირველი

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ თავის მამულში ცხოვრობდა ძველი რუსი მებატონე კირილა პეტროვიჩი ტროეკუროვი. სიმდიდრე, წარჩინებული გვარი და გავლენიანობა მას დიდი წონას აძლევდა იმ გუბერნიაში, სადაც მისი მამული იყო. მეზობლები მოხარულნი იყვნენ ყოველი მისი უმნიშვნელო ახირება დაეკმაყოფილებინათ. გუბერნიის მოხელენი თრთოდნენ მისის სახელის გაგონებაზე; კირილა პეტროვიჩი პირფერობას, რომელსაც მის მიმართ იჩენდნენ, მართებულ ხარკად სთვილდა; ტროეკუროვის სახლი ყოველთვის სავსე იყო სტუმრებით, რომლებიც მზად იყვნენ გაერთოთ იგი დიდკაცურ უსაქმურობაში, მონაწილეობა მიეღოთ მის ხმაურიან, ზოგჯერ შმაგ გართობებშიც. ვერავინ ბედავდა მის მიპატიჟებაზე უარი ეთქვა, ან დანიშნულ დღეებში სათანადო მოწიწებით სოფელ როკროვსკოეში არ გამოცხადებულიყო. შინაურ ცხოვრებაში კირილა პეტროვიჩი გაუნათლებელი ადამიანის ყვლა მანკს იჩენდა. გარშემო მყოფთა მიერ განებივრებულმა, მან თავშეკავებულობა არ იცოდა, ყველაფერი უნდა აესრლებინა, რასაც კი თავისი ფიცხი ხასიათით და საკმაოდ შეზღუდული გონებით აიხირებდა. თუმცა არაჩვეულებრივად ჯანმრთელი ადამიანი იყო, კვირაში ერთი-ორჯერ მაინც თავისი ღორმუცელობით ავად ხდებოდა. ყოველ საღამოს შეზარხოშებული იყო. მისი სახლის ერთ ფლიგელში თექვსმეტი მოახლე ქალი ცხოვრობდა და ამთი სქესის შესაფერ ხელსაქმეს აკეთებდა. ფლიგელის ფანჯრებს ხის გისოსი ჰქონდა; კარები იკეტებოდა კლიტეებით, რომელთა გასაღებები კირილა პეტროვიჩთან ინახებოდა ეს ახალგაზრდა განდეგილი ქალები დანიშნულ დროს ბაღში ჩადიოდნენ და ორი დედაბრის მეთვალყურეობის ქვეშ სეირნობდნენ. დროგამოშვებით კირილა პეტროვიჩი ზოგიერთ მათგანს ათხოვებდა და გათხოვილთა

ადგილს ახლები იკავებდნენ. გლეხებსა და შინაყმებს მკაცრად და ახირებულად ეპყრობოდა; მაგრამ ისინი ბატონის სიმდიდრითა და სახელით ამაყობდნენ და, თავის მხრივ, მისი ძლიერი მფარველობის იმედით მეზობლების მიმართ თავგასულობას იჩენდნენ.
ტროეკუროვის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენდა თავისი ვრცელი სამფლობელოების შემოვლა, ხანგრძლივი ლხინები, ახალ-ახალი ოინების მოწყობა, რისი მსხვერპლიც ჩვეულებრივად რომელიმე ახალი ნაცნობი ხდებოდა, თუცა ამ ოინებს მისი ძველი მეგობრები ვერ აღწევდნენ თავს; გამონაკლისი იყო მხოლოდ ადრეი გავრილოვიჩ დუბროვსკი. დუბროვსკი, სამსახურიდან გადამდგარი გვარდიის პორუჩიკი, ტროეკუროვის უახლოესინ მეზობელი იყო. მას სამოცდაათი ყმა ჰყავდა. ტროეკუროვი, რომელიც სხვებთან ურთიერთობის დროს ქედმაღლობას იჩენდა, დუბროვსკის პატივს სცემდა, მიუხედავად იმისა, რომ მას მცირე ქონება ჰქონდა. ოდესღაც ისინი ერთად მსახურობდნენ და ტროეკუროვმა გამოცდილებით იცოდა, რა ფიცხი და მტკიცე ხასიათისა იყო დუბროვსკი (შექმნილმა ვითარებამ ისინი ერთმანეთს დიდი ხნით დააშორა). დუბროვსკი, რომელსაც ქონების საქმე აწეწილი ჰქონდა, იძულებული გახდა სამსახური მიეტოვებინა და თავის სოფელში დასახლებულიყო. კირილა პეტროვიჩმა ეს რომ გაიგო, მას თავის მფარველობა შესთავაზა, მაგრამ დუბროვსკიმ მადლობა გადაუხადა და ღარიბი და დამოუკიდებელი დარჩა. რამდენიმე წლის შემდეგ ტროეკუროვი, სამსახურიდან გადადგარი გენერალანშეფის წოდებით, თავის მამულში ჩამოვიდა; ერთმანეთი ინახულეს, ძალიან გაიხარეს. ამიერიდან ყოველდღე ერთად იყვნენ და კირილა პეტროვიჩი, რომელსაც არასოდეს არავინ თავისი სტუმრობის ღირსი არ გაუხდია, ძველი ამხანაგის პატარა სახლში უბრალოდ შეივლიდა ხოლმე. ისინი - ტოლნი, ერთი წოდების შვილნი და ერთნაირად აღზრდილნინ - ხასიათით და მიდრეკილებებით ერთმანეთს ჰგავდნენ. ზოგ რამეში ბედიც ერთნაირი ჰქონდათ: ცოლი ორივემ სიყვარულით შეირთო, ორივე მალე დაქვრივდა, ორივეს თითო ბავშვი დარჩა. დუბროვსკის ვაჟი პეტერბურგში იზრდებოდა, კირილა პეტროვიჩის ქალიშივლი კი - მშობლების ოჯახში; და ტროეკუროვი ხშირად ეუბნებოდა დუბროვსკის: "გამიგონე, ძმაო, ანდრეი გავრილოვიჩ: თუ შენი ვალოდკა კაცი დადგა, მაშას მივათხოვებ, თუმცა სულს იქით არაფერი აბადია". ანდრეი გავრილოვიჩი თავს გააქნევდა დ ჩვეულებრივად უპასუხებდა: "არა, კირილა პეტროვიჩ, ჩემი ვალოდკა მარია კირილოვნას საქმროდ ვერ გამოდგება. ღარიბმა აზნაურმა, როგორიც იგია, უკეთესი ღარიბი აზნაურის ქალიშვილი შეირთოს და სახლში უფროსი იყოს, ვიდრე განებივრებული ქალის მოურავი გახდეს".
ყველას შურდა თანხმობა, რომელიც ზვიად ტროეკუროვსა და მის ღარიბ მეზობლებს შორის სუფევდა, და უკვირდათ დუბროვსკის გამბედაობა. როცა იგი კირილა პეტროვიჩთან სუფრაზე პირდაპირ გამოთქვამდა თავის აზრს, თავს არ იტკივებდა იმით, იზიარებდა თუ არა ამ აზრს მასპინძელი. სხვებმაც სცადეს მისთვის მიებაძათ და

სათანადო მორჩილების საზღვრებს გადასულიყვნენ, მაგრმ კირილა პეტროვიჩმა ისე დააფრთხო ისინი, რომ სამუდამოდ დაუკარგა ხალისი ასეთი შებედვისათვის და საერთო კანონის გარეშე მხოლოდ დუბროვსკი დარჩა. უეცარმა შემთხვევამ ყველაფერი არია და შესცვალა.
ერთხელ, შემოდგომის პირას, კირილა პეტროვიჩი ეწერ ადგილებში აპირებდა გამგზავრეას ძაღლებით სანადიროდ. წინადღით მეძაღლეებსა და ჯილავდარეს ბრძანება მისცეს დილის ხუთი საათისათვის მზად ყოფილიყვნენ. კარავი და სამზარეულო წინასწარ გაიგზავნა იმ ადგილას, სადაც კირილა პეტროვიჩს უნდა ესადილა. მასპინძელი და სტუმრები საძაღლეში წავიდნენ, სადაც ხუთასზე მეტი მეძებარი და მწევარი მაძღრად და თბილად ცხოვრობდა; ძაღლები თავის ძაღლურ ენაზე კირილა პეტროვიჩის გულუხვობას აქებ-ადიდებდნენ. აქვე იყო ლაზარეთი ავადმყოფი ძაღლებისათვის პოლკის მკრუნალ ტიმოშკას მეთვალყურეობის ქვეშ და განყოფილება, სადაც კეთილშობილი ძუკნები ლეკვებს ჰყრიდნენ და მათ ძუძუს აწოვებდნენ. კირილა პეტროვიჩს ამ მშვენიერი დაწესებულებით თავი მოსწონდა და არასოდეს არ გაუშვებდა შემთხვევაშ, რომ სტუმრებთან იმით არ დაეკვეხნა, თუმცა თითოეულ მათგანს ოცჯერ მაინც ჰქონდა საძაღლე ნახული. სტურებშემოხვეული ტროეკუროვი, მთავარი მეძაღლეებისა და ტიმოშკას თანხლებით, საძაღლეში დადიოდა; ზოგიერთი ძაღლის ხუხულასთან ჩერდებოდა, ხან ავადმყოფი ძალღების ჯანმრთელობას კითხულობდა და ხან მეტად თუ ნაკლებად მკაცრსა და სამართლიან შენიშვნებს იძლეოდა, ხან ნაცნობ ძაღლებს მოუხმობდა და ალერსიანად ესაუბრებოდა. სტუმრები თავს ვალდებულად სთვლიდნენ კირილა პეტროვიჩის საძაღლეთი აღფრთოვანებულიყვნენ, ხოლო დუბროვსკი სდუმდა და იღუშებოდა. იგი გატაცებული მონადირე იყო. შეძლება მას ნებას აძლევდა მხოლოდ წყვილ-წყვილი მეძებარი და მწევარი ჰყოლოდა. მას არ შეეძლო ერთგვარი შური არ აღძვროდა ამ დიდებული დაწესებულების ნახვის დროს.
- ძმაო, რას იღუშები, - ჰკითხა კირილა პეტროვიჩმა, - ჩემი საძაღლე არ მოგწონს?
- არა, - უპასუხა მან პირქუშად, - საძაღლე საუცხოოა, არა მგონია, რომ თქვენს შინაყემებს ისეთივე ცხოვრება ჰქონდეთ, როგორიც თქვენს ძაღლებსა აქვთ.
ეს ერთ-ერთ მეძაღლეს ეწყინა.
- ჩვენს ცხოვრებას, - თქვა მან, - ღვთისა და ბატონის წყალობით, არ ვემდურით; რაც მართალია, მართალია, ზოგიერთ აზნაურს არაფერი დაუშავდებოდა, რომ თავსი კარ-მიდამო რომელიმე აქაურ ძაღლის ხუხულაზე გაეცვალა. იგი უფრო მაძღრად და თბილად იქნებოდა.
კირილა პეტროვიჩმა ხმამაღლა გაიცინა თავისი ყურმოჭრილი ყმის თავხედ შენიშვნაზე. სტუმრებმაც გაიცინეს, თუმცა გრძნობდნენ, რომ მეძაღლის ხუმრობა შეიძლება მათაც შეხებოდა. დუბროვსკი გაფითრდა და სიტყვა არ უთქვამს.
ამ დროს კირილა პეტროვიჩს მიუყვანეს ახალდაყრილი ლეკვები, რომლებსაც თვალიერება

დაუწყო, ორი ამოირჩია, დანარჩენების დახრჩობა ბრძანა. ამასობაში ანდრეი გავრილოვიჩი მიიმალა და ეს არავის შეუნიშნავს.
კირილა პეტროვიჩი სტუმრებთან ერთად საძაღლიდან რომ დაბრუნდა და ვახშმად დაჯდა, მხოლოდ მაშინ იკითხა დუბროვსკი, რომელიც თვალში დააკლდა.
შინაყმებმა უპასუხეს, ანდრეი გავრილოვიჩი შინ გაემგზავრაო. ტროეკუროვმა ბრძანა - ახლავა დასწეოდნენ მას და აუცილებლად დაებრუნებინათ. ტროეკუროვი თავის დღეში არ გამგზავრებულა სანადიროდ, თუ მას თან არ ახლდა დუბროვსკი, გამოცდილი და იშვიათი დამფასებელი ძაღლთ ღირსებებისა და მონადირეთა ყოველგვარი დავის შეუცდომლად გადამწყვეტი. ჯერ კიდევ სუფრას უსხდნენ, რომ მსახური, რომელიც ცხენით დაედევნა დუბროვსკის, დაბრუნდა და თავის ბატონს მოახსენა, ანდრეი გავრილოვიჩმა დაბრუნება არ ისურვაო. კირილა პეტროვიჩი, ჩვეუნებრ ნაყენით შეხურებული, გაჯავრდა და იგივე მსახური კვლავ დაადევნა ანდრეი გავრილოვიჩს და დააბარა, თუ ახლავე არ დაბრუნდება პოკროვსკოეში ღამის გასათევად, სამუდამოდ დაგემდურებიო. მსახური ისევ გაეშურა ცხენის ჭენებით. კირილა პეტროვიჩი სუფრიდან ადგა, სტუმრები გაუშვა და დასაძინებლად წავიდა.
მეორე დღეს მისი პირველი კითხვა იყო: ანდრეი გავრილოვიჩი აქ არისო? პასუხის მაგივრად მას მიართვეს სამკუთხედად დაკეცილი წერილი. კირილა პეტროვიჩმა უბრძანა თავის მწერალს ხმამაღლა წაეკითხა წერილი - და მოისმინა შემდეგი.
"ჩემო ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ,
მე არა მაქვს სურვილი პოკროვსკოეში ჩამოსვლისას მანამდე, სანამ არ გამომიგზავნით მეძაღლე პარამოშკას დანაშაულის აღიარებისათვის; ჩემი ნება იქნება, დავსჯი თუ შევიწყნარებ მას. თქვენი ყურმოჭრილი ყმებისაგან ხუმრობის ატანის სურვილი მე არა მაქვს, ამას არც თქვენ მოგითმენთ - იმიტომ რომ მე მასხარა კი არა ვარ, არამედ ძველი აზნაური. ამით დავშთები თქვენი მონა-მორჩილი
ანდრეი დუბროვსკი".
ეტიკეტზე ახლანდელი წარმოდგენის იხედვით ეს წერილი მეტად უზრდელი იქნებოდა, მაგრამ მან კირილა პეტროვიჩი გააგულისა არა უცნაური სტილით და განწყობილებით, არამედ მხოლოდ თავისი არსით.
- როგორ, - დაიგრიალა ტროეკუროვმა და ლოგინინდა ფეხშიშველი წამოხტა, - გავუგზავნო მას შინაყმები დანაშაულის აღიარებისათვის და მისი ნება იყოს მათი შეწყნარება, დასჯა! მართლაც ეს რა განუზრახავს; იცის თუ არა ვისთან აქვს საქმე, მე მას. . . სატირლად გავუხდი საქმეს, რას ნიშნავს ტროეკუროვის წინააღმდეგ ამხედრება!
კირილა პეტროვიჩმა ტანთ ჩაიცვა და თავისი ჩვეულების მიხედვით დიდი ზეიმით სნადიროდ გაემგზავრა. მაგრამ ნადირობა ჩაეფუშა. მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი კურდღელი დაინახეს და ისიც გაექცათ. მინდორში კარვის ქვეშ სადილობაც არ გამოუვიდათ, ან ეს კირილა პეტროვიჩს არ მოეწონა. მზარეული გალახა, სტუმრები

დალანძღა და შინ დაბრუნებისას მთელი თავისი მონადირეთა ჯგუფით განზრახ დუბროვსკის მინდვრებზე გადაიარა.
რამდენიმე დღე გავიდა და მტრობა ამ ორ მეზობელს შორის არ ცხრებოდა. ანდრეი გავრილოვიჩი პოკროვსკოეში არ ბრუნდებოდა, - კირილა პეტროვიჩი უმიოდ მოწყენილი იყო და მისი წყენა ხმამაღლა იღვრებოდა უაღრესად შეურაცხმყოფელ გამოთქმებში, რაც იქაური აზნაურების გულმოდგინების წყალობით დუბროვსკიმდე აღწევდა შესწორებული და შევსებული. ახალმა გარემოებამ შერიგების უკანასკნელი იმედიც გააქარწყლა.
ერთხელ დუბროვსკი თავის პატარა სამფლობელოს ათვალიერებდა; არყის ხეების ჭალას რომ მიუახლოვდა, გაიგონა ნაჯახის კაკუნი და წუთის შემდეგ ხის დაცემა. ჭალისაკენ გაეშურა და მიუსწრო პოკროვსკოელ გლეხებს, რომლებიც მშვიდად ჰქურდავდნენ მის ტყეს. დუბროვსკის დანახვაზე გაქცევა დააპირეს. მან თავისი მეეტლის დახმარებით ორი მათგანი დაიჭირა და გაბაწრულნი თავის ეზოში მიიყვანა. გამარჯვებულს დაჩა აქვე დავლად მტრის სამი ცხენი. დუბროვსკი ძალიან გულმოსული იყო. აქამდე ტროეკუროვის შინაყმები, ცნობილი ყაჩაღები, მისი ადგილმამულის ფარგლებში ცელქობას ვერ ბედავდნენ, იცოდნენ დუბროვსკის მეგობრული განწყობილება ტროეკუროვთან. ანდრეი გავრილოვიჩი ხედავდა, რომ ახლა ისინი სარგებლობდნენ მომხდარი განხეთქილებით და გადაწყვიტა ომის უფლებაზე ყოველგვარი წარმოდგენის წინააღმდეგ, ჭკუა ესწავლებინა თავისი ტყვეებისათვის წკეპლებით, რომლებიც მათ მისსავე ჭალაში მოიმზადეს, ცხენები კი სამუშაოდ გაეგზავნა და თავისი საქონლისათვის მიეწერა.
ეს ამბავი იმ დღესვე მიუტანეს კირილა პეტროვიჩს. იგი ძლიერ გაცეცხლდა და განრისხების პირველ წუთებში მზად იყო მთელი თავისი შინაყმებით დასცემოდა კისტენევკას (ეს სახელი ერქვა დუბროვსკის სოფელს), დაერბია იქაურობა, თვითონ მემამულისათვის კი ალყა შემოერტყა მისსავე მამულში. ასეთი გმირობა ტროეკუროვისაგან გასაკვირი არ იყო. მაგრამ მისმა ფიქრებმა მალე სხვა მიმართულება მიიღეს.
დარბაზში მძიმე ნაბიჯებით ბოლთას რომ სცემდა, უეცრად ფანჯარაში გაიხედა და დაინახა ალაყაფის კარებთან გაჩერებული სამცხენა; პატარა კაცი ჩიხაქუდითა და ფრიზის მაზრით ფორანიდან გადმოვიდა და ფლიგელში შევიდა მოურავთნა; ტროეკუროვმა იცნო თანამსაჯული შაბაშკინი და ბრძანა იგი მასთან მიეყვანათ. ერთ წუთში შაბაშკინი უკვე კირილა პეტროვიჩის წინაშე იდგა და ზედიზედ თავს უკრავდა და მოწიწებით მის ბრძანებას უცდიდა.
- გამარჯობა, რა გქვია შენ, - უთხრა მას ტროეკუროვმა, - რისთვის მობრძანებულხარ?
- მე ქალაქს მივემგზავრებოდი, თქვენო აღმატებულებავ, - უპასუხა შაბაშკინმა, - და ივანე დემიანოვთან შემოვიარე იმის გასაგებად, რაიმე ბრძანება ხომ არ იქნებოდა თქვენი აღმატებულებისაგან.
- მარჯვე დროს მოხვედი, რა გქვია შენ; მჭირდები, არაყი გადაჰკარი და მომისმინე.

ასეთმა ალერწიანმა მიღებამ თანამსაჯული სასიამოვნოდ გააკვირვა. არაყის დალევაზე უარი თქვა და კირილა პეტროვიჩს მთელი არსებით უსმენდა.
- მე მყავს მეზობელი, - თქვა ტროეკუროვმა, - წვრილმამულიანი, უზრდელი კაცი. მინდა მას მამული ჩამოვართვა, - რას ფიქრობ ამის შესახებ?
- თქვენო აღმატებულებავ, თუ არის რაიმე საბუთი, ან. . .
- სტყუი, ძმაო, რის საბუთები გჭირდება. ამისათვის არის ბრძანებები. ძალა სწორედ იმასი, რომ ყოველგვარი უფლებების გარეშე მამული წაართვა. მაგრამ დაიცა. ოდესღაც ეს მამული ჩვენ გვეკუთვნოდა, ვიღაც სპიცინისაგან ვიყიდეთ და მერე მივყიდეთ დუბროვსკის მამას. ხომ არ შეიძლება, ამაზე შარი მოვდოთ?
- ძნელია, თქვენო აღმატებულებავს; ეს გაყიდვა, ალბათ, კანონიერი წესით მოხდა.
- დაფიქრდი, ძმაო, რამე გაახერხე.
- მაგალითად, თქვენო აღმატებულებავ, რომ შეგძლებოდათ როგორმე თქვენი მეზობლისაგან გეშოვნათ სიგელი, რის ძალითაც იგი თავის ქონებას ჰფლობს, მაშინ, რასაკვირველია. . .
- მესმის, უბედურებაც ეს არის - მას ხანძრის დროს ყველა საბუთი დაეწვა.
- როგორ, თქვენო აღმატებულებავ, საბუთები დაეწვა! ამაზე უკეთესი რა იქნება - ამ შემთხვევაში ინებეთ მოქმედება კანონების შესაბამისად და უეჭველად მიიღებთ თქვენს სრულ დაკმაყოფილებას.
- შენ ასე ფიქრობ? აბა, გაფრთხილებ, შენი ერთგულების იმედი მაქვს, ჩემგან კი, დარწმუნებული იყავი, მადლობა არ მოგაკლდება.
შაბაშკინმა თითქმის მიწამდე დაუკრა თავი და გავიდა; იმავე დღიდან დაიწყო ზრუნვა განზრახული საქმის გამო და მისი სიმარჯვის წყალობით სწორედ ორი კვირის შემდეგ დუბროვსკიმ მიიღო მიწვევა ქალაქიდან, დაუყოვნებლივ წარედგინა სათანადო ახსნა-განმარტება, რის საფუძველზეც ჰფლობდა იგი სოფელ კისტენევკას.
მოულოდნელი შეკითხვით გაოცებულმა ანდრეი გავრილოვიჩმა იმავე დღეს გაგზავნა საკმაოდ უხეში პასუხი, რომელშიც აცხადებდა: სოფელი კისტენევკა დამრჩა განსვენებული მამის სიკვდილის შემდეგ და მას ვფლობ მემკვიდრეობის უფლებითო, ტროეკუროვს ჩემ მიმართ არაფერი საქმე არა აქვს და სხვა ვინმეს მიერ უფლების განცხადება ამ ჩემს საკუთრებაზე არის შარი და თაღლითობაო.
ამ წერილმა თანამსაჯულ შაბაშკინზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. მან დაინახა, ჯერ ერთი, რომ დუბროვსკი საქმეებში ვერ ერკვეოდა, მეორეც, ასე ფიცხი და წინდაუხედავი ადამიანის უაღრესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება ძნელი არ იქნებოდა.
ანდრეი გავრილოვიჩმა მშვიდად რომ გაარჩია თანამსაჯულის შეკითხვები, საჭიროდ დაინახა უფრო საფუძვლიანად ეპასუხა. მან დასწერა საკმაოდ საქმიანი ქაღალდი, რომელიც როგორც შემდეგ გამოირკვა, არასაკმარისი აღმოჩნდა.

საქმე გაგრძელდა. თავის სიმართლეში დარწმუნებული ანდრეი გავრილოვიჩი ამისათვის თავს დიდად რ იწუხებდა. არც ხალისი, არც შესაძლებლობა ჰქონდა იმისა, რომ თავის გარშემო ფული ეფანტა. თუმცა ხშირად დასცინოდა ხოლმე კალმოსანთა მოდგმის სინდისი გამყიდველობას, მაგრამ არასოდეს ფიქრად არ მოსვლია, რომ ცილისწამებსი მსხვერპლი თვითონ გახდებოდა. თავსი მხრივ ტროეკუროვიც ასევე ნაკლებად ზრუნავდა თავსი მიერ წამოწყებული საქმის მოგვარებისათვის. მის მაგიერ შაბაშკინი ირჯებოდა, მისი სახელით მოქმედებდა, მოსამართლეებს აშინებდა და ქრთამავდა, ყოველგვარ ბრძანებულებას წაღმა-უკუღმა განმარტავდა. ასე იყო თუ ისე, 18. . . წლის 9 თებერვალს დუბროვსკიმ ქალაქის პოლიციის უწყება მიიღო გამოცხადებულიყო ** მაზრი მოსამართლესთან გადაწყვეტილების მოსასმენად პორუჩიკ დუბროვსკისა და გენერალ-ანშეფის ტროეკუროვის საქმეზე სადავო მამულის შესახებ და ხელი მოეწერა, ეთანხმებოდა თუ არა ამ გადაწყვეტილებას. იმავე დღეს დუბროვსკი ქალაქს გაემგზავრა; გზაში მას ტროეკუროვმა გაუსწრო. ამაყად გადახედეს ერთმანეთს და დუბროვსკიმ თავისი მოწინააღმდეგის სახეზე ღვარძლიანი ღიმილი შენიშნა.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ანდრეი გავრილოვიჩი ქალაქში რომ ჩავიდა, ნაცნობ ვაჭართან დაბინავდა, ღამე მასთან გაათია და მეორ დღეს მაზრის სასამართლოში გამოცხადდა. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. . . მას კვალდაკვალ მიჰყვა კირილა პეტროვიჩი. მწერავები წარმოდგნენ და კალმები ყურს უკან გაიჩარეს, წევრები შეხვდენენ მას დიდი პირმოთნეობის გამოხატვით. სავარძელი მიუწიეს და მისი წოდების, ხნოვანებისა და წაროსადეგობისადმი პატივსცემის ნიშნად; იგი ღია კარებში დაჯდა, - ანდრეი გავრილოვიჩი ფეხზე დამდგარი კედელს მიეყრდნო. ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა და მდივანმა მჟღერი ხმით დაიწყო სასამართლოს დადგენილების კითხვა.
მას მთლიანად ვათავსებთ, მგონია ყოველ ადამიანს სასიამოვნოდ დარჩება გაეცნოს ერთ-ერთ საშუალებას, რითაც რუსეთში ჩვენ შეგვიძლია დავკარგოთ მამული, რომლის მფლობელობაზე უდავო უფლება გვაქვს.
18. . . წლის თებერვლის. . . დღესა . . . მაზრის სასამართლომ განიხილა საქმე იმის შესახებ, რომ გვარდიის პორუჩიკი ანდრეი გავრილოვიჩ დუბროვსკი არაკანონიერად ჰფლობდა მამულს, რომელიც ეკუთვნის გენერალ-ანშეფს კირილა პეტროვიჩ თროეკუროვს, რომელიც მდებარეობს. . . გუბერნიიის სოფელ კისტენევკაში და შესდგება მამრობითი

სქესისი. . . სულისაგან,. . . დესეტინა მიწისაგან მდელოებით და სახნავ-სათესით. ამ საქმიდან ჩანს: ხსენებულმა გენერალ-ანშეფმა ტროეკუროვმა გასული 18. . . წლის . . .9 დღესა შემოიტანა თხოვნა ამა სასამართლოში შესახებ იმისა, რომ 17 . . . წლის აგვისტოს 14 დღესა განსვენებულმა მამამისმა, კოლეგიის ასესორმა და კავალერმა, პიოტრ ეფიმოვიჩ ტროეკუროვმა, რომელიც იმ დროს საგუბერნიო სამმართველოში მსახურობდა პროვინციის მდივნად, შეიძინა 2.500 მანეთად აზნაურ კანცელარისტ ფადეი ეგოროვიჩ სპიცინისაგან მამული, მდებარე. . . მაზრის ხსენებულ სოფელ კისტენევკაში, რომლი სოფელის მაშინ აღწერის მიხედვით იწოდებოდა კისტენევსკის ახალშენებად, სადაც ირიცხებოდა მეოთხე აღწერით მამრობითი სქესის. . . სული, გლეხთ ამთელი ქონებით, კარ-მიდამოთი, უხნავ-სახნავი მიწებით, ტყეებით, სათიბით, სათევზაო ადგილებით კისტენევკად წოდებულ პატარა მდინარეზე, და ამა მამულს ყველა კუთვნილი ადგილმამულით და ბატონის ხის სახლით, ერთი სიტყვით, ყველაფერი უკლებლივ, რაც მას მამისისგან აზნაურ ათისთავ ეგორ ტერენტევიჩ სპიცისაგან მემკვიდრეობით დარჩა და მის მფლობელობაში იყო, არ დაუტოვებია რა შინაყმებისაგან არც ერთი სული და მიწის არც ერთი ნაკვეთი, რაზედაც იმავე დღეს. . . სასამართლოსა და განჩინების პალატაში შედგენილ იქნა ნასყიდობის სიგელი და მამამისი მაშინვე აგვისტოს 26 დღეს. . . მაზრის სასამართლოს მიერ შეყვანილ იქნა მფლობელობაში და მამული ჩაბარდა მას. ბოლოს 17. . . წლიდან თითქმის ბავშვობიდანვე სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა და მეტწილად იყო ლაშქრობაში საზღვარგარეთ, რის გამოც მას არ შეეძლო ჰქონოდა ცნობები, როგორც თავისი მამის სიკვდილისა, აგრეთვე მისი გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების შესახებ. ამჟამად კი ამას სამსახურიდან გადადგომისს და თავის მამის მამულებში დაბრუნების შემდეგ, რომელი მამუჯლებიც მდებარეობენ. . . და . . . გულბერნიებში, კ.-სა, . -სა და რ.-ს მაზრებში, სხვადასხვა სოფლებში, სულ სამი ათას სულამდე, გენერალ-ანშეფი ტროეკუროვი აღმოაჩენს, რომ ასეთ მამულთა რიცვიდან ზემოთ აღწრილ სულებს (როლებიც ახლანდელი. . . აღწერის მიხედვით ირიცხება იმა სოფელში სულ. . . სული) მიწითა და ყველა ადგილმამულით ჰფლობს ყოველგვარი დამტკიცების გარეშე ზემოდასახელებული გვერდის პორუჩიკი ანდრეი დუბროვსკი, ამიტომ ადგენს რა ამა თხოვნასთნა ნამდვილ ნასყიდობის სიგელს, რომელიც მამამისს მისც გამყიდველმა სპიცინმა, ითხოვს, ხსენებული მამული ჩამოერთვას დუბროვსკის არაკანონიერი მფლობელობიდან და გადაეცეს კუთვნილებისამებრ მას - ტროეკუროვს, სრულ განკარგულებაში. ამა არაკანონიერი მისაკუთრების გამო, რითაც იგი სარგებლობდა ყოველწლიური შემოსავლით, ამის შესახებ სათანადო მოკვლევის შედეგად დაედო მას, დუბროვსკის, კანონები დაწესებული გადასახდელი და ამით დაკმაყოფილებულ იქნა იგი, ტროეკუროვი.

. . . მაზრის სასამართლოს მიერ ამა თხოვნის გამო ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად დადგენილ იქნა: რომ სადავო მამულის ხსენებულმა ახლანდელმა მფობელმა გვარდიის

პორუჩიკმა დუბროვსკიმ მისცა აზნაურთა წარმომადგენელს ადგილობრივ ახსნა-განმარტება, რომ ამჟამად მის მფლობელობაში მყოფი მამული, მდებარე აღნიშნულ სოფელ კისტენევკაში, . . . სული მიწითა და სახნავ-სათესით დარჩა მას მემკვიდრეობით თავისი მამის, არტილერიის პოდპორუჩიკის გავრილ ევგრაფიჩ დუბროვსკის სიკვდილის შემდეგ, განსვენებულმა კი ეს მამული შეიძინა ამა მთხოვნელის მამისაგან, ტროეკუროვისაგან, რომელიც ჯერ იყო პროვინციის მდივანი, მერე კი კოლეგიის ასესორი. მის იერ 17. . . წლის აგვისტოს 30 დღესა მეცხრე კალსის მოხელე გრიგორი ვასილევიჩ სობოლევისათვის მიცემული. . . მაზრის სასამართლოში შემოწმებული მინდობილობით, რომლითაც მისგან უნდა ჰქონდეს მამამისს ამ ქონებაზე ნასყიდობის სიგელით მიღებული მთელი ქონება, . . . სული მიწით, მიჰყიდა მამამისს, დუბროვსკის, და ხელშეკრულებით ხვედრი ფული, 3.200 მანეთი მთლიანად მიიღო მამამისისგან დაუბრუნებლად და სთხოვა ამა რწმუნებულს სობოლევს მიეცა მამამისისთვის კანონიერი ნასყიდობის სიგელი. ამასთან ამავე მინდობილობით მთელი თანხის გადახდის შემთხვევაში მამამისს უფლება ენიჭებოდა დაუფლებოდა ამ მისგან ნაყიდ მამულს და ესარგებლა მით ამ ნასყიდობის სიგელის შედგენამდე, როგორც ნამდვილ მფლობელს, იგი კი, გამყიდველი ტროეკუროვი, არც სხვა ვინმე ამიერიდან მამულს არ დაპატრონებოდა.
მაგრამ სახელდობრ როდის და რომელ სახელმწიფო დაწესებულებაში მისცა ასეთი ნასყიდობის სიგელი რწმუნებულმა სობოლევმა მამამისს, მან, ანდრეი დუბროვსკიმ, არ იცის, ვინაიდან მაშინ მცირეწლოვანი იყო და მამის სიკვდილის შემდეგ ასეთი ნასყიდობის სიგელის პოვნა ვერ შესძლო; ანდრეი დუბროვსკი ფიქროს, იქნება ეს სიგელი სხვა საბუთებთან ერთად დაიწვა, 17 . . . წელს მათ სახლში გაჩენილი ხანძრის დროს, რის შესახებაც იცოდნენ ამა სოფლის მცხოვრებლებიც. და რომ იმ დღიდან, რაც ეს მამული ტროეკუროვმა გაჰყიდა ან სობოლევს მინდობილოა მისცა, ე. ი. 17. . . წლიდან, მამამისის სიკვდილის შემდეგ კი 17. . . წლიდან და დღემდე, ამ მამულს ისინი, დუბროვსკები, უდავოდ ჰფლობდნენ, ამას ამოწმებენ მეზობლები, რომლებიც სულ 52 კაცმა, ფიცქვეშ დაკითხვის დროს ჩვენმა მოგვცეს, რომ ნამდვილად, როგორც მათ ახსოვთ, დუბროვსკები აღნიშნული სადავო მამულის მფლობელობას შეუდგნენ სამოცდაათი წლის წინათ ვინმეს მხრივ ყოველგვარი დავის გარეშე, მაგრამ სახელდობრ რა აქტით და ნასყიდობის სიგელით, ეს მათ არ იციან. ამ საქმის გამო დასახელებული ამ მამულის წინანდელი მყიდველი, პროვინციის ყოფილი მდივანი პეტრე ტროეკუროვი ჰფლობდა თუ არა ამ მამულს, მათ არ ახსოვთ. ბ. ბ. დუბროვსკების სახლი ოცდაათი წლის წინათ მათ მამულში ღამით გაჩენილი ხანძრისაგან დაიწვა; ამავე დროს გარეშე პირებმა დაამტკიცეს, რომ აღნიშნულ სადავო მამულს შეუძლია მოგვეცეს შემოსავალი, იმ დროიდან საერთოდ თუ ვიანგარიშებთ, ყოველწლიურად არანაკლებ 2.000 მანეთისა.
ამის საწინააღმდეგოდ გენერალ-ანშეფმა კირილა პეტროვიჩ ტროეკუროვმა ამა წლის 3 იანვარს მოიტანა ამა სასამართლოში თხოვნა: თუმცა დასახელებულმა გვარდიის

პორუჩიკმა ანდრეი დუბროვსკიმ წარმოადგინა ამ საქმის გამო გამოძიების წარმოების დროს განსვენებული მამისაგან გავრილ დუბროვსკის მიერ მეცხრე კლასის მოხელისათვის მიცემული მინდობილობა მისთვის მიყიდულ ქონებაზე, მაგრამ ამა მინდობილობით არათუ ნამდევილი ნასყიდობის სიგელი, არამედ ნასყიდობის სიგელის ოდესმე შედგენაზე არავითარი აშკარა საბუთი არ წარმოუდგენია გენერალური რეგლამენტის 19 თავის და 1752 წლის ნოემბრის 29 დღის ბრძანებულეის საფუძველზე. მაშასადამე, თვით მინდობილობა ამჟამად მისი მიმცემის, მამამისის, სიკვდილის გამო, 1818 წლის მაისის. . . დღის ბრძანებულების თანახმად, სრულიად ბათილდება. - ამას გარდა, ნაბრძანებია, სადავო მამულები გადაეცეს მფლობელობაში ნასყიდობსიგელიანი ნასყიდობის სიგელის მიხედვით და არანასყიდობისიგელიანი მოკვლევის მიხედვით. ამ მამულზე, რომელიც მამამისს ეკუთვნოდა, წარმოდგენილია უკვე მისგან საბუთად ნასყიდობის სიგელი, რომლის მიხედვით, აღნიშნულ კანონთა საფუძველზე, ხსენებულ დუბროვსკის უკანონო მფოლბელობიდან უნდა ჩამოერთვას მამული და მემკვიდრეობის უფლებით გადაეცეს იგი ტროეკუროვს. ვინაიდან აღნიშნული მამულები, ჰფლობდნენ რა მათ არაკუთვნილ მამულს ყოველგვარი ნასყიდობის გარეშე, სარგებლობდნენ უკანონოდ მათი არაკუთვნილი შემოსავლით, გაანგარიშების შემდეგ, რამდენიც ვალად დაედება მემამულე დუბროვსკის. . . ძალით, ამით დაკმაყოფილდეს იგი, ტროეკუროვი. ამ საქმის განხილვისა და ამა საქმიდან და კანონებიდან ამონაწერების გაკეთების შემდეგ. . . მაზრის სასამართლოში განჩინებულია:
როგორც ამ საქმიდა ჩანს, სრულმა გენერალ-ანშეფმა კირილა პეტროვიჩ ტროეკუროვმა ამ აღნიშნულ სადავო მამულზე, რომელიც ამჟამად გვარდიის პორუჩიკის ანდრეი გავრილოვიჩ დუბროვსიკის მფლობელობაშია და მდებარეობს სოფელ კისტენევკაში, ახლანდელი. . . აღწრით სულ მამრობითი სქესის. . . სული, მიწით და ადგილ-მამულებით, წარმოადგინა ნამდვილი ნასყიდობის სიგელი, რომ განსვენებულმა მამამისმა, პროვინციის მდივანმა, რომელიც შემდეგ კოლეგიის ასესორი იყო, 17. . . წელს ეს მამული იყიდა აზნაურ კანცელარისტ ფადეი სპიცინისაგან; და რომ ამას გარდა ეს მყიდველი, როგორც ჩანს იმ ნასყიდობის სიგელზე გაკეთებული წარწერიდან, იმავე წელს. . . მაზრის სასამართლოს მიერ შეყვანილია მფლობელობაში და მამული მას ჩაბარებული აქვს. და თუმცა ამის საწინააღმდეგოდ გვარდიის პორუჩიკის ანდრეი დუბროვსკის მიერ წარმოდგენილ იქნა მინდობილობა იმ გარდაცვლილი მყიდველის, ტროეკუროვის მიერ, მეცხრე კლასის მოხელის სობოლევისთვის მიცემული ნასყიდობის სიგელის შესადგენად მამამისის, დუბროვსკის სახელზე; მაგრამ ასეთი გარიგებით აკრძალულია არათუ ნასყიდობსიგელიან უძრავ ქონებით დამტკიცება, არამედ დროებით მფლობელობაც. . . განკარგულებით, ამასთანავე თვით მინდობილობა ამა მინდობილობის მიცემის სიკვდილით სრულიად ბათილდება. - მაგრამ დუბროვსკის მხრივ დღიდან ამა საქმის წარმოებისა, ე.ი. 18. . . წლიდან დღემდე წარმოდგენილი არაა არავითარი აშკარა საბუთი იმის შესახებ, რომ ამა

მინდობილობით აღნიშნულ სადავო მამულზე ნამდვილად ყოფილიყო შედგენილი ნასყიდობის სიგელი სადმე და ოდესმე. ამიტომ ამა სასამართლოს მიაჩნია: აღნიშნული მამული, . . . სული, მიწითა და სახნავ-სათესით, როგორ მდგომარეობაშიც იგი მამული აღმოჩნდა, დაუმტკიცდეს მასზე წარმოდგენილი ნასყიდობის სიგელის მიხედვით გენერალ-ანშეფს ტროეკუროვს; მიეწეროს ბრძანება. . . საერბო სასამართლოს, ამ მამულზე განკარგულების უფლება ჩამოართვეს გვარდიის პორუჩიკ დუბროვსკის და მის მაგიერ მფლობელობაში სათანადოდ შეყვანილი იქნას ბ. ტროეკუროვი და მას ჩაბარდეს მამული, რომელიც მემკვიდრეობითი დარჩა. თუმცა ამას გარდა გენერალ-ანშეფი ტროეკუროვი ითხოვს თავისი სამემკვიდრეო მამულისა და მისი შემოსავლის უკანონო სარგებლობის გამო აზღვევინოს გვარდიის პორუჩიკს დუბროვსკის, მაგრამ ვინაიდან ეს მამული, ძველ მცხოვრებთა ჩვენებით, იყო რამდენიმე წლის განმავლობაში ბ.ბ. დუბროვსკების უდავო მფლობელობაში და ამა საქმისან არა ჩანს, რომ ბ. ტროეკუროვის მხრივ დღემდე ყოფილიყოს რაიმე თხოვნა დუბროვსკების მიერ ამ მამულის ასეთი უკანონო მფლობელობის შესახებ; ამასთანავე დებულებით ნაბრძანებია, თუ ვინმე მიწას დასთესავს ან კარ-მიდამოს შემოღობავს და ამაზე არაკანონიერი მითვისების გამო აღძრავენ საჩივარს და ეს გამოძიებით დამტკიცდება, მაშინ მართალს მიეცეს იგი მიწა დათესილი პურით, მოღობილობითა და ნაგებობებით, ამიტომ გენერალ-ანშეფ ტროეკუროვს გავარდიის პორუჩიკის მიმართ აღძრულ სარჩელზე უარი ეთქვას, ვინაიდან მისი კუთვნილი მამული მას უბრუნდება მფლობელობაში უკლებლივ. თუ მფლობელობაში მისი შეყვანის დროს ყველაფერი უკლებლივ აღმოჩნდება, მიუხედავად ამისა გენერალ-ანშეფ ტროეკუროვს უფლება ეძლევა, თუ ექნება ამ თავის პრეტენზიისათვის რაიმე აშკარა და კანონიერი საბუთი, ითხოვოს ამის შესახებ ცალკე სადაც ჯერ არს. დადგენილება წინასწარ გამოეცხადოს როგორც მოსარჩლეს, აგრეთვე მოპასუხეს, კანონიერ საფუძველზე სააპელაციო წესით, ისინი გამოძახებულ იქნან პოლიციის საშუალებით ამ სასამართლოში ამა დადგენილების მოსასმენად და ხელმოსაწერად, კმაყოფილი არიან თუ არა ამ დადგენილებით.
ამ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა სასამართლოს ყველა დამსწრემ.
მდივანი დადუმდა, თანამსაჯული ადგა და თავმდაბლად მიმართა ტროეკუროვს და მიიწვია მოწოდებულ ქაღალდზე ხელმოსაწერად. გამარჯვებულმა ტროეკუროვმა გამოართვა მას კალამი და ხელი მოაწერა სასამართლოს დადგენილებას, რომ მით სავსებით კმაყოფილი იყო.
დუბროვსკის ჯერი იყო. მდივანმა ქაღალდი მიუტანა, მაგრამ დუბროვსკი უძრავად იდგა თავდახრილი.
მდივანმა განმეორებით სთხოვა ხელი მოეწერა დადგეინლებაზე, კმაყოფილი იყო თუ არა იგი, თუ მოლოდინის წინააღმდეგ გრძნობდა სინდისის ქვეშ, რომ ამ საქმეში მართალი იყო და განზრახული ჰქონდა კანონით დაწესებულ ვადაში ეთხოვნა აპელაცია სადაც ჯერ იყო.

დუბროვსი სდუმდა. . . უეცრად თავი ასწია, თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა, ფეხები დააბაკუნა, მდივანს ისეთი ძალით ჰკრა ხელი, რომ ძირს დასცა, სამელნეს ხელი სტაცა და თანამსაჯულს ესროლა. ყველა შიშის ძრწოლამ შეიპყრო. "როგორ! პატივი არ სცე საყდარს უფლისას! დაიკარგე, უზრდელთა მოდგმავ!" - მერე მიუბრუნდა კირილა პეტროვიჩს: "გაგონილა, თქვენო აღმატებულებავ, - განაგრძო მან, - მეძაღლეებს ძაღლები უფლის საყდარში შეჰყავთ! ძაღლები საყდარში დარბიან! მაცალეთ, მე თქვენ ჭკუას გასწავლით. . ." ხმაურობაზე დარაჯებმა მოირბინეს და დუბროვსკი ძლივს დაიმორჩილეს, გამოიყვანეს და მარხილში ჩასვეს. მალე ტროეკუროვიც წავიდა მთელი სასამართლოს თანხლებით. დუბროვსკის უეცარმა გაგიჟებამ ტროეკუროვზე ძლიერ იმოქმედა და ზეიმი ჩაუშხამა. მოსამართლენი, რომელიც მისგან მადლობას მოელოდნენ, ერთი სიტყვის ღირსნიც კი არ გახადა. იგი იმავე დღეს პოკროვსკოეს გაემგზავრა. ამ დროს დუბროვსკი ლოგინში იწვა. მაზრის მკურნალმა, საბედნიეროდ არა სავსებით უვიცმა, მოასწრო მისთვის სისხლი გამოეშვა, წრუბელები დაესვა და ხოჭოს სალბუნი დაეკრა; ავადმყოფი საღამოს უკეთ გახდა, გონს მოვიდა. მეორე დღეს იგი წაიყვანეს კისტენევკაში, რომელიც უკვე მას თითქმის აღარ ეკუთვნოდა.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

რამდენიმე ხანი გავიდა, საწყალი დუბროვსკი ჯერ კიდევ ვერ გამოკეთდა. მართალია, სიგიჟე აღარ უვლიდა, მაგრამ ძალ-ღონე შესამჩნევად აკლდებოდა. თავისი წინანდელი საქმიანობა ავიწყდებოდა, ოთახიდან იშვიათად გამოდიოდა და მთელი დღე და ღამე ფიქრებს ეძლეოდა. ეგოროვნა, კეთილი მოხუცი ქალი, რომელიც ოდესღაც მის შვილს უვლიდა, ახლა მისი გადიაც გახდა. ეგოროვნა მას უვლიდა როგორც ბავშვს, ახსენებდა ჭამასა და ძილს, აჭმევდა და დასაძინებლად აწვენდა. ანდრეი გავრილოვიჩი გადიას მშვიდად ემორჩილებოდა, მის გარდა არავის იკარებდა. დუბროვსკის აღარ შეეძლო თავის საქმეებზე, სამეურნეო განკარგულებებზე ეფიქრა, და ეგოროვნამ საჭიროდ დაინახა ყველაფერი ახალგზაზრდა დუბროვსკისათვის ეცნობებინა. იგი მსახურობდა გვარდიის ერთ-ერთ ქვეით პოლკში, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იდგა. ეგოროვნამ ამოხია ფურცელი გასავლის დავთრიდან და მზარეულ ხარიტონს, კისტენევსკის ერთადერთ ანაბანის მცოდნეს, უკარნახა წერილი, რომელიც იმავე დღეს ქალაქის ფოსტაში გაგზავნა.

მაგრამ დროა ჩვენი მოთხრობის ნამდვილი გმირი გავაცნოთ მკითხველს.
ვლადიმერ დუბროვსკი იზრდებოსა კადეტთა კორპუსში და გამოშვებულ იქნა კორნეტად გვარდიაში; მამა არაფერს არ იშურებდა, რათა შვილი კარგად შეენახა, და ახალგაზრდა კაცი სახლიდან იღებდა იამზე მეტს, ვიდრე მოელოდა. იგი მფლანგველი და პატივმოყვარე იყო, თავისი ჟინის დასაკმაყოფილებლად ხრჯს არ ერიდებოდა; ბანქოს თამაშობდა და ვალში ვარდებოდა; მომავლისთვის არ ზრუნავდა იმის იმედით, რომ, ადრე თუ გვიან, მდიდარ ცოლს შიერთავდა, ასეთია ოცნება ღარიბი ახალგაზრდობისა.
ერთხელ საღამოს მასთან რამდენიმე ოფიცერი იყო, ისინი დივნებზე წამოწოლილნი ქარვიანი ჩიბუხებით თამბაქოს აბოლებდნენ. ამ დროს დუბროვსკის გრიშამ, მისმა კამერდინერმა, მიართვა წერილი, რომლის წარწერამ და ბეჭედმა ახალგაზრდა კაცი გააოცა. მან სასწრაფოდ გახსნა წერილი და შემდეგი წაიკითხა:
"ჩემო ხელმწიფევ, ვლადიმირ ანდრეევიჩ, - მე, შენმა ძველმა გადიამ, გავბედე მოგახსენო მამილოს ჯანმრთელობის შესახებ. იგი ძალიან ცუდად არის, ზოგჯერ თავისთვის ლაპარაკობს და მეთელი დღე სულელი ბავშვივით ზის - სიკვდილ-სიცოცხლე უფლის ნეაა. ჩამოდი ჩვენთან, ჩემო შევარდენო, ჩვენ ცხენებსაც გამოგიგზავნით პესოჩნოესთან - ხმები დადის მაზრის სასამართლო ჩამოდის ჩვენთან, რათა კირილა პეტროვიჩის ხელში გადაგვცეს - იმიტომ, რომ თქვენ იმისი ხართო, ჩვენ კი უხსოვარი დროიდან თქვენი ვართ, - და ეს ჩვენ დღეში არ გამიგონია. - შენ შეგეძლო, პეტერბურგში ცხოვრობ, ამის შესახებ მეფე-ბატონისათვის მოგეხსენებინა, იგი ჩვენს თავს არ დააჩაგვრინებდა. დავშთები შენი ერთგული მონა-მორჩილი, გადია არინა ეგოროვნა ბუზირევა.
ჩვენ უკვე მეორე კვირაა წვიმს და როდია მწყემსი მოკვდა ნიკოლოზობის დღეებში. ვუგზავნი გრიშას ჩემს დედობრივ ლოცვა-კურთხევას, ხომ კარგად გემსახურება?"
არაჩვეულებრივად აღელვებულმა ვლადიმირ დუბროვსკიმ ეს საკმაოდ უაზრო სტრიქონები რამდენჯერმე ზედიზედ წაიკითხა. მცირეწლოვანმა დაჰკარგა დედა და მამას თითქმის არც კი იცნობდა, მერვე წელში იყო გადამდგარი, იგი რომ პეტერბურგში ჩაიყვანეს; მამასთან და იმდენად უფრო უყვარდა ოჯახური ცხოვრება, რამდენადაც ნაკლებად მოასწრო მისი წყნარი სიხარულით დატკბობა.
მამის დაკარგვის აზრი გულს მწარედ უღრღნიდა. გადიას წერილით მიხვდა, როგორ მდგომარეობაში იყო სწყალი ავადმყოფი, და ეს შიშის ზარს სცემდა. წარმოიდგინა მამა, ყრუ სოფელში მიტოვებული, სულელი დედაბრისა და შინაყმების ხელში; მას რაღაც უბედურება მოელოდა, სულიერ და ხორციელ ტანჯაში ის დაუხმარებლად ჰქრებოდა. ვლადიმირი თავს დამნაშავედ გრძნობდა, რომ მამას ყურადღებას ვერ აქცევდა. დიდი ხანია მამისაგან არავითარ ცნობას არ იღებდა და არც უფიქრია მისი ამბავი გაეგო. ფიქრობდა, მოგზაურობას ან გართულია სამეურნეო საქმეებშიო.
ვლადიმირმა გადაწყვიტა კისტენევკაში გამგზავრებულიყო და სამსახურისათვის დაენებებინა თავი, თუ მამის ავადმყოფობა მასთან ყოფნას მოითხოვდა. დუბროვსკის

მოუსვენრობა რომ შენიშნეს, ამხანაგები წავიდნენ. ვლადიმირი მარტო რომ დარჩა, დწერა თხოვნა შვებულების შესახებ, ჩიბუხი გააბოლა და ღრმა ფიქრებს მიეცა.
იმავე დღეს დაიწყო ზრუნვა შვებულებისათვის და ორი დღის შემდეგ თავის ერთგულ გრიშასთან ერთად ფოსტის ცხენებით გაემგზავრა.
ვლადიმირ ანდრეევიჩი უახლოვდებოდა იმ სადგურს, საიდანაც კისტენევკასკენ უნდა გადაეხვია. მისი გული სამწუხარო წინაგრძნობებს შეეპყრო, ეშინოდა, ვაითუ მამას უკვე ცოცხალს ვეღარ მივუსწროო. ფიქრობდა მოსაწყენ ცხოვრებაზე, რომელიც მას სოფელში მოელოდა: მიყრუებული ადგილი, უკაცურობა, სიღარიბე და ზრუნვა საქმეებისათვის, რისაც მას არაფერი გაეგებოდა. სადგურზე რომ მივიდა, ზედამხედველთან შევიდა და ცხენები სთხოვა. ზედამხედეველმა ჰკითხა, სად მიემგზავრებითო, და განუცხადა, რომ კისტენევკიდან გამოგზავნილი ცხენები მეოთხე დღეა გელოდებიანო. მალე ვლადიმირ ანდრეევიჩთან გამოცხადდა ძველი მეეტლე ანტონი, რომელსაც ოდესღაც იგი საჯინიბოში დაჰყავდა და მის პატრა ცხენს უვლიდა. ვლადიმირსი დანახვაზე ანტონს თვალზე ცრემლები მოადგა, მიწამდე თავი დაუკრა და უთხრა, მოხუცი ბატონი ჯერ კიდევ ცოცხალიაო. მერე ცხენების გასაბმელად გაიქცა. ვლადიმირ ანდრეევიჩმა უარი თქვა მიწოდებულ საუზმეზე, გამგზავრებას ჩქარობდა. ანტონმა იგი სასოფლო გზებით წაიყვანა და მათ შორის საუბარი გაიმართა.
- მითხარი, გეთაყვა, ანტონ, რა საქმე აქვს მამაჩემს ტროეკუროვთან?
- ღმერთმა უწყის, ბატონო ვლადიმირ ანდრეევიჩ, როგორც ამბობენ, ვერ შეეწყო კირილა პეტროვიჩს, მან კი სასამართლოში უჩივლა - თუმცა ხშირად თვით არის მსაჯული. რა ჩვენი - ყმების საქმეა ბატონების ნება-სურვილის რკვევა, მაგრამ, ღმერთმანი, მამა თქვენი ამაოდ გადაეკიდა კირილა პეტროვიჩს, ნათქვამია, კამეჩის მარქენალ ხარს რქები არ შერჩებაო.
- ჩანს, ეს კირილა პეტროვიჩი აქ, თქვენთან, ყველაფერს აკეთებს, რაც კი მოესურვება.
- მართალია, ბატონო, - თანამსაჯულს, როგორც ამბობენ, ჩირად არ აგდეს, მაზრის პოლიციის უფროსი შიკრიკა ჰყავს. ბატონები მასთან მლიქვნეულური ერთგულების გამოსახატავად ჩამოდიან; როგორც იტყვიან, თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოფრინდებაო.
- მართალია, რომ ჩვენი მამულს გვართმევს?
- ეჰ, ბატონო, ასე გავიგონეთ ჩვენ მამასახლისთან თქვა: გეყოფათ სეირნობა; აი, კირილა პეტროვიჩი, დაიცადეთ, თქვენ ხელში ჩაგიგდებთ. მჭედელმა ნიკიტამ კი უთხრა: გეყოვა, საველიჩ, ნუ აღონებ, ნათილმამას, სტუმრებს ნუ აშფოთებ. კირილა პეტროვიჩი თავისთვის არის, ანდრეი გავრილოვიჩი კი თავისთვის - ჩვენ კი ყველანი ღვთისა და ხელმწიფისა ვართ. სხვას პირზე ბოქლომს ხომ ვერ დაადებ.
- მაშ, თქვენ არ გინდათ ტროეკუროვის მფლობელობაში გადახვიდეთ?
- კირილა პეტროვიჩის მფლობელობაში! ღმერთმა გვიხსნას, დაგვიფაროს. იქ, მასთა,

მისიანებსაც შავი დღე ადგიათ, უცხოები თუ ხელში ჩაუვარდა, მარტო ტყავს კი არ გააძრობს, ხორცსაც გააყოლებს. არა, ანდრეი გავრილოვიჩი ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, და თუ ღმერთი მას წაიყვანს, მაშინ ჩვენ, შენს გარდა, არავინ გვინდა, ჩვენო მარჩენალო. მას ნუ მიგვცემ, ჩვენ კი შენთვის თავს არ დავზოგავთ.
ამ სიტყვებზე ანტონმა მათრახი მოიქნია, სადავე დაარხია და მისი ცხენები ჩორთით წავიდნენ.
მოხუცი მეეტლის ერთგულებით გულაჩვილებული დუბროვსკი დადუმდა და ფიქრებს მიეცა. საათზე მეტი დრო გავიდა; უეცრად გრიშამ გამოარკვია იგი წამოძახილით: '"აი, პროკროვსკოე!" დუბროვსკი თავი ასწია, იგი ფართო ტბის ნაპირს მიჰყვებოდა, ტბიდან პატარა მდინარე გამოდიოდა და შორს გორაკებს შუა მიიკლაკნებოდა; ერთ გორაკზე ჭალის მუქ სიმწვანეში მოჩანდა უზარმაზარი ქვის სახლი წვანე სახურავი და ბელვედერი; მეორე გორკზე - ხუთგუმბათიანი საყდარი და ძველი სამრეკლო; მახლობლად მიმოფანტული იყო სოფლის ქოხები ჭებითა და ბოსტნებით. დუბროვსკიმ იცნო ეს ადგილები, მოიგონა, რომ სწორედ ამ გორაკზე თამაშობდა იგი პატარა მაშა ტროეკუროვთან ერთად. მაშა ორი წლით მასზე უმცროსი იყო და უკვე მაშინ ეტყობოდა, რომ ლამაზი ქალი დადგებოდა. დუბროვსკის უნდოდა მის შესახებ ანტონისათვის ეკითხა, მაგრამ რაღაც მორცხვობამ თავი შეაკავებინა.
ბატონის სახლს რომ მიუახლოვდა, დაინახა თეთრი ტანისამოსი, რომელიც ბაღის ხეებს შორის გამოკრთოდა. ამ დროს ანტონმა ცხენებს მათრახი გადაუჭირა, შეპყრობილმა პატივმოყვარეობით, რომელსაც სოფლისა და ქალაქის მეეტლეები თანაბრად ემორჩილებიან, ხიდზე და სოფელში ჭენებით ჩაიქროლა. სოფელს რომ გასცდნენ, გორაზე ავიდნენ და ვლადიმირმა დაინახა არყის ხეების ჭალა, მარცხნივ კი გაშლილ ადგილას რუხი სახლი წითელი სახურავით; გული უძგერდა. თვალწინ კისტენევკასა და თავისი მამის ღარიბ სახლს ხედავდ.
ათი წუთის შემდეგ ბატონის ეზოში შევიდ. აუწერელი მღელვარებით მიმოიხედა გარშემო. თორმეტი წელია, რაც თავისი სამშობლო არ უნახავს. პატარა არყის ხეები, რომლებიც ღობესთან მხოლოდ მის დროს დარგეს, გაზრდილა და ახლა მაღალტოტებიან ხეებად ქცეულა. ეზო ოდესღაც შემკობილი იყო სამი სწორი საყვავილეთი, მათ შორის მიდიოდა ფართო გზა, რომელიც საგულდაგულოდ იხვეტებოდა; ახლა ეს ეზო გაეხადათ მოუთიბავ მდელოდ, სადაც ფეხებდაბორკილი ცხენი სძოვდა. ძაღლებმა ის-ის იყო დაიყეფეს, მაგრამ ანტონი რომ იცნეს, დადუმდნენ და ბანჯგვლიანი კუდების ქნევა დაიწყეს. შინაყმები გამოცვივდნენ საჯალაბო ქოხებიდან. ახალგაზრდა ბატონს შემოეხვივნენ; ისინი სიხარულს ხმაურობით გამოხატავდნენ. ძლივს დააღწია თავი ერთგულ ბრბოს და დაძველებულ პარმაღზე აირბინა. წინკარში მას ეგოროვნა შემოეგება და თავისი გაზრდილი ტირილით გულში ჩაიკრა.
- გამარჯობა, გამარჯობა, გადია, - იმეორებდა დუბროვსკი და კეთილ მოხუცს გულში

იხუტებდა. - მამა როგორ არის, სად არის? თავს როგორ გრძნობს?
ამ დროს დარბაზში შემოვიდა მაღალი ტანის მოხუცი, ფერმკრთალი და გამხდარი, ფეხებს ძლივს მოათრევდა, ხალათი ეცვა და თავზე ჩაჩი ეხურა.
- გამარჯობა, ვალოდკა! - უთხრა მან სუსტი ხმით; ვლადიმირი მამას მაგრამ ჩაეკონა. სიხარულისაგან ავადმყოფი ძლიერ აღელდა, დასუსტდა, ფეხები მოეკვეთა. დაეცემოდა, შვილი რომ არ მიშველებოდა.
- რატომ აბრზანდით ლოგინიდან, - უთხრა ავადმყოფს ეგოროვნამ, - ფეხზე დგომა არ შეუძლია, იქითკენ კი მიიწევს, სადაც ხალხია.
მოხუცი საწოლ ოთახში შეიყვანეს, იგი თავს ძალას ატანდა, რათა შვილს დალაპარაკებოდა, მაგრამ აზრები თავში ერეოდა და სიტყვებს ერთმანეთს ვერ უკავშირებდა. მოხუცი დადუმდა, ჩასთვლიმა. ვლადიმირს მამის მდგომარეობამ თავზარი დასცა. იგი მამის საწოლ ოთახში მოეწყო და ითხოვა მამასთან მარტო დაეტოვებინათ. შინაყმები დაემორჩილნენ. მაშინ ყველამ გრიშკას მიხედა. იგი წაიყვანეს საჯალაბო ოთახში, სადაც მას გაუმასპინძლდნენ სოფლურად; გულთბილოა არ დაუკლიათ, გააწამეს კითხვებითა და მისალმებებით. \

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

იქ, სადაც სუფრა იყო გაშლილი,
ახლა კუბო დგას.

რამდენიმე დღე გავიდა დუბროვსკის ჩამოსვლის შემდეგ; მას საქმისთვის ხელი უნდა მოეკიდა, მაგრამ მამას არ შეეძლო მისთვის საჭირო ახსნა-განმარტება მიეცა - ანდრეი გავრილოვიჩს კი რწმუნებული არ ჰყავდა. მამის ქაღალდები რომ გაარჩია, მან იპოვა მხოლოდ თანამსაჯულის პირველი წერილი და მასზე გაცემული პასუხი, შავად ნაწერი, რომლიდანაც დავაზე ვერ მიიღო ნათელი წარმოდგენა, და გადაწყვიტა დაეცადა შედეგებისათვის; იმის იმედი ჰქონდა, რომ ამ საქმეში მართალი იყვნენ.
ამასობაში ანდრეი გავრილოვიჩის ჯანმრთელობა ყოველ საათში უარესდებოდა. ვლადიმირი წინასწარ ხედავდა ახლო დასასრულს და ბავშვად ქცეულ მოხუცს არ სცილდებოდა.

ამასობაში დაწესებული ვადა გავიდა და აპელაცია არ იქნა შეტანილი. კისტენევკა ტროეკუროვს ეკუთვნოდა. შაბაშკინი ეახლა მას თაყვნისცემით და მილოცვებით, სთხოვა დაენიშნა დრო, როდის ინებებდა მისი აღმატებულება ახალშენაძენი მამულის მფლობელობაში შესვლას, - თვითონ გაირჯებოდა, თუ ისურვებდა ამაზე მინდობილობა სხვისთვის მიეცა. კირილა პეტროვიჩი შეშფოთდა; ბუნებით იგი არ იყო ანგარებისმოყვარე, შურისძიებამ ძალიან ღრმად შეატოპვინა, სინდისი ქენჯნიდა. მან იცოდა, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი მოწინააღმდეგე, ძველი ამხანაგი ახალგაზრდობიდან, დან გამარჯვება მის გულს არ ახარებდა. მრისხანედ შეხვდა შაბაშკინს, შარის მოსადებს ეძებდა, რომ გამოელანძღა, მაგრამ ამისთვის საკმაო საბაბი ვერ იპოვა და გულმოსულად უთხრა:
- დაიკარგე აქედან, შენთვის არა მცალია.
შაბაშკინმა შეატყო, რომ ტროეკუროვი გუნებაზე არ იყო, თავი დაუკრა და საჩქაროდ გაეცალა. კირილა პეტროვიჩი მარტო რომ დარჩა, ბოლთის ცემა დაიწყო, ტან "გამარჯვების გრგვინვა გაისმის" უსტვენდა, რაც ყოველთვის იმის მომასწავებელი იყო, რომ ფიქრებს არაჩვეულებრივი მღერლვარებით მოეცვა იგი.
ბოლოს მან ბრძანა მსუბუქი ეტლი მოემზადებინათ, თბილად ჩაიცვა (უკვე სექტემბრის მიწურული იყო), ეზოდან გავიდა, ცხენი თვითონ მიჰყავდა.
მალე დაინახა ანდრეი გავრილოვიჩის პატარა სახლი და საწინააღმდეგო გრძნობებმა შეიპყრეს მისი არსება. დაკმაყოფილებულმა შურისძიებამ და ბატონობისმოყვარულობამ კინაღამ დაუხშეს უფრო კეთილშობილი გრძნობები, მაგრამ ბოლოს მაინც კეთილშობილმა გრძნობებმა გაიმარჯვა. მან გადაწყვიტა თავის ძველ მეზობელს შერიგებოდა, სამდურავის კვალიც კი მოესპო და მისთვის ქონება დაებრუნებინა. ამ კეთილი განზრახვით გულშემსუბუქებულმა კირილა პეტროვიჩმა ჩორთით გასწია თავისი მეზობლის კარ-მიდამოსაკენ და ეტლით შევიდა ეზოში.
ამ დროს ავადმყოფი საწოლ ოთახში იჯდა ფანჯარასთან, კირილა პეტროვიჩი იცნო და საშინელი შეშფოთება აღებეჭდა სახეზე: ჩვეულებრივი ფერმკრთალობა ჭარხლისფრად შეეცვალა, თვალები აულერვარდა. გაუგებრად ლუღლუღებდა. მისმა შვილმა, რომელიც იქვე სამეურნეო დავთრებს ათვალიერებდა, თავი ასწია და მამის მდგომარეობამ თავზარი დასცა. ავადმყოფი ეზოსკენ თითს იშვერდა, ელდას და მრისხანებას გამოხატავდა. იგი აჩქარებულად ხალათის კალთებს იწევდა, სავარძლიდან ადგომას ცდილობდა. ადგა . . . და უეცრად დაეცა. შვილი მამასთან მიიჭრა, მოხუცი იწვა უგრძნობლად, აღარ სუნთქავდა - დამბლა დაეცა.
- ჩქარა, ჩქარა, გასწით ქალაქში მკურნალის მოსაყვანად! - ყვიროდა ვლადიმირი.
- კირილა პეტროვიჩს თქვენი ნახვა უნდა, - თქვა შემოსულმა მსახურმა.
ვლადიმირმა მას საშინელი თვალებით შეხედა.
- უთხრი კირილა პეტროვიჩს, რომ სასწრაფოდ გაგვეცალოს აქედან, სნამ არ მიბრძანებია

მისი გაგდება ეზოდან - გასწი.
მსახური მხიარულად გაიქცა თავისი ბატონის ბრძანების შესასრულებლად - ეგოროვნამ ხელი ხელს შემოჰკრა.
- შენ, ჩემო ბატონო, - თქვა მან წრიპინა ხმით, - თავს დაიღუპავ! კირილა პეტროვიჩი შეგვჭამს.
- გაჩუმდი, გადია, - უთხრა გულმოსულმა ვლადიმირმა, - ახლავე გაგზავნე ანტონი ქალაქში მკურნალის მოსაყვანად.
ეგოროვნა გავიდა. წინკარში არავინ იყო. ყველა შინაყმა კირილა პეტროვიჩის საცქერლად ეზოში ჩაერბინა. ეგოროვნა პარმაღზე გავიდა და გაიგონა მსახურის მიერ ახალგაზრდა ბატონის სახელით გადაცემული პასუხი. ეტლში მჯდომმა კირილა პეტროვიჩმა მოისმინა იგი. სახე ღამეზე უფრო ჩამოუბნელდა, ზიზღით გაიღიმა, შინაყმებს მრისხანედ გადახედა და ეზოდან ნაბიჯით გაემგზავრა. შეიხედა ფანჯარაში, სადაც წუთის წინ ადრეი გავრილოვიჩი იჯდა, მაგრამ იგი უკვე იქ აღარ იყო. გადია პარმაღზე იდგა, ბატონის ბრძანების შესრულება დაავიწყდა. ამ შემთხვევის გამო შინაყმები ხმამაღლა მსჯელობდნენ. მოულოდნელად ვლადიმირი გამოჩნდა შინაყმებს შორის და ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა:
- მკურნალი საჭირო არ არის. მამა გარდაიცვალა.
ჩოჩქოლი შეიქმნა. შინაყმებმა მოხუცი ბატონის ოთახს მიაშურეს. იგი იწვა სავარძელში, რომელზედაც ვლადიმირმა გადაასვენა, მარჯვენა ხელი იატაკზე ჩამოვარდნოდა, თავი მკერდზე დაშვებოდა - ჯერ კიდევ თბილ სხეულში სიცოცლის არავითარი ნიშანწყალი აღარ იყო. ეგოროვნამ დაიღრიალა. მსახურნი შემოეხვივნენ ცხედარს, რომელიც მათ მოსავლელად დაუტოვეს, - განბანეს იგი, ჩააცვეს მუნდირი, ჯერ კიდევ 1797 წელს შეკერილი, და დაასვენეს სწორედ იმ მაგიდაზე, სადაც ამდენი ხნის განმავლობაში თავის ბატონს ემსახურებოდნენ.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

დუბროვსკი მესამე დღეს დაკრძალეს. საწყალი მოხუცის ცხედარი, სუდარაგადაფარებული და სანთლებით გარშემორტყმული, მაგიდაზე ესვენა. სასადილო ოთახი შინაყმებით გაივსო. გამოსასვენებლად ემზადებოდნენ. ვლადიმირმა და სამმა მსახურმა კუბო ასწიეს. მღვდელი წინ წავიდა, თან ახლდა დიაკონი, რომელიც

სამგლოვიარო ლოცვებს გალობდა. კისტენევკის პატრონმა უკანასკნელად გადაიარა თავისი სახლის ზღურბლი. კუბო გაატარეს ჭალაზე, რომლის უკანაც საყდარი მდებარეობდა. ნათელი და ცივი დღე იყო. შემოდგომის ფოთლები ხეებიდან ცვივოდა. ჭალიდან რომ გვიდნენ, კისტენევკი საყდარი და ბებერი ცაცხვებით დაჩრდილული სასაფლაო დაინახეს. იქ განისვენებდა ვლადიმირის დედის ცხედარი. იქ, მისი სამარის გვერდით, წინადღით ამოთხარეს ახალი საფლავი. საყდარი კისტენევკელი გლეხებით იყო სავსე. ისინი მოსულიყვნენ, რათა ბატონისათვის უკანასკნელად ეცათ თაყვანი. ახალგაზრდა დუბროვსკი კლიროსთნა იდგა; არც ტიროდა, არც ლოცულობდა - მაგრამ საშინელი სახე ჰქონდა. წესის აგება დასრულდა. ვლადიმირი პირველი მივიდა მამასთან გამოსათხოვრად - მას მიჰყვა ყველა შინაყმა; სახურავი მოიტანეს და კუბო დაჭედეს. დედაკაცები ხმამაღლა ღრიალებდნენ; გლეხები ხშირად ცრემლებს მუშტით იწმენდნენ. ვლადიმირმა და იმავე სამმა მსახურმა ცხედარი სასაფლაოზე წაასვენეს მთელი სოფლის თანხლებით. კუბო სამარეში ჩაუშვეს - ყველა დამწრემ საფლავში პეშვი მიწა ჩაჰყარა - საფლავი ამოავსეს, მის წინ თავი დახარეს და წავიდ-წამოვიდნენ. ვლადიმირი სასწრაფოდ მოშორდა იქაურობას, ყველას წინ გაუსწრო და კისტენევკის ჭალაში მიიმალა.
მისი სახელით ეგოროვნამ ქელეხზე მიიპატიჟა მღვდელი და ეკლესიის მთელი კრებული. გამოუცხადა მათ, ახალგაზრდა ბატონს ქელეხზე დასწრება არ სურსო; და ამრიგად, მამა ანტონი, ხუცის ცოლი ფედოტოვნა და დიაკონი ფეხით წავიდნენ ბატონის ეზოსაკენ; ისინი მსჯელობდნენ ეგოროვნასთან განსვენებულის სათნოებაზე და იმაზე, რაც მოელოდა მის მემკვიდრეს (ტროეკუროვის მისვლა დუბროვსკისთან და ის, თუ როგორ შეხვდნენ მას, უკვე მთელმა იმ მხარემ იცოდა და იქაური პოლიტიკოსები ამის გამო მნიშვნელოვან შედეგებს წინასწარმეტყველებდნენ).
- რაც მოხდება მოხდება, - თქვა ხუცის ცოლმა, - საწყენია, რომ ვლადიმირ ანდრეევიჩი არ იქნება ჩვენი ბატონი. კარგი ვაჟკაცია, თქმა არ უნდა.
- ის თუ არა, აბა, ვინ უნდა იყოს ჩვენი ბატონი, - შეაწყვეტინა ეგოროვნამ. - კირილა პეტროვიჩი ამაოდ ცდილობს, ის მხდალს არ გადაჰყრია: ჩემი საყვარელი ვლადიმირი თავის თავს დაიცავს, ღემერთიც მოგვხედავს, მწყალობელი მას არ დასტოვეს, ძალიან ყოყლოჩინაა კირილა პეტროვიჩი! ხომ ამოიძუა კუდი, როცა ჩემმა გრისკამ მას დაუყვირა: დაიკარგე, ბებერო ძაღლო! ეზოდან გაგვეცალეო!
- ეჰ, ეგოროვნა, - უთხრა დიაკონმა. - თვითონ გრიგორის ენა როგორ მოუბრუნდა, მე უფრო დავთანხმდები უფალს შევუყეფო, ვიდრე კირილა პეტროვიჩს ალმაცერად შევხედო. როგორც კი მას დაინახავ, შიში და თრთოლვა პირქვე გხრის, წელში თავისით იკაკვები.
- ამაოება ამაოებათა, - თქვა მღვდელმა, - კირილა პეტროვიჩსაც უმღერებენ სულთათანას, როგორც ახლა ანდრეი გავრილოვიჩს. შეიძლებ დაკრზალვა უფრო მდიდრული იქნას და უფრო მეტი სტუმრები მოიწვიონ - ეს განა ღვთისათვის სულ ერთი არ არის!
- ეჰ, მამაო! ჩვენც გვინდოდა მთელი უბანი მოგვეწვია, მაგრამ ვლადიმირ ანდრეევიჩმა არ

ისურვა. ნუ გეშინია, ყველაფერი საკმაოდ გვაქვს, - გვაქვს რით გავუმასპინძლდეთ, მაგრამ რას იზამ. თუ სხვები არ არიან, თქვენ მაინც გაგიმასპინძლდებით, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო.
ამ ალერსიანმა დაპირებამ და იმედმა, რომ გემრიელი ნაცხვარი დახვდებოდათ, მოსაუბრეებს ფეხი ააჩქარებინა: მათ მიაღწიეს ბატონის სახლამდე, სადაც სუფრა უკვე გაშლილი იყო და არაყის იდგა.
ამასობაში ვლადიმირი უღრან ტყეში ღრმად შედიოდა, მოძრაობით და თავის დაღლით ცდილობდა სულიერი ტანჯვა ჩაეხშო. უგზო-უკვალოდ მიდიოდა: ტოტები წამდაუწუმ ედებოდა და ჰკაცრავდა; ფეხები წარამარა ჭაობში ეფლობოდა - ვერაფერს ვერ გრძნობდა. ბოლოს მიაღწია ყოველი მხრიდან ტყით შემოფრგლულ პატრა ხევს.
შემოდგომის მიერ ნახევარად გატიტვლებული ხეების მახლობლად ნაკადული ჩუმად მიიკლაკნებოდა. ვლადიმი შეჩერდა, ცივ ბელტზე ჩამოჯდა. ერთიმეორეზე უფრო შავბნელი ფიქრები ირეოდნენ მის გონებაში. მარტოობას ძლიერ განიცდიდა. მომავალი მას მრისხანე ღრუბლებით დაფარული ესახებოდა. ტროეკუროვთნა მტრობა ახალ უბედურებას უქადდა. მისი ღარიბი ქონება შეიძლებოდა სხვის ხელში გადასულიყო - ამ შემთხვევაში მას სიღატაკე მოელოდა. დიდხანს იჯდა უძრავად იმავე ადგილას და დასცქეროდა ნაკადულის წყნარ მდინარეებს; ნაკადულს დამჭკნარი რამდენიმე ფოთოლი მიჰქონდა; ვლადიმირს ცოცხლად წარმოუდგა ცხოვრებასთან ნამდვილი მსგავსება. ეს იყო ჩვეულებრივი მსგავსება. ბოლოს შენიშნა, რომ ღამდებოდა: ადგა და სახლისაკენ მიმავალი გზის ძებნა დაიწყო, მაგრამ კიდევ დიდხანს დაეხეტებოდა უცნობ ტყეში, სანამ არ წააწყდა იმ ბილიკს, რომელმაც პირდაპირ მისი სახლის ალაყაფის კარამდე მიიყვანეს.
დუბროვსკის გზაზე შემოეყარა მღვდელი ეკლესიის მთელი კრებულით. გულმა რაღაც ცუდი უაზრა. უნებურად გვერდზე გადაუხვია და ხეს მიეფარა. ახლოს ჩაუარეს, მაგრამ მათ დუბროვსკი არ შეუნიშნავთ, ცხარე ლაპარაკში იყვნენ გართულნი.
- ბოროტს განერიდე და კეთილი საქმე ჰქმენ, - ეუბნებოდა ხუცესი თავის ცოლს, - აქ დარჩენა აღარ არის საჭირო. შენ არ გეხება, აქ საქმე რითაც არ უნდა გათავდეს.
ხუცესი ცოლმა რაღაც უპასუხახ, მაგრამ ვლადიმირმა ვეღარ გაიგონა.
ბატონის სახლს რომ უახლოვდებოდა, ეზოში უამრავი ხალხი დაინახა: გლეხები და შინაყმები ეზოში ირეოდნენ; შორიდაჰნ გაიგონა არაჩვეულებრივი ხმაურობა და ლაპარაკი. ფარდულთან ორი სამცხენა იდგა. პარმაღზე რამდენიმე უცნობი ადამიანი იყო ფორმის სერთუკებში, ეტყობოდა, რაღაცაზე მსჯელობდნენ.
- ეს რას ნიშნავს? - ჰკითხა მან გულმოსულად ანტონს, რომელიც მის შესახვედრად მორბოდა. - ესენი ვინ არიან, რა უნდათ?
- ოჰ, ბატონო ვლადიმირ ანდრეევიჩ, - უპასუხა მოხუცმა ქლოშინით. - სასამართლო ჩამოვიდა, ტროეკუროვს უნდა გადაგვცენ. შენს წყალობას გვაშორებენ!
ვლადიმირმა თავი ჩაღუნა, შინაყმები თავიანთ უბედურ ბატონს შემოეხვივნენ.

- ჩვენო ბატონო, - ყვიროდნენ ისნი და ხელებს უკოცნიდნენ, - შენს გარდა სხვა ბატონი არ გვინდა, გვიბრძანე, ბატონო, სასამართლოს ჩვენ გავუსწორდებით, მოვკვდებით და არ დაგთმობთ. . . - ვლადიმირი მათ უცქერდა და უცნაური გრძნობები აღელვებდა.
- მშვიდად იყავით, - უთხრა გლეხებს, - მე კი მოხელეებს მოველაპარაკები.
- მოელაპარაკებ, ბატონო! - დაიყვირეს ხალხიდან, - სინდისში ჩააგდე წყეულები.
'ვლადიმირი მოხელეებთან მივიდა. შაბაშკინი, ჩიხაქუდით, დოინჯშემოყრილი იდგა და გარშემო ამაყად იყურებოდა.
როცა მაზრის პოლიციის უფროსმა, მაღალ-მაღალმა და მსხვილმა კაცმა, ულვაშებიანმა და წითელსახიანმა, დაახლოებით ორმოცდაათი წლისამ, დაინახა, რომ დუბროვსკი უახლოვდებოდა, ჩაახველა და ხრინწიანი ხმით წარმოთქვა:
- ასეა, მე თქვენ გიმეორებთ იმას, რაც უკვე გითხარით: მაზრის სასამართლოს გადაწყვეტილებით ამიერიდან თქვენ ეკუთვნით კირილა პეტროვიჩ ტროეკუროვს, რომლის წარმომადგენელი აქ ბატონი შაბაშკინია. ყველაფერი შეუსრულეთ, რასაც გიბრძანებთ, თქვენ კი, დედაკაცები, გიყვარდეთ და პატივი ეცით მას, იგი კი თქვენი დიდი მოყვარულია.
ამ მახვილ ხუმრობაზე მაზრის პოლიციის უფროსმა გადაიხარხარა, შაბაშკინი და სხვა წევრებიც აყვნენ მას. ვლადიმირს ბრაზისაგან გულზე ცეცხლი ედებოდა.
- გთხოვთ გამაგებინოთ, ეს რას ნიშნავს? - ჰკითხა მან მაზრის პოლიციის მხიარულ უფროსს მოჩვენებითი სიმშვიდით.
- ეს იმას ნიშნავს, - უპასუხა მახვილგონიერმა მოხელემ, - რომ ჩვენ ჩამოვედით იმისათვის, რათა ამ მამულის მფლობელობაში შევიყვანოთ კირილა პეტროვიჩ ტროეკუროვი, სხვებს კი ვთხოვოთ აქედან გაგვედცალონ.
- მაგრამ თქვენ შეგეძლოთ, მგონი, ჯერ ჩემთვის მოგემართათ და არა ჩემი გლეხებისათვის, ჯერ მემამულესათვის უნდა გამოგეცხადებინათ უფლების ჩამორთმევა.
- შენ ვინა ხარ? - თქვა შაბაშკინმა და თავხედურად დააცქერდა. - ყოფილი მემამულე ანდრეი გავრილოვიჩ დუბროვსკი ღვთის ნებით გარდაიცვალა, თქვენ კი არ გიცნობთ, არც გვინდა თქვენი ცნობა.
- ვლადიმირ ანდრეევიჩი ჩვენი ახალგაზრდა ბატონია, - გაისმა ხმა ხალხიდან.
- ვინ გაბედა მანდ ხმის ამოღება, - თქვა მრისხანედ მაზრის პოლიციის უფროსმა, - რის ბატონი? ვინ ვლადიმირ ანდრეევიჩი? თქვენი ბატონია კირილა პეტროვიჩ ტროეკუროვი. გესმით, ჩერჩეტებო?!
- ვერ მოგართვით, - თქვა იმავე ხმამ.
ეს აჯანყებაა! - დაიყვირა მაზრის პოლიციის უფროსმა, - ეი, მამასახლისო, აქ მოდი! მამასახლისი წინ წამოდგა.
- ახლავე მომიძებნე ის, ვინც ჩემთან შელაპარაკება გაბედა, მე მას! . . .
მამასახლმა ბრბოს მიმართა, ჰკითხა, ვინ დაილაპარაკაო, მაგრამ ყველა სდუმდა. მალე

უკანა რიგებში დრტვინვა დაიწყო, თანდათან გაძლიერდა და ერთ წუთში საშინელ გოდებად გადაიქცა. მაზრის პოლიციის უფროსმა ხმას დაუწია და დააპირა მათი დაშოშმინება.
- მაგას რას ვუყურებთ, - დაიყვირეს შინაყმებმა. - ბიჭებო, ძირს ისინი! - ბრბო დაიძრა. შაბაშკინი და სხვა წევრები სასწრაფოდ შეიჭრნენ წინკარში და კარი ჩაკეტეს.
- ბიჭებო, წინ! - დაიძახა იმავე ხმამ და ბრბო წინ წავიდა.
- შესდექით, - დაიძახა დუბროვსკიმ, - სულელებო! რას შვრებით, მეც მღუპავთ და თავსაც იღუპავთ. ქოხებში წადით და ნუ მაწუხებთ. ნუ გეშინიათ, მეფე მოწყალეა, მე მას ვთხოვ - იგი ჩვენ არ დაგვჩაგრავს - ჩვენ ყველა მისი შვილები ვართ. და იგი როგორ გამოგესარჩლებათ, თუ თქვენ აჯანყებას და ყაჩაღობას დაიწყებთ.
ახალგაზრდა დუბროვსკის სიტყვამ, მისმა მჟღერმა ხმამ და წარმოსადეგმა გარეგნობამ სასურველი ზეგავლენა მოახდინა. ხალხი დაწყნარდა, დაიშალა - ეზო დაცარიელდა, წევრები სახლში ისხდნენ ბოლოს შაბაშკინმა კარი წყნარად გააღო, პარმაღზე გამოვიდა და დამამცირებელი თავდახრით დუბროვსკის მადლობა გადაუხადა მოწყალე მფარველობისათვის.
ვლადიმირი ზიზღით უსმენდა და არაფერს უპასუხებდა.
- ჩვენ გადავწყვიტეთ, - განაგრძობდა თანამსაჯული, - თქვენი ნებართვით აქ დავრჩეთ, თორემ უკვე ბნელა და თქვენი გლეხები შეიძლება თავს დაგვესხნენ. მოიღეთ მოწყალება, უბრძანეთ სასტუმრო ოთახში თივა მაინც დაგვიფინონ; როგორც ინათებს, შინ გავსწევთ.
- გააკეთეთ, რაც გინდათ, - უპასუხა მათ ცივად დუბროვსკიმ. - მე აქ უკვე პატრონი აღარა ვარ.
ესა თქვა, მამამისის ოთახში შევიდა და კარი ჩაიკეტა.

თავი მეექვსე

"ამრიგად, ყველაფერი გათავდა, - თქვა თავისთვის, - გუშინ დილით ჯერ კიდევ მქონდა კუთხე და ლუკმაპური. ხვალ უნდა დავუტოვო სახლი, სადაც დავიბადე და სადაც მამაჩემი გარდაიცვალა, იმ კაცს, ვისაც ბრალი უდევს მამაჩემის სიკვდილსა და ჩემ გაღატაკებაში". და თვალი მიაშტერა დედის სურათს. მხატვარს დაეხატა იგი ვარდშემკობილი თმით, მოაჯირზე იდაყვდაყრდნობილი, დილის თეთრ კაბაში. "ეს სურათიც ჩემი ოჯახის მტერს დარჩება, - გაიფიქრა ვლადიმირმა, - მიაგდებენ საკუჭნაოში გატეხილ სკამებთან ერთად, ან ჩამოჰკიდებენ წინკარში და იგი მისი მეძაღლეების

დაცინვისა და შენიშვნების საგანი გახდება; დედის საწოლ ოთახში, სადაც მამა გარდაიცვალა, ტროეკუროვის მოურავი დაბინავდება, ან იქ თავის ჰარამხანას მოათავსებს. არა, არა! დაე, არ დარჩეს მას მწუხარების სახლი, საიდანაც მე მაგდებს". ვლადიმირმა კბილი კბილს დააჭირა. - თავში საშინელი აზრები უტრიალდებდა. მოხელეთა ხმები მოესმა; ისინი პარპაშებდნენ, ხან რას, ხან რას მოითხოვდნენ, და ეს მწარე ფიქრებით შეპყრობილი დუბროვსკისათვი არასასიამვნო გართობა იყო. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა.
ვლადიმირმა გააღო კამოდები და ყუთები და განსვენებულის ქაღალდეგბის გარჩევას შეუდგა. აქ იყო უმთავრედას სამეურნეო ანგარიშები და მიმოწერა სხვადასხვა საქმის გამო. ვლადიმირმა ეს ქაღალდები წაუკითხავდა დახია. მათ შორის ერთი პაკეტი მოხვდა ხელში: ჩ ე მ ი ც ო ლ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი. გატაცებით დაიწყო მათი კითხვა. ეს წერილები კისტენევკიდან არმიაში იყო გაგზავნილი თურექთზე ლაშქრობის დროს. დედა სწერდა ქმარს თავის უშინაარსო ცხოვრებაზე, სამუერნოე საქმეებზე, ალერსით უჩიოდა დაშორების გამო და შინ მოუხმობდა კეთილ მეუღლის გულში ჩასაკონებლად. ერთ წერილში გამოთქვამდა თავის შეშფოთებას პატარა ვლადიმირის ჯანმრთელობის გამო, მეორეში - უხაროდა ბავშვის უნართა ნაადრევად გამომჟღავნება და წინასწარ ხედავდა მის ბედნიერებასა და ბრწყინვალე მომავალს. ვლადიმირი კითხვამ ისე გაიტაცა, რომ ყვლაფერი დაავიწყდა, მთელი არსებით ჩაეფლო ოჯახურ ბედნიერების სამყაროში და ვერ შენიშნა, დრო როორ გავიდა; კედლის საათმა თერთმეტჯერ დარეკა. ვლადიმირმა წერილები ჯიბეში ჩაიდო, სანთელი აიღო და კაბინეტიდან გავიდა. დარბაზში მოხელეებს იატაკზე ეძინათ. მაგიდაზე მათ მიერ დაცლილი ჭიქები იდგა და მთელი ოთახი რომის ძლიერი სუნით იყო გაჟღენთილი. ვლადიმირმა ზიზღით ჩაუარა მათ და წინკარში გავიდა. კარი დაკეტილი დახვდა. გასაღები ვერ ნახა და დარბაზში შებრუნდა. გასაღები მაგიდაზე იდო. ვლადიმირმა კარი გააღო და კუთხეში მიმალულ კაცს შეეჩეხა. ხელში ნაჯახი უპრიალებდა. ვლადიმირმა სანთელი მიანათა და იცნო არქიპო მჭედელი.
- აქ რა გინდა? - ჰკითხა მან.
- აჰ, ვლადიმირ ანდრეევიჩ, ეს თქვენ ხართ? - უპასუხა არქიპომ ჩურჩულით - ღმერთო, მიხსენ და დამიფარე! კარგია, რომ თქვენ სანთლით გამოხვედით! - ვლადიმირი გაკვირვებით უცქერდა.
- აქ რას მიმალულხარ? - ჰკითხა მან მჭედელს.
- მინდოდა. . . ის-ის იყო მოვედი. . . გასაგეად, თუ ყველა შინ არის-მეთქი, - ჩუმად უპასუხა არქიპომ ენის ბორძიკით.
- ნაჯახი რატომ გაქვს?
- ნაჯახი რატომ მაქვს? და, როგორ შეიძლება ახლა უნაჯახოდ სიარული. ეს მოხელეები რაღაცას მოგვიწყობენ. მათგან ყველაფერს უნდა მოელოდე.
- შენ მთვრალი ხარ. ნაჯახი დააგდე, წადი გამოიძინე.

- მე მთვრალი ვარ? ბატონო ვლადიმირ ანდრეევიჩ, - ღმერთია მოწმე, ერთი წვეთი პირში არ ჩამსვლია. ღვინო ვის მოაგონდება, გაგონილა, მოხელეები აგდებენ ბატონებს საბატონო ეზოდან, აი, როგორ ხვრინავე, წყეულნი - ერთი დაკვრა და კვალიც აღარ დარჩება.
დუბროვსკიმ სახე შეიჭმუხნა.
- გამიგონე, არქიპო, - თქვა მან მცირე დუმილის შემდეგ, - ეს საქმე არ ვარგა. მოხელეები კი არ არიან დამნაშავენი. ერთი, ფარანი გამინათე, გამომყევი.
არქიპომ ბატონს ხელიდან სანთელი გამოართვა, ღუმელს უკან ფარანი მონახა, აანთო იგი და ორივე წყნარად ჩავიდა პარმაღიდან. ეზოში გაიარეს. დარაჯმა თუჯის დაფა დარეკა. ძაღლებმა დაიყეფეს.
- ვინ დარაჯობს? - იკითხა დუბროვსკიმ.
- ჩვენ, ბატონო, - უპასუხა წვრილმა ხმამ, - ვსილისა და ლუკერია.
- თქვენ-თქვენს ქოხებსი წადით, - უთხრა ამთ დუბროვსკიმ, - საჭირო არა ხართ.
- შაბაშ! - ჩაილაპარაკა არქიპომ.
- გმადლობთ, ჩვენო მარჩენალო, - უპასუხეს დედაკაცებმა და მაშინვე შინ წავიდნენ.
დუბროვსკიმ გზა განაგრძო. ორი კაცი მიუახლოვდა; შეუძახეს; დუბროვსკიმ ანტონისა და გიშას ხმები იცნო.
- რატომ არა გძინავთ? - ჰკითხა მათ.
- რა დროს ძილია? - უპასუხა ანტონმა, - რას მოვესწარით, ვინ იფიქრებდა. . .
- ჩუმად! - შეაწყვეტინა დუბროვსკიმ. - ეგოროვნა სად არის?
- ბატონის სახლშია, თავის ოთახში, - უპასუხა გრიშამ.
- წადი, აქ მოიყვანე, სახლიდან ყველა შინაყმა გამოიყვანე, ერთი სულიც კი იქ არ დარჩეს - გარდა მოხელეებისა, - შენ კი, ანტონ, ფორანში ცხენები გაუბი.
გრიშა წავიდა და ერთ წუთში დაბრუნდა თავის დედასთან ერთად. დედაბერს ამ ღამეს ტანთ არ გაუხდია. მოხელეების გარდა სახლში თვალი არავის მოუხუჭავს.
- ყველანი აქ არიან? - იკითხა დუბროვსკიმ, - სახლში ხომ არავინ დარჩენილა?
- არავინ, მოხელეების გარდა, - უპასუხა გრიშამ.
- მომიტანეთ თივა ან ჩალა, - თქვა დუბროვსკიმ.
შინაყმები საჯინიბოში გაიქცნენ და დაბრუნდნენ, თან იღლიაში ამოდებული თივა მოიტანეს.
- დასდეთ პარმაღს ქვეშ. - აი, ასე. აბა, ბიჭებო, ცეცხლი.
არქიპომ ფარანი გახსნა, დუბროვსკიმ კვარს ცეცხლი მოუკიდა.
- დაიცა, - უთხრა მან არქიპოს. - მგონია, სიჩქარით მე წინაკარში კარი დავკეტე, წადი ჩქარა, გააღე.
არქიპო წინკარში გაიქცა. კარი ღია იყო. არქიპომ გასაღებით დაკეტა, თან ჩუმად ჩაიალაპარაკა. რ ო გ ო რ ა რ ა, გ ა ა ღ ე! და დუბროვსკისთან დაბრუნდა.
დუბროვსკიმ კვარი თივასთან მიიტანა; თივა აინთო, ალი ავარდა და მთელი ეზო გაანათა.

- ვაიმე, - საცოდავად დაიყვირა ეგოროვნამ. - ვლადიმირ ანდრეევიჩ, რას შვრები?
- დაჩუმდი, - თქვა დუბროვსკიმ. - აბა, შვილებო, მშვიდობით, მივდივარ, საითაც ღმერთი გზას მიჩვენებს; იყავით ბედნიერი თქვენს ახალ ბატონთან.
- ჩვენო მამავ, მარჩენალო, - უპასუხეს შინაყმებმა, - მოვკვდებით და შენ არ მიგატოვებთ, შენთან ერთად მოვდივართ.
ცხენები მოიყვანეს. დუბროვსკი გრიშასთან ერთად ფორანში ჩაჯდა და შესახვედრ ადგილად კისტენევკის ჭალა დანიშნა. ანტონმა ცხენებს მათრახი გადაუჭირა და ისინი ეზოდან გავიდნენ.
ქარი ამოვარდა. ერთ წუთში ალი მთელ სახლს მოედო. წითელი კვამლი სახურავზე ტრიალებდა. მინები ტკაცუნებდნენ, ცვივოდნენ, მოგიზგიზე თავხეებმა ჩამოვარდნა იწყეს, გაისმა შესაბრალისი გოდება და ყვირილი: "ვიწვით! გვიშველეთ! გვიშველეთ!"
- ვერ მოგართვეს, - თქვა არქიპომ, რომელიც ხანძარს ბოროტი ღიმილით უმზარდა. არხიპუშკა, - უთხრა მას ეგოროვნამ. - გადაარჩინე წყვეულები, ღმერთი დაგაჯილდოებს.
- როგორ არა, - უპასუხა მჭედელმა.
იმავე წუთში მოხელეები გამოჩნდნე ფანჯარში და ლამობდნენ ორმაგი ჩარჩოები გამოემტვრიათ, მაგრამ ამ დროს სახურავი გრიალით ჩამოინგრა და გოდება მიწყნარდა. მალე ყველა შინაყმა ეზოში გამოცვივდა. დედაკაცები ყვიროდნენ, ეშურებოდნენ თავიანთი ხარახურა გადაერჩინათ, ბიჭები ხტოდნენ, ხანძარის ცქერით სტკბებოდნენ. ნაპერწკლებმა ცეცხლის ქარბუქად გაინავარდეს, ქოხებს ცეცხლი მოედო.
- ახლა ყველაფერი რიგზეა, - თქვა არქიპომ. - კარგად იწვის - ალბათ, პროკროვსკოედან დიდებული საყურებელია.
იმ წუთში ახალმა მოვლენამ მიიპყრო მისი ყურადღება; ცეცხლმოდებულ სახურავზე კატა დარბოდა, ვერ ერკვეოდა, საით გადამხტარიყო, - ყოველი მხრიდან ალი შემორტყმოდა. საწყალი ცხოველი შესაბრალისი კნავილით შველას ითხოვდა, ბიჭუნები სიცილით იხოცებოდნენ, მის განწირულებას რომ ხედავდნენ.
- რა გაცინებთ, ჭინკა ბიჭებო? - Uუთხრა მათ მჭედელმა გულმოსულად, - ღვთისა არ გეშინიათ? ღვთის ქმნილება იღუპება, თქვენ კი უგუნურად გიხარიათ. - და კიბე მიადგა ცეცხლმოკიდებულ სახურავს, ავიდა კატის ჩამოსაყვანად. კატა განხრახვას მიუხვდა და ნაჩქარევი მადლობის გამოხატვით მის სახელოს ჩაებღაუჭა. ნახევრად შემომწვარი მჭედელი თავისი ნადავლით ძირს ჩამოვიდა.
- აბა, ბიჭებო, მშვიდობით, - უთხრა მან შეძრწუნებულ შინაყმებს, - მე აქ არაფერი საქმე არა მაქვს. ბედნიერად იყავით, ავად ნუ მომიგონებთ.
მჭედელი წავიდა; ხანძარი ერთხანს კდიევ მძვინვარებდა, ბოლოს დაცხრა, ნახშირი გროვა-გროვად ღამის სიბნელეში კაშკაშით იწვოდა; მის მახლობლად კისტენევკის სახლკარგადამწვარი მცხოვრებლები დაეხეტებოდნენ.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

მეორე დღეს ხანძრის ამბავი მთელ არემარეს მოედო. ამის შესახებ სხვადასხვანაირი აზრი ტრიალებდა, რას არ ვარაუდობდნენ, რას არ ლაპარაკობდნენ. ერთნი ირწმუნებოდნენ, ქელეხში დამთვრალმა დუბროვსკის შინაყმებმა გაუფრთხილებლობით სახლს ცეცხლი გაუჩინესო; მეორენი ბრალს სდებდნენ ახალ ბინაზე შექეიფიებულ მოხელეებს. მრავალნი ირწმუნებოდნენ, რომ მაზრის სასამართლოსთან და ყველა შინაყმასთან ერთად დუბროვსკის დაიწვაო. ზოგიერთნი ხვდებოდნენ ჭეშმარიტებას, ამტკიცებდნენ, რომ ამ საშინელი უბედურების მიზეზი იყო თვით დუბროვსკი, რომელსაც ეს ბრაზმა და სასოწარკვეთილებამ ჩაადენინა. მეორე დღეს ტროკუროვი ჩამოვიდა ხანძრის ადგილას და გამოძიება თვითონ მოახდინა. გამოირკვა, რომ მაზრის პოლიციის უფროსი, მაზრის სასამართლოს თანამსაჯული, ვექილი და მწერავი, ისევე როგორც ვლადიმირ დუბროვსკი, გადია ეგოროვა, შინაყმა გრიგორი, მეეტლე ანტონი და მჭედელი არქიპო უკვალოდ დაიკარგნენ. ყველა შინაყმამ ჩვენება მისცა, რომ მოხელეები დაიწვნენ მაშინ, როცა სახურავი ჩამოინგრა; მათი სანახევროდ დამწვარი ძვლები გამოთხარეს. დედაკაცებმა ვასილისამ და ლუკერიამ თქვეს, რომ რამდენიმე წუთით ადრე ხანძრის გაჩენამდე დუბროვსკი და არქიპო-მჭედელი ვნახეთო. მჭედელი არქიპო, ყველას ჩვენებით, ცოცხალი იყო და, ალბათ, ხანძრის გაჩენის უმთავრესი, თუ არა ერთადერთი, მიზეზი იგი იყო. დუბროვსკიც ძლიერ ეჭვებს იწვევდა. კირილა პეტროვიჩმა ამ შემთხევის დაწვრილებითი აღწერა გუბერნატორს გადაუგზავნა და ახალი საქმე შეიქმნა.
მალე სხვა ამბებმა ახალი საზრდო მისცეს ცნობისმოყვარეობას და მითქმა-მოთქმას. . . .-ში ყაჩარები გაჩდნენ და შიშის ზარი დასცეს მის მიდამოებს. მათ წინააღმდეგ მთავრობის მიერ მიღებული ზომები არასაკმარისი გამოდგა. ერთიმეორეზე შესანიშნავი ძარცვა ძარცვას მოსდევდა. გზებზე, სოფლებში საშიში მდგომარეობა შეიქმნა. ყაჩაღებით სავსე რამდენიმე სამცხენა დღისით აქეთ-იქით დაჰქროდა მთელ გუბერნიაში: მგზავრებს და ფოსტას აჩერებდნენ, სოფლებში შედიოდნენ, მემამულეთა სახლებს სძარცვავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. გუნდის უფროსი სახელგანთქმული იყო ჭკუით, გაბედულებით და რაღაცნაირი დიდსულოვნებით. მასზე სასწაულებს ჰყვებოდნენ; დუბროვსკის სახელი ყველას პირზე ეკერა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი და არა სხვა ვინმე წინამძღოლობდა ამ გაბედულ ბოროტმოქმედებას. მხოლოდ ერთი რამ უკვირდათ -

ტროეკუროვის მამულები დაინდეს; ყაჩაღებმა მას ერთი ფარდულიც კი არ გაუძარცვეს, ერთი ურემიც არ გაუჩერეს. თავისი ჩვეულებრივი ქედმაღლობით ტროეკუროვი ამ გამონაკლისს მიაწერდა იმ შიშს, რომელსაც იგი მთელ გუბერნიას ჰგვრიდა, აგრეთვე მის მიერ თავსი სოფლებში კარგად დაყენებულ პოლიციის საქმიანობას. მეზობლები პირველად ერთმანეთს შორის დასცინოდნენ ტროეკუროვის ქედმაღლობას და ყოველდღე ელოდნენ, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები პოკროვსკოესაც სწვეოდნენ, სადაც ხელის მოსათბობს იპოვიდნენ; მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ ტროეკუროვის აზრი გაეზიარებინათ და ეღიარებინათ, რომ მის მიმართ ყაჩაღები გაუგებარ პატივისცემას იჩენდნენ. . . ტროეკუროვი ზეიმობდა და ყოველი ამბის გაგებაზე, დუბროვსკიმ ვინმე გაძარცვაო, დაუზოგველად დასცინოდა გუბერნატორს, მაზრის პოლიციის უფროსებს და ასეულთა მეთაურებს, რომლებსაც დუბროვსკი ხელიდან უსხლტდებოდა ყოველთვის უვნებლად.
ამასობაში პირველი ოქტომბერი მოვიდა - ხატობის დღე ტროეკუროვის სოფელში. . . მაგრამ სანამ ამ დღესასწაულისა და შემდეგ მომხდარი ამბების მოყოლას შევუდგებოდეთ, ჩვენს მკითხველს ის პირები უნდა გავაცნო, რომლებიც მისთვის ახალნი არიან, ან რომლებიც ჩვენ მხოლოდ ოდნავ მოვიხსენიეთ ჩვენი მოთხრობის დასაწყისში.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

მკითხველი, ალბათ, მიხვედრილია, რომ კირილა პეტროვიჩის ასული, რომლის შესახებ ჯერ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვთქვით, ჩვენი მოთხრობის გმირია. იმ დროს, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, იგი 17 წლისა იყო და მისი სილამაზე სავსებით გაფურჩქვნილიყო. მამას გაგიჟებით უყვარდა, მაგრამ ეპყრობოდა თავისებური ახირებით; ხან მკაცრი, ზოგჯერ კი სასტიკი მოპყრობით შიშს ჰგვრიდა. მამა დარწმუნებული იყო, რომ იგი ქალიშვილს უყვარდა, მაგრამ ვერ შეძლო მისი ნდობა დაემსახურებინა. მაშა დაეჩვია მამისთვის დაემალა თავისი გრძნობები და ფიქრები, რადგან არ შეეძლო ნამდვილად სცოდნოდა, მის განცდებს მამა როგორ შეხვდებოდა. მაშას მეგობარი ქალები არა ჰყავდა, მარტოობაში გაიზარდა. მეზობლების ცოლები და ქალიშვილები სტუმრად იშვიათად დადიოდნენ კირილა პეტროვიჩთან, რომლის ჩვეულებრივი ლაპარაკი და გართობანი მამაკაცთა წრეს მოითხოვდა და არა მანდილოსანთა საზოგადოეას. ჩვენი მზეთუნახავი

სტუმრებს შორის, რომლებიც კირილა პეტროვიჩთან ქეიფობდნენ, იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. მის განკარგულებაში იყო უზარმაზარი ბიბლიოთეკა, შედგენილი უმთავრესად მე-18 საუკუნის ფრანგი მწერლების ნაწარმოებებისაგან. მამას, რომელიც არაფერს არ კითხულობდა, გარდა "სრულყოფილი მზარეული ქალისა", არ შეეძლო მისთვის წიგნების შერჩევაში ხელმძღანელობა გაეწია და მაშა ბუნებრივად სხვადასხვაგარ თხზულებათა გადახედვის შემდეგ რომანებზე შეჩერდა. ამრიგად, დაასრულა მან თავისი აღზრდა, რომელიც ოდესღაც მამზელ მიმის ხელმძღვანელობით დაიწყო. კირილა პეტროვიჩი მამზელ მიმის მიმართ დიდ ნდობასა და კეთილგანწყობილებას იჩენდა, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქმნა იგი ჩუმად სხვა მამულში გაეპარებინა, როცა ამ მეგობრობის შედეგი მეტად აშკარა გახდა. მამზელ მიმიმ თავის შესახებ საკმაოდ სასიამოვნო მოგონება დასტოვა. იგი კეთილი ქალიშვილი იყო და არასოდეს ბოროტად არ იყენებდა გავლენას, რომელიც, ეტყობოდა, კირილა პეტროვიჩზე ჰქონდა: ამით იგი განსხვავდებოდა სხვა ხასებისაგან, რომლებსაც ტროეკუროვი წარამარა იცვლიდა. თვითონ კირილა პეტროვიჩს, ჩანდა, მამზელ მიმი სხვებზე უფრო უყარდა; და შავთვალა ცელქი ბიჭუნა, დაახლოებით ცხრა წლისა, რომელსაც m-lee მიმის სამხრეთელი იერი გამოჰყვა, ტროეკუროვთან იზრდებოდა და მის შვილად იყო აღიარებული, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფეხშიველა ბიჭები, რომლებიც წყლის ორი წვეთივით კირილა პეტროვიჩს ჰგავდნენ, მისი ფანჯრის წინ დარბოდნენ და შინაყმებად ითვლებოდნენ. თავისი პატარა საშასთვის კირილა პეტროვიჩმა მოსკოვიდან მოიწვია ფრანგი მასწავლებელი, რომელიც პოკროვსკოეში ჩავიდა იმ ამბების დროს, რომლებსაც ჩვენ ახლა მოგითხრობთ.
ეს მასწავლებელი კირილა პეტროვიჩს მოეწონა მისი სასიამოვნო გარეგნობით და უბრალო თავდაჭერით. მან კირილა პეტროვიჩს წარუდგინა თავისი ატესტატები და წერილი ტროეკუროვის ერთ-ერთი ნათესავისაგან, რომელთანაც ოთხ წელიწადს გუვერნიორად მსახურობდა. კირილა პეტროვიჩმა ყველაფერი ეს გასინჯა და უკმაყოფილო დარჩა მხოლოდ თავისი ფრანგის ახალგაზრდობით, არა იმიტომ, რომ იგი ფიქრობდა, ეს საამო ნაკლოვანება შეუთავსებელი იყო მოთმინებასა და გამოცდილებასთან, რაც ასე სჭირდებოდა მასწავლებლის უბედურ წოდებას, არამედ იმიტომ, რომ ტროეკურვს ჰქონდა თავისი ეჭვები, რისი ახსნაც მასწავლებლისათვის მან მაშინვე გადაწყვიტა. ამიტომ ბრძანა მაშა მოეყვანათ (კირილა პეტროვმა ფრანგული არ იცოდა და თარჯიმნად მაშას იყენებდა).
- მოდი ჩემთა, მაშა, უთხარი ამ მუსიეს, კარგია, მიგიღებთთქო; მხოლოდ იმ პირობით, რომ მან აქ ჩემს მოახლე ქალებს დევნა არ დაუწყოს, თორემ მაგას, მამაძაღლს. . . გადაუთარგმნე, მაშა.
მაშა გაწითლდა, მასწავლებელს მიუბრუნდა და ფრანგულად უთხრა, მამა თქვენგან თავდამბლობას და წესიერ ყოფაქცევას მოელისო.
ფრანგმა თავი დაუკრა და უპასუხა, რომ მას იმედი აქვს პატივისცემა დაიმსახუროს იმ შემთხვევაშიც, თუ წყალობას მოაკლებენ.

მაშამ სიტყვასიტყვით გადათარგმნა მისი პასუხი.
- კარგია, კარგი, - თქვა კირილა პეტროვიჩმა, - მას არ სჭირდება არც წყალობა, არც პატივისცემა. მისი საქმეა საშას მოუაროს და გრამატიკა და გეოგრაფია ასწავლოს. გადაუთარგმნე ეს.
მარია კირილოვნამ თავის თარგმანში შეარბილა მამის უხეში გამოთქმები და კირილა პეტროვიჩმა თავისი ფრანგი გაგზავნა ფლიგელში, სადაც მას ოთახი მიუჩინეს. არისტოკრატიულ ცრურწმენაზე აღზრდილ მაშას ახალგაზრდა ფრანგისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია; მასწავლებელი მისთვის ერთადერთი მსახური ან ხელოსანი იყო; მსახური ან ხელოსანი კი მას მამაკაცად არ მიაჩნდა. მაშამ ვერ შენიშნა, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მან m-r დეფორჟზე, როგორ შეკრთა იგი, ათრთოლდა და ხმა შეეცვალა. მერე რამდენიმე დღის განმავლობაში მაშა ზედიზედ ხვდებოდა ფრანგს, მაგრამ მეტი ყურადღების ღირსი იგი არ გაუხდია. მოულოდნელად მასზე სრულიად ახალი წარმოდგენა შეექმნა.
კირილა პეტროვიჩის ეზოში ჩვეულებრივად რამდენიმე დათვის ბელი იზრდებოდა. ისინი პოკროვსკოეს მამულის ერთ-ერთი მთავარ გასართობს წარმოადგენდნენ. დათვის ბელები, სულ პატარები რომ იყვნენ, ყოველდღე სასტუმრო ოთახში მოჰყავდათ, სადაც კირილა პეტროვიჩი მთელი საათობით მათთან ჯახირობდა, კატესა და ლეკვებს უსისინებდა. როცა დათვის ბელები წამოიზარდნენ, მათ ჯაჭვით აბამდნენ, ნამდვილი მისისიანების მოლოდინში. ხანდახან მათ გამოიყვანდნენ ბატონის სახლის ფანჯრის წინ და ლურსმნებდასობილ ცარიელ ნაღვინებს კასრს მიუგორებდნენ; დათვი დაჰყნოსავდა მას, მერე ნელა მიეკარებოდა, თათებს დაიჩხვლეტდა, გაბრაზებული უფრო ძლიერად დაეტაკებოდა და უფრო მწვავე ტკივილს გრძნობდა. დათვი აფთრდებოდა, ღრიალით კასრს ეძგერებოდა, სანამ საწყალ მხეცს არ წაართმევდნენ მისი ამაო გაშმაგების საგანს. ხან ფორანში ორ დათვს შეუბამდნენ, ნებსით თუ უნებლიეთ შიგ სტუმრებს ჩასვამდნენ და ღვთის ანაბარა სარბენად გაუშვებდნენ. მაგრამ საუკეთესო ოინად კირილა პეტროვიჩი შემდეგ რამეს თვლიდა.
დამშეულ დათვს ჩაჰკეტავდნენ ხოლმე ცარიელ ოთახში და თოკით კედელში ჩაჭედილ რგოლზე მიაბამდენენ. თოკის სიგრძე თითქმის მთელ ოთახს სწვდებოდა, ისე რომ მხოლოდ მოპირდაპირე კუთხე შეიძლებოდა დაზღვეული ყოფილიყო საშინელი მხეცის თავდასხმისაგან. ჩვეულებრივად, ვინმე გამოუცდელს მიიყვანდნენ ამ ოთახის კართან, მოულოდნელად დათვთან შეაგდებდნენ, კარს ჩაუკეტავდნენ და უბედურ მსხვერპლს დასტოვებდნენ მარტოკა ბანჯვგვლიან განდეგილთან. საწყალი სტუმარი, კალთაჩამოხეული, დაკაწრული და დასისხლიანებული მალე უხიფათო კუთხეს მიაგნედა, მაგრამ ზოგჯერ იძულებული იძულებული იყო მთელი სამი საათი ფეხზე მდგარიყო, კედელზე მიკრულს ემზირა, მხეცი როგორ ღრიალებდა, ხტოდა, ყალყზე დგებოდა, მისკენ იწევდა, ლამობდა მისწვდომოდა. ასეთი იყო რუსი ბატონის კეთილშობილი გართობა!

მასწავლებლის ჩამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ტროეკუროვს მოაგონდა იგი და განიზრახა დათვის ოთახში გამასპინძლებოდა. ამისათვის ერთხელ დილით დაუძახა და ბნელი დერეფნით წაიყვანა; უეცრად გვერდის კარი იღება - ორი მსახური ფრანგს შიგ შეაგდებს და კარს გასაღებით ჩაუკეტავს. გონს მოსულმა მასწავლებელმა მიბმული დათვი დაინახა. მხეცმა ბდღვიანვა დაიწყო, შორიდან თავისი სტუმარი დაყნოსა და უცბად უკან ფეხებზე ამდგარი მისკენ წამოვიდა. ფრანგი არ შემკრთალა, არ გაქცეულა და თავდასხმას უცდიდა. დათვი მიუახლოვდა, დეფორჟმა ჯიბინდა პატარა დამბაჩა ამოიღო, მშიერ მხეცს ყურში ჩაუდო და გაისროლა. დათვი წაიქცა, ყველამ მოირბინა - კარები გაიღო, კირილა პეტროვიჩი შევიდა თავისი ოინის დასასრულით განცვიფრებული.
კირილა პეტროვიჩს აუცილებლად სურდა მთელ საქმეში გარკვეულიყო - წინასწარ ვინ გააფრთხილა დეფორჟი ამ მისთვის მოწყობილი ოინის შესახებ, ან რატომ აქვს ჯიბეში გატენილი დამბაჩა. მაშას გამოუძახა. ქალიშვილმა მოირბინა და ფრანგს მამის სიტყვები გადაუთარგმნა.
- დათვზე არაფერი გამიგონია, - უპასუხა დეფორჟმა, - მაგრამ მე ყოველთვის თანა მაქვს დამბაჩები, იმიტომ რომ არ ვაპირებ ავიტანო შეურაცხყოფა, რისთვისაც, ჩემი წოდების გამო, არ შემიძლია დაკმაყოფილეა მოვითხოვო.
მაშამ ფრანგს გაოცებით შეხედა და მისი სიტყვები კირილა პეტროვიჩს გადაუთარგმნა. კირილა პეტროვიჩმა არაფერი უპასუხა. ბრძანა დათვი გამოეთრიათ და გაეტყავებინათ; მერე თავის შინაყმებს მიუბრუნდა და უთხრა: "რა ყოჩაღია! არ შეშინდა, ღმერთმანი, არ შეშინდა". იმ წუთიდან დეფორჟი შეუყვარდა და უკვე აღარ ცდილობდა მის შემოწმებას. მაგრამ ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მარია კირილოვნაზე მოახდინა; იგი განაცვიფრა. ხედავდა მკვდარ დათვსა და დეფორჟს, რომელიც ლეშს თავს დასდგომოდა; ფრანგი კი მაშას ამ დროს მშვიდად ესაუბრებოდა. მარია კირილოვნამ დაინახა, რომ გულადობა და ამაყი თავმოყვარეობა მარტო ერთი წოდების კუთვნილება არ ყოფილა - და ამის შემდეგ ახალგაზრდა მასწავლებლის მიმართ პატივისცემას გამოხატავდა, უფრო და უფრო ყურადღებიანი ხდებოდა. მათ შორის ერთგვარი დამოკიდებულება დამყარდა. მაშას მშვენიერი ხმა და დიდი მუსიკალური ნიჭი ჰქონდა, დეფორჟმა გაკვეთილების მიცემა ითავა. ამის შემდეგ მკითხველისათვის ძნელი მისახვედრი არაა, რომ მაშას ფრანგი შეუყვარდა, თუმცა ამაში თავის თავსაც არ უტყდებოდა.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

დღესასწაულის წინადღით სტუმრებმა ჩამოსვლა დაიწყეს; ერთნი ბატონის სახლში და ფლიგელებში დაბინავდნენ, მეორენი - მოურავებთან, მესამენი - მვდელთან, მეოთხენი - შეძლებულ გლეხებთან. თავლები გაივსო ცხენებით, ეზოები და ფარდულები ეკპაჟებით გაიჭედა. დილის ცხრა საათზე წირვის ზარი დარეკეს და ყველამ გასწია ქვის ახალი საყდრისაკენ, რომელიც კირილა პატროვიჩმა ააშენა და მისი ყოველწლიური შესაწირავით ლამაზდებოდა. იმდენად მრავალრიცხოვანი საპატიო ღვთისმლოცველი მოგროვდა, რომ უბრალო გლეხები საყდარში ვეღარ მოთავსდნენ და გალავანში და კარიბჭესთან იდგნენ. წირვა არ იწყებოდა. კირილა პეტროვიჩს უცდიდნენ. იგი მოვიდა ექვსცხენა ეტლით და ზეიმურად თავისი ადგილისაკენ წავიდა. მარია კირილოვნა თან ახლდა. ყველამ თვალი მაშას მიაპყრო - კაცები მისი სილამაზით იყვნენ გაკვირვებულნი, ქალები მის მორთულობას ყურადღებით ათვალიერებდნენ. წირვა დაიწყო, შინაური მგალობლები კლიროსზე გალობდნენ. თვითონ კირილა პეტროვიჩი ხმას აყოლებდა, ლოცულობდა, მარჯვნივ, მორცხნივ არ იცქირებოდა და ამაყი თავმდაბლობით მიწამდე თავი დახარა, როდესაც დიაკონმა ა მ ტ ა ძ რ ი ს დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ ი ხმამაღლა მოიხსნა. წირვა დასრულდა. კირილა პეტროვიჩი ჯვარს პირველი ემთხვია. მას სხვებიც მიჰყვნენ; მერე მოწიწებით მეზობლები ტროეკუროვთან მივიდნენ. მანდილოსნები მაშას შემოეხვივნენ. კირილა პეტროვიჩმა, საყდრინდან რომ გამოდიოდა, ყველანი სადილად მიიპატიჟა - ეტლში ჩაბრძანდა და შინ გაემგზავრა. ყველანი მის კვალს გაჰყვნენ. ოთახები სტუმრებით გაივსო. ყოველ წუთს ახალი პირები შემოდიოდნენ და მასპინძელთან მისვლას გაჭირვებით ახერხებდნენ. ქალბატონები დარბაისლურად ნახევარ წრედ დასხდნენ; დაგვიანებულ მოდაზე ჩაცმული ქალები ნახმარი და ძვირფასი სამოსით მორთულიყვნენ, ყველა შემკობილი იყო ბრილიანტებით და მარგალიტებით; მამაკაცები ხიზილალისა და არყის გარშემო ირეოდნენ, ერთმანეთს შორის სახვადასხვა ხმაზე საუბრობდნენ, ხმაურობდნენ. დარბაზში ოთხმოცი სულისათვის სუფრას შლიდნენ. მსახურნი ფუსფუსებდნენ, ბოთლებსა და მინის სურებს დგამდნენ, მაგიდაზე სუზანს ასწორებდნენ. ბოლოს მსახურმა განაცხადა: "სუფრა განწყობილია", და კირილა პეტროვიჩი პირველი წავიდა სუფრასთან დასაჯდომად; მას მიჰყვნენ მანდილოსნები და

თავმომწონედ თავიანთი ადგილები დაიკავეს; ერთგვარად უფროს-უმცროსობა დაიცვეს; ქალიშვილები თიკანთა მშიშარა ფარასავით ერთად შექუჩდნენ და ერთიმეორის გვერდით მოთავსდნენ. მათ პირდაპირ კაცები დასხდნენ. სუფრის ბოლოს პატარა საშასთან მასწავლებელი დაჯდა.
მსახურთ დაიწყეს თეფშების ჩამოტარება ხარისხთა მიხედვით. გაუგებრობის შემთხვევაში ლაფატერის მიხვედრის წესით ხელმძღვანელობდნენ, და თითქმის ყოველთვის შეუცდომლადაც. თეფშებისა და კოვზების კაკუნი, სტუმრების ხმამაღალი ლაპარაკი ერთმანეთში ირეოდა. კირილა პეტროვიჩი მხიარულად ათვალიერებდა თავის ტრაპეზს და სავსებით სტკბებოდა პურმარილიანი კაცების ბედნიერებით. . . ამ დროს ეზოში შემოვიდა ეტლი, რომელშიც ექვსი ცხენი ება.
- ვინ გვესტუმრა? - იკითხა მასპინძელმა.
- ანტონ პაფნუტიჩი, - უპასუხა რამდენიმე ხმამ. კარები გაიღო და სასადილო ოთახში თავის დაკვრით შემოგორდა მოღიმარი ანტონ პიფნუტიჩ სპიცინი, სქელი კაცი, დაახლოებით ორმოცდაათი წლისა, მრგვალი, ჩოფურა სახის, სამკეცი ღაბაბით შემკული. სპიცინი უკვე ბოდიშის მოსახდელად ემზადებოდა.
- მოართვით ჭურჭელი, - დაიძახა კირილა პეტროვიჩმა, - მობრძანდი, ანტონ პაფნუტიჩ, დაბრძანდით და მითხარით, ეს რას ნიშნას: ჩემს წირვას არ დაესწარი და სადილზე დაიგვიანე, შენ ეს არ გიხდება, ღვთისმოსავი ხარ და ჭამაც გიყვარს.
- დამნაშავე ვარ, - უპასუხა ანტონ პაფნუტიჩმა, თან ხელსახოცი მუხუდოს ფერი ხიფთანის ღილის კილოში გაიკეთა. - დამნაშავე ვარ, ბატონო კირილა პეტროვიჩ, მე ადრიანად კი გამოვემგზავრე, მაგრამ ათი ვერსის გავლაც ვერ მოვასწარი, რომ უეცრად წინა თვლის სალტე შუაზე გადამიტყდა - რაღას იზამ? საბედნიეროდ, სოფლიდან შორს არ ვიყავი; მანამკ იქამდე მივეთრიეთ, მჭედელი მოვძებნეთ და, როგორც იქნა, გავაკეთეთ, ზუსტად სამმა საათმა გაიარა - რაღა მექნა. მოკლე გზით კისტენევკის ტყეზე გავლა ვეღარ გავბედე, შემოვლა ვამჯობინე. . .
- ეჰე, - შეაწყვეტინა სიტყვა კირილა პეტროვიჩმა, - ჩანს, გულადი ვერ ყოფილხარ. რისი გეშინია?
- როგორ თუ რისი მეშინაი, ბატონო კირილა პეტროვიჩ? ეს დუბროვსკი - ერთიც ვნახოთ და მას თათებში ჩაუვარდი; ამრჯვე ბიჭია, არავის არ აპატიებს, მე კი, ალბათ, ორკეც ტყავს გამაძრობს.
- რატომ გაქვს, ძმაო, ასეთი უპირატესობა?
- როგორ თუ რატომ, ბატონო კირილა პეტროვიჩ? განსვენებულ ანდრეი გავრილოვიჩთან დავის გამო. განა მე არ ვიყავი, რომ თქვენი სიამოვნებისათვის, ესე იგი სინდისისა და სამართლიანობის დაცვით, მივეცი ჩვენება, რომ დუბროვსკები კისტენევკას ჰფლობენ მასზე ყოველგვარი უფლების გარეშე, მხოლოდ თქვენი მოწყალებით. და განსვენებული (ღმერთმა აცხონოს) შემპირდა, ჩემებურად მოგელაპარაკებიო; შვილი, ალბათ, თავისი

მამის სიტყვას დაიცავს. აქამდე ღმერთმა შემიწყალა. მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბეღელი გამიძარცვეს, კარ-მიდამომდეც მოაღწევენ.
- კარ-მიდამოში კი დიდი ბარაქა დახვდებათ, - შენიშნა კირილა პეტროვიჩმა, - ვიმედოვნებ, წითელი ზარდახშა პირთამდე სავსეა. . .
- რას ბრძანებთ, ბატონო კირილა პეტროვიჩ, იყო სავსე, ახლა კი სულ დაცარიელდა.
- გეყოფა ტყუილები, ანტონ პაფუნტიჩ. ვიცით, რაცა ბრძანდებით: ფულებს რაში დახარჯავ. შინ ცხოვრობ ღორივით, სტუმრად არავის ჰპატიჟებ, შენს გლეხებს ტყავს აძრობ, აგროვებ მხოლოდ. და მეტი არაფერი იცი.
- თქვენ სულ ხუმრობას ინებებთ, ბატონო კირილა პეტროვიჩ, - ჩაილუღლუღა ანტონ პაფნუტიჩმა, - ჩვენ კი, ღმერთმანი, გავკოტრდით, - და ანტონ პაფნუტიჩმა ბატონის ხუმრობა მასპინძლის ნამცხვრის მსუქან ნაჭერს შეატანა.
კირილა პეტროვიჩმა მას თავი მიანება და მაზრის პოლიციის ახალ უფროსს მიმართა. იგი პირველად იყო სტუმრად მასთან და სუფრის მეორე ბოლოში იჯდა, მასწავლებლის მახლობლად.
- აბა, თქვენ მაინც დაიჭირეთ დუბროვსკი, ბატონო უფროსო.
მაზრის პოლიციის უფროსი შეშინდა, თავი დაუკრა, გაუღიმა, ენის ბორძიკით ძლივს წარმოთქვა:
- ვეცდებით, თქვენო აღმატებულება.
- ჰმ, ვეცდებით. დიდი ხანია, დიდი ხანია ცდილობენ, არაფერი კი არ გამოდის. მართლაც, რატომ უნდა დავიჭიროთ? დუბროვსკის ყაჩაღობა მაზრის პოლიციის უფროსებისათვის დიდი სიკეთეა - აქეთ-იქით მგზავროაბ, გამოძიებანი, ურმები, ფული კი ჯიბეში. ასეთ კეთილისმყოფელს როგორ ოსპობ? ასე არ არის, ბატონო უფროსო?
- სრული ჭეშმარიტებაა, თქვენო აღმატებულებავ, - უპასუხა სავსებით შემკრთალმა მაზრის პოლიციის უფროსმა.
სტუმრებმა გადაიხარხარეს.
- მიყვარს ვაჟკაცი გულახდილობისათვის, - თქვა კირილა პეტროვიჩმა, - აფსუს, განსვენებული ჩვენი ტარასი ალექსევიჩი, მაზრის პოლიციის უფროსი, - იგი რომ არ დაეწვათ, უბანში მეტი სიწყნარე იქნებოდა. რა ისმის დუბროვსკის შესახებ? უკანასკნელად სად ნახეს?
- ჩემთან, კირილა პეტროვიჩ, - დაიჭყივლა მანდილოსნის დაბალმა ხმამ, - გასულ სამშაბათს მან ჩემთან ისადილა.
თვალი ყველამ ანა სავიშნა გლობოვას მიაპყრო. იგი იყო უბრალო ქვრივი ქალი, ყველასათვის საყვარელი კეთილი და მხიარული ხასიათის გამო. ყველანი, ცნობისმოყვარეობით შეპყრობილნი, მოემზადნენ ამბის მოსასმენად.
- უნდა მოგახსენოთ, რომ სამი კვირის წინათ მე გავგზავნე მოურავი ფოსტაში ფულიტ ჩემი ვანიუშისათვის. შვილს არ ვანებივრებ, არც ძალა შემწევს ვანებივრო, კიდეც რომ

მინდოდეს, თუმცა, მოგეხსენებათ, გვარდიის ოფიცერი რიგიანად უნდა ცხოვრობდეს, და ვანიუშას ვუნაწილებ ჩემს პატარა შემოსავალს. და, აი, გავუგზავნე მას ორი ათასი მანეთი; თუმცა დუბროვსკი არაერთხელ გამხსენებია, მაგრამ, ვფიქრობ, ქალაქი ახლოა, სულ შვიდი ვერსია, იქნებ ღმერთმა გადაგვარჩინოს-მეთქი. ვხედავ: საღამოს ჩემი მოურავი ბრუნდება ფეხით, გაფითრებული, ჩამოგლეჯილი. "ვაი, რა ამბავია? რა მოგივიდა?" - წამოვიძახე. "დედილო ანა სავიშნა, ყაჩაღებმა გამძარცვეს, მე კინაღამ მომკლეს, თვითონ დუბროვსკიც იქ იყო, ჩემი ჩამოხრჩობა უნდოდა, შევეცოდე და გამომიშვა, ერთიანად კი გამფცქვნა, წამართვა ცხენი, ფორანიც". მე გავშეშდი; მეუფეო ზეცათაო, რა ეშველება ჩემს ვანიუშას? რა გაეწყობა. შვილს წერილი მივწერე, ყველაფერი მოვუყევი და ჩემი ლოცვა-კურთხევა გავუგზავნე უგროშოდ.
გაიარა კვირამ, მეორემ. უეცრად ჩემს ეზოში შემოდის ეტლი. ვიღაც გენერალი მთხოვს მინახულოს: - მობრძანდით; შემოდის ჩემთან კაცი, დაახლოებით ოცდახუთმეტი წლისა, შავგვრემანი, შავთმიანი, წვერ-ულვაშიანი. კულნევის პირწავარდნილი სურათია. თავს მაცნობს, როგორც ჩემი განსვენებული ქმრის, ივან ანდრეევიჩის მეგობარი და თანამოსამსახურე; აქ ჩავიარე და არ შემეძლო თქვენთან, მის ქვრივთან არ შემომევლო, რაკი ვიცოდი, რომ აქ ცხოვრობდითო. გავუმასპინძლიდი, რითაც შემეძლო; ვისაუბრეთ ცის, ბარის; ბოლოს დუბროვსკიზე ჩამოვარდა ლაპარაკი. - მე ჩემი დარდი გავუზიარე. ჩემი გენერალი შეიჭმუხნა. "ეს საოცარია, - თქვა მან. - მე გამიგონია, რომ დუბროვსკი ყველას არ ძარცვავს, არამედ ცნობილ მდიდრებს, მაგრამ ნაძარცვს მათაც უყოფს, Mმთლიანად კი არ ძარცვას. კაცის კვლაში მას ბრალს არავინ სდებს, აქ თაღლითობა ხომ არაა, უბრძანეთ თქვენს მოურავს დაუძახონ". - წავიდნენ მოურავის მოსაყვანად. მოვიდა. როგორც კი გენერალი დაინახა, გაშეშდა. "მიამბე, აბა, ძმაო, დუბროვსკიმ როგორ გაგძარცვა და როგორ უნდოდა მას შენი ჩამოხრჩობა". ჩემი მოურავი აკანკალდა და გენერალს ფეხებში ჩაუვარდა. - "ბატონო, დამნაშავე ვარ, ეშმაკმა მაცდინა - მოვიტყუილე". - "რადგან ასეა, - უთხრა გენერალმა, - მას, ინებე, ქალბატონს უამბე ყველაფერი, როგორ მოხდა. მე მოგისმენ". მოურავი გონს ვერ მოსულიყო. "აბა, მოჰყევი, - განაგრძო გენერალმა, - დუბროვსკის სად შეხვდი" - "ორ ნაძვის ხესთან, ბატონო, ორ ნაძვი ხესთან". - რა გითხრა მან?" - "მკითხა: ვისი ხარ, სად და რისთვის მიდიხარო?" - "მერე, მერე?" - "მერე კი მომთხოვა წერილი და ფული". - "მერე?" - "მე მივეცი წერილი და ფული - მან კი". . . "მერე, მან რა ჰქნა?" - "ბატონო, დამნაშავე ვარ", - "აბა, შენ კი?" - '"ფული და წერილი დამიბრუნა და მითხრა: - წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე - ეს ფოსტაში ჩააბარე". - "აბა, შენ კი?" - "ბატონო დამნაშავე ვარ", . . - "მე შენ, ჩემო კარგო, გაგისწორდები", - თქვა მრისხანედ გენერალმა; - "თქვენ კი, ქალბატონო, უბრძანეთ ამ თაღლითის სკივრი გაჩხრიკონ, ეს მე ჩამაბარეთ, ჭკუას ვასწავლი. იცოდეთ, დუბროვსკი თვითონ იყო გვარდიის ოფიცერი, იგი არ ისურვებს ამხანაგს აწყენინოს". მივხვდი, ვინც იყო მისი აღმატებულება, ბევრი ლაპარაკი საჭირო არ იყო. მეეტლეებმა მოურავი ეტლის კოფოზე მიაბეს. - ფული ვიპოვეთ;

გენერალმა ჩემთან ისადილა, მაშინვე გაემგზავრა და მოურავი თან წაიყვანა. მეორე დღეს ჩემი მოურავი ტყეში ნახეს მუხაზე მიბმული და ცაცხვით გაშვლეპილი.
ანა სავიშნას მიერ მოყოლილ ამბავს ყველა მდუმარედ უსმენდა, განსაკუთრებით ქალიშვილები. ბევრი მათგანსიდუმლად დუბროვსკისთვის კეთილი სურდა; ზოგიერთი მასში რომანტიკულ გმირს ხედავდა, - განსაკუთრებით მარია კირილოვნა. მგზნებარე მეოცნებე, რადკლიფის სადიუმლოს საშინელებებით მოცული.
- და შენ, ანა სავიშნა, გგონია, რომ თვითონ დუბროვსკი იყო შენთან? - ჰკითხა კირილა პეტროვიჩმა. - ძალიან შემცდარხარ. არ ვიცი, შენთან სტუმრად ვინ იყო, მხოლოდ დუბროვსკი კი არა.
- ბატონო, როგორ თუ არა დუბროვსკი? თუ არა იგი, აბა, სხვა ვინ გავა გზაზე და დაიწყებს გამვლელთა გაჩერებასა და დათვალიერება.
- არ ვიცი, მაგრამ იგი სწორედ დუბროვსკი არ იქნებოდა. მისი ბავშვობა მახსოვს. არ ვიცი, გაუშავდა თუ არა მას თმა, მაშინ კი თმახუჭუჭა ქერა ბიჭუნა იყო; მაგრამ დანამდვილებით ვიცი, როჯმ დუბროვსკი ხუთი წლით უფროსი იყო ჩემს მაშაზე და, მაშასადამე, იგი ოცდახუთმეტი წლისა კი არა, დაახლოებით ოცდასამი წლისაა.
- სწორია. თქვენო აღმატებულებავ, - განაცხადა მაზრის პოლიციის უფროსმა, - ჯიბეში მაქვს ვლადიმირ დუბროვსკის ნიშნები. მასში ზუსტად არის ნათქვამი, რომ დაბადებიდნ ოცდასამი წლისაა.
- აჰ! - თქვა კირილა პეტროვიჩმა, - ბარემ წაიკითხეთ, ჩვენ კი მოგისმენთ, ცუდი არაა, მისი ნიშნები ვიცოდეთ, ეგების შეგვეჩეხა, ხელიდან ვეღარ დაგვიძვრება.
მაზრის პოლიციის უფროსმა ჯიბიდან ამოიღო საკმაოდ გასვრილი ქაღალდის ფურცელი, გაშალა იგი მედიდურად და მღერით დაიწყო კითხვა:
"ვლადიმირ დუბროვსკის ნიშნები, შედგენილი მისი შინაყმების აღწერით. დაბადებიდან 22 წლისა, ს ი მ ა ღ ლ ე - საშუალო, პ ი რ ი ს ა ხ ე - სუფთა, წ ვ ე რ ი - მოპარსული, თ ვ ა ლ ე ბ ი - მუქი თაფლისფერი, თ მ ა - ბობრი, ც ხ ვ ი რ ი - სწორი, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი: ასეთი არ აღმოაჩნდა".
- სულ ეს არის? - თქვა კირილა პეტროვიჩმა.
- სულ ეს არის, - უპასუხა მაზრის პოლიციის უფროსმა და ქაღალდი დაკეცა.
- მომილოცავს, - ბატონო უფროსო! - ერთი ამას უყურეთ, რა ქაღალდია! ამ ნიშნების მიხედვით დუბროვსკის მოძებნა ადვილი იქნება; აბა, ვინ არ არის საშუალო ტანისა, ვის არა აქვს ბობრი თმა, სწორი ცხვირი, ვის არა აქვს მუქი თაფლისფერი თვალები! სანაძლეოს ვდებ, სამი საათის განმავლობაში შეიძლება თვით დუბროვსკის ელაპარაკო და ვერც მიხვდე, ღმერთმა ვის შეგახვედრა. მართლაც, მოხელეების ჭკუის კოლოფები ბრძანდებიან!
მაზრის პოლიციის უფროსმა ქაღალდი თავმდაბლად ჩაიდო ჯიბეში და ჩუმად კომბოსტოიანი ბატის ჭამას შეუდგა; ამასობაში მსახურთ უკვე მოასწრეს სტუმრებისათვის რამდენჯერმე ჩამოევლოთ და რამდენიმე ბოთლი გაიხსნა; ეს ღვინოები კეთილგანწყობით

შამპანურის სახელწოდებით მიიღეს. სტურებს სახეები აუღაჟღაჟდათ, ლაპარაკი გახდა უფრო მჟღერი, უთავბოლო და მხიარული.
- არა - განაგრძო კირილა პეტროვიჩმა, - ვეღარ ვნახავთ მაზრის პოლიციის ისეთ უფროსს, როგორიც განსვენებული ტარასი ალექსეევიცი იყო! მარჯვე კაცი იყო და არა დოყლაპია. სამწუხაროა, რომ დასწვეს ვაჟკაცი, თორემ მთელი ბრბოდან ერთი კაციც ვერ გაექცეოდა. ყველას სათითაოდ დაიჭერდა - თვით დუბროვსკიც ხელიდან ვერ დაუძვრებოდა, ქრთამითაც თავს ვერ დაიხსნიდა. ტარასი ალქსეევიჩი ფულს მისგან აიღებდა, მაგრამ მას კი მაინც არ გაუშვებდა. ასეთი ჩვეულება ჰქონდა განსვენებულს. რა გაეწყობა, ალბათ, მე მომიწევს ამ საქმეში ჩარევა და ჩემი შინაყმებით ყაჩაღების დაჭერა: პირველი შემთხვევისათვის ოც კაცს გამოვყოფ, ისინი გასწმენდენ ქურდების ჭალას; ხალხი მშიშარა არაა, თვითეული მათგანი მარტო მიდის დათვზე სანადიროდ - ყაჩაღებს არ შეუშინდებიან.
- კარგად არის თქვენი დათვი, ბატონო კირილა პეტროვიჩ? - თქვა ანტონ პაფნუტიჩმა, რომელმაც მოიგონა თავისი ბანჯგვლიანი ნაცნობი და ოინები, რომელთა მსხვერპლიც იგი ოდესღაც გახდა.
- მიშამ შენი ჭირი წაიღო, - უპასუხა კირილა პეტროვიჩმა, - მოკვდა სახელოვანი სიკვდილით, მტრის ხელით. აი, მისი დამარცხებული, - კირილა პეტროვიჩმა დეფორჟზე მიუთითა. - მან შური იძია შენი. . . უკაცრავად . . . პასუხი. . . ხომ გახსოვს?
- როგორ არ მახსოვს, - თქვა ანტონ პაფნუტიჩმა თავის ფხანით. - კარგად მახსოვს. მაშ, მიშა მოკვდა - მეცოდება მიშა. რა ხუმარა იყო! რა ჭკვიანი! ასეთ დათვს მეორეს ვერ იპოვი. და რისთვის მოჰკლა იგი მუსიემ?
კირილა პეტროვიჩმა დიდი სიამოვნებით დაიწყო თავისი ფრანგის გმირობის ამბის მოყოლა, რადგან კარგი უნარი ჰქონდა დაეკვეხნა ყველაფრით, რაც კი მის გარშემო იყო. სტუმრები ყუარდღებით ისმენდნენ მიშას სიკვდილის ამბავს და გაოცებით გადახედავდნენ ხოლმე დეფორჟს, რომელსაც ეჭვი არ აუღია, რომ ლაპარაკი მის მამაცნობას შეეხებოდა, მშვიდად იჯდა თავის ადგილას და თავის ცელქ აღსაზრდელს რჩევა-დარიგებას აძლევდა.
დასრულდა სადილობა, რომელიც დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა; მასპინძელმა ხელსახოცი სუფრაზე დასდო - ყველა ადგა და გავიდა სასტუმრო ოთახში, სადაც მათ ყავა, ბანქო და სასადილოში დიდებულად დაწყებული სმის გაგრძელება მოელოდათ.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, რომ ზოგიერთმა სტუმარმა გამგზავრება მოისურვა, მაგრამ პუნშით გამხიარულებულმა მასპინძლემა ბრძანა ალაყაფის კარები ჩაეკეტათ და გამოცხადა, დილამდე ეზოდან არავის არ გავუშვებო. მალე მუსიკამ დაიგრიალა, დარბაზის კარები გაიღო და ბალი დაიწყო. მასპინძელი და მისი მახლობელნი კუთხეში ისხდნენ, ჭიქას ჭიქაზე სცლიდნენ და ახალგაზრდების მხიარულობით სტკბებოდნენ. მოხუცი ქალები ანქოს თამაშობდნენ. კავალრები, როგორც ყველანი, სადაც რომელიმე ულანთა ბრიგადა არ ბინადრობს, უფრო ცოტანი იყვნენ, ვიდრე მანდილოსნები. ამის გამო თითქმის ყველა მამაკაცი დაკავებული იყო. მათ შორის მასწავლებელი გამოირჩეოდა. იგი ყველაზე მეტს ცეკვავდა. ყველა ქალიშვილი მას ირჩევდა და სთვილიდა, რომ მასთან ვალსირება ადვილი იყო. დეფორჟმა მარია კირილოვნასთნა ერთად წრეს რამდენჯერმე შემოუარა - და ქალიშვილები დაცინვით ადევნედნენ მათ თვალყურს. ბოლოს, დაახლოებით შუაღამისას, დაღლილმა მასპინძელმა ცეკვა შესწყვიტა. ბრძანა ვახშამი მოერთმიათ, თვითონ კი დასაძინებლად წავიდა.
კირილა პეტროვიჩის წასვლამ საზოგადოებას თავისუფლება და გამოცოცხლება შემატა; კავალრებმა გაბედეს მანდილოსნების მახლობლად დამსხდარიყვნენ, ქალიშვილები იცინოდნენ და თავიანთ მეზობელ კაცებს ეჩურჩულებოდნენ; მანდილოსნები ერთმანეთს სუფრის გადაღმა ელაპარაკებოდნენ. მამაკაცები სვამდნენ, დაობდნენ და ხარხარებდნენ. ერთი სიტყვით, ვახშამი განსაკუთრებულად მხიარული იყო - და დიდად სასიამოვნო მოსაგონარი დარჩა.
საერთო მხიარულებაში მხოლოდ ერთი კაცი არ იღებდა მონაწილეობას. ანტონ პაფნუტიჩი მოღუშული და მდუმარე იჯდა თავის ადგილას, დაბნეული ჭამდა და განსაკუთრებულად აღელვებული ჩანდა. ყაჩაღებზე საუბარმა გონება აუფორიაქა. ჩვენ მალე დავინახავთ, რომ მას საკმაო მიზეზი გააჩნდა მათი შინებოდა.
ანოტონ პაფნუტიჩი არ ტყუოდა, არ სცოდავდა, როცა ღმერთს ფიცულობდა, ჩემი წითელი ზარდახშა ცარიელიაო. წითელი ზარდახშა მართლაც ცარიელი იყო; ფულები, რომლებიც მასში ინახებოდა, ტყავის პარკში გადაბარგდა. პარკი კი პერანგქვეშ მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული. ყველას მიმართ უნდობლობითა და მუდმივი შიშით შეპყრობილი ანტონ პაფნუტიჩი თავს იმშვიდებდა მხოლოდ ამ სიფრთხილით. სხვის სახლში იძულებით ღამის გათევა რომ მოუხდა, შიშმა მოიცვა, ბინა სადმე განცალკევებულ ოთახში არ მიეჩინათ, სადაც ქურდები შესვლას ადვილად შესძლებდნენ; თვალით დაეძებდა საიმედო ამხანაგს და ბოლოს დეფორჟი ამოირჩია. ეს არჩევანი მიაღებინა მისმა ძალის გამომხატველმა გარეგნობამ, უფრო კი მის მიერ დათვთან შეხვედრისას გამოჩენილმა მამაცობამ. ამ დათვის გახსენება საწყალ ანტონ პაფნუტიჩს აუთრთოლებლად არ შეეძლო. როცა სუფრიდან ადგა, ანტონ პაფნუტიჩმა ახალგაზრდა ფრანგის მახლობლად დაიწყო ტრიალი, თან ხშირ-ხშირად ხმას ჩაიწმენდდა და ჩაახველებდა, ბოლოს ფრანგს მიმართა

განმარტებით.
- ჰმ, ჰმ, ხომ არ შეიძლება, მუსიე, თქვენს პატარა ოთახში ღამე გავათიო, იმიტომ რომ . . . ხომ ხედავთ. . .
- Que desire, monsieur ? * - ჰკითხა დეფორჟმა და მოწიწებით თავი დაუკრა.
- აი, უბედურება, შენ, მუსიე, ჯერ კიდევ რუსული არ შეგისწავლია, ჟე ვე, მუა, შე ვუ კუშე, ხომ გესმის?
- Monsieur, tres volontiers, - უპასუხა დეფორჟმა, - veuillez donner des ordres en consequence **.
ანტონ პაფნუტიჩი თავისი ფრანგულის ცოდნით ძალიან კმაყოფილი დარჩა. მაშინვე წავიდა განკარგულების გასაცემად.
სტუმრები ერთმანეთს გამოეთხოვენ და მათთვის მიჩენილ ოთახებსი წავიდ-წამოვიდნენ. ანტონ პაფნუტიჩი კი გაჰყვა მასწავლებელს ფლიგელში. ბნელი ღამე იყო. დეფორჟი გზას ფარნით ინათებდა. ანტონ პაფნუტიჩი მას საკმაოდ მხნედ მიჰყვებოდა, ხანდახან გულზე მიიკრავდა ხოლმე დამალულ პარკს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ფულები ჯერ კიდევ თან ჰქონდა.
მასწავლებელი ფლიგელში რომ მივიდა, სანთელი აანთო, ორივემ ტანთ გაიხდა დაიწყეს; ამ დროს ანტონ პაფნუტიჩი ოთახში დადიოდა, კლიტეებს და ფანჯრებს ათვალიერებდა და თავს აქნევდა ამ არასანუგეშო დათვალიერების დროს. კარები იკეტებოდა ერთი ურდულით, არც ფანჯრებს ჰქონდა ორმაგი ჩარჩოები. მან სცადა ამის გამო დეფორჟისთვის შეეჩივლა, მაგრამ მისი ცოდნა ფრანგულ ენაში მეტად შეზღუდული აღმოჩნდა ასეთი რთული განმარტებისათვის. ფრანგმა ვერაფერი გაუგო და ანტონ პაფნუტიჩი იძულებული გახდა ჩივილისატვის თავი მიენებებინა. მათი საწოლები ერთიმეორეს პირდაპირ იდგა. ორივე დაწვა და მასწავლებელმა სანთელი ჩააქრო.
- ჰერკუა ვუ თუსე, პურკუა ვუ ტუშე?! - დაიყვირა ანტონ პაფნუტიჩმა. რუსული ზმნა тушу (ვაქრობ) გაჭირვებით ფრანგულ ყაიდაზე აუღლა. - სიბნელეში დორმირ მე არ შემიძლია. დეფორჟმა ვერ გაიგო მისი წამოძახილი და მას ძილი ნებისა უსურვა.
- წყეული ბუსურმანი, - ჩაიბურდღუნა სპიცინმა და საბანში გაეხვია, - მოუნდა სანთლის ჩაქარობა. მისთვისვეა უარესი. მე უსინათლოდ დაძინება არ შემიძლია, მუსიე, მუსიე, - განაგრძობდა იგი, - ჟე ვე ავეკ ვუ პარლე. - მაგრამ ფრანგი პასუხს არ სცემდა და მალე ხვრინვა ამოუშვა.
"ხვრინავს შეჩვენებული ფრანგი, - გაიფიქრა ანტონ პაფნუტიჩმა, - მე კი აზრადაც არ მომდის - აგერ-აგერ ქუდები შემოვლენ ღია კარებში, ან ფანჯარაში შემოძვრებიან - ამ წყეულს კი ზარბაზანიც ვერ გააღვიძებს".
- მუსიე! ეი, მუსიე! ეშმაკმა წაგიღოს.
ანტონ პაფნუტიჩი დაჩუმდა. დაღლილობამ და ღვინომ თანდათან მისი შიში დასძლია, თვლემა დაიწყო და მალე ღრმა ძილი დაეუფლა.

მისთვის უცნაური გაღვიძება მზადდებოდა. ძილში გრძნობდა, რომ ვიღაც ნელა ეწეოდა პერანგის საყელოთი. ანტონ პაფნუტიჩმა თვალი გაახილა და შემოდგომის დილის მკრთალ სინათლეზე თავის წინ დაფორჟი დაინახა: ფრანგს ერთ ხელში ჯიბის დამბაჩა ეჭირა, მეორეთი კი დამალული პარკის შეხსნა დაუწყო. ანტონ პაფუნტიჩი გაშეშდა.
- კეს კე სე, მუსიე, კეს კე სე? - წარმოთქვა ათრთოლებული ხმით.
- ჩუმად, ხმა ჩაიწყვიტეთ, - უპასუხა მასწავლებელმა წმინდა რუსულ ენაზე, - ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ თქვენ დაიღუპებით, მე დუბროვსკი ვარ.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე

ახლა მკითხველს ვთხოვ ნება დაგვრთოს ჩვენი მოთხრობის უკანასკნელი ამბების გასარკვევად მას გავაცნოთ ის გარემოებანი, რომელნიც ამ ამბებს წინ უსწრებდდნენ და რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარით.
** სადგურზე, იმ ზედამხედველის სახლში, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, კუთხეში იჯდა მგზავრი, რომელსაც თავდაბალი და მომთმენი ადამიანის შეხედულება ჰქონდა, რაც იმას მოწმობდა, რომ უაზნო ან უცხოელი იყო, ესე იგი ადამიანი, რომელსაც ფოსტის გზაზე ხმის ამოღების უფლება არ ჰქონდა. მისი ბრიჩკა ეზოში იდგა და გასაპვნას უცდიდა. ბრიჩკაში იდო პატარა ჩემოდანი, აშკარა საბუთი მისი ხელმოკლეობისა. მგზავრი არ მოითხოვდა არც ჩაის, არც ყავას, ფანჯარაში იცქირებოდა და უსტვენდა, რაც ტიხარს იქით მჯდომ ზედამხედველის ცოსლ მეტისმეტად აწუხებდა.
- აი, ღმერთმა სტვენია გამოგვიგზავნა, - ამბობდა იგი ჩუმად, - როგორ უსტვენს, გასკდეს წყეული ბუსურმანი.
- მერე რა? - თქვა ზედამხედველმა, - არა უშავს რა, უსტვინოს თავისთვის.
- არა უშავს რა? - უპასუხა გულმოსულმა მეუღლემ, - განა არ იცი ნიშნები?
- - რა ნიშნები? რომ სტვენა ფულს აფრთხობს. ეჰ! პახომოვნა, ჩვენთან გინდა უსტვინე, გინდა არა: ფული მაინც არა გვაქვს და არ გვაქვს.
- გაუშვი, სიდორიჩ. რა გეხალისება მისი აქ ყოფნა, მიეცი ცხენები და ჯანდაბას მისი თავი.
- დაიცდის, პახომოვნა; თავლაში სულ სამი სამცხენაა, მეოთხე ისვენებს. აგერ-აგერ კარგი მგზავრი მოგვისწრებს; არ მინდა ფრანგის გამო ჩემი თავით ვაგო პასუხი. სუ, ასეც არის! აი, მოაჭენებენ. ეჰე, და როგორ სწრაფად; გენერალი ხომ არ არის?
ეტლი პარმაღთან გაჩერდა. მსახური კოფოდან ჩამოხტა, კარი გაიღო და წუთის შემდეგ სამხედროფარაჯიანი, თეთრქუდიანი ახალგაზრდა კაცი ზედამხედველთან შევიდა - მას

თან მსახური შეჰყვა, ზარდახშა შეიტანა და ფანჯრის ფიტონზე დასდო.
- ცხენები, - თქვა ოფიცერმა ბრძანების კილოთი.
- ახლავე, - უპასუხა ზედამხედველმა, - გვიბოძეთ სამოგზაურო მოწმობა.
- სამოგზაურო მოწმობა არა მაქვს. სხვა გზით მივემგზავრებით. . . შენ განა ვერ მცნობ?
ზედამხედველი აფუსფუსდა და გაიქცა მეეტლეების ასაჩქარებლად. ახალგაზრდა კაცმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო ტიხარს უკან შევიდა და ზედამხედველის ცოლს ჩუმად ჰკითხა: - ეს მგზავრი ვინ არის?
- ღმერთმა უწყის, - უპასუხა ზედამხედველის ცოლმა, - ვიღაც ფრანგი. აი, უკვე ხუთი საათია ცხენებს ელოდება და უსტვენს. წყეულმა თავი მოგვაბეზრა.
ახალგაზრდა კაცი მგზავრს ფრანგულად გამოელაპარაკა.
- სად მიბრძანდებით? - ჰკითხა მან.
- მახლობელ ქალაქს, - უპასუხა ფრანგმა, - იქიდან მივემგზვრები ერთ მემამულესთან, რომელმაც უნახავად მასწავლებლად დამიქირავა. მე ვფიქრობდი, რომ დღეს უკვე ადგილზე ვიქნებოდი, მაგრამ ბატონმა ზედამხედველმა სხვანაირად გადაწყვიტა - ამ ქვეყანაში ცხენების შოვნა ძნელია, ბატონო ოფიცერო.
- აქ რომელ მემამულეთან მოეწყვეთ? - ჰკითხა ოფიცერმა.
- ტროეკუროვთან, - უპასუხა ფრანგმა.
- ტროეკუროვთან? ვინ არის ეს ტროეკუროვი?
- Ma foi, monsieur ... მის შესახებ კარგი რამ ცოტა გამიგონია. ამბობენ, მედიდური და თავქეიფა ბატონია, თავის შინაყმებს სასტიკად ეპყრობა, მასთან შეგუება არავის შეუძლიაო; მისი სახელის ხსენებაზე ყველანი კანკალებენ. მასწავლებლებს არ ებოდიშება და ორი უკვე შოლტის ცემით მოჰკლაო.
- მომიტევეთ! და თქვენ გადაწყვიტეთ ასეთ ურჩხულთგან მოეწყოთ?
- აბა, რა ვქნა, ბატონო ოფიცერო! კარგ ჯამაგირს იძლევა - წელიწადში სამი ათას მანეთს და ყველაფერს მზამზარეულს. შეიძლება მე ბედნიერი გამოვდგე. მოხუცი დედა მყავს, ჯამაგირის ნახევარს მას გავუგზავნი სარჩოდ, დანარჩენი ფულით ხუთ წელიწადში შევძლებ დავაგროვო პ ა ტ ა რ ა თანხა, რაც საკმარისი იქნება ჩემი მომავალი დამოუკიდებლობისათვის. - და მაშინ bonsoir, პარიზს გავემგზავრები და კომერციულ საქმეს მოვკიდებ ხელს.
- გიცნობთ ვინმე ტროეკუროვის სახლში? - ჰკითხა ოფიცერმა.
- არავინ. - უპასუხა მასწავლებელმა, - მოსკოვიდან გამომიწვია ერთი თვის მეგობრის საშუალები. რომლის მზარეულმა, ჩემმა თანამემამულემ, გამიწია რეკომენდაცია. უნდა იცოდეთ, რომ მე ვემზადებოდი არა მასწავლებლად, არამედ მეშაქარლამედ, მაგრამ მითხრეს, რომ მასწავლებლის წოდება უფრო ხელსაყრელიაო.
ოფიცერი ჩაფიქრდა.
- მომისმინეთ, - შეაწყვეტინა ფრანგს სიტყვა, - რას იტყოდით, რომ აქ თქვენი მომავლის

მაგიერ თქვენთვის შემოეთავაზებინათ ათი ათასი ნაღდ ფულად იმ პირობით, რომ ახლავე დაბრუნდებულიყავით პრიზში.
ფრანგმა ოფიცერს გაოცებით შეხედა, გაიღიმა და თავი გააქნია.
- ცხენები მზად არიან, - თქვა შემოსულმა ზედამხედველმა.
მსახურმაც იგივე მოახენა.
- ახლავე, - უპასუხა ოფიცერმა, - ერთი წუთით გადით. - ზედამხედველია მსახური გავიდნენ. - მე არ ვხუმრობ, - განაგრძო მან ფრანგულად. - ათი ათასი შემიძლია მოგცეთ, მე მინდა მხოლოდ თქვენი აქ არყოფნა და თქვენი საბუთები.
ეს რომ თქვა, ზარდახშა გახსნა და ასიგნაციების რამდენიმე დასტა ამოიღო.
ფრანგმა თვალები დააჭყიტა, არ იცოდა, რა ეფიქრა.
- ჩემი არყოფნა. . . ჩემი საბუთები, - გაიმეორა მან გაოცებით, - აი, ჩემი საბუთები. . . მაგრამ თვენ ხუმრობთ, რად გინდათ ჩემი საბუთები?
- ეს თქვენი საქმე არაა. გეკითხებით, თანახმა ხართ თუ არა?
ფრანგმა, რომელიც ჯერ კიდევ საკუთარ ყურებს არ უჯერებდა, თავისი საბუთები მიაწოდა ოფიცერს, მან სწრაფად გადასინჯა ქაღალდები.
- თქვენი პასპორტი. . . კარგია. სარეკომენდაციო წერილი, ვნახოთ. მოწმობა დაბადების შესახებ, მშვენიერია. აი, თქვენი ფული, უკან დაბრუნდით. მშვიდობით. .
ფრანგი გაშეშებული იდგა.
ოფიცერი დაბრუნდა.
- ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ კინაღამ დამავიწყდა. მომეცით პატიოსანი სიტყვა, რომ ყველაფერი ეს ჩვენს შორის დარჩება, თქვენი პატიოსანი სიტყვა.
- პატიოსან სიტყვას გძლევთ, - უთხრა ფრანგმა, - მაგრამ ჩემი საბუთები, რა ვქნა უსაბუთოდ?
- პირელ ქალაქში განაცხადეთ, რომ თქვენ დუბროვსკიმ გაგრძარცვათ, დაგიჯერებენ და საჭირო მოწმობებს მოგცემენ. მშვიდობით, ღმერთმა მალე მიგიყვანოთ პარიზამდე და დედა ჯანმრთელად დაგახვედროთ.
დუბროვსკი ოთახიდან გავიდა, ეტლში ჩაჯდა და გააქროლა.
ზედამხედველი ფანჯარაში იცქირებოდა და როდესაც ეტლი წავიდა, ცოლს მიუბრუნდა შეძახილით:
- პახომოვნა, იცი? ეს დუბროვსკი იყო.
ზედამხედველის ცოლი თავგადაგლეჯილი ფანჯარასთან მიიჭრა, მაგრამ დაიგვიანა - დუბროვსკი უკვე შორს იყო. ქმარს ლანძღვა დაუწყო.
- ღვთისა არ გეშინია, სიდორიჩ, რატომ ადრე არ მითხარი, დუბროვსკის მაინც შევხედავდი, ახლა უცადე, კიდევ როდის შემოივლის. უსინდისო ხარნ, ნამდვილად უსინდისო.
ფრანგი იდგა სვეტივით დარჭობილი. ოფიცერთან შეთანხმება, ფული, ყველაფერი ეს

სიზმარი ეგონა, მაგრამ ასიგნაციების დასტები აქ იყო, მის ჯიბეში და საოცარი შემთხვევის სინამდვილეს მჭევრმეტყველურად ადასტურებდა.
მან გადაწყვიტა ცხენები დაექირავებინა ქალაქამდე. მეეტლემ იგი ნაბიჯ-ნაბიჯ წაიყვანა და ღამით ქალაქამდე გაჭირვებით მიაღწია.
საყარაულოსთან მისვლამდე, სადაც გუშაგის მაგივრად დანგრეული ჯიხური იდგა, ფრანგმა გაჩერება ბრძანა, ბრიჩკიდან გადმოვიდა და ფეხით წავიდა. მეეტლეს ნიშნებით აუხსნა, რომ ბრიჩკიდან გადმოვიდა და ფეხით წავიდა. მეეტლეს ნიშნებით აუხსნა, რომ ბრიჩკას და ჩემოდანს მას აძლევდა საჩუქრად, არყის გადასაკრაად. მეეტლე იმგვარადვე გააოცა ფრანგის გულუხვობამ, როგორც თვით ფრანგი დუბროვსკის წინადადებამ. მაგრამ მეეტლემ აქედან ის დასკვნა გამოიტანა, რომ უცხოელი ჭკუიდან შეიშალაო და მას მადლობა გადაუხადა მდაბლად თავის დაკვრით; მეეტლემ არ ჩასთვალა საჭიროდ ქალაქში შესვლა და გაემგზავრა მისთვის ცნობილ გასართობ დაწესებულებაში, რომლის პატრონსაც კარგად იცნობდა. იქ მთელი ღამე გაატარა, მეორე დღეს კი დილით ცარიელა სამცხენათი შინ გასწია უბრიჩკოდ და უჩემოდნოდ, სახედაბერილმა და თვალებდაწითლებულმა.
ფრანგის საბუთების დასაკუთრების შემდეგ დუბროვსკი, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, გაბედულად მივიდა ტროეკუროვთან და მის სახლში დაბინავდა. როგორიც უნდა ყოფილიყო მისი იდუმალი განზრახვები (მათ ჩვენ მერე გავიგებთ), თავსი ყოფაქცევით მას არაფერი სათაკილო არ ჩაუდენია. მართალია, პატარა საშას აღზრდას ცოტა დროს ანდომედა, სრულ თავისუფლებას აძლევდა ეცელქნა და მკაცრად არ სთხოვდა გაკვეთილებს, რომლებსაც მხოლოდ ფორმისათვის აძლევდა. სამაგიეროდ დიდი გულმოდგინებით აქცევდა ყურადღებას თავისი მოწაფე ქალის მუსიკალურ წარმატებას და ხშირად მთელი საათობით იჯდა მასთან ერთად ფორტეპიანოსთნა. ახალგაზრდა მასწავლებელი ყველას უყვარდა. კირილა პეტროვიჩს - მისი გაბედულებისა და სიმარდისათვის ნადირობის დროს, მარია კირილოვნას - მისი განუსაზღვრელი გულმოდგინებისა და მორიდებული ყურადღებისათვის, საშას - შემწყალებლობისათვის თავისი ცელქობის მიმართ, შინაყმებს - მისი გულკეთილობისა და ხელგაშლილობისათვის, არც მის შეძლებასთან, როგორც ჩანდა, შეუთავსებელი იყო. თვითონ დუბროვსკი მთელ ოჯახთან დაკავშირებული იყო და თავს უკვე იმ ოჯახის წევრად სთვლიდა.
დაახლოებით ერთი თვე გავიდა მასწავლებლის წოდებაში შესვლიდან ღირსსახსოვარ დღესასწაულამდე. და არავის ეჭვი არ აღძვრია, რომ მშვიდ ახალგაზრდა ფრანგში იმალებოდა მრისხანე ყაჩაღი, რომლის სახელი შიშის ზარს სცემდა ახლომახლო მცხოვრებ ყველა მესაკუთრეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში დუბროვსკი პოკროვსკოეს არ გაშორებია, მაგრამ ამბავი მისი ყაჩაღობის შესახებ სოფლის მცხოვრებთ გამომგონებლობის უნარის წყალობით არ ცხრებოდა; თუმცა ისიც შესაძლებელი იყო, რომ მისი ბრბო

განაგრძობდა მოქმედებას უფროსის არყოფნის დროსაც.
როდესაც დუბროვსკის მოუხდა ერთ ოთახში ღამე გაეთია იმ კაცთან, რომელიც მას შეეძლო თავის პირად მტრად და თავისი უბედურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ჩაეთვალა, ცთუნებისაგან თავი ვერ შეიკავა. მან იცოდა პარკის არსებობის ამბავი და გადაწყვიტა მიხი ხელში ჩაგდება. ჩვენ ვნახეთ, როგორ გააოცა მისმა მოულოდნელმა გარდაქმნამ მასწავლებლიდან ყაჩაღად საწყალი ანტონ პაფნუტიჩი.
დილის ცხრა საათზე სტუმრებმა, რომელთაც ღამე პოკროვსკოეში გაათიეს, ნელ-ნელა თავი მოიყარეს სასტუმრო ოთახში, სადაც სამოვარი უკვე დუღდა. სამოვრის წინ იჯდა მარია კირილოვნა, კირილა პეტროვიჩი კი, რომელსაც თივთიკის სერთუკი და ფლოსტები ეცვა, ჩაის სვამდა თავისი დიდი ფინჯნით; ეს ფინჯანის ჭურჭლის სარეცხ ჯამს ჰგავდა. ყველაზე ბოლოს ანტონ პაფუნტიჩი გამოცხადდა; იგი ისე ფერმკრთალი და შეწუხებული იყო, რომ მისმა შესახედაობამ ყველა გააოცა და კირილა პეტროვიჩმა მისი ჯანმრთელობის ამბავი იკითხა. სპიცინი ყოვლად უაზრო პასუხს იძლეოდა და შიშით იხედებოდა მასწავლებლისაკენ, რომელიც იქვე იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. რამდენიმე წუთის შემდეგ მსახური შემოვიდა და სპიცინს მოახსენა, ეტლი მზად არისო. ანტონ პაფნუტიჩი საზოგადოებას საჩქაროდ გამოეთხოვა, თუმცა მასპინძელი არ უშვებდა. სპიცინი ოთახიდან სწრაფად გავიდა და მაშინვე გაემგზავრა. სტუმრებსა და მასპინძელს ვერ გაეგოთ, რა მოუვიდა მას და კირილა პეტროვიჩმა გადაწყვიტა, ალბათ ზედმეტმა ჭამამ აწყინაო. ჩაისა და გამოსათხოვარი საუზმის შემდეგ სხვა სტუმრებმაც დაიწყეს გამგზავრება, მალე პროკოვსკოე დაცარიელა და ყველაფერი თავის ჩვეულებრივ წესრიგში ჩადგა.

თავი მეთორმეტე

რამდენიმე დღე გავიდა ისე, რომ არაფერი ღირშესანიშნავი არ მომხდარა. პროკოროვსკოეს მოსახლეთა ცხოვრება ერთფეროვნად მიმდინარეობდა. კირილა პეტროვიჩი ყოველდღე სანადიროდ მიემგზავრებოდა; კითხვა, სეირნობა, მუსკიკის გაკვეთილები ართობდნენ მარია კირილოვნას, განსაკუთრებით მუსიკის გაკვეთილები. იგი თანდათან მიხვდა საკუთარი გულის ამბავს და უნებური წყენით თავის თავს გამოუტყდა, რომ ახალგაზრდა ფრანგის ღირსებათა მიმართ გულგრილობას ვეღარ იჩენდა. დუბროვსკი, თავის მხრივ, მოწიწებისა და მკაცრი ზრდილობიანობის ფარგლებს არ სცილდებოდა და ამით ქალს

სიამაყისა და შიშნარევ ეჭვებს უმშვიდებდა. ქალი სულ უფრო და უფრო მეტი მიმნდობელობით ეძლეოდა მომხიბლავ ჩვეულებას. უდეფორჟოდ იგი მოწყენილი იყო; მასთან ყოფნის დროს, ყოველ წუთს ყურადღებას აქცევდა მას, ყველაფერზე მისი აზრის გაგება სურდა და ყველაფერში ეთანხმებოდა. შეიძლება მაშა ჯერ კიდევ არ იყო შეყვარებული, მაგრამ პირველ შემთხვევითს დაბრკოლებასთანავე ან ბედის უეცარ შეტრიალებისთანავე ვნების ალი მის გულში უნდა ანთებულიყო.
ერთხელ, როდესაც მარია კირილოვნა დარბაზში მივიდა, სადაც მასწავლებელი უცდიდა, მის ფერმკრთალ სახეზე შეძრწუნება შენიშნა, რამაც ქალი გააოცა. მაშამ ფორტეპიანო გახსნა და რამდენიმე ნოტი იმღერა, მაგრამ დუბროვსკიმ თავის ტკივილის მომიზეზებით ბოდიში მოიხადა, გაკვეთილი შესწყვიტა და, როცა ნოტეს ჰკეცავდა, ქალს მალულად ბარათი გადასცა. მარია კიროლოვნამ დაფიქრებაც ვერ მოასწრო, ბარათი მიიღო და იმავე წუთში ინანა; მაგრამ დუბროვსკი უკვე დარბაზში აღარ იყო. მარია კირილოვნა თავის ოთახში წავიდა, ბარათი გაშალა და შემდეგი წაიკითხა:
"მოდით დღეს შვიდ საათზე ტალავერში ნაკადულთან. ჩემთვის აუცილებელია თქვენთან მოლაპარაკება".
ქალი ცნობისმოყვარეობით აინთო, იგი დიდი ხანია მოელოდა სიყვარულის ახსნას, ეს მას სურდა და აფრთხობდა ერთსა და იმავე დროს. მაშასთვის სასიამოვნო იქნებოდა მოესმინა იმის დადასტურება, რასაც ხვდებოდა; მაგრამ მარია კირილოვნა გრძნობდა, რომ მისთვის უწესო საქციელი იქნებოდა სიყვარულის ახსნა მოესმინა კაცისაგან, რომელსაც მისი მდგომარეობის მიხედვით იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ ოდესმე მის თანხმობას მიიღებდა. მარია კირილოვნამ გადაწყვიტა პაემანზე წასულიყო, მაგრამ ერთ რამეში მერყეობდა: როგორ შეხვდებოდა მასწავლებლის სიწყვარულის ახსნას, არისტოკრატიული გულისწყრომით, მეგობრობის შეგონებით, მხიარული ხუმრობით, თუ უსიტყვო თანაგრძნობით. ამასობაში იგი ყოველ წუთს საათისაკენ იცქირებოდა. ბინდდებოდა; სანთლები შემოიტანეს; კირილა პეტროვიჩმა მოსულ სტუმრებთან ბოსტონის თამაში დაიწყო. სასადილოს საათმა შვიდის ორმოცდახუთი წუთი დარეკა და მარია კირილოვნა წყნარად გავიდა პარმაღზე, ყოველ მხარეს მიმოიხედა და ბაღისაკენ გაიქცა.
ბნელი ღამე იყო, ცა ღრუბლებს დაეფარა, ორი ნაბიჯის მანძილზე კაცი ვერაფერს დაინახავდა; მაგრამ მარია კირილოვნა სიბნელეში მიდიოდა ნაცნობი ბილიკებით და ერთ წუთში ტალავერთან აღმოჩნდა; აქ შეჩერდა, რათა სული მოეთქვა და დეფორჟთან გამოცხადებულიყო გულგრილი და მშვიდი სახით. მაგრამ დეფორჟი უკვე მის წინ იდგა.
- გმადლობთ, - უთხრა ვაჟმა წყნარი და ნაღვლიანი ხმით. - რომ ჩემს თხოვნაზე უარი არ მითხარით. მე სასოწარკვეთილებაში ჩავვარდებოდი, თქვენ რომ ამაზე არ დათანხმებულიყავით.
მარია კირილოვნამ მომზადებული ფრაზით უპასუხა:
- იმედი მაქვს თქვენ არ მაიძულებთ ვინანო ჩემი შეწყნარებლობის გამო.

დუბროვსკი სდუმდა და ეტყობოდა გამბედაობას იკრებდა.
- მდგომარეობა მოითხოვს. . . უნდა დაგტოვოთ, - თქვა მან ბოლოს. - თქვენ შეიძლება მალე გაიგონოთ. . . მაგრამ განშორების წინ მინდა აგიხსნათ. . .
მარია კირილოვნამ არაფერი უპასუხა. იგი ამ სიტყვებში ხედავდა მოსალოდნელი სიყვარულის ახსნის წინასიტყვაობას.
- მე არ ვარ იგი, ვინც თქვენ გგონიათ, - განაგრძო მან, თავდახრილმა, - მე ფრანგი დეფორჟი კი არა, დუბროვსკი ვარ.
მარია კირილოვნამ შეჰკივლა.
- ნუ გეშინიათ, თუ ღმერთი გწამთ; ჩემი სახელისა თქვენ არ უნდა გეშინოდეთ. დიახ, მე ის უბედური ვარ, რომელსაც მამათქვენმა ლუკმაპური წაართვა, მამის სახლიდან გააძევა და დიდ შარაგზებზე საძარცვავად გაუშვა. მაგრამ თქვენ არ უნდა გეშინოდეთ არც თქვენი თავისა, არც მამათქვენის გამო. ყველაფერი გათავებულია. . . ვაპატიე; მომისმინეთ: თქვენ გდაარჩინეთ იგი. პირველი ჩემი სისხლიანი გმირობა მასზე უნდა აღსრულებულიყო. მისი სახლის გარშემო დავდიოდი, ვნიშნავდი, ხანძარი სად უნდა ანთებულიყო, საიდან შევსულიყავი მის საწოლ ოთახში, როგორ გადამეჭრა მისთვის ყველა გასაქცევი გზა; იმ წუთში ჩამიარეთ მახლობლად, როგორც ციურმა მოჩვენებამ, და ჩემი გული დაწყნარდა, - მე მივხვდი, რომ სახლი, სადაც თქვენ ბინადრობთ, წმინდაა, რომ არც ერთ არსებას, რომელიც თქვენი სისხლი და ხორცია, ჩემგან წყევლა არ ეკუთვნის. უარს ვამბობ შურისძიებაზე, როგორც სიგიჟეზე. მთელი დღეობით პორკოვსკოეს ბაღების მახლობლად დავეხეტებოდი იმ იმედით, რომ შორიდან თქვენ თეთრ კაბას დავინახავდი. თქვენი გაუფრთხილებელი სეირნობის დროს უკან დაგყვებოდით, ბუჩქიდან ბუჩქისკენ მივიპარებოდი, ბედნიერი ვიყავი იმ ფიქრით, რომ თქვენ არავითარი საფრთხე არ მოგელოდათ იქ, სადაც მე ფარულად ვიმყოფებოდი. ბოლოს შემთხვევა მომეცა. . . თქვენს სახლში დავბინავდი. ეს სამი კვირა ჩემთვის ბედნიერების დღეები იყო; მათი მოგონება ჩემი სევდიანი ცხოვრებისათვის ნუგეში იქნება. . . დღეს მივიღე ცნობა, რომლის შემდეგ ჩემი აქ დარჩენა შეუძლებელია. მე გშორდებით დღეს ამ წუთშივე. . . მაგრამ ჯერ უნდა გამოგტეხოდით, რათა თქვენ არ დაგეწყევლეთ, არ შეგზიზღებოდით. იფიქრეთ ზოგჯერ დუბროვსკიზე, იცოდეთ, რომ სხვა ცხოვრებისათვის იყო იგი გაჩენილი, რომ მის სულს შეეძლო თქვენი სიყვარული, რომ არსოდეს. . .
ამ დროს ძლიერი სტვენა გაისმა და დუბროვსკი დადუმდა. ქალს ხელზე ხელი სტაცა დ თავის ანთებულ ტუჩებზე მიიკრა. სტვენა განმეორდა.
- მომიტევეთ, - თქვა დუბროვსკიმ, - მეძახიან: ერთ წუთს ჩემი დაღუპვა შეუძლია. დუბროვსკი გაშორდა. . . მარია კირილოვნა უძრავად იდგა. ვაჟი დაბრუნდა და ქალს ისევ ხელზე ხელი მოჰკიდა.
- თუ ოდესმე, - უთხრა მას ნაზი და მგრძნობიარე ხმით, - თუ ოდესმე უბედურება შეგემთხვეთ და თქვენ არავისგან ელოდეთ არც დახმარებას, არც მფარველობად, ასეთ

შემთხვევაში აღმითქვამთ თუ არა, რომ მე მომმართავთ, მომთხოვთ ყველაფერს თქვენი გადარჩენისათვის? აღმითქვამთ თუ არა, რომ არ უკუაგდებთ ჩემს ერთგულებას?
მარია კირილოვნა ჩუმად ტიროდა, სტვენა მესამეჯერ გაისმა.
- თქვენ მღუპავთ! - წამოიძახა დუბროვსკიმ. - არ დაგტოვებთ, სანამ პასუხს არ მომცემთ, აღმითქვამთ თუ არა?
- გპირდებით. - ჩაიჩურჩულა საწყალმა მზეთუნახავმა.
დუბროვსკისთან შეხვედრით აღელვებული მარია კირილოვნა ბაღიდან ბრუნდებოდა. მას მოეჩვენა, რომ შინაყმები აქეთ-იქით დარბოდნენ - სახლი ამოძრავებულიყო, ეზოში უამრავი ხალხი ტრიალებდა, პარმაღთან სამცხენა იდგა - შორიდან კირილა პეტროვიჩის ხმა მოესმა. ქალი სახლში შესვლას ჩქარობდა, შიშობდა, მისი არყოფნა არ შეენიშნათ. დარბაზში მას კირილა პეტროვიჩი შეხვდა, სტუმრების მაზრის პოლიციის უფროსს, ჩვენს ნაცნობს, გარს შემოხვეოდნენ და კითხვებს აყრიდნენ. უფროსს სამგზავროდ ეცვა და თავით ფეხებამდე შეიარაღებული იყო, აფუსფუსებული იძლეოდა პასუხს იდუმალი გამომეტყველებით.
- სად იყავი, მაშა? - ჰკითხა კირილა პეტროვიჩმა, - მ-რ დეფორჟი ხომ არ შეგხვედრია? მაშამ ძლივს შეძლო ეთქვა, არაო.
- წარმოიდგინე, - განაგრძო კირილა პეტროვიჩმა, - მაზრის პოლიციის უფროსი ჩამოვიდა იმის დასაჭერად და მარწმუნებს, იგი დუბროვსკიაო.
- ყველა ნიშანია, თქვენო აღმატებულებავ, - თქვა მოწიწებით მაზრის პოლიციის უფროსმა.
- ეჰ, ძმაო, - შეაწყვეტინა კირილა პეტროვიჩმა, - დაიკარგე მაგ შენი ნიშნებით. მე ჩემს ფრანგს არ მოგცემ, სანამ საქმეს თვითონ არ გავარჩევ. როგორ შეიძლება, მშიშარა და მატყუარა ანტონ პაფნუტიჩის სიტყვებს დავუჯეროთ: მას მოელანდა, რომ მასწავლებელს მისი გაძარცვა სურდა. რატომ იმავე დილას სიტყვაც კი არ დაუძრავს ამის შესახებ?
- ფრანგმა დააშინა იგი, თქვენო აღმატებულებავ, - უპასუხა მაზრის პოლიციის უფროსმა, - და ფიცი დაადებინა, არაფერი სთქვაო. . .
- ტყუილია, - გადაწყვიტა კირილა პეტროვიჩმა, - ახლავე ყველაფერს სააშაკარაოზე გამოვიტან. სად არის მასწავლებელი? - ჰკითხა შემოსულ მსახურს.
- ვერსას ნახეს, - უპასუხა მსახურმა.
- ჰოდა, მონახეთ! - დაიყვირა ტროეკუროვმა, რომელსაც უკვე ეჭვი ეპარებოდა. - მიჩვენე შენი ნაქები ნიშნები, - უთხრა მან მაზრის პოლიციის უფროსს, რომელმაც ტროეკუროვს მაშინვე გადასცა ქაღალდი.
- ჰმ, ოცდაორი წლისა, ს ი მ ა ღ ლ ე - საშუალო, პ ი რ ს ა ხ ე - სუფთა, წ ვ ე რ ი - მოპარსული, თ ვ ა ლ ე ბ ი - მუქი თაფლისფერი, თ მ ა - ბობრი, ც ხ ვ ი რ ი - სწორი, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი - ასეთი არ აღმოჩნდა. ეს ასეა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ამტკიცებს. სადღაა მასწავლებელი?
- ვერსად ნახეს, - იყო კვლავ პასუხი.

კირილა პეტროვიჩს მოუსვენრობა დაეტყო. მარია კირილოვნა ცოცხალ-მკვდარი იყო.
- მაშა, ფერდაკარგული ხარ, - შენიშნა მას მამამ, - შეგაშინეს?
- არა, მამილო, - უპასუხა მაშამ, - მე თავი მტკივა.
- წადი, მაშა, შენს ოთახში და ნუ სწუხარ. - მაშამ მამას ხელზე აკოცა და სწრაფად თავის ოთახში წავიდა. იქ ლოგინზე დაეცა და ისტერიულად აქვითინდა. მოახლე ქალებმა მიირბინეს, ტანთ ძლივს გახადეს, ძლივს შეძლეს მისი დამშვიდება ცივი წყლით და ათასგვარი სპირტებით. დააწვინეს და მას ჩაეძინა.
ფრანგი მაინც ვერ იპოვეს. კირილა პეტროვიჩი დარბაზში ბოლთას სცემდა, მრისხანედ უსტვენდა "გამარჯვების გრგვინვა გაისმას" სტუმრები ჩურჩულებნდნენ, მაზრის პოლიციის უფროსი სულელურ მდგომარეობაში ჩავარდა - ფრანგი ვერ იპოვეს. ალბათ, დამალვა მოასწრო, გაფრთხილებული იყო, მაგრამ როგორ და ვის მიერ, ეს საიდუმლოდ დარჩა.
თერთმეტი საათი იყო და ძილზე არავინ ფიქრობდა. ბოლოს კირილა პეტროვიჩმა მაზრის პოლიციის უფროსს მწყრალად უთხრა:
- რას ფიქრობ? გათენებამდე აქ ხომ არ იქნები, ჩემი სახლი დუქანი ხომ არ გგონია; შენი მოხერხებულობით, ძმაო, დუბროვსკის დაჭრას, თუკი ის დუბროვსკია, ვერ შეძლებ. აბა, გასწი შინ. . და მომავალში უფრო მარჯვედ იყავი. თქვენი წასვლის დროც არის, - მიმართა სტუმრებს. - უბრძანეთ ცხენები გაუბან. მე კი მეძინება.
ტროეკუროვი ასე ცივად დაშორდა თავის სტუმრებს.

თავი მეცამეტე

რამდენიმე ხანი გავიდა და არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხარა. მაგრამ შემდეგი ზაფხულის დამდეგს კირილა პეტროვიჩის ოჯახში ბევრი ცვლილებები მოხდა. ტროეკუროვისაგან ოცდაათი ვერსის დაშორებით მდებარეობდა თავად ვერეისკი მდიდარი მამული. თავადი დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ. მის მამულს განაგებდა სამსახურიდან გადამდგარი მაიორი. პროკროვსკოესა და არბატოვოს შორის არავითარი ურთიერთობა არ არსებობდა. მაგრამ მაისის ბოლოს თავადი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და ჩავიდა თავის სოფელში, რომელიც არასოდეს არ ენახხა. თავის შექცევას დაჩვეულმა თავადმა მარტოობა ვერ აიტანა და ჩამოსავლიდან მესამე დღეს გაემგზავრა

სადილად ტროეკუროვთან, რომელსაც ოდესღაც იცნობდა.
თავადი დაახლოებით ორმოცდაათი წლის იქნებოდა, მაგრამ უფრო ხნიერი ჩანდა. გადაჭარბებამ სხვადასხვაგვარ დროსტარებაში ჯანმრთელობა შეურყია და წარუშლელი დაღი დაასვა. იგი მუდამ თავის შექცევას საჭიროებდა და ერთთავად მოწყენილი იყო. მიუხედავად ამისა, სასიამოვნო, შესანიშნავი გარეგნობა ჰქონდა, მუდამ საზოგადოებაში ყოფნის ჩვეულებას იგი თავაზიანი გაეხადა, განსაკუთრებით ქალებთან. კირილა პეტროვიჩი მისი სტუმრობით მეტისმეტად კმაყოფილი იყო. ეს მაღალი საზოგადოებასთან გაცნობილი ადამიანისაგან პატივისცემად მიიღო. ტროეკუროვი, ჩვეულებისამებრ, სტუმარს გაუმასპინძლდა თავის დაწესებლებათა დათვალიერებით და საძაღლეში წაიყვანა. მაგრამ თავადი ძაღლების სუნმა კინაღამ გაჰგუდა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა; ცხვირზე სუნამოთი მოფრქვეულ ცხვირსახოცს იჭერდა. ძველი ბაღი გაკრეჭილი ცაცხვებით, ოთხკუთხა ტბით და სწორი ხეივნებით მას არ მოეწონა; თავად ვერეისკის ინგლისური ბაღები და ეგრეთ წოდებული ბუნება უყვარდა, მაგრამ ტროეკუროვის კარ-მიდამოს მაინც აქებდა და აღტაცებას გამოთქვამდა; მსახური მივიდა მოსახსენებლად, სუფრა გაწყობილიაო. სასადილოდ წავიდნენ. თავადი ოდნავ კოჭლობდა, გასეირნებამ დაღალა და უკვე ნანობდა სტუმრად მისვლას.
მაგრამ დარბაზში მას მარია კირილოვნა შეხვდა და ბებერი მუსუსი მისი სილამაზით გაოცებული დარჩა. ტროეკუროვმა სტუმარი მაშას გვერდით დასვა. თავადი ასულის სიახლოვემ გამოაცოცხლა და გაამხიარულა. მან რამდენჯერმე მოახერხა ქალის ყურადღება მიეპყრო საინტერესო ამბების მოყოლით. სადილის შემდეგ კირილა პეტროვიჩმა სტუმარს ცხენით გასეირნება შესთავაზა, მაგრამ თავადმა ბოდიში მოიხადა, თავისი ხავერდის ჩექმები დაანახვა და თავისი ნიკრისის ქარის გამო ხუმრობა დაიწყო; მან ამჯობინა ლინეიკით გასეირნება, რათა სანდომიან მეზობელ ქალს არ დაშორებოდა. ლინეიკაში ცხნები გაუბეს. მოხუცები და მზეთუნახავი ზედ დასხდნენ და გაემგზავრნენ. საუბარი არ შეწყვეტილა. მარია კირილოვნა სიამოვნებით ისმენდა მაღალი საზოგადოების ადამიანის პირმოთნე და მხიარულ სიტვებს, რომ უეცრად ვერეისკი კირილა პეტროვიჩს მიუბრუნდა და ჰკითხა: - ეს დამწვარი შენობა რას ნიშნავს, თქვენ ხომ არ გეკუთვნით იგიო? კირილა პეტროვიჩმა სახე შეიჭმუხნა, გადამწვარი კარ-მიდაკოთი გამოწვეული მოგონეა მას არასასიამოვნოდ დარჩა. უპასუხა, - მიწა ახლა ჩემია, წინათ კი დუბროვსკის ეკუთვნოდაო.
დუბროვსკის, - გაიმეორა ვერეისკიმ, - როგორ, ამ სახელ-განთქმულ ყაჩაღს?
- მამამისს, - უპასუხა ტროეკუროვმა, - მამაც გვარიანი ყაჩაღი იყო.
- სად იმყოფება ჩვენი რინალდო? ცოცხალია თუ დაიჭირეს?
- ცოცხალიცაა და თავისუფალიც - და სანამ ჩვენში მაზრის პოლიციის უფროსები და ქურდები შეხმატკბილებულნი იქნებიან, მანამდე მას ვერ დაიჭერენ. ჰო, მათლა, თავადო, დუბროვსკი ხომ შენთან არბატოვოშიც ყოფილა?

- დიახ, გასულ წელს, მგონი, რაღაც დაუწვავს, ან გაუძარცვავს. . . მარია კირილოვნა, ხომ მართლა საინტერესო იქნებოდა ამ რომანტიკული გმირის ახლო გაცნობა?
- რა საინტრესოა! - თქვა ტროეკუროვმა, - მაშა მას იცნობს, - მთელი სამი კვირა მუსიკას ასწავლიდა, მადლობა ღმერთს, გაკვეთილებში არაფერი აუღია.
აქ კირილა პეტროვიჩმა დაიწყო ამბის მოყოლა თავის ფრანგ მასწავლებელზე. მარია კირილოვნა თითქოს ეკლებზე იჯდა; ვერეისკიმ დიდი ყურადღებით მოუსმინა, ყველაფერი ეს ძალიან უცნაურად მიიჩნია და საუბარი შესცვალა. როცა დაბრუნდნენ, ვერეისკიმ ბრძანა მისთვის კარეტა მოემზადებინათ და, მიუხედავად კირილა პეტროვიჩის დიდი ხვეწნისა, ღამის გასათევებლად დარჩენილიყო, იგი ჩაის შემდეგ მაშინვე გაემგზავრა. გამგზავრების წინ კირილა პეტროვიჩს სთხოვა სტუმრად სწვეოდა მარია კირილოვნასთან ეთად. ამაყი ტროეკუროვი შეჰპირდა, რადგან თავად ვერეისკის ერთგვარად თავის ტოლად სთვლიდა, ანგარიში გაუწია მის თავადურ ღირსებას, ორ ვარსკვლავს და სამი ათასი სულისაგან შემდგარ საგვარეულო მამულს.
ორი დღის შემდეგ კირილა პეტროვიჩი თავის ასულთან ერთად თავად ვერეისკისთან გაემგზავრა. არბატოვოს რომ უახლოვდებოდა, მას არ შეეძლო არ დამტკბარიყო გლეხთა სუფთა და მხიარული ქოხებით, ბატონის ქვის სახლით, რომელი ინგლისური სასახლეების სტილზე იყო აშენებული. სახლის წინ მუქი მწვანე მდელო გადაშლილიყო, სადაც შვეიცარული ძროხები სძოვდნენ ზანზალაკების რეკვით. სახლს ყოველი მხრიდან ვრცელი პარკი ერტყა. მასპინძელი სტუმრებს პარმაღთან შეხვდა და ახალგაზრდა მზეთუნახავს ხელი გაუწოდა; ისინი დიდებულ დარბაზში შევიდნენ, სადაც სუფრა სამი კაცისათვის გაეშალათ. თავადმა სტუმრები ფანჯარასთან მიიყვანა და მათ წინ შესანიშნავი სანახაობა გადაიშალა. ფანჯრების წინ ვოლგა ჩაუდიოდა, ზედ დატვირთული ორჩხომელები მისცურავდნენ გაშლილი იალქნებით და გამოკრთოდნენ მეთევზეთა ნავები, რომლებისთვისაც ასე მოხდენილად "დუშეგუბკები" შეურქმევიათ. მდინარის იქით გორაკები და მინდვრები გადაჭიმულიყო. რამდენიმე სოფელი არემარეს აცოცხლებდა. მერე თავადის იერ საზღვარგარეთ შეძენილი სურათების გალერის დათვალიერებას შეუდგნენ. თავადი მარია კირილოვნას უხსნიდა მათ სახვადასხვა ღირსებას, შინაარს, უყვებოდა მხატვრების ამბებს, უჩვენებდა ნაკლოვანებებს, სურათებზე ლაპარაკობდა არა პედანტური მცოდნის გაცვეთილი ფრაზებით, არამედ გრძნობითა და გატაცებით. მარია კირილოვნა სიამოვნებით უსმენდა. სუფრას მოუსხდნენ. ტროეკუროვმა ჯეროვნად შეაფასა თავისი ამფიტრიონის ღვინოებისა და მისი მზარეულის ხელოვნება, მარია კირილოვნა არავითარ დაბნეულობას ან იძულებას არ გრძნობდა იმ ადამიანთან საუბრის დროს, რომელსაც თავის სიცოცხლეში მხოლოდ მეორეჯერ ხედავდა. ნასადილევს მასპინძელმა სტუმრებს ბაღში გასეირნება შესთავაზა. კუნძულებით მოფენილი ფართო ტბის ნაპირას ფანჩატურში ყავა მიირთვეს, ჩასაბერ ინსტუმენტთა მუსიკა გაისმა და ექვსნიჩბიანი ნავი ფანჩატურს მოადგა. ნავით ტბაზე გაისეირნეს, კუნძულების

მახლობლად; ზოგიერთი კუნძული დაათვალიერეს; ერთზე ნახეს მარმარილოს ქანდაკება, მეორეზე - განმარტოებული გამოქვაბული, მესამეზე - ძეგლი საიდუმლო წარწერით; ყველაფერიმა ამან მარია კირილოვნას აღუძრა ქალწულებრივი ცნობისმოყვარეობა, რაც დაუკმაყოფილებელი რჩებოდა; თავადი თავაზიან შენიშვნებს დასრულებულად არ გამოთქვამდა. დრო შეუმჩნევლად გავიდა, ბინდდებოდა. თავადმა სიგრილე და ნამი მოიმიზეზა და შინ დასაბრუნებლად აჩქარდა - მათ სამოვარი მოელოდათ. თავადმა სთხოვა მარია კირილოვნას ხნიერი უცოლო კაცის სახლში ედიასახლისა. მაშა ჩაის ასხამდა და თავაზიანი ყბედის დაულეველ ამბებს უსმენდა. უცბად სროლა გაისმა და მაშხალამ ცა გაანათა. თავადმა მარია კირილოვნას შალი მიაწოდა და იგი ტროეკუროვთნა ერთად აივანზე გაიყანა. სახლის წინ სიბნელეში მრავალფერი ცეცხლები აინთნენ, დატრიალდნენ, თავთავებით, პალმებივით გაიშალნენ, შადრევნებად მაღლა ავარდნენ და წვიმად, ვარსკლავებად ჩამოიფრქვნენ; ისინი ჰქრებოდნენ და ისევ ინთებოდნენ. მარია კირილოვნა ბავშვივით მხიარულობდა. თავადი ვერეისკიც ქალის აღტაცებით ხარობდა, ტროეკუროვი კი თავადით არაჩვეულებრივად კმაყოფილი იყო, რათან თავადის tous les frais იღებდა როგორც პატივისცემის ნიშანს და სურვილს მისთვის ესიამოვნებინა.
ვახშამი თავისი ღირსებით სადილს არაფრით ჩამოუვარდებოდა. სტუმრები მათთვის მიჩნეულ ოთახებსი წავიდნენ და მეორე დღეს დილაადრიან თავაზიან მასპინძელს დაშორდნენ იმ პირობით, რომ ერთმანეთს მალე ისევ შეხვდებოდნენ.

თავი მეთოთხმეტე

მარია კირილოვნა თავის ოთახში იჯდა და ქარგაზე ქარგავდა ღია ფანჯრი წინ. იგი არ იბნეოდა აბრეშუმის შერჩევაში კონრადის საყვარლის მსგავსად, რომელმაც, ტრფობით გონებადაფანტულმა, ვარდი მწვანე აბრეშუმით ამოქარგა. მისი ნემსი სარჩულზე შეუცდომლად იმეოროებდა დედნის სახეს, მიუხედავად იმისა, რომ ხელსაქმეზე არ ფიქრობდა; მისი აზრები შორს ჰქრებოდნენ.
უეცრად ფანჯარაში ვიღაცამ წყნარად ხელი შემოჰყო, ქარგაზე წერილი დასდო და მიიმალა, სანამ მარია კირილონა რაიმეს მოისაზრებდა. სწორედ ამ დროს მასთან მსახური შემოვიდა და უთხრა, კირილა პეტროვიჩი გიხმობთო. მაშამ თრთოლვით შეინახა წრილი ხილაბანდის ქვეშ და მამასთან გაეშურა; კაბინეტში კირილა პეტროვიჩი მარტო არ დახვედრია. მასთან იყო თავადი ვერეისკი. მარია კირილოვნას შესვლისთანავე თავადი წამოდგა და მდუმარედ მიესალმა თავისთვის უჩვეულო დაბნეულობით.

- მოდი აქ, მაშა, - თქვა კირილა პეტროვიჩმა, - ახალ ამბავს გეტყვი, რაც, ვფიქრობ, გაგახარებს. აი, შენი საქმრო, თავადი გთხოვს ცოლად გაჰყვე.
მაშა გაშეშდა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო. სდუმა. თავადი მაშასთან მივიდ, ხელი ხელზე მოჰკიდა და აღელვებული სახით ჰკითხა: თანახმა ხართ თუ არა, გამაბედნიეროთო. მაშა სდუმდა.
- თანახმაა, რასაკვირველია, თანახმაა, - თქვა კირილა პეტროვიჩმა. - მაგრამ იცით, თავადო, ქალიშვილისათვის ძნელია ამ სიტყვის წარმოთქმა. აბა, შვილებო, ერთმანეთს აკოცეთ და იყავით ბედნიერი.
მაშა უძრავად იდგა, მოხუცმა თავადმა მას ხელზე აკოცა; უეცრად მაშას ფერმკრთალ სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა. თავადი ოდნავ მოიღუშა.
- წადი, წადი, წადი, - თქვა კირილა პეტროვიჩმა, - ცრემლები მოიწმინდე და გამხიარულებული დაგვიბრუნდი. ისინი ყველანი ტირიან ნიშნობის დროს, - მიუბრუნდა და უთხრა ვერეისკის, - ეს უკვე ასეა წესად. ახლა, თავდო, საქმეზე მოვილაპარაკოთ - ესე იგი მზითევზე.
მარია კირილოვნამ მაშინვე ისარგებლა წასვლის ნებართვით. თავის ოთახში გაიქცა, ჩაიკეტა, წარმოიდგინა თავისი თავი მოხუცი თავადის ცოლად და ტირილით გული იჯერა; თავადი უცებ საზიზღრად და საძულველად მოეჩვენა. . . ქორწინება აშინებდა, როგორც საჯალათო კუნძი, როგორ საფლავი.
" არა, არა, - იმეორებდა მაშა სასოწარკვეთილებით, - სჯობს მოვკვდე, სჯობს მონასტერში წავიდე, სჯობს დუბროვსკის გავყვე". ამ დროს მოაგონდა წერილი და ხარბად დაიწყო მისი კითხვა; გრძნობდა, რომ ბარათი მისგან იყო. მართლაც, ბარათი დუბროვსკის მოეწერა - და მხოლოდ ამ სიტყვებს შეიცავდა:
"საღამოს ათზე, ძველ ადგილას".

თავი მეთხუთმეტე

მთვარე კაშკაშებდა; ივლისის წყნარი ღამე იყო; ხანდახან ნიავი მოიქროლებდა და ნელი შრიალი მთელ ბაღს მოედებოდა.
ახალგაზრდა მზეთუნახავი მსუბუქი ლანდივით უახლოვდებოდა პაემნის ადგილს ჯერ კიდევ არავინ ჩანდა; უეცრად ფანჩატურთან დუბროვსკი მის წინ გაჩნდა.
- მე ყველაფერი ვიცი, - უთხრა მაშას წყნარი და სევდიანი ხმით. - მოიგონეთ თქვენი

აღთქმა.
- თქვენ მფარველობას მთავაზობთ, - უპასუხა მაშამ, - მაგრამ არ გამიჯავრდეთ: იგი მაშინებს. დახმარებას როგორ აღმომიჩენთ?
- მე შევძლებდი თქვენს დახსნას საძაგელი ადამიანისაგან.
- ღვთის გულისათვის, ხელს ნუ ახლებთ, არ გაბედოთ ხელი შეახოთ, თუ მე გიყვარვართ, - მე არ მინდა რაიმე საშინელების მიზეზი გავხდე.
- ხელს არ ვახლებ, თქვენი სურვილი ჩემთვის წმიდათაწმინდაა. თავის სიცოცხლეს თქვენ გიმადლოდეს, არასოდეს თქვენი სახელით ბოროტმოქმედებას არ ჩავიდენ, თქვენ წმინდა უნდა დარჩეთ ჩემს დანაშაულშიც. მაგრამ როგორ დაგიხსნათ თქვენი სასტიკი მამისაგან?
- ჯერ იმედი არ დამიკარგავს. იმედი მაქვს ჩემი ცრემლებითა და სასოწარკვეთილებით გული მოვულბო. მამა ჯიუტია, მაგრამ მას ისე ვუყვარვარ. . .
- ტყუილი იმედი ნუ გექნებათ: ამ ცრემლებში იგი დაინახავს ჩვეულებრივ ზიზღსა და მშიშრობას, დამახასიათებელს ყველა ახალგაზრდა ქალიშვილისათვის, როცა ისინი თხოვდებიან არა სიყვარულით, არამედ კეთილგონიერი ანგარიშით; რა ვქნა, თუ იგი დაიჟინებს თქვენს გაბედნიერებას თქვენი სურვილის წინააღმდეგ; თუ ძალით წაგიყვანთ ჯვარის დასაწერად, რათა თქვენი ბედი სამარადისოდ დაუმორჩილოს მოხუცი ქმრის ბრძანებას.
- მაშინ, მაშინ რაღას ვიზამ, მომაკითხეთ, მე თქვენი ცოლი გავხდები.
დუბროვსკი აკანკალდა; ფერმკრთალ სახეზე ჭარხლისფერი დაედო და იმავე წუთში წინანდელზე უფრო გაფითრდა. დიდხანს სდუმდა იგი თავდახრილი. '
- მთელი სულიერი ძალები მოიკრიბეთ, მამას ემუდარეთ, ფეხქვეშ ჩაუვარდით, დაუხატეთ თქვენი მომავალის მთელი საშინელება, თქვენი ახალგაზრდობა, რომელიც დასჭკნება უძლური და გარყვნილი მოხუცის მახლობლად; თავი გადასდეთ სასტიკი ახსნა-განმარტებებისათვის: უთხარით, რომ თუნ იგი ულმობელი დარჩება, მაშინ. . . მაშინ თქვენ საშინელ თავდაცვას მიმართავთ. . . უთხარით, რომ სიმდიდრე ერთ წუთსაც ვერ მოგანიჭებთ ბედნიერებას; ფუფუნეა მხოლოდ სიღარიბეს ანუგეშებს და ისიც ერთი წამით და იმიტომ, რომ სიღარიბე ამას დაჩვეული არ არის. მამას არ მოეშვათ, არ შეუშინდეთ არც მის წყრომას, არც მუქარას - სანამ გექნებათ ოდნავი იმედი, ღვთის გულისათვის, არ მოეშვათ. და თუ უკვე სხვა საშუალება აღარ იქნება. . .
და დუბროვსკიმ სახე ხელებით დაიფარა; მას თითქოს სული ეხუთებოდა. მაშა ტიროდა. . .
- ჩემი ბეჩავი, ბეჩავი ხვედრი, - თქვა დუბროვსკიმ და მწარედ ამოიოხრა. - თქენთვის სიცოცხლეს გავწირავდი. შორიდან თქვენი დანახვა, თქვენი ხელის შეხება ჩემთვის ნეტარება იყო. და მაშინ, როდესაც შესაძლებლობა მაქვს უძვირფასესი არსება აღელვებულ გულზე მივიკრა და ვუთხრა: "ანგელოზო, მოვკვდეთ!" მე საბრალო უნდა განვერიდო ამ ნეტარეას, მთელი ძალ-ღონით უნდა მოვიშორო იგი. ვერ ვბედავ თქვენ ფერხთ დავეცე, ცას მადლობა შევწირო ამ გაუგებარი, დაუმსახურებელი ჯილდოსათვის. ოჰ, როგორ უნდა

მძაგდეს ის კაცი. . . მაგრამ ვგრძნობ, ახლა ჩემს გულში სიძულვილს ადგილი არა აქვს.
მან მსუბუქად მოხვია ხელი ქალის მოხდენილ ტანს და გულზე ნელა მიიკრა. მაშამ მიმნდობლად დახარა თავი ახალგაზრდა ყაჩაღის მხარზე. ორივე სდუმდა.
დრო მიჰქროდა.
- წასვლის დროა, - თქვა ბოლოს მაშამ. - დუბროვსკი თითქოს ძილისაგან გამოფხიზლდა. ხელზე ხელი მოჰკიდა და თითზე ბეჭედი გაუკეთა.
- თუ გადაწყვეტთ მე მომმართოთ, - თქვა დუბროვსკიმ, - მაშინ ბეჭედი აქ მოიტანეთ, ამ მუხის ფუღუროში ჩასდეთ, მე მეცოდინება, რა გავაკეთო.
დუბროვსკიმ მაშას ხელზე აკოცა და ხეებში მიიმალა.

თავი მეთექვსმეტე

მეზობლებისათვის უკვე საიდუმლოება არ იყო, რომ თავადმა ვერეისკიმ მაშას ცოლად წაყოლა სთხოვა; კირილა პეტროვიჩი მილოცვებს იღებდა, ქორწილისათვის ემზადებოდა. მაშა დღე-დღეზე სდებდა გადამწყვეტ პასუხს. მას მოხუც საქმროსთან ცივი და დაძალებული ურთიერთობა ჰქონდა. თავდი ამის გამო თავს არ იწუხებდა; სიყვარულისათვის არ ზრუნავდა, კმაყოფილი იყო მისი უსიტყვო თანხმობით.
მაგრამ დრო მიდიოდა. მაშამ ბოლოს გადაწყვიტა ემოქმედა და თავად ვერეისკის წერილი გაუგზავნა. მაშა ცდილობდა თავადის გულში დიდსულოვნების გრძნობა აღეძრა; გულწრფელად გამოუტყდა, რომ მის მიმართ არავითარ სითბოს არ გრძნობდა; ემუდარებოდა მის შერთვაზე უარი ეთქვა და თვითონ ეკისრა მისი დაცვა მსობლის უფლებისაგან. მაშამ მალულად გადასცა წერილი თავად ვერეისკის; თავადმა წერილი წაიკითხა. თავის საცოლის გულახდილობას მისთის გული სრულიად არ აუჩვილებია. პირიქით, მან საჭიროდ დაინახა ქორწილი დაეჩქარებინა და ამისთვის საჭიროდ სცნო ქალის წერილი მომავალი სიმამრისათვის ეჩვენებინა.
კირილა პეტროვიჩი გაცოფდა; თავადმა ძლივს დაარწმუნა ტროეკუროვი მაშასთვის არ ეგრძნობინებინა, რომ მისი წერილი წაკითხული ჰქონდა. კირილა პეტროვიჩი დასთანხმდა მაშასთვის არაფერი ეთქვა, მაგრამ გადამწყვეტა, დრო არ დაეკარგა და ქორწილი მეორე დღისათვის დანიშნა. თავადმა ეს მეტად კეთილგონიერად სცნო, თავის საცოლესთან მივიდა და უთხრა, თქვანმა წერილმა ძალიან დამაღონა, მაგრამ იმედი მაქვს თქვენი

სიყვარული დავიმსახურო; თქვენი დაკარგვა ჩემთვის მეტად სამძიმოა და მე არ შემიძლია ჩემს სასიკვდილო განაჩენს დავეთანხმო. ამის შემდეგ მაშას მოწიწებით ხელზე აკოცა და გაემგზავრა, არაფერი უთქვამს კირილა პეტროვიჩის გადაწყვეტილებაზე. მაგრამ თავადმა ძლივს მოასწრო ეზოდან გასვლა, რომ მამა ქალიშვილთან შევიდა და პირდაპირ გამოუცხადა, ხვალისათვის მზად იყავიო. მარია კირილოვნა, უკვე აღელვებული თავად ვერეისკის განმარტებით, ცრემლად დაიღვარა და მამას ფერხით ჩაუვარდა.
- მამილო, - დაიძახა მან საცოდავი ხმით, - მამილო, ნუ მღუპავთ, მე თავადი არ მიყვარს, მისი ცოლობა არ მინდა.
- ეს რას ნიშნავს, - მრისხანედ თქვა კირილა პეტროვიჩმა, - ამდენ ხანს შენ სდუმდი და თანახმა იყავი, ახლა კი, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილია, შენ აგიხირებია და უარს ამბობ? სისულელეს ნუ სჩადიხარ, ამით ვერაფერს მოიგებ.
- ნუ მღუპავ, - იმეორებდა საწყალი მაშა, - რატომ მაძევებთ და მათხოვებთ კაცზე, რომელიც არ მიყვარს? განა თავი მოგაბეზრეთ? მინდა თქვენთან დავრჩე წინანდებურად. მამილო, თქევნ უჩემოდ მოიწყენთ; და კიდევ უფრო დაღონდებით, როცა იფიქრებთ, რომ მე უბედური ვარ; მამილო, ნუ მაიძულებთ, მე გათხოვება არ მინდა. . .
კირილა პეტროვიჩს გული აუჩვილდა, მაგრამ თავისი შეკრთომა დაჰფარა, მოიშორა მაშა და მკაცრად უთხრა:
- ყველაფერი ეს სისულელეა, გესმის თუ არა. მე შენზე უკეთესად ვიცი, შენი ბედნიერებისათვის რა არის საჭირო. ცრელმები ვერ გიშველის, ზეგ შენი ქორწილია.
- ზეგ! - წამოიძახა მაშამ, - ღმერთო ჩემო! არა, არა, შეუძლებელია, ეს არ მოხდება, მამილო, მომისმინე. თქვენ თუ გადაწყვიტეთ ჩემი დაღუპვა, მე ვიპოვი დამცველს, რომელზედაც თქვენ არც კი ფიქრობთ, თქვენ ნახავთ, შეძრწუნდებით, სანამდე მიმიყვანეთ.
- რაო, რაო? - თქვა ტროეკუროვმა, - მუქარა! მემუქრები, თავხედო გოგო! იცი თუ არა, მე ისეთ რამეს გიზამ, რაც შენ არც კი წარმოგიდგენია. შენ მიბედავ დაშინებას დამცველით, ვნახოთ, ვინ იქნება შენი დამცველი.
- ვლადიმერ დუბროვსკი, - უპასუხა მაშამ სასოწარკვეთილებით.
კირილა პეტროვიჩმა იფიქრა, ქალიშვილი ჭკუიდან შეიშალაო, და მას გაოცებით უცქერდა.
- კარგი, - უთხრა მაშას მცირე დუმილის შემდეგ, - ვინც მხსნელად გინდოდეს, უცადე, ჯერჯერობით კი ამ ოთახში იჯექი, აქედან ფეხს ვერ მოიცვლი ქორწილამდე. - კირილა პეტროვიჩმა ესა თქვა, გავიდა და კარი ჩაუკეტა.
საწყალი ქალიშვილი დიდხანს ტიროდა; მას წარმოდგენილი ჰქონდა ყველაფერი, რაც მოელოდა, მაგრამ ცხარე განმარტებამ გული შეუმსუბუქა: ამიტომ მშვიდად შეეძლო ემსჯელა თავის ხვედრსა და იმაზე, თუ რა უნდა გაეკეთებინა. მისთვის მთავარი იყო საზიზღარი ქორწინებისაგან თავი დაეღწია; ყაჩაღთან შეუღლება მას სამოთხედ ეჩვენებოდა იმასთან შედარებით, რაც მას მოელოდა. დუბროვსკის მიერ დატოვებულ

ბეჭედს შეხედა. მაშს ძლიერ უნდოდა ვლადიმირი მარტო ენახა და ერთხელ კიდევ გადამწყვეტი წუთის წინ მასთან დიდხანს ეთათბირა. წინათგრძნობა ეუბნებოდა, რომ ამ საღამოს დუბროვსკის ნახავდა, ბაღში ფანჩატურის მახლობლად. მაშამ გადაწყვიტა წასულიყო და იქ დაეცადა მისთვის, როგორც კი შებინდდებოდა. შებინდდა. მაშა მოემზადა, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა. მოახლე ქალი კარს უკან უპასუხებდა, რომ კირილა პეტროვიჩს მისი გამოშვება არ უბრძანებია. მაშა დაპატიმრებული იყო. ღრმად შეურაცხყოფილი, იგი ფანჯარასთან იჯდა შუაღამემდე ტანთგაუხდელი და უძრავად ბნელ ცას შესცქეროდა. გარიჟრაჟზე ჩასთვლიმა, მაგრამ ფრთხილი ძილი სევდიანმა სიზმარმა დაუფრთხო და ამომავალი მზის სხივებმა იგი გამოაღვიძა.

თავი მეჩვიდმეტე

როდესაც მაშამ გიღვიძა, პირველ აზრთან ერთად მას თვალწინ დაუდგა თავისი მდგომარეობის მთელი საშინელება. დარეკა. მაოხლე შემოვიდა და მის კითხვაზე უპასუხა: კირილა პეტროვიჩი საღამოს არბატოვოში გაემგზავრა და შინ გვიან დაბრუნდაო; სასტიკი განკარგულება გასცა, მაშა ოთახიდან არ გამოუშვათ და თვალყური ადევნეთ, რათა არავინ დაელაპარაკოსო; არ ჩანს არავიტარი განსაკუთრებული სამზადისი ქორწილისათვის, იმის გარდა, რომ მღვდელს უბრძანეს არავითარი საბაბით სოფლიდან არ გახვიდეო. ამ ცნობების მიწოდების შემდეგ მოახლემ მარია კირილოვნა დატოვა და კარები ისევ ჩაუკეტა.
ახალგაზრდა განდეგილი მოახლის სიტყვებმა გააბოროტა. თავი უხურდა, სისხლი უდუღდა; მან გადაწყვიტა ყველაფერი დუბროვსკისათვის ეცნობებინა და დაიწყო საშუალების გამონახვა ბეჭდის გასაგზავნად ფარულ მუხის ფუღუროში. ა ამ დროს მის ფანჯარას კენჭი მოხვდა, მინა აზრიალდა: მარია კირილოვნამ ეზოში გადაიხედა და დაინახა პატარა საშა, რომელიც იდუმალ ნიშნებს იძლეოდა. მაშამ იცოდა მისი ერთგულება და გაუხარდა; ფანჯარა გააღო.
- გამარჯობა, საშა, - უთხრა მან, - რატომ მეძახი?
- მე მოვედი, დაიკო, გასაგებად, რაიმე ხომ არ გჭირდებათ. მამიკო გაჯავრებულია და მთელ სახლს აუკრძალა თქვენ რაიმე გაგიგონონ, მაგრამ მე მიბრძანეთ, რაც გნებავთ, და თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებ.
- გმადლობ, ჩემო საშენკა, გამიგონე: შენ იცი ფუღუროიანი ბებერი მუხა, ფანჩატურთან

რომ არის?
- ვიცი, დაიკო.
- მაშ, თუ გიყვარვარ, გაიქეცი იქ სასწრაფოდ და, აი, ეს ბეჭედი ფუღუროში ჩადევი, მაგრამ ფრთხილად იყავი, არავინ დაგინახოს.
ესა თქვა, ბეჭედი გადაუგდო ფანჯარა დაჰკეტა.
საშამ ბეჭედი აიღო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოჰკურცხლა; სამ წუთსი ხესთან გაჩნდა. აქ საშა შეჩერდა სულშეხუთული, აქეთ-იქით მიმოიხედა და ბეჭედი ფუღუროში ჩასდო. საქმე რომ მშვიდობიანად დაასრულა და უნდოდა ეს მარია კირილოვნასთვის ეცნობებინა, უეცრად მწითური და ელამი, ჩამოგლეჯილი ბიჭი ფანჩატურის უკნიდან გამოხტა, მუხას მივარდა და ფუღუროში ხელი ჩაჰყო. საშა ციყვზე უსწრაფესად ბიჭთან მიიჭრა და მას ორიე ხელი ჩასჭიდა.
- შენ აქ რას აკეთებ? - ჰკითხა მრისხანედ.
- რა შენი საქმეა? - უთხრა ბიჭმა, რომელიც ცდილობდა მისგან თავი გაეთავისუფლებინა.
- ხელი გაუშვი ამ ბეჭედს, წითელო კურდღელო! - ყვიროდა საშა, - თუ არა მე ჩემებურად ჭკუას გასწავლი.
პასუხის მაგიერ ბიჭმა მუშტი სახეში ჩაარტყა, მაგრამ საშამ ხელი არ გაუშვა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:
- ქურდები, ქურდები! აქეთ, აქეთ!
ბიჭი ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა, იგი, ალბათ, საშაზე ორი წლით უფროსი იქნებოდა და ბევრად უფრო ღონიერი იყო, მაგრამ საშა უფრო მარდი აღმოჩნდა. ისინი რამდენიმე წუთს იბრძოდნენ. ბოლოს მწითური ბიჭი მოერია. საშა მიწაზე წააქცია და ხელი ყელში სტაცა.
მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ძლიერი ხელი ჩაავლო მას მწითურ ჯაგრისებურ თმაში და მებაღე სტეფანემ იგი მიწიდან ნახევარი ადლის სიმაღლეზე ასწია.
- ეჰ, შენ, მწითურო მხეცო, - უთხრა მებაღემ, - აბა, როგორ ბედავ პატარა ბატონის ცემას. . .
საშამ ადგომა და დამშვიდება მოასწრო.
- შენ ცუღლუტობით წამაქციე, - თქვა მან, - თორემ ვერასოდეს ვერ წამაქცევდი. მომეცი ახლავე ბეჭედი და დაიკარგე.
- ვერ მოგართვით, - უპასუხა მწითურმა ბიჭმა, უეცრად ადგილზე გადატრიალდი და სტეფანეს ხელიდან თავისი ჯაგარი გაითავისუფლა.
ის-ის იყო გაქცევა დააპირა, მაგრამ საშა დაეწია, ზურგში ხელი ჰკრა და ბიჭი ფეხმოწყვეტილი წაიქცა. მებაღემ იგი ისევ დაიჭრა და ქამრით შეჰკრა.
- მომეცი ბეჭედი! - უყვიროდა საშა.
- ამდროვე, ბატონო, - თქვა სტეფანემ, - ჩვენ იგი გასასამართლებლად მოურავთან წავიყვანოთ.
მებაღემ თავისი ტყვე ბატონის ეზოში წაიყვანა, საშა კი მას გაჰყვა, თან თავის დაგლეჯილ

და ბალახით დასვრილ შარვალს დასცქეროდა. მოულოდნელად სამივენი აღმოჩნდნენ კირილა პეტროვიჩის წინ, რომელიც თავისი თავლის დასათვალიერებლად მიდიოდა.
- ეს რა ამბავია? - ჰკითხა მან სტეფანეს. სტეფანემ მოკლედ უამბო, რაც მოხდა. კირილა პეტროვიჩმა ყურადღებით მოუსმინა.
- შენ, მოუსვენარო, - ჰკითხა საშას, - ამას აჰყოლილხარ?
- მან ფუღუროდან ბეჭედი მოიპარა, მამიკო, - უბრძანეთ ბეჭედი მომცეს.
- რა ბეჭედი, რომელი ფუღუროდან?
- ჰო, მე მარია კირილოვნამ. . .ჰო, ის ბეჭედი. . .
საშა აირია, დაიბნა. კირილა პეტროვიჩმა წარბები შეიკრა და თქვა თავის ქნევით:
- აქ მარია კირილოვნა ურევია: ყველაფერში გამოტყდი, ან ისე გაგწკეპლავ, რომ თავი ვეღარ იცნო.
- ღმერთმანი, მამიკო, მე, მამიკო. . . ჩემთვის მარია კირილოვნას არაფერი უბრძანებია, მამიკო!
- სტეფან, აბა, წადი და მომიჭერი კარგი არაყსი ხის ქორფა წკეპლა.
- მოიცადე, მამიკო, - ყველაფერს გიამბობთ. მე დღეს ეზოში დავრბოდი; დაიკო მარია კირილოვნამ ფანჯარა გააღო და მე მისკენ გავიქეცი. დაიკოს უცაბედად ბეჭედი ხელიდან გაუვარდა, მე კი ფუღუროში შევინახე, და. . . და . . . ამ მწითურ ბიჭს ბეჭედის მოპარვა უნდოდა.
- უცაბედად გაუვარდა, შენ კი გინდოდ შენახვა. . . სტეფანე, წადი წკეპლისათვის.
- მამიკო, მაცალე, ყველაფერს გიამბობ. დაიკო მრია კირილოვნამ მიბრძანა მუხასთან მიმერბინა და ბეჭედი ფუღუროში ჩამედო; მივირბინე და ბეჭედი ჩავდევი, ამ საძაგელმა ბიჭმა კი. . .
კირილა პეტროვიჩი საძაგელ ბიჭს მიუბრუნდა და ჰკითხა:
- შენ ვისი ხარ?
- ბატონ დუბროვსკისა. მე ვლადიმირ ანდრეევიჩ დუბროვსკის შინაყმა ვარ, - უპასუხა წითურმა ბიჭმა.
კირილა პეტროვიჩს სახე მოეღუშა.
- შენ, როგორც ჰგავს, მე ბატონად არ მთვლი, კეთილი, - თქვა მან. - ჩემს ბაღში რას აკეთებდი?
- ჟოლოს ვიპარავდი, - უპასუხა ბიჭმა დიდი გულგრილობით.
- აჰა, - ყმა ბატონს ჰგავს, როგორიც ბერი, ისეთი ერიო. ჟოლო ჩემსას განა მუხაზე იზრდება?
ბიჭმა არაფერი უპასუხა.
- მამიკო, უბრძანეთ ბეჭედი მომცეს, - თქვა საშამ.
- დაჩუმდი, ალექსანდრე, - უპასუხა კირილა პეტროვიჩმა, - არ დაგავიწყდეს, რომ ვაპირებ შენც გაგისწორდე. წადი შენს ოთახში. შენ, ელამო, მარჯვე ბიჭად მეჩვენები, ბეჭედი

მომეცი და შინ გასწი.
ბიჭმა ხელი გაშალა და დაანახვა, რომ ხელში არაფერი ჰქონდა.
- თუ ყველაფერს მეტყვი, მაშინ არ გაგწკეპლავ. კაკლის საყიდლად შაურიანსაც მოგცემ, თუ არადა ისეთ დღეს დაგაყრი, არც კი დაგსიზმრებოდეს, აბა!
ბიჭი არაფერს უპასუხებდა და თავდახრილი იდგა, ნამდვილი სულელის გამომეტყველება მიიღო.
- კარგი, - თქვა კირილა პეტროვიჩმა, - ჩაჰკეტეთ სადმე და ყური უგდეთ, რომ არსად გაიქცეს, თორემ მთელ სახლს ტყავს გავაძრობ.
სტეფანემ ბიჭი სამტრედეში შეიყვანა, შიგ ჩაჰკეტა და მცველად მოხუცი მეფრინველე აღათია მიუყვანა.
- ახლა გაემგზავრე ქალაქს მაზრის პოლიციის უფროსთან, თქვა კირილა პეტროვიჩმა, თან ბიჭს თვალი გააყოლა, - და რაც შეიძლება მალე.
- აქ არაფერი საეჭვო არ არის, მაშა განაგრძობს ურთიერთობას წყეულ დუბროვსკისთან, მაგრამ ნუთუ ნამდვილად მას უძახოდა საშველად? - ფიქრობდა კირილა პეტროვიჩი, ოთახში ბოლთას სცემდა და გულმოსულად 'გამარჯვების გრიალს" უსტენდა. - შეიძლება მე ახალ ნაკვალევს მივაგენი და იგი ხელიდან ვეღარ გაგვისხლტდება. ამ შემთხვევას გამოვიყენებთ. სუ! ზანზალაკი, მადლობა ღმერთს, ეს მაზრის პოლიციის უფროსია. - ჰეი, აქ მომიყვანეთ დაჭერილი ბიჭი.
ამასობაში ფორანი ეზოში შემოვიდა და მაზრის პოლიციის უფროსი, ჩვენი ნაცნობი, ოთახში შევიდა ერთიანად გამტვერიანებული.
- კარგი ამბავია, - უთხრა მას კირილა პეტროვიჩმა. - მე დუბროვსკი დავიჭირე.
- მადლობა ღმერთს, თქვენო აღმატებულებავ, - თქვა მაზრის პოლიციის უფროსმა გახარებული სახით. - სადაა?
- ესე იგი არა დუბროვსკი, არმედ მისი ბრბოდან. ახლავე მოიყვანენ. იგი დაგვეხმარება თვით ატამანის დაჭერაში. აი, კიდეც მოიყვანეს.
მაზრის პოლიციის უფროსი, რომელიც მრისხანე ყაჩაღს მოელოდა, გაოცებული დარჩა, როცა 13 წლის, საკმაოდ სუსტი გარეგნობის ბიჭი დაინახა. უფროსი გაკვირვებული მიუბრუნდა კირილა პეტროვიჩს და განმარტებას ელოდა. კირილა პეტროვიჩმა დაიწყო მოყოლა დილანდელი ამბისა. ხოლო მარია კირილოვნა არ უხსენებია.
მაზრის პოლიციის უფროსმა მას ყურადღებით მოუსმინა, თან წამდაუწუმ უცქერდა ამ პატარა არამზადას, რომელმაც თავი მოისულელა და ყურადღებას არ აქცევდა არაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა.
- ნება მომეცით, თქვენო აღმატებულებავ, განმარტოებით მოგელაპარაკოთ, - უთხრა ბოლოს მაზრის პოლიციის უფროსმა.
კირილა პეტროვიჩმა იგი მეორე ოთახში გაიყვანა და კარი ჩაიკეტა.
ნახევარი საათის შემდეგ ისინი ისევ დარბაზში გამოვიდნენ, სადაც დატყვევებული

თავისი ბედის გადაწყვეტას მოელოდა.
- ბატონს უნდოდა, - უთხრა მას მაზრის პოლიციის უფროსმა, - შენი ჩასმა ქალაქის საპატიმროში, გამათრახება და მერე გადასახლება, მაგრამ მე გამოგესარჩლე და შენთვის პატიება გამოვთხოვე.
- ხელ-ფეხი გაუხსენით.
ბიჭს ხელ-ფეხი გაუხსნეს.
- ბატონს მადლობა მოახსენე, - თქვა მაზრის პოლიციის უფროსმა.
ბიჭი კირილა პეტროვიჩთან მივიდა და ხელზე აკოცა.
- შინ წადი, - უთხრა მას კირილა პეტროვიჩმა, - ამას იქით ფუღურეებიდან ჟოლო, აღარ მოიპარო.
ბიჭი გავიდა, პარმაღიდან მხიარულად გადახტა, უკან არ მოუხედავს, მოჰკურცხლა მინდვრად კისტენევკისკენ. სოფელთან რომ მიირბინა, შეჩერდა განაპირას მდგომ ნახევრად დანგრეულ ქოხთან და ფანჯარა დააკაკუნა, ფანჯარა აწია და დედაბერი გამოჩნდა.
- ბებია, პური, - თქვა ბიჭმა, - დილიდან არაფერი მიჭამია, შიმშილისაგან ვკვდები.
- აჰ, ეს შენა ხარ, მიტია, სად დაიკარგე, ჭინკა-ბიჭო? - უპასუხა დედაბერმა.
- მერე გიამბობ, ბებია, ღვთის გულისათვის, პური!
- ქოხში შემოდი.
- არა მცალია, ბებია, - მე კიდევ ერთ ადგილას უნდა მივირბინო. პური, თუ ღმერთი გწამს, პური.
- რა მოუსვენარი ხარ, - ჩაიბურდღუნა დედაბერმა, - აი შენ პური, - და ფანჯრიდან შავი პურის ნაჭერი მიაწოდა.
ბიჭმა პური ხარბად მოკბიჩა და ღეჭვა-ღეჭვით იმწამსვე წავიდა.
ღამდებოდა. კისტენევკის ჭალისაკენ გასწია, კარაპანებს, ბოსტნებს ჩაუარა. ჭალის მოწინავე დარაჯებად მდგომ ორ ფიჭვტან რომ მივიდა, შეჩერდა, ყოველ მხარეს მიმოიხედა, დაუსტვინა გამგმირავად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად; დააყურა; პასუხად მსუბუქი და ხანგრძლივი სტვენა მოესმა, ვიღაც ჭალიდან გამოვიდა და ბიჭს მიუახლოვდა.

თავი მეთვრამეტე

კირილა პეტროვიჩი დარბაზში ბოლთას სცემდა და ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა უსტვენდა თავის სიმღერას. მთელი სახლი აფორიქებული იყო. მოსამსახურეები დარბოდნენ. მოახლე ქალები ფუსფუსებდნენ, ფარდულში მეეტლეები კარეტაში ცხნებს აბამდნენ. ეზოში ხალხი ირეოდა. ქალიშვილის საპირფარეშოში სარკის წინ, მოახლე ქალებით გარშემოხვეული მანდილოსანი რთავდა ფერმკრთალ, უძრავ მარია კირილოვნას. ბრილიანტების სიმძიმის ქვეშ ქალს მოთენთილი თავი ძირს ეხრებოდა; მაშა ოდნავ კრთებოდა, როცა გაუფრთხილებელი ხელი უჩვლეტდა, მაგრამ სდუმდა, სარკეში უაზროდ იცქირებოდა.
- მალე მორჩებით? - გაისმა კარებტან კირილა პეტროვიჩის ხმა.
- ამ წუთში, - უპასუხა მანდილოსანმა, - მარია კირილოვნა, აბრძანდით, სარკეში ჩაიხედეთ, კარგად არის?
მარია კირილოვნა წამოდგა და არაფერი უპასუხა. კარები გაიღო.
- პატარძალი მზად არის, - თქვა მანდილოსანმა, - ბრძანეთ კარეტაში ჩასხდნენ.
- გზა მშვიდობისა, - თქვა კირილა პეტროვიჩმა და მაგიდიდან ხატი აიღო. - მოდი ჩემთან, მაშა, - უთხრა მან გულაჩვილებული ხმით, - გლოცავ. . .
საწყალი ქალი მამას ფერხთ ჩაუვარდა და აქვითინდა.
- მამიკო. . . მამიკო. . . - ამბობდა იგი აცრემლებული და ხმა უწყდებოდა.
კირილა პეტროვიჩი მის დალოცვას ჩქარობდა; მაშა ააყენეს და თითქმის ხელით გაიყვანეს კარეტისაკენ. მასთან ჯვრის დედა და ერთი მოახლე ქალი დასხდნენ. ისინი საყდრისაკენ გაემგზავრნენ. იქ საქმრო უკვე ელოდა. ვერეისკი პატარძლის შესახვედრად გამოვიდა და მისი სახის ფერმკრთალობამ და უცნაურმა გამომეტყველებამ გააოცა. ისინი ერთად შევიდნენ ცივსა და ცარიელ საყდარში. მათი შესვლის შემდეგ კარები ჩაკეტეს. მღვდელი საკურთხეველთან გამოვიდა და მაშინვე დაიწყო ჯვრისწერა. მარია კირილოვნა ვერაფერს ხედავდა, არაფერი ესმოდა; ერთ რამეზე ფიქრობდა: დილიდანვე დუბროვსკის ელოდა, იმედი ერთი წუთითაც არ დაუკარგავს, მხოლოდ, როდესაც მღვდელმა ჩვეულებრივი კითხვებით მიმართა, მას ჟრუანტელმა დაუარა და გულს შემოეყარა, მაგრამ ჯერ კიდევ აყოვნედა, კიდევ ელოდა, მღვდელმა მის პასუხს არ დაუცადა და წარმოთქვა სიტყვები, რომლებმაც მაშას ბედი გადაწყვიტა. ჯვრისწერა დასრულდა. მაშამ იგრძნო არასაყვარელი ქმრის ცივი კოცნა, მას ესმოდა დამსწრეთა მხიარული მილოცვები და ჯერ კიდევ არ შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ მისი ცხოვრება საუკუნოდ შეიბოჭა, რომ დუბროვსკი მის გასათავისუფლებლად აღარ მოფრინდა. მაშას თავადმა ტკბილი სიტყვიებით მიმართა, მისი ნათქვამი მარია კირილოვნამ ვერ გაიგო; საყდრინდა გამოვიდნენ, კარიბჭესთან პოკროვსკოელი გლეხები შეჯგუფებულიყვნენ, მაშამ მათ თვალი უცბად მიმოავლო და მერე ისევ წინანდებურად უგრძნობი გახდა. ახალჯვარდაწერილნი კარეტაში ჩასხდნენ და არბატოვოში გაემგზავრნენ. კირილა პეტროვიჩი წინასწარ გაემგზავრა, რათა ნეფე-

დედოფალს იქ დახვედროდა. ახალგაზრდა ცოლთან მარტოდმარტო დარჩენილი თავადი სრულიად არ შემკრთალა მაშას ცივი გამომეტყველებით. ის ქალს თავს არ აბეზრებდა მეტისმეტად ტკბილი განმარტებებით და სასაცილო აღტაცდებებით; თავადის სიტყვები იყო უბრალო და ის პასუხს არ ითხოვდა. ამგვარად დაახლოებით ათი ვერსი გაიარეს;პ ცხნები სწრაფად მიჰქროდნენ სასოფლო გზით კოლბოხებზე და ინგლისურრესორებიანი კარეტა თითქმის არ ქანაობდა. უეცრად მოსიმა მდევრების შემახილები. კარეტა გაჩერდა - მას შეიარაღებული ბრბო შემოეხვია, ნახევარნიღბიანმა კაცმა იმ მხირდან, სადაც ახალგაზრდა კნეინა იჯდა, კარი გააღო და უთხრა მას:
- თავისუფალი ხართ, გადმობრძანდით.
- ეს რას ნიშნავს! - დაიყვირა თავადმა, - შენ ვინა ხარ?
- ეს დუბროვსკია, - უთხრა კნეინამ.
თავადი არ დაიბნა, გვერდის ჯიბიდან საგზაო დამბაჩა ამოიღო და ნიღბიან ყაჩაღს ესროლა. კნეინამ შეჰკივლა და შეძრწუნებულმა ორივე ხელით სახე დაიფარა. დუბროვსკი მხარში დაიჭრა; სისხლმა გამოჟონა. თავადს წუთი არ დაუკარგავს, მეორე დამბაჩა ამოიღო, მაგრმ მას სროლა აღარ დააცალეს? კარები გაიღო და რამდენიმე ძლიერმა ხელმა იგი კარეტინდა გამოათრია; ხელიდან დამბაჩა გამოჰგლიჯა, მის თავზე დანებმა გაიელვა.
- ხელი არ ახლოთ - დაიძახა დუბროვსკიმ. მისმა სახეკუშტმა თანამზრახველებმა უკან დაიხიეს.
- თქვენ თავისუფალი ხართ, - კვლავ გაუმეორა დუბროვსკიმ ფერდაკარგულ საბრალო კნეინას.
- არა, - უპასუხა მაშამ, - გვიანაა, ჯვარდაწერილივ არ, მე თავად ვერეისკის ცოლი ვარ.
- რას ამბობ! - დაიყვირა სასოწარკვეთილმა დუბროვსკიმ, - არა, თქვენ მისი ცოლი არა ხართ, თქვენ ძალა დაგატანეს, თქვენ არ შეგეძლოთ დასთანხმებოდით. . .
- მე დავთანხმდი, ფიცი მივეცი, - უპასუხა მაშამ მტკიცედ, - თავადი ჩემი ქმარია, უბრძანეთ გაათავისუფლონ და მე მასთან დამტოვეთ. მე არ მომიტყუებიხართ. უკანსკნელ წუთამდე გელოდით, მაგრამ ახლა, გეუბნებით, გვიანაა, გაგვიშვით.
მაგრამ დუბროვსკი მაშას უკვე ვეღარ უსმენდა: ჭრილობის ტკივილმა და ძლიერმა სულიერმა მღელვარებამ ძალა წაართვეს. იგი კარეტის თვალთან დაეცა, ყაჩაღები გარს შემოეხვივნენ. დუბროვსკიმ მოასწრო მათთვის რამდენიმე სიტყვა ეთქვა: იგი ცხენზე შესვეს; ორ ყაჩაღს ეკავა, მესამემ ცხენის აღვირს ხელი მოჰკიდა და ყაჩაღებმა განზე გადაუხვიეს; დასტოვეს კარეტა შუაგზაზე, შეკრული შინაყმები, გამოშვებული ცხენები, მაგრამ არავინ არ გაუძარცვავთ და ერთი წვეთი სისხლი არ დაუღვრიათ თავიანთი ატამანის სისხლი შურისსაძიებლად.

თავი მეცხრამეტე

უღრანი ტყის შუა ადგილას, ვიწრო კორდზე აღემართათ პატრა მიწური სიმაგრე, რომელიც მიწაყრილისა და თხრილისაგან შესდგებოდა; სიმაგრის იქით რამდენიმე კარავი და მიწურული იყო.
ეზოში უამრავი ხალხი იჯდა ქუდმოხდილი და სადილობდა საერთო ქვაბის გარშემო. ისინი ჩაცმულობის ნაირნაირობითა და შეიარაღებით შეიძლებოდა მაშინვე ყაჩაღებად მიგეღოთ. მიწაყრილზე პატრა ზარბაზნის მახლობლად გუშაგი იჯდა, ფეხმოკეცილი; თავის ტანისამოსს ერთ ადგილას ნაჭერს აკერებდა. ნემსს ისეთი ოსტატობით ხმარობდა, რომ ეტყობოდა გამოცდილი მკერავი იყო, იგი წამდაუწუმ ყოველ მხარეს იცქირებოდა. თუმცა აზარფეშა რამდენჯერმე ხელიდან ხელში გადავიდა, ამ ბრბოში მაინც უცნაური სიჩუმე სუფევდა; ყაჩაღებმა ისადილეს, რიგრიგობით დგებოდნენ და ღმერთს მადლობას სწირავდნენ. ზოგიერთნი კარვებში წავიდ-წამოვიდნენ, სხვები ტყეში მიმოიფანტნენ, ან დასაძინებლად წამოწვნენ, რუსული ჩვეულებისამებრ.
გუშაგმა კერვა დაასრულა, თავის ძველმანი გაბერტყა და ერთხანს სიამოვნებით დააცქერდა საკერებელს, შემდეგ ნემსი სახელოზე დაიბნია, ზარბაზანს გადააჯდა და მთელი ხმით ძველი რუსული სევდიანი სიმღერა დაიწყო:

"დაწყნარდი, დედავ, მწვანე მუხნარო,
ნუ მიშლი ვაჟკაცს ფიქრი ვიფიქრო".

ამ დროს ერთ-ერთი კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა მოხუცი ქალი თეთრი თავსაბურავით; მას სუფთა და ლამაზინ ტანისამოსი ეცვა.
- გეყოფა, სტიოპკა, - თქვა მან გულმოსულად, - ბატონი ისვენებს, შენ კი ღრიალებ, თქვენ არც სინდისი, არც სიბრალული არა გაქვთ.
- დამნაშავე ვარ, ეგოროვნა, - უპასუხა სტიოპკამ, - კარგი, მეტს აღარ ვიზამ, დაე, ჩვენმა ბატონმა დაისვენოს და განიკურნოს.
მოხუცი ქალი წავიდა. სტიოპკამ კი მიწაყრილზე სიარული დაიწყო.
კარავში, საიდანაც მოხუცი ქალი გამოვიდა, ტიხარს იქით სამგზავრო საწოლზე დაჭრილი დუბროვსკი იწვა. მის წინ პატარა მაგიდაზე დამბაჩები ელაგა, ხმალი კი სასტუმალთან ეკიდა. მიწურის იატაკი და კედლები ძვირფასი ნოხებით იყო მოფენილი. კუთხეში იდგა ქალის ვერცხლის სატუალეტო მაგიდა და ტრიუმო. დუბროვსკის ხელში გაშლილი წიგნი ეჭირა, მაგრმ თვალდახუჭული იყო და ეგოროვნას, რომელიც ტიხარის მეორე მხრიდან

უცქერდა, ვერ გაეგო, დუბროვსკის ეძინა, თუ მხოლოდ ფიქრებს მისცემოდა. უეცრად დუბროვსკი შეიკრთა. . . სიმაგრეში განგაში ატყდა და სტიოპკამ მასთან ფანჯარაში თავი შემოჰყო.
- ბატონო ვლადიმირ ანდრეევიჩ! - დაიყვირა მან, - ჩვენები ნიშანს გვაძლევენ, ჩვენ დაგვეძებენ.
დუბროვსკი საწოლიდან წამოიჭრა, იარაღს ხელი სტაცა და კარვიდან გავიდა. ყაჩაღები ეზოში ხმაურობით შეჯგუფდნენ. დუბროვსკის გამოჩენისთანავე ღრმა სიჩუმე ჩამოვარდა.
- ყველა აქ არის? - იკითხა დუბროვსკიმ.
- ყველა, გარდა მზვერავებისა, - უპასუხეს.
- თავ-თავის ადგილას! - დაიძახა დუბროვსკიმ და თვითეულმა მათგანმა მისთვის მიჩენილი ადგილი დაიკავა.
ამ დროს სამმა მზვერავმა მოირბინა ალაყაფის კარებთან, დუბროვსკი მათ შესახვედრად წავიდა.
- რა ამბავია? - ჰკითხა მათ.
- ტყეში სალდათები არიან, - უპასუხეს, - ალყას გვარტყამენ.
დუბროვსკიმ ბრძანა ალაყაფის კარები დაეკეტათ, თვითონ პატარა ზარბაზნის შესამოწმებლად წავიდა. ტყიდან რამდენიმე ხმა მოისმა, ეს ხმები თანდათან ახლოვდებოდა; ყაჩაღები მდუმარედ იცდიდნენ; უცბად ტყიდან სამი თუ ოთხი სალდათი გამოჩნდა, მათ მაშინვე უკანვე დაიხიეს და სროლით ამხანაგებს ნიშანი მისცეს.
- საბრძოლველად მოემზადეთ, - თქვა დუბროვსკიმ. ყაჩაღები შეჩოჩქოლდნენ, მერე კი ყველაფერი ისევ მიწყნარდა.
მერმე მოესმათ მოახლოებული რაზმის ხმაურობა, ხეებს შორის იარაღი აკაშკაშდა, დაახლოებით ას ორმოცდაათი სალდათი ტყიდან გამოცვივდა და ყვირილით მიწაყრილისაკენ გაეშურა. დუბროვსკიმ პატრუქს ცეცხლი მოუკიდა; სროლა მარჯვე გამოდგა, ერტ სალდათს თავი წაჰგლიჯა,ორი დასჭრა. სალდათები აირ-დაირივნენ, მარამ ოფიცერი წინ გაიჭრა. სალდათები მას მიჰყვნენ და ორმოსაკენ გაიქცნენ, ყაჩაღებმა მათ თოფები და დამბაჩებმი ესროლეს და ნაჯახებით დაიწყეს დაცვა მიწაყრილისა, საითკენაც გაცოფებული სალდათები მიიწევდნენ. ორმოში მათ დაახლოებით ოცი დაჭრილი ამხანაგი დასტოვეს. ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, ჯარისკაცები უკვე მიწაყრილზე იყვნენ, ყაჩაღებმა დახევა დაიწყეს. მაგრამ დუბროვსკი ოფიცერთან მიიჭრა, მკერდზე დამბაჩა მიაბჯინა და ესროლა; ოფიცერი გულაღმა დავარდა, რამდენიმე ჯარისკაცმა ოფიცერს ხელი სტაცა, ჩქარობდნენ მის წაყვანას ტყეში. დანარჩენები, უფროსი რომ დაჰკარგეს, გაჩერდნენ. გამხნევებულმა ყაჩაღებმა ისარგებლეს ამ წუთიერი დაბნეულობით, შეარყიეს ისინი და ორმოსკენ დაახევინეს; ალყის შემომტყმელები გაიქცნენ, ყაჩაღები მათ ყიჟინით დაედევნენ. გამარჯვების ბედი გადაწყდა. დუბროვსკი დარწმნდა, რომ მტერი სრულიად დაშლილი იყო, ყაჩაღები შეაჩერა და სიმაგრეში ჩაიკეტა, ბრძანა დაჭრილებისათვის

მოევლოთ, გუშაგები გააორკეცა. განკარგულება გასცა არსად წასულიყვნენ. უკანასკნელი ამბების გამო მთავრობამ უკვე სერიოზული ყურადღება მიაქცია დუბროვსკის გაბედულ ყაჩაღობას. შეჰკრიბეს ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ და გაგზავნეს სალდათთა ასეული, რათა დუბროვსკი მკვდარი ან ცოცხალი ხელში ჩაეგდოთ. მისი ბრბოდან რამდნეიმე კაცი დაიჭირეს და მათგან გაიგეს, რომ დუბროვსკი უკვე მათ შორის აღარ იყო.
რამდენიმე დღის შემდეგ დუბროვსკიმ თავისი თანამზრახველები შეჰკრიბა და გამოუცხადა: განზრახული მაქვს სამუდამოდ დაგტოვოთო, მათაც ურჩია ასეთი ცხოვრება მიეტოვებინათ.
- ჩემი მეთაურობით გამდიდრდით, თვითეულ თქვენგანს აქვს მოწმობა, როლითაც უშიშრად შეგიძლიათ რომელიმე შორეულ გუბერნიაში გადახვიდეთ და იქ სიცოცხლის დანარჩენი დღეები გაატაროთ პატიოსან შრომასა და კეთილდღეობაში. მაგრამ თქვენ თარლითები ხართ და, ალბათ, თქვენი ხელობის მიტოვებას არ მოისურვებთ.
ამ სიტყვების შემდეგ დუბროვსკიმ ისინი დასტოვა, თან წაიყანა მხოლოდ ერთი**. არავინ იცოდა, სად გადაიკარგა. პირველად ეჭვი ეპარებოდათ ამ ჩვენებათა სისწორეში - ცნობილი იყო ყაჩაღთა ერთგულება ატამანის მიმართ. ფიქრობდნენ, ყაჩაღები დუბროვსკის გადარჩენას ცდილობენო, მაგრმ შემდგომმა ამბებმა მათი ჩვენება დაადასტურა. მრისხანე თავდასხმანი, ხანძრები და ძარცვა შეწყდა - გზები განთავისუფლდა. ზოგიერთი კი ამბობდა, დუბროვსკი საზღვარგარეთ მიიმალაო

---

* რა გნებავთ, ბატონო? (ფრანგ.).

** დიდი სიამოვნებით, ბატონო; ინებეთ გასცეთ სათანადო განკარგულება (ფრანგ.)

*** გარწმუნებთ, ბატონო (ფრანგ.)

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE